ალექსანდრე ახატნელი

კავკასიონთა ეთნოგენეზი

(მოკლე მიმოხილვა)

თბილისი
2013

ავტორი მადლობას უხდის კარგ ვაჟკაცს, ანზორ ჩუბინიძეს, რომლის დახმარებითაც ქვეყნდება ნაშრომი;

ავტორი ასევე აფრთხილებს მკითხველს, რომ აზრის ან ფაქტის განმეორება მიზანმიმართულად ხდება;

ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყოველ შენიშვნას, რჩევას, სურვილს.

> კავკასიონის მკვიდრ ეთნოსთა ისტორია მხოლოდ ნაწილობრივ შესწავლილ პრობლემებს განეკუთვნება. იქაც არაერთი დაუზუსტებელი ან არა სწორად გაშუქებული საკითხია. შესაბამისად კვლევა კიდევ ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კავკასიური ერთობის ტაძრისაკენ წინსვლა. წინამდებარე ნაშრომი საკითხების წარმოჩენას ემსახურება და მათი ღრმა, ყოველმხრიი ანალიზის პრეტენზია არ გააჩნია. იგი ერთგვარად ეხმაურება და აგრძელებს ადრე გამოცემულ ნაშრომს ,,ქართველთა ეთნოგენეზი. მოკლე მიმოხილვა.“

რედაქტორი:

იულონ ტოლიაშვილი.

დამჯაბადონებელი:

ჯობა ბედოიძე

ჯომპიუტერული უზრუნველყოფა:

ქეთევან გრძელიშვილი,
მაია ბოლქვაძე

©ალექსანდრე ახატნელი

კავკასია და კავკასიონი

ბრძნული ნათქვამია: ყოველ დიდ საქმეში, ყველაზე რთული დასაწყისია.

„ბიბლია“ გვასწავლის: უფალი დიდხანს დაჰქროდა გაურკვეველ ვითარებაში. ალბად ფიქრობდა ისეთი დიადი წამოწყების შესახებ, როგორიცაა სამყაროს შექმნა. დარწმუნებით თქმა ძნელია, მაგრამ თუ დედამიწის მოწყობის მაკეტი წარმოედგინა, ეს უეჭველად კავკასიას შეეხება.

თავისი ბუნებით, რელიეფით, გეოლოგიური მონაცემებით, ფლორით, ფაუნით აქ მართლაც ყველაფერია პატარა სივრცეში თავმოყრილი. სიამის ტყუპებივით განუყრელ ერთობას ქმნიან ვაკე-დაბლობები და მთაგრეხილები, ყველაზე მაღალი მწვერვალებით ევროპაში, ყველაზე ნესტიანი და უაღრესად მშრალი კონტინენტური კლიმატით, უდაბნოებით და ჯუნგლივით გაუვალი მცენარეულით. ძვირფას ბეჭედში ჩასმული თვალივითაა შავ და კასპიის ზღვებს, ბებერ აზიასა და ახალგაზრდა ევროპას შორის მოქცეული კავკასია.

დღეს კავკასიად ძალზე ვრცელ მიდამოს განიხილავენ ჩრდილოეთის განედის 37,2 და 38,5 შორის. დაინტერესებულ მკვლევართა შორის აზრთა სხვაობაცაა, მისი ფართი 440 ათასი კმ, თუ 468 ათასი კმ. ჩვენ შემთხვევაში ამას არსებით მნიშვნელობა არა აქვს.

კავკასიას ოთხ ძირითად ნაწილად ყოფენ: ჩრდილოეთის ვრცელი დაბლობი; საკუთრივ კავკასიონი; კოლხეთის, ქართლ-კახეთის, მდ.

მტკვარ-არაქსის დაბლობი; მცირე კავკასიად წოდებულ აჭარა-მესხეთის, მასის-არარატის მთები, რომლებიც სამხრეთიდან საზღვრავენ მთლიანად კავკასიას.

კავკასიაში საკუთრივ კავკასიონის მთაგრეხილია მუდმივი ინტერესის ობიექტი. უძველეს დროში მხოლოდ მას ეძახდნენ კავკასიას.

მთაგრეხილი უწყვეტ ჯაჭვადაა გაბმული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. 1500 კმ. გოლიათი არსად არ გადაიკვეთება მდინარის ხეობით. თავად წარმოადგენს წყალგამყოფს ჩრდილოეთით და სამხრეთით დაქანებული მდინარეებისა. იწყება იგი დღევანდელი მდ. ყუბანის ზღვასთან შესართავთან და წყდება აფშერონის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით. კავკასიონის სიგანეს საშუალოდ 50-150 კმ. შორის ანგარიშობენ. მიჩნეულია, რომ იგი კავკასიის 28-30% მოიცავს. ძირითად მთაგრეხილს აქვს განშტოებები: ჩრდილოეთით ანდის, სამხრეთით გაგრა-კოდორის, სვანეთ-ლეჩხუმის, რაჭის, ქართლის, კახეთის. მაგრამ მთავარი მაინც ლიხის მთაგრეხილია, რომელიც კავკასიონს მესხეთის მთებთან აერთიანებს და საქართველოს ორ ნაწილად ყოფს.

კავკასიონის დასავლეთი ნაწილი მუდმივად თოვლით დაფარულ მწვერვალთა ერთიან რიგს ქმნის. აქაა: უშბა (4700 მ), თეთნულდი (4855 მ.), შხარა (5065 მ.), დიხთაუ (5204 მ.), მყინვარწვერი (5035 მ.) და რაც მთავარია იალბუზი (5642 მ.). აღმოსავლეთი ნაწილი კი შედარებით მოკრძალებული სიდიდის მწვერვალებით ხასიათდება, თებულოს (4493 მ.) აღმოსავლეთით მწვერვალთა სიმაღლე კლებულობს და კასპიის ზღვასთან ცნობილ დერბენტის (ადრე ალბანეთის) კარიბჭეს ქმნის.

კავკასიონს აქვს რამდენიმე უღელტეხილი: ჯვრის (2379 მ.), მამისონის (2819 მ.), ქლუხორის (2813 მ.), არხოტის (2750 მ.), ბურსაჭირის (2340 მ.). ამას გარდა ბევრია საცალფეხო გადასასვლელი ბილიკები.

კავკასიონის მთაგრეხილის სიდიადემ მისცა სათავე გადმოცემების სიმრავლეს მისი და მისი მოსახლეობის შესახებ. ესაა ამ შემთხვევაში ძირითადი ინტერესის საგანი.

კავკასიელები

კავკასიონი კავკასიის მოსახლეობას სამ ძირითად ჯგუფად ყოფს: ჩრდილოეთის მაცხოვრებლები, კავკასიონის მაცხოვრებლები და სამხრეთ კავკასიის მაცხოვრებლები. ის ეთნოსები, რომლებიც უშუალოდ კავკასიონის მიდამოს ჩასჭიდებიან, მათ ჩრდილოეთით და სამხრეთით მობინადრე ეთნოსები. მოსახლეობის ამგვარად დაყოფა ამ შემთხვევაში გარდუვალია, რადგან სხვანაირად მიზანი ვერ დაკონკრეტდება.

კავკასიონის სამხრეთით ასეთად სომხები, ბორჩალოელები, თალიშები გვევლინებიან. ისინი კავკასიელებს მიეკუთვნებიან, მაგრამ არა კავკასიონელებს. ჩრდილოეთით კიდევ უფრო რთულადაა საქმე. იქ მოსახლეობის უმრავლესობას სლავები წარმოადგენენ, მაგრამ კავკასიელებად თავს არა თვლიან და არც სხვები მიიჩნევენ მათ ასეთებად. პირიქით, სლავები ყველა კავკასიელს აერთიანებენ, გარკვეულ წილად აიგივებენ, კავკასიელი ეროვნების სახელით.

სლავების გარდა არც ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენელი არ ჩაითვლება კავკასიელად. ვთქვათ გერმანელები, ბერძნები, თათრები, რომელთა რაოდენობა ათეულ ათასებს ამეტებს, რამდენად წარმოადგენენ კავკასიელებს? კავკასიონელებად კი მათ მიჩნევაზე ფიქრიც არ შეიძლება. რამდენადაც მთელი კავკასია რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი და რუსული მეთოდებით დაყოფილი, იქ მცხოვრებ ეთნოსებს სახელმწიფოებრივი გაერთიანების ტერიტორია, ფორმა, არსი შესაბამისი ჩამოუყალიბდათ. ამდენად, კავკასიელ ერებს ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მაინც, ყოფდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიელებად. ჩრდილოეთ კავკასიელები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც რუსეთის შემადგენლობაში რჩებიან. სამხრეთ კავკასიელებმა ფორმალურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს.

სამხრეთ კავკასიაში სამი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოა: აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. დღევანდელი პირობებში მათ ემატება სამი თვითაღიარებული „სახელმწიფო“: აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი და ყარაბაღი. როგორ განვითარდება მათი ისტორია, სხვა პრობლემაა, მაგრამ ამ ერთეულებიდან კავკასიონელებს არც სასომხეთი და არც ყარაბაღი არ განეკუთვნებიან.

უფრო რთულადაა საკითხი ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსებთან მიმართებაში. აღმოსავლეთით დაღესტნის რესპუბლიკაა. მისგან დასავლეთით ვაინახების ორი ე. წ. ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკები. ინგუშების დასავლეთელი მეზობელია ისტორიული ოსეთი, რომელსაც რუსული პოლიტიზირებული მეცნიერება ჩრდილოეთ ოსეთს უწოდებს. ოსეთის დასავლეთით ყაბარდოა და ბალყარეთი, შემდეგ არის ყარაჩაეთი და ჩერქეზეთი. კავკასიელთა უკიდურესი დასავლელი წარმომადგენელია ადიღე, რომელიც რუსეთის კრასნოდარის მხარის მცირე ნაწილს შეადგენს, მოწყვეტილს დანარჩენი კავკასიელებისაგან, ირგვლივ შემოსაზღვრულს „რუსული“ ტერიტორიებით.

2002 წ. მონაცემებით, თვითეული ერთეულის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიული და მოსახლეობითი მონაცემები ასეთია:

რესპუბლიკა	ტერიტორია ათასკმ	მოსახლეობა ათასებში
სომხეთი	29,8	3000
აზერბაიჯანი (ყარაბაღის ჩათვლით)	86,6	8300
საქართველო (აფხაზეთ, ე.წ. სამხ. ოსეთის ჩათვლით)	69,7	4602
დაღესტანი	50,3	2576
ჩეჩეთი	17,0	627
ინგშეთი	3,6	476
ოეთი	8,0	710
ყაბარდო-ბალყარეთი	12,5	901
ყარაჩაი-ჩექეზეთი, ადიღე	14,1 7,6	439 447

კავკასიას განეკუთვნება ასევე: სტავროპოლის მხარე 66,5 ათასი კმ. და 2735 ათასი მაცხოვრებლით; კრასნოდარის მხარე 76 ათასი კმ და 5125 ათასი მაცხოვრებლით. ამ მხარეების ტერიტორიაა კავკასიის ნაწილი, მოსახლეობა კი ბოლო საუკუნეებში ჩამოსახლებული ძირითადად არაკავკასიელია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კავკასიური რესპუბლიკების მოსახლეობაც არაა ერთგვაროვანი, მაშინ საკითხის კვლევაც უფრო რთულდება. ვთქვათ თითეულ რესპუბლიკაში სლავური მოსახლეობა თუ არა სჭარბობს აბორიგენებს, ბევრად არ ჩამოუვარდება. ამ შემთხვევაში დაღესტანი გამოიტოვება გარკვეული მოსაზრებით. ჩეჩნეთის რესპუბლიკაში სლავები მოსახლეობის 53,8% შეადგენენ; ოსეთში – 30%; ყაბარდო-ბალყარეთში – ბალყარები მოსახლეობის 10%-ა, სლავები კი 30%; ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ჩერქეზები მაცხოვრებელთა 9,7% აღწევენ. სლავები-42%; ადიღეში აბორიგენები 22% ოდენობითაა, სლავები 67% ოდენობით.

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში აბორიგენ ეთნოსთა მდგომარეობა საგანგაშოა. რუსეთის იმპერიული ზრახვებისა და პოლიტიკის ცოდნა ნათელყოფს ადგილობრივთა უიმედობას თუ ძირეული ცვლილებები არ განხორციელდა.

კავკასია მრავალფეროვანია თავისი გეოგრაფიულ-კლიმატოლოგიური პირობებით და უფრო მეტად მრავალ სახოვანი დემოგრაფიულ- ეთნიკური თვალთახედვით. ამას ემატება ენათა და დიალექტთა სიჭრელე და ეს კიდევ უფრო ართულებს კავკასიელთა საერთო მასისაგან გამო- ყოფას და საჭირბოროტო საკითხად აქცევს კავკასიელთაგან კავკა- სიონელთა განცალკევების პრობლემას: ვინ არიან კავკასიონელები?

კავკასიონელები

დღევანდელ პირობებში დაზუსტებასა და განსხვავების დადგენას საჭიროებს ტერმინები: კავკასია და კავკასიონი, კავკასიელი და კავკასიონელი. ზოგისთვის და საკითხში ჩაუხედავი ადამიანისათვის შეიძლება სხვაობაც შეუმჩნეველი იყოს, მაგრამ ამ საუკუნის ვითარებისათვის მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საიდუმლოს არ წარმოადგენს რუსული იმპერიული მცდელობა გათიშონ, ერთიმეორეს დაუპირისპირონ აქ მაცხოვრებელი ეთნოსები, ეთნოსებს შიგნით ცალკეულ დიალექტზე მეტყველი ტომები და ამ გზით მიაღწიონ საერთო მორჩილებას.

რომ არ გავიმეოროთ 19ს. მრავალრიცხოვანი მაგალითები, სრულიად საკმარისია გავიხსენოთ, უფრო ზუსტად არ დავივიწყოთ, რუსეთის სამსახურების მიერ შექმნილი და ქართველებისათვის დაპირისპირებული ე. წ. კავკასიელთა კონფედერაციის „გმირული“ მოღვაწეობა. არც ზ. გამსახურდიას მიერ წამოწეული მეგრულ-სვანური მოტივები უნდა იქნეს დავიწყებული და ნათელი გახდება პრობლემის აქტუალობა.

შესაბამისად, ინტერესს იძენს კავკასიონელობის საკითხიც. კავკასია ძველი პელაზგიურ-ბერძნული მითოლოგიის განუყრელი ნაწილია. მასთანაა დაკავშირებული პელაზგიურ ღმერთების ბრძოლისა და თაობათა მონაცვლეობის საკითხი. მასთან დაკავშირებით ბევრს მსჯელობდნენ ჰეროდოტე, სტრაბონი და მრავალი ცნობილი ისტორ- იკოს, გეოგრაფ, ლიტერატორი. სრულიად საკმარისია ესქილეს და მისი ტრაგედიების გახსენება. ამასთან, ვერ დავამტკიცებთ, რომ კავკასიის ტერმინის შიგნით მათ დღევანდელი გაგების კავკასია ესმოდათ. უფრო მეტი. კავკასიონის მწვერვალების იქით მათ ქვეყნის დასასრული ეგონათ. კავკასიას კი ხშირად ახსენებდნენ. საიდან იცნობდნენ, აინტერესებდათ და სწერდნენ მის შესახებ? ძველმა ბერძნებმა, რომ კავკასიის შესახებ ცოდნა მათი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დამკვიდრების შემდეგ შეიძინეს (ძვ. წ.

ა. XIII–XII სს.) გასაგებია, მაგრამ საიდან ჰქონდათ ეს ცნობა თავად პელაზგებს, ეს რთული და საინტერესო საკითია, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს.

პელაზგები და ძველი ბერძნები კავკასიას ახსენებდნენ ძვ. წ. ა. III-II ათასწლეულების მიჯნიდან მოყოლებული, როდესაც ღმერთების თაობათა ცვლა განხორციელდა. უსაზღვრო დრონის ღმერთ კრონის და მისი მეუღლე რეა კიბელას თაობა ზევსისა და ჰაერის ქალღმერთის ჰერას თაობამ შეცვალა. ამ დიდი ბრძოლის დროს ზევსს მიეხმარა ტიტანი (ღმერთი) პრომეთე, მაგრამ დამსახურება არ დაუფასეს და ორი მძიმე „დანაშაულისათვის“ კავკასიაში მაღალ კლდეს მიაჯაჭვეს. პირველი „სისხლის სამართლის საქმე“ იყო ზევსის მეომარი ქალიშვილის, ათენას „მოტაცება“, ხოლო მეორე კუნძულ ლემნოსზე, მოსხოს მთის წვერზე ღმერთ ჰეფესტოს სამჭედლოდან ცეცხლის მოტაცება და ადამიანებისათვის „გადაცემა“ შესაბამის „ინსტრუქციასთან“ ერთად. საიდან უნდა სცოდნოდათ პელაზგებს კავკასიის შესახებ? არის საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ ულუმბოს (ოლიმპოს) მთის კალთებზე ძველი ტომი კავკონებისა მოსახლეობდა. მითოლოგია, სამწუხაროდ, არ შიფრავს ვინ ან საიდან იყვნენ კავკონები. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ კავკონების რაღაც ნაწილი მოსახლეობდა პაფლაგონიაში (მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში). გამოდის ჯაჭვი, ბალკანეთის ნახევარკუნძული, დასავლეთი თურქეთი, კავკასია. კავკასიის, კავკასიანების, კავკონების ყველაზე ძველ ამბავს ლეონტი მროველი აღწერს. პირველი ხსენების პატივი კი „ბიბლიის“ ისტორიულ ნაწილს ეკუთვნის.

მკვლევარებს შორის აზრთა დაპირისპირებას არ იწვევს ის ცნობა, რომ ადამიანთა მოდგმის ადრეულ თაობებს შორის დასახელებული თუბალ-კაენი იბერიულ-კავკასიური ტომის სახელწოდებაა. კაენი მიწის მუშაკია (მიწათმოქმედი) და ამდენად ძლიერი, მეჯოგე-მომთაბარეებთან შედარებით. თუბალ-კაენი „ბიბლიის“ მიხედვით რვალისა და მეტალის საჭურველთა მჭედელია. იგი მიწათმოქმედი და ხელოსანია. ამასთან თეთრი ბრინჯაოსა და პირველი რკინა-ფოლადის შემოქმედი.

რის საფუძველზე ასკვნიან, რომ ჯერ კიდევ „წარღვნამდე“ მოღვაწე თუბალ-კაენი კავკასიასთანაა დაკავშირებული? იქნებ სხვა თუბალი, იაფეთის ძე იგულისხმება? „ბიბლიაში“ ხომ ორ თუბალზეა მსჯელობა. პირველი ლამექის ძე თუბალ-კაენია: რვალისა და რკინის საჭურველთა

მჭედელი“. მეორე კი იაფეტის ძეა – თუბალი. თან მეორე თუბალთან ერთად მეშექი იხსენიება.

თუბალისა და მეშექის სახელები, ეპოქებისა და მომგონებელი ტომების გამოთქმის მიხედვით, იცვლება. თუბალი, თაბალი, ტაბალი, იბერი; მეშექი, მუსკი, მოსოქი, მოსხოი, მესხი. I ს. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი მიუთითებს: თუბალი ახლა იბერად იწოდება, ხოლო მეშექი კაპადოკიელთა წინაპრადო. თავად კაპადოკია (სპარსულად ცხენების ქვეყანა) გვიან ეწოდა მესხების სამოსახლოს.

ცხადია, „ბიბლიის“ ყველა დებულება და სახელი, ყველა თარიღი და ფაქტი, არ შეიძლება კრიტიკული განსჯის გარეშე იქნეს მიღებული. რომ არაფერი ითქვას მისი წაკითხვის დროს „აღმოჩენილ“ უზუსტობაზე, საკმარისია მიეთითოს იმ სიძნელეზე, რასაც ნოეს წინაპართა და შთამომავალთა ასაკობრივი გაანგარიშება ქმნის. როგორ მივიღოთ ამა თუ იმ პიროვნების ასაკი? სამოცობითი თვლის წესით თუ გვიან მიღებული ათობითი? მიზანი არაა „ბიბლიის“ ავ-კარგიანობის შეფასება. მხოლოდ მინიშნებაა იმაზე, რომ საჭიროა ბევრი და, ამ მხრივაც, უფრო მეტად ჩაღრმავება.

ამ შემთხვევაში ღირებულია ის ფაქტი, რომ არარატ-მასისის, ვანისა და ურმიის ტბების, ფურათუსა და იდიგნას (მდინარეების ევფრატისა და ტიგროსი) მიდამოებიდან მოხდა მოსახლეობის სამ ოჯახად გაყოფა: იაფეტიდებად, ქამიტებად და სემიტებად (ნოეს სამი ვაჟის იაფეტის, ქამისა და სემის მიხედვით).

„ბიბლიაში“ ნოეს შთამომავლობის ორი ნუსხაა მოცემული სრული და არასრული. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სახელები თითქოს ცალკეული პიროვნებებისაა, მაგრამ არსებითად ტომთა სახელს ატარებს. ამიტომ მნიშვნელოვანია მითითება: „...ამათგან განიფანტნენ ზღვისპირა ხალხები თავ-თავის ქვეყნებში, თითოეული თავისი ენის მიხედვით, თავისი ტომის მიხედვით...“ (ბიბლია. თბ. 1989, გვ 19).

ისმის კითხვა, რატომ უნდა გაჩენილიყო „ბიბლიაში“ ორი თუბალის ხსენება? ლამექის ძე თუბალ-კაენი ნოემდე ცხოვრობდა. იგი მიწათმოქმედია და ხელოსანი (მჭედელი). იაფეტის ძე თუბალი წარღვნის შემდეგაა დაბადებული. მათ შორის მთელი ეპოქაა. დასადგე- ნია, „ბიბლიაში“ შემთხვევითაა მოხვედრილი ორი თუბალი თუ ისინი რეალობას ასახავენ? შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ „ბიბლია“ არა ცდება. მაშინ რა გამოდის? ყოფილა ორი თუბალი, წარღვნამდე და წარღვნის

შემდეგ. თუ დავეთანხმებით, რომ თუბალ-კაენი, ისევე როგორც თუბალი პიროვნებას კი არა ტომს ან ტომთა გაერთიანებას აღნიშნავს, მაშინ ყველაფერი ლოგიკურად ლაგდება. იყო ტომი თუბალებისა, რომელიც წარღვნამდე არსებობდა და რაღაც მიზეზებით წარღვნას გადაურჩა, არ დაიღუპა და იაფეთის მოდგმას მიეკუთვნა, იაფეტიდი გახდა. ლოგიკის ძალით რთული არაა იმის დაშვება, რომ თუბალები (თუბალ-კაენი), რომელიც კავკასიაში სახლობდა, წარღვნას (სტიქიურ უბედურებას) გადაურჩა (კავკასიონი არარატ- მასისის მთებზე მაღალია) და განაგრძო არსებობა. იაფეთის დროს კი მომრავლდა, მათ მეშეხების ტომი გამოეყო და ასე მონათესავე ტომებმა ახალ პირობებში განაგრძეს არსებობა. არის ამ ლოგიკურ ხაზში რაიმე შეუძლებელი და მიუღებელი? რატომ არ შეიძლება მსჯელობა ძველ (წარღვნამდელ) თუბალებზე და წარღვნის შემდეგ მომრავლებულ (გნებავთ გაჩენილ) თუბალებზე ისევე, როგორც არის ცნობა მთის იბერებისა და ბარის იბერების შესახებ. თარგამოსიანელ ქართებს (იბერებს) კავკასიაში მაცხოვრებელი ტომები (მთის იბერები) დახვდენენ და მათთან ურთიერთობის „გარკვევის“ შემდეგ მიიზომა ქართლოსმა მამის მიერ „მიკუთვნებული“ სამფლობელო.

როდის უნდა მომხდარიყო არარატ-შუამდინარეთში მოსახლეობის სიჭარბე და გაყოფის აუცილებლობა, ამაზე პირდაპირი მითითება არ არის. არის შესაძლებლობა თარიღების დადგენისა შემოვლითი გზით.

„ბიბლია“ არ იძლევა იაფეთისა და ქამის შთამომავლობის სრულ სიას. გამონაკლისს შეადგენს მესამე ძმის, სემის ხაზი.

იაფეტი (ბიბლიის მიხედვით იაფეთი) საბოლოო ანგარიშით მკვიდრდება მამის (ნოეს) მხარეში. აქ ამრავლებს შთამომავლობას. ბიბლიური თოგარმა (ლეონტი მროველის მიხედვით – თარგამოსი) იაფეთის შვილიშვილია. ნოედან. მეოთხე თაობაა.

ქამი (საშუალო ძმა) გაყრის შემდეგ სამხრეთით წავიდა თავისი მოდგმით. ის ჯერ ქანაანში (დღევანდელი ისრაელის ტერიტორიაზე) დაეფუძნა, შემდეგ კი გადმოცემის თანახმად, აფრიკაში გადავიდა. ქამის შთამომავალთა ხაზი ასეა: ქამი, ქუში, ნებროთი. „ამან დაიწყო ძალის გამოჩენა ქვეყანაზე“ (ბიბლია. თბ. 1989, გვ 19). გადმოცემა ნებროთს უძლიერეს პიროვნებად, მოძალადედ და ბაბილონის გოდოლის შენების ინიციატორად ხატავს. ნებროთიც ნოედან მეოთხე თაობაა და შესაბამისად თარგამოსის მეტ-ნაკლებად თანატოლი-თანამედროვე.

„ბიბლია“ დეტალურად იძლევა სემის მოდგმის სახელსა და ასაკს. (აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „ბიბლიის“ ამ ახალ გამოცემაში სემის შთამომავალთა სახელები ცოტა განსხვავებულადაა თარგმნილი).[1]

„ბიბლიის“ შეფასება ამ ნარკვევის მიზანს სცილდება. აქ მხოლოდ დანანებით უნდა აღინიშნოს ისეთი უზუსტობის თუ დაუკვირვებლობის შედეგი, როგორიცაა: ა. ნოეს 90 წლისას ეყოლა სემი, ქამი და იაფეთი; ბ. ნოე 600 წლის იყო როცა დაიწყო წარღვნა; გ. შესაბამისად, წარღვნის დროს ნოეს ვაჟები იაფეთი, ქამი და სემი, სულ მცირე 500 წლისანი მაინც იქნებოდნენ; დ. კიდობანში იყვნენ ნოე, სემი, ქამი, იაფეთი ცოლებით (ბიბლია, თბ. 1989, გვ. 17-18). შესაბამისად ნოეს ვაჟებს ამ პერიოდისათვის ან არ ჰყავდათ შვილები, ან ისინი კიდობანში ვერ მოხვდნენ და დაიღუპნენ; ე. იგივე ბიბლია გვეუბნება (გვ. 20) „ასი წლის იყო სემი, როცა შვა არფაქშადი, წარღვნიდან ორი წლის შემდეგ“.[2]

ამ შემთხვევაში საინტერესოა სემის შთამომავლებში ვინ რამდენი წლისამ დაუდო სამანი მომავალს.[3] სემიდან აბრაამამდე რვა თაობა ცხოვრობდა. მიილია 390 წელი. ყოველგვარი ეჭვის გარეშე დადგენილად ითვლება, რომ ებრაელთა მამამთავარი აბრამი (აბრაამი) დაიბადა ძვ. წ. ა. 1813 წ. შესაბამისად სემიდან აბრაამამდე 390 წელი გასულა.

1813 წ. მიმატებული 390 წ. კი უკვე ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულს მიანიშნებს. (ძვ. წ. ა. 2203 წ.).

რას გვაძლევს ასეთი დაანგარიშება? უმნიშვნელოვანეს დასკვნას: იაფეთი, ქამი და სემი ძმები იყვნენ და ერთ პერიოდში ცხოვრობდნენ. თუნდაც ორი, სამი ათეული წელი იყოს მათ ასაკში სხვაობა, მაინც ერთი ეპოქაა.

ვნახოთ რას აზუსტებს და რას გვეუბნება ამ პერიოდის შესახებ სულმნათი ლეონტი მროველი. ეს მით უფრო ყურადსაღებია, რომ ასეთ ძველ პერიოდს სხვა ისტორიკოსი არ შეხებია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მროველის მონათხრობი ისტორიულ სინამდვილეს მისდევს და მისი დებულებების უარყოფის შემთხვევები არ არსებობს.

1. თარგმანის თავისებურება საკითხის არსს არა ცვლის.

2. არ შეიძლება მთარგმნელებს ყურადღება არ მიექციათ სრულიად თვალსაჩინო უზუსტობისათვის.

3. სემის შთამომავალთა ასაკობრივი გაანგარიშება, მოცემულია წიგნში: „ქართველთა ეთნოგენეზი“ და აქ განმეორება საკითხს სიცხადეს ვერ შემატებს.

აი, მროველის ნათქვამი: „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელი თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი“ (ქართლის ცხოვრება. თბ. 1955, ტ. 1, გვ. 3).

აქ სამი აზრია დასამახსოვრებელი: 1: ძველი კავკასიელები იაფეტიდები არიან და ერთი მამამთავრიდან მოდიან; 2. სტრაბონს შემოაქვს ტერმინი კავკასიელნი. მროველი ამბობს – კავკასიანთა, კავკასიანნი;

3. მროველი მკვეთრად გამოჰყოფს კავკასიანთა მოდგმას დანარჩენი კავკასიელებისაგან. კავკასიანნი არც სომხები არიან, არც ქართველები, არც ალბანელები (რანთა და მოვაკნელთა), არც ჰერები, ლეკები ან მეგრელები.

მროველის ეს თვალსაზრისი უნდა იყოს საფუძველი კავკასიონთა რაობის დადგენის დროს.

ძალზე მნიშვნელოვანია მროველის იმ ნათქვამის გააზრება, რომლის მიხედვით: „და წამოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკვიდრა ორთა მათ მთათა შუა კაც შეუვალთა, არარატსა და მასისსა“ (იქვე. გვ. 3.).

„ბიბლია“ გადმოგვცემს, რომ ნოე თავისი სახლობით და კიდობანის მგზავრებით არარატის მთას მიადგა, იქ დაესახლა და გამრავლდა. მისი შთამომავლობა სამ შტოდ გაიყო: საშუალო ძე ქამი, გაყრისთანავე სამხრეთით წავიდა. უმცროსი – სემი ჯერ აღმოსავლეთით გაეშურა, შემდეგ კი სამხრეთით გადაინაცვლა და ბოლოს ქამიტებიც განდევნა ქანაანიდან. უფროსი იაფეტი დარჩა მამის მამულში, აქ იმრავლა და აქ დაუდო სათავე იაფეტიდების ტომმრავალ მოდგმას. თარგამოსი იყო თარშისის ძე, თარშისი თავის მხრივ იაფეტის ძის ძე და შესაბამისად, პაპის მამულში საიდან უნდა მისულიყო?

ორი ფაქტია გასათვალისწინებელი: 1. მროველი არ იმეორებს ბიბლიის მონათხრობს მექანიკურად. იგი აზუსტებს ბიბლიის სიების მონაცემებს და დაბეჯითებით ამტკიცებს: იაფეტის ძის ძე არის თარშისი, თარშისის ძე არის თარგამოსი; . გადმოცემის თანახმად ქამის ძე ქუშს ჰყავდა ძე ნებროთი, რომელმაც „დაიწყო ძალის გამოჩენა ქვეყანაზე“

სწორედ ნებრითი ითვლება ბაბილონის გოდოლის შენების ინიციატორად. მან აიძულა სხვა ტომები (მათ შორის იაფეტიდები) მიეღოთ

მონაწილეობა ამ გრანდიოზულ ავანტიურაში. როდესაც გოდოლი დაინგრა, მშენებლები ქვეყნის ზურგზე გაიფანტნენ. თარგამოსმა თავისი მოდგმით და მომხრეებით საკუთარ მხარეს მიაშურა და იქ საბოლოოდ დამკვიდრდა.

თარგამოსის წილხვედრი ქვეყანა ძალზე დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მროველი შეგვახსენებს: „ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა, ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლეთ ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა და სამხრეთ ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია“ (იქვე, გვ. 4). გურგენის (კასპიის), პონტოს (შავი) და ორეთის (ხმელთაშუა) ზღვებს შორის მოქცეული ტერიტორია მართლაც ძალზე დიდია. ჩრდილოეთით კი საზღვრად კავკასიის მთაგრეხილი ითვლებოდა. ამხელა ტერიტორიის მოცვა ბევრ ტომს და დიდ ხალხმრავლობას საჭიროებდა.

რომელი ტომები სახლობდნენ ამ მხარეში კონკრეტულად დაუდგენელია, მაგრამ უეჭველად იგულისხმებიან თუბალ-ტაბალი თაბალ- იბერული მოდგმისა. ყოველ შემთხვევაში არქეოლოგია ამ ტერიტორიებზე უწყვეტ კულტურულ განვითარებას აფიქსირებს. გასახსენებელია „ბიბლიის“ ის დებულება, რომელიც თუბალების გვერდით მეშეხებს ასახელებს. მკვლევართა აზრით თუბალები და მეშეხები უეჭველად მონათესავე ტომებია. თუ ასეა, მაშინ იმის განსაზღვრაც აუცილებელი ხდება თუბალების მეზობლად რომელი ტომები სახლობდნენ. „ბიბლია“ ტომთა ტერიტორიულ საზღვრებს არ ასახელებს. სანაცვლოდ ძველი წყაროები არაერთგზის უსვამენ ხაზს მეშეხების, აქედან მუშქების, მუსკების, მესხოის, მოსხების ტომთა სიმძლავრესა და სიმრავლეს. ასურული წარწერა მოგვითხრობს მუსკების ლაშქრობის შესახებ ხუთი მეფის სარდლობით, სირიის დაბლობის დაკავების მიზნით. ამასთან ლაპარაკია მანამდე დაუმარცხებელ სამხედრო ძალაზე, ხუთი მეფე უკვე ტომთა სიმრავლეზე მითითებაა. ძველბერძნული წყაროები ასევე ასახელებენ მუშქებს, როგორც მცირე აზიის უძლიერეს და ამავე დროს განათლებულ მოსახლეობას. ეს მათ გადმოიღეს ასოთი დამწერლობა ფინიკიელებისაგან და გაავრცელეს ძველ ბერძნებში.

მეშეხთა შთამომავლობაზე ბევრი რაიმეს თქმა შეიძლება. ამ შემთხვევაში საინტერესოა ტერიტორიული საზღვარი თუბალებთან. დასავლეთი

მიმართულებით თითქოს ასე თუ ისე ნათელია. რადგან ისინი ასურეთის იმპერიას ებრძოდნენ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ჰქონდათ ხმელეთის საზღვარი სირიასთან. თუ თარგამოსის დროს თუბალთა საზღვარი ორეთის ზღვამდე მიდიოდა (ხმელთაშუა ზღვამდე), უფრო მოგვიანებით პერიოდში მეშეხებს შეეძლოთ მათთვის ტერიტორიის ნაწილი წაერთვათ. ეს არ გამოირიცხება. საინტერესოა სხვა ცნობა. ისტორიული წყაროები არაერთგზის ასახელებენ მეშეხთა ჩამომავალ მესხურ მოსახლეობას კავკასიონის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. უფრო მეტი, თუშებს ახლაც მოსოხებს (მესხებს) უწოდებენ ლეკოსიანელები. შეიძლება თუ არა დაშვება იმისა, რომ ისტორიის ადრეულ პერიოდებში მეშეხ-მესხური მოსახლეობა ფლობდა კავკასიის დასავლეთ ნაწილს? თუ არა, მაშინ საჭირო გახდება ახსნა, საიდან უნდა გაჩენილიყო მესხურთან დაკავშირებული ტერმინები დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ-კავკასიის მიდამოებში. არც ის უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული, რომ „ბიბლიის“ თანახმად ადამიანთა დიდი მასები არარატ-მასისის მხარეში გამრავლდნენ და აქედან გაიფანტნენ სხვადასხვა მიმართულებით. შეიძლება იმის დაშვებაც, რომ ერთ დროს კავკასია იყო თუბალებისა და მეშეხების, შემდეგში ტაბალებისა და მუშქ-მუსკების თანაცხოვრების, მეზობლობის არეალი. ეს მათ შორის ბრძოლას სასიცოცხლო არეალისათვის არ გამორიცხავდა. ამიტომ მოხდა, რომ მოგვიანებით მთელი კავკასია თუბალების სამფლობელო გახდა. ესაც არ გამორიცხავდა მეშეხ-მესხთა გარკვეული ნაწილის ადგილზე დარჩენისა და მოსულებში შერევის შესაძლებლობას. რაც შეეხება მეშეხთა ძირითად მასას, ისინი მოგვიანებით მცირე აზიის, ეგეოსის აუზისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ცხოვრებაში იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას.

წერილობითი ცნობები სხვა მოდგმის (წარმომავლობის) ტომებს ამ არეალში (გარდა თუბალ—მეშეხისა) არ ასახელებენ. შესაბამისად, როდესაც არქეოლოგია ადასტურებს ამ არეალში, ე. წ. მტკვარ-არაქსის ცივილიზაციის არსებობას ძველ წელთა აღრიცხვის IV—III ათასწლეულებში, რომელ ტომებს (ხალხებს) უნდა შეექმნათ იგი? კითხვა ლოგიკურია და ასეთსავე პასუხს საჭიროებს.

ძველი ცივილიზაციები

ძველი ცივილიზაციების პრობლემა არ ახალია, ძველია. ფილოსოფოს პლატონიდან მოყოლებული მათ აღწერასა და ახსნას არაერთი მოაზროვნე დასჭიდებია და დაეჭიდება. თვალსაზრისი მრავალია, დაზუსტებული დასკვნა არ არსებობს. საბოლოოდ ისაც არაა გარკვეული, ეგვიპტის პირამიდები ძველი ეგვიპტელების ნახელავია თუ წინა დათბობის დროს არსებული ცივილიზაციების ნაშთი.

ამ შემთხვევაში, მათი კვლევა არაა მიზანი. მხოლოდ მითითება იმაზე, რომ ძველი ცივილიზაციების ნაშთები ეკვატორის ახლო კლიმატურ ზონებშია შემორჩენილი, რაც არ ნიშნავს სხვა ზონებში მათ არ არსებობას. შეიძლება წინა დათბობის დროს სხვა განედებში მაღალი ცივილიზაციაც ჰყვაოდა, მაგრამ გამყინვარების დროს, კილომეტრიანი სისქის ყინულის პირობებში მოისპობოდა. მხოლოდ შედარებისათვის: დღეს ჩრდილოეთის, ისევე როგორც სამხრეთის ქვეყნები, მოწინავე ცივილიზაციის მატარებლები არიან. გამყინვარების შემთხვევაში, თუ ყინული ალპების, კავკასიის, პამირის ჩრდილოეთს დაფარავს, ბუნებრივია იქ მაცხოვრებელი ეთნოსები სამხრეთით გადმოინაცვლებენ, ცივილიზაცია კი განადგურდება. ამიტომ ძნელია მტკიცება იმისა, რა იყო წინა დათბობის დროს, რა ისპობოდა და რა რჩებოდა. (თვალსაზრისი ამის შესახებ იხ. წიგნში „ქართველთა ეთნოგენეზი“).

ერთი რამ უდაოა. თარგამოსის კუთვნილ მხარეში ძვ. წ. ა. IV–III ათასწლეულში მაღალ დონეზე იყო ე. წ. მტკვარ–არაქსის კულტურა. მის გარშემო კი ისეთი ცნობილი ცივილიზაციები, როგორიც იყო ეგვიპტელების, შუმერების, ფინიკიელების, კრეტა-მიკენის. რაც შეეხება ხეთების სახელმწიფოს, იგი ნაწილობრივ თუბალების და ძირითადად მეშეხ-მუსკი – მუშქების არეალში მძლავრობდა.

თითოეული, ამ ცივილიზაციის კერებიდან, ამყარებდა კავშირებს შორეულ მხარეებთან. მით უფრო უპრიანია ვამტკიცოთ, რომ მტკვარ-არაქსის ცივილიზაცია მოწყვეტილი, კარჩაკეტილი ვერ იქნებოდა დანარჩენი კულტურის ცენტრებისაგან. თუბალ-თობალ-ტაბალები თუ უშუალოდ არ მონაწილეობდნენ შუმერული ცივილიზაციის შექმნა-განვითარებაში, მისგან იზოლირებული მაინც ვერ დარჩებოდნენ.

კიდევ ერთი ფაქტორია საყურადღებო. როდის დაიწყო ძველი ცივილიზაციების ჩამოყალიბება და ინტენსიური განვითარება, უცნობია. დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. ა. VIII ათასწლეუ- ლის „ქალაქური“ დასახლების კერის აღმოჩენა, ბევრ დამაფიქრებელ კითხვას ბადებს. ცივილიზაციის აყვავება IV ათასწლეულში უცებ არ მოხდებოდა. მას უეჭველად უნდა გაევლო განვითარების საფეხურები. დამატებით კიდევ ერთი საფიქრალი. მტკვარ-არაქსის კულტურა III ათასწლეულის I ნახევარში დაცემას განიცდის და თანდათან კნინდება. სანაცვლოდ ამ კულტურის ნაწილები ჩნდება ჩრდილო კავკასიაში. ჩრდილოეთ კავკასიის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ მხარეებში ვრცელდება ამ კულტურის დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან დასავლეთ ნაწილში უფრო კოლხურ კულტურასთან მიახლოებული. ამავე პერიოდში ეტაპობრივ ცვლილებებს განიცდიან სხვა ცივილიზაციები. ეგვიპტეში იგი დინასტიურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული (მხოლოდ დინასტიური?). შუმერულ კულტურას აკადიური ცვლის. საპელაზგოში ღმერთების თაობათა ცვლასთან და მასთადაკავშირებულ ცვლილებებთანაა ყოველივე კავშირში. ყალიბდება ხეთების იმპერია და ა. შ. ძველი ცივილიზაციების ხარისხობრივი ცვლილებების მეტ-ნაკლები ერთდროულობა რაღაც საერთო მიზეზით ხომ არ იყო განპირობებული? ასეთი „ერთდროულობა“ შემთხვევით არ მოხდებოდა. ამ პრობლემასაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

რაც შეეხება მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემას და შემდგომ ჩრდილო კავკასიაში მისი ელემენტების დამკვიდრებას, ეს შეიძლება იაფეტიდთა (თარგამოსიანელთა) მიგრაციულ პროცესებს უკავშირდებოდეს. ყოველ შემთხვევაში ლეონტი მროველი ამ პრობლემის ასეთ ახსნას იძლევა: თარგამოსს მრავლად ჰყავდა ცოლები და შვილები. ეს მხოლოდ მისი მახასიათებელი არაა. „ბიბლია“ გვამცნობს, რომ იაფეტის შთამომავალნი ისე გამრავლდნენ, რომ მათგან წარმოიშვნენ „ზღვისპირა ხალხები“. (გასარკვევია, რომელი ზღვისპირა ხალხები, რომლებმაც სათ-

ავე მრავალ ეთნოსს და ქვეყანას მისცეს). თავად სემმა კიდევ იცოცხლა „...არფაშქადის დაბადებიდან ხუთასი წელი და შვა ძენი და ასულნი.“ (ბიბლია, თბ. 1989, გვ. 20). სემის მემკვიდრეების თაობები ასევე შობდნენ უამრავ ძენს და ასულებს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ თარგამოსსაც მრავლად ჰყავდა ძენი და ასულნი. მთავარია, ამბობს მროველი, რომ „...შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი...“ (ქართლის ცხოვრება, თბ. 1955, ტ. 1. გვ. 3.).

მოსახლეობის სიჭარბემ, ვარაუდით სხვა პრობლემებთან ერთად, აიძულა თარგამოსი გაეტარებინა რადიკალური რეფორმები, დაკავშირებული მისი „გავლენის სფეროს“ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან. მროველი ასე ხსნის ძვ. წ. ა. III ათასწლეულის აღნიშნულ რეფორმას: „ხოლო ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა, განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თვისი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისისა მისცა ჰაოსს, ხოლო შვიდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ[1] მათისა.“ მროველი დიდი სიზუსთით აღწერს, რომელ მემკვიდრეს რა საზღვრებში გამოუყო საზრუნავი და დააკისრა „ნათესავთა“ ე. ი. თანატომელების ხელმძღვანელობა.

„მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი;[2] დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მიჰყვება ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წუერი დასას- რულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუად მისცა ყოველი ქართლოსს.“ (იქვე, გვ. 4).

1. არძანგებისაებრ-არძანგი – სულხან-საბა-ორბელიანის ლექსიკონში (ტ. 1. თბ. 1991, გვ. 67. განმარტებულია, როგორც “სახდომელი პატივი“, როგორც პატივი „...კაცთათვის ღირსებისაებრ მათისა“...

2. მდ. ბერდუჯი – „ქართველთა ეთნოგენეზი“–ში გაიპარა შცდომა. მინაწერი მდ. ბერდუჯი – მდ. დებედაა, შევიდა წიგნში „ქართლის ცხოვრება“ ტ. 1. თბ. 1955 გვ. 4. არშიაზე მინაწერის მიხედვით, მკვლევარები ფიქრობენ, რომ სინამდვილეში მდ. ბერდუჯი ბევრად აღმოსავლეთითაა, აზერბაიჯანის საზღვრებში, შამქორთან ერთვის მტკვარს და ღღეს მას მდ. კასიმს ეძახიან.

ქართლოსის წილი ქვეყანა მროველს განსაკუთრებული სიზუსტითა აქვს აღწერილი. შედარებით სქემატურადაა მომდევნო ორი ძმის ბარდოსისა და მოვაკანის სამფლობელოები მოცემული. „ხოლო ბარდოსს მისცა მტკუარს სამხრით, ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე სადა შეკრბებიან მტკუარი და რახსი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ.

ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი, და დაემკვდრა მუნ. (იქვე. გვ. 5).

თარგამოსმა მისი წილი ქვეყნის დარჩენილი ტერიტორია ორ შემდეგ ძმებს გაუნაწილა: „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე[1], რომელსა აწ ჰქვიან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა, და უწოდა სახ- ელი თვსი ჰერეთი. და მის გამო ჰქვიან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქვან ხორანთა.“ (იქვე. გვ. 5.).

„ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვან ბედია“ (იქვე. გვ. 5).

ამრიგად თარგამოსის ხვედრი ქვეყანა დანაწილდა მის ექვს ძე-ს შორის. არა და კიდევ ორი ძე ჰყავდა, რომელთა „დაკმაყოფილება“ მის მშობლიურ ვალს შეადგენდა.

სადაო არაა ის, რომ თითოეული ძე, სინამდვილეში ტომთა გაერთიანების, კრებსითი სახელის მატარებელია. უფრო მეტი, არსებულ ფარგლებში მოსახლეობის სიმჭიდროვე და სიჭარბე იმდენად საგრძნობი იყო, რომ მიგრაციული პროცესები გარდაუვალ ამოცანად იდგა.

მროველის[2] ცნობების მიხედვით უმამულოდ, მაგრამ მრავალრიცხოვანი ტომებრივი მოსახლეობის მეთაურები, დარჩნენ „არძანგები-

1. ტყეტბა – ისტორიულად ცნობილია ხილხალას სახელით. დღეს ეს ტერიტორია მინგეჩაურის წყალსაცავმა დაფარა.

2. მროველი – ლეონტი მროველი რუის-ურბნისის საეკლესიო წინამძღოლი. ლეონტის მსგავსად ამ ეპარქიის მეთაურებს მროველებს უწოდებდნენ.

საებრ“ უმცროსნი, ლეკოსი და კავკასოსი.

კავკასოსია ინტერესების ობიექტი. ვინ იყო ის, ვინ იყვნენ მისი მიმდევარი, მოსახელე, ერთგული, მორჩილი თუ ა. შ. ტომები, ესაა მოკლე მიკვლევის ძირითადი მიზანი.

რას გადმოგვცემს ამ ხაზით მროველი? იგი ამბობს: „ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისი, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკვიდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთვის გამოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღვითგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა[1], ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად, და მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა, დასავლით“. (იქვე, გვ. 506).

თარგამოსის მიერ კუთვნილი მხარის შვილებს შორის დანაწილება არ იქნებოდა უბრალოდ გადასაწყვეტი პრობლემა. თუ რეფორმა ჭარბმოსახლეობამ განაპირობა, ეს იმას ნიშნავს, რომ კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთ ტერიტორიები მჭიდროდ იყო დასახლებული. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა ახალი ტალღის გამოჩენა უკონფლიქტოდ არ ჩაივლიდა. ხომ არ იყო ისე, რომ ქართლოსს მითითებული ტერიტორია სამმართველოდ იმიტომ გამოეყო, რომ აქ ისედაც ქართები ცხოვრობდნენ, ჰეროსს ქართლოსის აღმოსავლეთი იმიტომ მისცა, რომ იქ ისედაც ჰერები სახლობდნენ? მაშინ საკითხავია: სად იყვნენ ლეკოსის და კავკასოსის მიმდევარი ტომები, რატომ უნდა გადასული- ყვნენ ისინი მთების ჩრდილოეთით? ასევე გასარკვევია: ისტორიულად ცნობილია, რომ კარდუხები, (ქართუხები, ქართოსის მონათესავე ტომები) უკიდურეს სამხრეთში ცხოვრობდნენ ბევრად გვიან პერი- ოდშიც. სამხრეთიდან კავკასიის მთებამდე ტერიტორია მათ ეკავათ მუდმივად? ასევე ჰერები ვანისა და ურმიის ტბებს შორის სივრცეში მოსახლეობდნენ.იქიდან მოყოლებული ტყეტბამდე სულ მათი იყო? თუ მიგრაციული პროცესების დროს გადაადგილდნენ ჩრდილოეთით? იგივე კითხვა ისმის მოვაკნელთა მისამართით. თუ მტკვარს ზევით კავკასიამდე ტერიტორიები მათი იყო, სად სახლობდნენ ლეკოსები, ნებაყოფლობით საიდან უნდა აყრილიყვნენ, გაევლოთ სხვათა მიწები და უკაცრიელ ადგილას დასახლებულიყვნენ.

1. 1 მდ. ლომეკისა – მდ. თერგი (მდ. დერგი–მისი ძირი).

უფრო სავარაუდოა, რომ კავკასოსის და ლეკოსის მონათესავე ტომები ადრე კავკასიის სამხრეთში ცხოვრობდნენ და ახლაც მოსულთა ძლიერებამ აიძულა არა მხოლოდ მთებში შეხიზნულიყვნენ, არამედ ჩრდილოეთის უკაცო, დაუსახლებელი სივრცეების ათვისებაც დაეწყოთ.

მომხდურთა ძალას უნდა აეშალა ადგილობრივთა აწყობილი ცხოვრება. შიშს უნდა აეძულებინა ლეკოსები და კავკასოსები მი- ეტოვებინათ „სამშობლო“ და თავშესაფარი უცხო მხარეში ეძებნათ. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ქართების მოძალების გამო კავკასიან- ები გაიყვნენ, გაიფანტნენ და ძირითადი მასა თუ მთებს გადავიდა, გარკვეული ნაწილი დასავლეთით წავიდა. ასე მოხდა კავკასოსის (კავკონების) ტომი ჯერ დასავლეთ მცირე აზიაში (პაფლაგონიაში), ხოლო შემდეგ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ულუმბის (ოლიმპოს) მთის მიდამოებში.

ამრიგად, კავკასიონი მთაგრეხილს ეწოდა მისი ძირითადი ნაწილის კავკასიანების მიერ დაკავების გამო. რაც შეეხება ჩრდილოეთ ნაწილს, მათ უნდა დაეკავებინათ ტერიტორია ლომეკიდან დასავლეთით ზღვამდე. თავისთავად ეს მათ მრავალრიცხოვნებასა და სიძლიერეზე მიუთითებს.

კავკასიონების არეალი

კავკასოსის „კუთვნილი“ ტომების გამოყოფა და ლოკალიზება კავკასიონელებს შორის, არა მხოლოდ ისტორიული პრობლემაა. იგი მწვავედ დგას მთაგრეხილს ჩაჭიდებულ ეთნოსებს შორის. ამ მხარის ყოველი მრისხანე დამპყრობი, ყოველთვის ცდილობდა მათ გათიშვას, დაპირისპირებას და ამ გზით წინააღმდეგობის უნარის შესუსტებას. თავის მხრივ ადგილობრივი ეთნოსებიც ცდილობდნენ მომხდურთა ძალის გამოყენებით მეზობლებზე გაბატონებას.

ძველ ისტორიულ ფაქტებს არაერთი მკვლევარი აშუქებდა და ამ შემთხვევაში მხოლოდ მისი გამეორება შეიძლება. რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებული პროცესებიც არაერთხელ გამხდარა გამომზეურების საგანი (მათ შორის „რევოლუციური ანექსია“ ფართედ ეხება საბჭოთა კავშირის მამამთავრის ვ. ი. ლენინის შესაბამის თეორიასა და პრაქტიკას). აქ მხოლოდ იმ ფაქტზეა მითითება, რომ საბჭოთა კავშირში შექმნილი იყო სპეციალური სისტემა, რომელიც შემავალი ეთნოსების გათიშვასა და ურთიერთდაპირისპირებას ემსახურებოდა. მოკლედ სისტემა: მოსკოვში ფუნქციონირებდა სამი სპეციალური კომისია. 1. ისტორიის ინსტიტუტში; 2. საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში; 3. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში;

კომისიები დამოუკიდებლად „სწავლობდნენ“ მშრომელთა „ინტერნაციონალური“ აღზრდის საკითხებს (სინამდვილეში, რომელი ეთნოსი ვისთვის შეიძლება დაეპირისპირებინათ და რა დროს) და რეკომენდაციადასკვნას კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის სექტორს გადასცემდნენ. ცკ-ში სამი დამოუკიდებელი წყაროს მონაცემებს აჯამებდნენ და შედეგს ცს-ს მდივანს აცნობებდნენ. იდეოლოგიის დარგში ცკ-ს მდივანი პოლიტბიუროს მოახსენებდა. ასე მზადდებოდა

ჯანყი აფხაზეთში, შეტაკება ოსებსა და ინგუშებს შორის, ყარაბაღის საკითხი. „თურქი-მესხების“ ჟლეტის საკითხი და ა. შ. (ავტორის მსგავსად, კომისიაში „სტაჟირებაზე“ მოხვედრილი ადამიანისათვის რთული არ იყო კომპარტიის „ბრძნული პოლიტიკის“ ჭეშმარიტი მიზნის დადგენა. სხვა ამბავია, რომ რესპუბლიკის „ბრძენი“ ხელმძღვანელები, „სირაქლემის პოზიციას“ იჭერდნენ ოღონდ თავი გადაერჩინათ. ზოგჯერ ისედაც ხდებოდა, რომ თავისდაუნებურად ერსაც ემსახურებოდნენ: ე. შევარდნაძის პოლიტბიუროს წევრად „არჩევამ“ და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად გადაყვანამ, სასწრაფოდ, „დაამუხრუჭა“ აფხაზეთში „აგორებული“ ანტიქართული მოძრაობა).

დღეს იმპერიული პოლიტიკის წყალობით, ისეა ეთნოსთა ურთიერთობა გართულებული, რომ მხოლოდ ბრძნული, ურთიერთკეთილმეზობლური დამოკიდებულებით შეიძლება მრავალი საჭირბოროტო-საკამათო საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. იმპერიული პოლიტიკა და პოლიტიზირებული „მეცნიერება“ ათასგვარ ბარიერს უქმნის ამ საქმეს. ამასთან, იმპერიული ზრახვების ორბიტაში მოქცეულია რამ- დენიმე ეთნოსი, რომლებიც ერთგული სამსახურის სანაცვლოდ ბევრ სასურველ შედეგს აღწევენ და მეტს მოელიან. ჩრდილოეთ კავკასიაში ოსი ეთნოსი იყო და რჩება იმპერიის ერთგულ პარტნიორად. სამხრეთ კავკასიაში ეს „საპატიო“ მისია სომხებს აკისრიათ. სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდა აფხაზების ნაწილი.

იმისათვის, რათა მიზანი მიღწეული იქნეს, საჭიროა არსებული რეალობისა და საკმაოდ შორეული წარსულის ურთიერთ-მიმართების კანონზომიერების გათვალისწინება. ამ მიზნის გზაზე აუცილებელია კავკასიელთაგან კავკასიონელების განცალკევება. ეს პირველ რიგში. არა ნაკლებ საჭირბოროტო საქმეა კავკასიონელებისაგან კავკასოსების გამოყოფა. მხოლოდ ტერმინოლოგიული აღქმის სიადვილისათვის მივმართავთ პელაზგიურ-ძველ ბერძნულ სახელწოდებას– კავკონები და კავკასიანელებს კავკონების სახელით განვიხილავთ. მით უმეტეს, რომ მათი მოგვარეები მრავლად იყვნენ მცირე აზიაშიც და ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც და მათი იდენტურობა ეჭვს არ იწვევს.

იმისათვის, რათა კავკასიონელებისაგან (თავად კავკასიონი სიმრავლის აღმნიშვნელია: კავკასიონი, მხედრიონი, მაყრიონი, მდედრიონი და ა. შ.) კავკასიანნი (კავკონები-აღქმის სიადვილისათვის) გამოვყოთ,

პირველ რიგში თავად კავკასიანთა დადგენა და უზოგადესად დასახიათებაა საჭირო. (კავკასიანნიც – სიმრავლის მატარებელია).

დღეს მკვლევარებისათვის კავკასიონნი გარკვეულ მეცნიერულ საფუძველზე და გარკვეულად სისტემატიზირებულნი არიან. ასევე დაჯგუფებულნი არიან კავკასიელები.

კავკასიის მაცხოვრებელთა გენეტიკურ-ენობრივი დაჯგუფება ასეთია: 1. კავკასიურ-იბერიული; 2. ირანული; 3. თურქული; 4. ინდოევროპული.

კავკასიურ-იბერიულს თავის მხრივ სამ ჯგუფად ყოფენ: ქართველური; ადიღეური; ნახურ-დაღესტნური. ადიღეურ ჯგუფში შედიან: ადიღევლები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზინები, აფხაზების ნაწილი. ნახურ ჯგუფში: ინგუშები, ჩეჩნები, ბაცბები. ყველაზე მრავალრიცხოვანი დაღესტნური ჯგუფია: ლეკები, ლაკები, ავარები, აგულები, ბუდუღელები, დარგინები, რუტულები, კრიზები, ტაბასარანები, ცახურები, ხინალუგები. მათ მიაკუთვნებენ უდებსაც (უდინები).

ირანულ ჯგუფს მიეკუთვნებიან: აზერბაიჯანელები, ბალყარელები, ყარაჩაელები, კუმიკები, თურქმენები, თათრები, ნოღაელები.

ინდოევროპელები არიან სლავები და სომხები.

კავკასიონთა შემადგენლობაში შედიან ქართველური, ადიღეური, ნახურ-დაღესტნური, ირანული, თურქული წარმომავლობის ტომები. ამასთან, ირანული და თურქული მოსახლეობა ბევრად გვიან მოსულებად ითვლებიან. შესაბამისად შეიძლება მსჯელობა ძველ კავკასიონელებზე და ახალ კავკასიონელებზე.

სიცხადისათვის მიზანშეწონილია თვითეული მათგანის მოკლე ისტორიული დახასიათება.

გეოგრაფიის მამამთავარი სტრაბონი აღნიშნავდა, რომ კავკასიონის მთაგრეხილის მაღალი ნაწილი სამხრეთითაა მიმართული. მის კალთებზე მოსახლეობენ ალბანები, იბერები, კოლხები და ჰენიოხები. ეს აღწერა სრულიად ემთხვევა ლეონტი მროველის მიერ გადმოცემულ სურათს ბარდოს-მოვაკანისათვის (ალბანები), ჰეროს-ქართოსისათვის (იბერები), ეგროსისათვის (კოლხები-ჰენიოხები) სამამულე მიწების განაწილებისა. კავკასიონის სამხრეთში ათასწლეულების მანძილზე ძირითადად იგივე მეორდება. ცვლილება მხოლოდ ბარდოსისა და მოვაკანის ტომებს შეეხო. ორივე მოდგმის ტომები კავკასიელებს მიეკუთვნებიან და მროველის მიხედვით თარგამოსიდან (იაფეტიდან) მომდინარეო- ბენ. იაფეტები კავკა-

სიის უძველესი და შორეული მოსახლეობაა. ეს ფაქტი არ გამორიცხავს იმას, რომ ბარდოსის მამული და მონათესავე ტომები, კავკასიონელებად არ ჩაითვლებიან. „ხოლო ბარდოსს მისცა მტკუარს სამხრით, ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე სადა შეკრბებიან მტკუარი და რახსი“. (ქართლის ცხოვრება. ტ. 1. თბ. 1955, გვ. 5). კავკასიონელად გვევლილება მოვაკანი, რომელსაც ერგო მამულები „...მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე“ (იქვე).

ბარდოსისა და მოვაკანის მონათესავე ტომებად მიჩნეული არიან: კუტიები (უტიები, უდინები), ლულუბაელები, ხურიტები, კასიტები. ამასთან, ძნელია ყოველი ტომის სამოსახლო საზღვრების ზუსტი დადგენა. კუტიები (უტიები, უდინები) ისტორიულად დაფიქსირებული არიან სევანის ტბის მიდამოებში, დღევანდელ განჯასა და სევანს შორის ტერიტორიაზე, ძველ-ქალაქ გარდმანის მიდამოებში, კავკასიონის მთებში და დღევანდელი დაღესტნის მიდამოებში. კუტიების მცირე ნაწილი (ერთი სოფელი უდინების სახელით) საქართველოშიც მოსახლეობს. (აქვე უნდა მიეთითოს, რომ დღევანდელი აზერბაიჯანელი მკვლევარების ნაწილი „შეცდომით“ ალბანეთის ქალაქ გარდმანს, საქართველოს ქალაქ გარდაბანთან აიგივებს და მიიჩნევს რომ ალბანელების „მემკვიდრე“ აზერბაიჯანელებს შეიძლება ჰქონდეთ ისტორიული პრეტენზიები. ეს ავტრები, როდესაც სომხების პრეტენზიებს პასუხობენ მდ. მტკვარსა და არაქსს შორის ტერიტორიების კუთვნილებაზე, დაბეჯითებით ეყ- რდნობიან ლეონტი მროველის ცნობას ამ ტერიტორიაზე ბარდოსის დაფუძნების შესახებ, მაგრამ როგორც კი საკითხი საქართველო-აზერ- ბაიჯანის საზღვრებს შეეხება, მროველიც „იცვლება“ და ქ. გარდმანიც ქ. გარდაბანი „ხდება“. ქ. გარდმანი ქ. განჯის სამხრეთით მდობარეობდა, მდ. ბერდუჯის აღმოსავლეთით. ქ. გარდაბანთან ბგერითი სიახლოვე არ შეიძლება დიდი შეცდომისა და თუნდაც სიტყვიერი პრეტენზიის საფუძველი გახდეს. ასე შეიძლება „პრეტენზია“ წაეყენოს ევროპის ალბანეთს, კავკასიის ალბანეთთან სახელწოდების დამთვევის გამო. ცნობილია, რომ რომაელი მარკ იუნინ იუსტინი (II-III ს.) კავკასიულ ალბანებს იტალიის ალბანიის მთას უკავშირებდა. პომპეი – ამ იდეით „მოხიბლული“ აღნიშნავდა, რომ კავკასიის ალბანელები, პომპეუსის მეომრებს ძმურ-ნათესაურად „ხვდებოდნენო.“ ასევე დიდხანს ცდილობდნენ ქართველი მკვლევარები კავკასიელი და პირინეის იბერების ნათესაობის „დამტკიცებას“.

***

ალბანური ტომების კავკასიონის მიდამოებში დამკვიდრების უძველესი პერიოდის შესახებ ცნობები ლეონტი მროველთანაა დაკავ- შირებული. ძირითად ცნობებს მოსე კალაკატუელი იძლევა. მისი ნაშრომის „ალბანთა ისტორია“, სომხური თარგმანი, შედარებით გვიან პერიოდს ეხება. არის ინფორმაცია, რომ ალბანელებს ჰქონდათ თავისი დამწერლობა, რომელიც ალბანური მოსახლეობისა და ენის გაქრობის კვალობაზე არაბულით შეიცვალა.

დღევანდელი ზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ძველი ქვის ხანიდან მოყოლებული, მოსახლეობა და მისი კულტურა უწყვეტობის ნიშანს ატარებს. არქეოლოგია ადასტურებს III-II ათასწლეულების მანძილზე ბრინჯაოს იარაღების ფართე გავრცელებას. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მტკვარ-არაქსის უძველესი ცივილიზაცია ამ ტერიტორიასაც მოიცავდა. თავის მხრივ, შემორჩენილი ასირიული და შემდეგ ურარ- ტული წარწერები აღნიშნავენ აქ მჭიდრო დასახლებების არსებობას. ქალაქების არსებობა თავის მხრივ მიანიშნებს მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის მაღალ კულტურაზე.

ალბანეთი ჩართული იყო საერთო წინააზიური კულტურული ცხოვრების ფერხულში. ამიტომ საკვირველი და გამონაკლისი არაა ამ ტერიტორიაზე მატერიალული კულტურის ნაშთების არსებობა.

არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ კავკასიის უძველეს ტომებს ერთტიპიური გენოფონდი ჰქონდათ. ანტროპოლოგიური კვლევის შედეგი არც გაკვირვების და არც მცდარი დასკვნების საფუძველს არ უნდა წარმოადგენდეს. ამ მხრივ ზოგიერთი მკვლევარი ძალზე შორს მიდის და ამან შეიძლება ბარიერი შეუქმნას არა მხოლოდ ისტორიული წარსული შესწავლას, არამედ ეთნოსთა ურთიერთობის დარეგულირებასაც. კერძოდ, ა. ა. ვორონოვის მიერ გამოთქმული მოსაზრება (წიგნში “Антрпология и геногеография” 1974) კახეთისა და დასავლეთ ზერბაიჯანის მოსახლეობის გენეტიკური ერთტიპიურობის შესახებ არ უნდა იყოს იმის მამტკიცებელი, რომ კახეთ-ჰერეთის ტერიტორია ალბანური წარმოშობის ტომების კუთვნილება იყო, აქ ერთი მოდგმის ხალხის ცხოვრობდა და გენური კავშირიც აქედან მოდის. ჯერ ერთი, არავის დაუმტკიცებია, რომ ალბანელები და აზერბაიჯანელები ერთი და

იგივე ეთნიკური წარმოშობის ხალხია. ის ფაქტი, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე დამკვიდრებული თურქულ ენოვანი ტომები, გარკვეულ წილად დამხდურ ელემენტებს შეითვისებდნენ, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ალბანელები და თურქები (დღევანდელი აზერბაიჯანელები) ერთი და იგივე ეთნოსად იქნან მიჩნეული. კვლევა ალბანური ელემენტების და ალბანეთის ისტორიის საკითებისა, საჭიროა, დასკვნა იდენტურობის შესახებ ნაადრევ – ნაჩქარევი. მეორეც, სათუოა დასკვნა ჰერებისა და ალბანელების იგივეობის შესახებ. არავის უარყვია აზრი ჰეროსისა და ბარდოს-მოვაკანის, მათი ქართის, ეგროს ლეკოს, კავკასოსის ახლობ-ლობის შესახებ. ლეონტი მროველი მათი და ჰაოსის ძმობის იდეასაც ხაზს უსვამს, მაგრამ ეს არც მათ შორის არსებულ სხვაობას გამორ-იცხავს. წინააღმდეგ შემთხვევაში მსჯელობა იქნებოდა არა ძმობასა და ნათესაობაზე, არამედ მათ იდენტურობაზე. მესამე, აზრი ჰერებისა და ალბანელების იგივეობის შესახებ, შეიცავს საფრთხეს ტერიტორი-ული პრეტენზიებისა. მით უფრო, რომ არის მცდელობა არა მხოლოდ აღ- მოსავლეთ კახეთი, არამედ ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთიც ალბანურ მხარედ გამოცხადდეს. ამ ავტორებს ავიწყდებათ, რომ თავად აზერ- ბაიჯანული მოსახლეობა იყოფა ეთნოგრაფიულ-ტერიტორიულ ჯგუფებად: შირვანი, ყუბა-ხაზმირი, აფშერონი, ჩრდილო-დასავლეთი (ე. წ. საინგილო), ლენქორანი, ასტარი, მტკვარ-არაქსის დაბლობი, ყარაბაღი, განჯა-დაშკესანი, ნახჩევანი. შესაბამისად, თუ ჰერები და ალბანელები ერთი და იგივეა, ხოლო აზერბაიჯანული სხვა ჯგუფები ბევრად განსხ-ვავებული, მაშინ რატომ ამ დანარჩენებმა უნდა განაცხადონ პრეტენზია ალბანელობაზე და ეძიონ შესაბამისი ტერიტორია და არა კახელებმა? შორს მიმავალი „დასკვნების“ ვარაუდი ძნელი არაა. ამიტომ დიდი სი-ფრთხილეა საჭირო „ვერსიების“ მოფიქრების დროს.

ანთროპოლოგია ალბანელების კავკასიელობას დამტკიცებულად მიიჩ-ნევს. მთლიანობაში 26 ალბანურ ტომს ასახელებენ და მათ დაღ- ესტნურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებენ. უტიების, უდინების არსებობა დაღესტნურ სივრცეში და აზერბაიჯანში, რამდენად იძლევა ამის საფუძველს, რთული დასადგენია, მით უფრო, რომ მათი უძველესი საცხოვრისი სევანის ტბის მიდამოებია, ცხოვრებით კი მათი ნაწილი საქართველოშიც სახლობს.

უძველეს ალბანურ გაერთიანებათა შესახებ ლეონტი მროველი გად-მოგვცემს, ძირითადად კი ძვ. წ. ა. V საუკუნიდანაა ცნობილი. დადგენი-

ლადაა მიჩნეული, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. IX-VIII საუკუ- ნეებში მიდია ახაორციელებს დღევანდელი ზერბაიჯანის ტერიტო- რიის ათვისებას. VII ს-ში ამას მოსდევს ჩრდილოეთიდან სკვითური ტომების შემოჭრა. შედეგად მიდიის სამეფო სუსტდება და ქრება, მალე იგი აქემენიდების სპარსული სახელმწიფოს შემადგონლობაში მოექცა. სპარსელთა იმპერია დიდხანს უძლიერეს სახელმწიფო გაერთიანებად ითვლებოდა. ალექსანდრე მაკედონელის მიერ დარიოს II კოდომანის იმპერიის დასამარება ბევრ სხვა მოვლენას აძლევს სათავეს და ძალას. მათ შორისაა ალბანეთის (დღევანდელი ზერბაიჯანის) სამხრეთით, სპარსული აქემენიდების სა- ტრაპ ატროპატის მიერ ახალი სახელმწიფო ერთეულის – ატროპატენას (სახელწოდება ბერძნულია) დაფუძნება.

უდიდესი გეოგრაფოსი (და პარალელურად ისტორიული გეოგრა- ფოსი) სტრაბონი აღნიშნავდა: მიდიის სახელმწიფო ორ ნაწილად იყოფა. ძირითადს დიდ მიდიას ეძახიან. მეორე, მცირე ნაწილია ატროპატენის მიდია. ატროპატი ამ მხარის ის წინამძღოლი იყო, რომელმაც შეძლო მისი „დაცვა“ ალექსანდრე მაკედონელის აგრესიისაგან, ამ უკანასკნელის ჰეგომონობის აღიარების საფასურად.

ატროპატენა აღიარებულია ალბანურ სახელმწიფო გაერთიანებად. მისი დედაქალაქი განზაკი (გეოგრაფიულად თავრიზის ახლოს მდე- ბარეობდა) დღესაც სპარსეთის (ირანის) შემადგენლობაშია და სამხრეთ აზერბაიჯანის მნიშვნელოვან პუნქტად ითვლება აზერბაიჯანელი მკვ- ლევარების მხრივ. ეს მხარე, ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეთა კუთვნილება გახდა. ძვ. წ. ა. მეორე საუკუნეში კი მას პართია დაეუფლა და ასე გაგრძელდა ახ. წ. ა. მესამე საუკუნემდე.

ჩრდილოეთ ალბანეთის შესახებ ცნობები ძვ. წ. ა. IV ს-ან გვხ- ვდება. იქ მაცხოვრებელ ტომებს კავკასიურ ტიპს განაკუთვნებენ, ენას კი დაღესტნურ ენათა ჯგუფს. ამდენად ალბანელები (მროველის მიხედ- ვით მოვაკნელები) კავკასიონელებს წარმოადგენდნენ ენით, გენეტიკით, ცხოვრების წესით. არქეოლოგია მრავლად პოულობს ალბანეთის მცირე აზიასთან და ეგეოსის ზღვის ცივილიზაციასთან კავშირების დამადას- ტურებელ ელემენტებს. შეიძლება ამ კავშირების გავლენით შეიქმნა ცნობა ალბანელებისა და იბერების ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან (თესალიიდან) წარმომავლობის შესახებ. «Ибо ибери и альбаны обитая в лесистых горах, привыкли к тяжелым условиям

существования и поэтому гораздо выносливее парфян; они утверждают, что происходят от фессалиицев, возводя свое происхождение к тому времени...» (Корнелий Тацит. Соч. в двух томах. Т. П., 1969, стр. 170).»

ტაციტის ეს ცნობა ალბანელთა (იბერებთან ერთად) თესალიიდან წარმომავლობის შესახებ, იმ ეპოქაზე მიანიშნებს, რომელიც არგონავტების კავკასიაში ლაშქრობას უკავშირდება. ეს ცნობა გარკვეულწილად ეხმიანება მარკ იუნიუნ იუსტინესა და პომპეი ტროგას მიერ გადმოცემულ ამბებს ალბანელებისა და იტალიის ალბანიის კავშირის შესახებ.

აქვე უნდა მიეთითოს პოლიბიუსის (ძვ. წ. ა. III) მონათხრობზე, რომ ატროპატენასა და ალბანეთს შორის რამდენიმე მცირერიცხოვანი ტომი სახლობდა. ეს მათ სხვაობაზე მიუთითებდა. ლეონტი მროველი თავის მხრივ, როდესაც ალბანურ ტომებს აცალკევებს ბარდოსსა და მოვაკანს შორის, მათ შორის ისეთსავე სხვაობას უნდა გულისხმობდეს, როგორიც იყო თარგამოსის დანარჩენ შვილებს შორის. ისედაც ლოგიკურია დასკვნა, რომ თუ ერთი მხრივ მსჯელობაა იაფეტიდების (თარგამოსიანელების) ერთობაზე, მეორე მხრივ მათ შორის არსებული სხვაობა არ უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული. სწორედ ამიტომ

„მოვაკნელები“, მდ. მტკვრის (კორო-ძველი სახელი) ჩრდილოეთით მაცხოვრებელი ალბანელები ჩაითვლებიან კავკასიონელებად და თუ მათი ნაწილის გენეტიკური მონაცემები ახლოსაა ან ემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შესაბამის მონაცემებს, ეს მათ საერთო წარმომავლობაზე მითითებაა და ამ მხრივ შემდგომი კვლევაც აუცილებელი ხდება. კერძოდ, გენოგეოგრაფიის რუქა არ იქნება სრულყოფილი თუ ფართე მასშტაბით არ მოხდა კავკასიის მოსახლეობის გენეტიკურ-ფსიქიკური, ლინგვისტური, ანტროპოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული და ა. შ. შესწავლა, ახალი და განსაკუთრებით მათემატიკური მეთოდების გამოყენებით. ისტორიის მათემატიკა ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩება.

ამ შემთხვევაში მიზანი არაა კავკასიონელებისა და მათ შორის ალბანელების ისტორიის გადმოცემა. გარდა იმისა, რომ ეს სხვა თემაა, მნიშვნელოვანია მისი საკმაო შეუსწავლელობა. თავისი გეოგრაფიული

მდებარეობის გამო ეს მხარე მუდმივი მიგრაციული პროცესებისა და გაუთავებელი ომების ეპიცენტრში იყო. შესაბამისად უწყვეტად მიმდინარეობდა მოსახლეობის რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილება. შედეგად, განვითარებული ერი, რომელსაც ჰქონდა საკუთარი დამწერლობა, კულტურა, ქრისტიანული რელიგია, ტრადიციები, ადათ-წესები და ა. შ. ფიზიკური გაქრობის გზას დაადგა.

განსაკუთრებით დაჩქარდა ეს პროცესი ამიერკავკასიაში არაბების VII ს. შემოსვლის შემდეგ. სამხრეთიდან შემოსეული არაბებისა და ჩრდილოეთიდან მოთარეშე მომთაბარე ხაზარების ჭიდილმა კავკასიის დაუფლების მიზნით, გააჩანაგა კავკასიონელები როგორც ეკონომიკურად, ასევე ფიზიკურად. ცენტრალურ კავკასიაში დარიალის გადასასვლელის ჩაკეტვა უფრო შესაძლებელი იყო, ვიდრე დარუბანდის (დერბენტის, ალბანეთის) გზისა. ამიტომ ალბანეთი უფრო ზარალდებოდა ვიდრე იბერია (ქართლი).

მდ. მტკვარს ჩრდილოეთით ალბანეთი არ იყო ერთგვაროვანი და მტკიცედ შეკრული. იგი ცალკეული ტომების მიხედვით იყოფოდა ნახანგებად (პროვინციებად) და გავარებად (რაიონებად). არაბების შემოსვლის დრონისათვის ალბანეთის ეს მხარე 11 ოლქისაგან შედგებოდა: კაბალა, შაკი, კამბისენა და ა. შ. ამასთან ყველა ოლქი (ქვეყანა) ცდილობდა ავტონომიის შენარჩუნებას. ხოლო ისეთი ოლქები როგორებიც იყო ლპინია და ჩოლა (ჭოლა) ყოველთვის არ შედიოდნენ ალბანეთის სამეფოს შემადგენლობაში. არა და სწორედ ჩოლას ტერიტორიაზე მდებარეობდა ალბანეთის კარი. ისტორია გვამცნობს, რომ მხოლოდ მეფე ვაჩაგან III მოახერხა ამ მხარის დამორჩილება. ეს მოხდა 488 წელს.

თავად ჩოლის მოსახლეობა ერთფეროვანი არ იყო. აქ ცხოვრობდნენ ტაბასარანები, ჩოლბები, ლეგები, ხეჩმატაკები, მასკუტები, ალბანები, ხაზარები, ჰუნები. ცხადია ტომთა ასეთი სიჭრელე ერთობის საქმეს ვერ წაადგებოდა. როცა მათ არაბობაც დაემატა თავისი რელიგიით, დამწერლობით, კულტურით, მდგომარეობა უფრო გართულდა. უკეთესი სურათი არც მეორე ოლქში ლპინიაში იყო. ასეთი ჭრელი ტომობრივი შემადგენლობის ერთეულთა ავტონომიურობა, რაც VI-VII საუკუნეებში ფიქსირდება, ასუსტებდა ერთეულის შესაძლებლობას და მომხდურებს მათ დამორჩილებას უადვილებდა.

ყველა ამ „სიკეთეს“ ემატება VII ს. თურქენოვანი მომთაბარეების გამოჩენა ალბანეთის სივრცეში, რაც საბოლოო ანგარიშით ეთნიკური ცვლილების საფუძველი ხდება.

არაბების მიერ ალბანეთის ვრცელ და ტომმრავალ ქვეყანაში ისლამის დამკვიდრება ქრისტიანობისა და ზოროასტრიზმის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) წინააღმდეგ რეპრესიებსაც გულისხმობდა, რაც თავის მხრივ ასუსტებდა ალბანურ ეთნიკურ სხეულს. ასეთ პირობებში ბუნებრივი იყო მომხდურთა (ხაზარების და არაბების) წინააღმდეგ სულიერად და სოციალურად შეჭირვებულთა ავჯანყებები. IX ს. პირველ ნახევარში ფართოდ გავრცელდა ე. წ. ხურამიტების მოძ- რაობა უსამართლობის წინააღმდეგ. ფეოდალურ (უკვე VI-VII ს-ან) ალბანეთში მოძრაობას ეროვნული და სოციალური ხასიათი ჰქონდა.

816 წ. მოძრაობას ბაბეკი ჩაუდგა სათავეში. ავჯანყებულებმა ხალიფატის შემოტევების მოგერიება შეძლეს. ამ მოძრაობას სომხები და ქართველებიც მიემხრნენ. ავჯანყება 837 წ. მარცხით დამთავრდა. ბაბეკი კი ხალიფატში სიკვდილით დასაჯეს.

მომხდურებთან უთანასწორო ბრძოლაში ალბანური ორგანიზმი თანდათან სუსტდებოდა ფიზიკურად (რაოდენობრივად), სოციალურად (არსებობის პირობების მხრივ, ძარცვა-გლეჯასა და მძიმე გადასახადების გამო) და სულიერად (რელიგიურ-კულტურული, სოციალურ-პოლი- ტიკური რწმენის ხაზით). VII ს-ან ალბანეთი ხაზართა ენობრივი გავლენას განიცდის, ხოლო VIII ს-ში უკვე ალბანური დამწერლობა იცვლება არაბულით. შედეგად ალბანეთი რამდენიმე ერთეულად იშლება. (ალბანებს სპარსელები რან-ს ეძახდნენ, ალბანეთის ქვეყანას არანს).

IX ს. ალბანეთის ტერიტორიაზე შეიქმნა რამდენიმე პოლიტიკური ერთეული. პირველ რიგში შირვანი, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავა ალბანეთის (დერბენტის, ადარბადაგანის) კარიდან მტკვარ-არაქსის შესათავამდე და კასპიის ზღვიდან ჰერეთამდე. ეს ერთეული საკმაოდ მყარი აღმოჩნდა და მოხერხებული პოლიტიკის წყალობით საუკუნეებს გაუძლო. შირვან-შაჰების ბატონობა XVI საუკუნემდე მყარად არსებობდა. (ალბანეთის სპარსული სახელი არანი იქცა შარვან-შირვანად).

მდ. არაქსის მარჯვენა მხარეს ჩამოყალიბდა სალარიდების სახელმწიფო, დედაქალაქით — არდებილი.

XI ს. ალბანეთის ტერიტორია თურქული ოგუზებისა და სელჯუკე-ბის ტომებმა დაიკავეს, რასაც არა მხოლოდ გადარჩენილი ალბანური ნაწილის ასიმილირება მოჰყვა, არამედ ერაყის სელჯუკთა სასულთნოში გაერთიანებაც. ამის შემდეგ ქრება ალბანი ეთნოსი და მის ადგილს თურქული ეთნოსი იკავებს.

ალბანური ენის თურქულით შეცვლა ოგუზების ტომების დომინი- რე-ბასთანაა დაკავშირებული. ყივჩაღების და მონღოლების შერევას არსებით ცვლილება არ მოჰყოლია. შედეგად ალბანეთში (ახლა უკვე ტერიტორიის თვალსაზრისით ალბანეთში) დამკვიდრდა თურქული ეთნოსი, თურქული ენა, თურქული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ცხადია გათურქებული ალბანელები გარკვეულ წილად არსებობას განაგრძნობდნენ და ყოფით კულტურაზეც გარკვეულ გავლენას ახდენდ- ნენ. ეს ალბანური სუსტი ფესვებიც გადაქელილი იქნა მონღოლების, ჯალალ ედ დინის, თემურ ლენგის ურდოების მიერ.

მხოლოდ სიცხადისათვის: 1385 წ. ოქროს ურდოს ხანი თოხთამიში შეიჭრა სამხრეთ კავკასიაში, თავრიზამდე ილაშქრა, ძარცვა და თესა სიკვდილი და უკან გაბრუნებულმა 200 ათასი ტყვე გაირეკა. აქ უკვე მსჯელობაა თურქებზე, თორემ ალბანური ელემენტი სადღა იყო. ამას მო-ჰყვა დაუნდობელი კოჭლი თემურის ლაშქრობა ჩრდილოეთით. მთლიანად კავკასიისა და რუსეთის ჩათვლით მისი რისხვა ვერავინ აიცილა. გვამც-ნობენ, რომ მის ლექსიკაში სიტყვა დანდობა, შენდობა არ არსებობდა.

ალბანეთს არაბები ცეცხლიანი მიწის ქვეყანას უწოდებდნენ. აქედან დამკვიდრდა ამ მხარის არაბული სახელწოდება – აზერბაიჯანი. გაქრნენ ალბანელები, გაქრა ალბანეთი, ეწოდა აზერბაიჯანი და ბოლოს 1935 წ. მ. კალინინის ხელმოწერილი დეკრეტით იქ (და არა მხოლოდ იქ) მაცხოვრებელ თურქებს აზერბაიჯანელები ეწოდათ. თუ ადრე ტერიტო-რიას ეწოდებოდა იქ მაცხოვრებელი ეთნოსის სახელი, ახლა ტერიტო-რიის სახელი ეწოდა იქ დასახლებულებს.

ისტორიულად ისე მოხდა, რომ თავდაპირველად ბარდოსის კუთვნილ ტერიტორიას უწოდეს არაბებმა აზერბაიჯანი. უფრო ზუსტად, ვის ახსოვ-და ბარდოსი. ძვ.წ.ა. IVს. მოყოლებული მას ატროპატენა ეწოდებოდა და ასე იყო მთელი ექვსი საუკუნე. მოსახლეობის ძირითად ენას „აზერ“-ს უწოდებენ და მას ირანული ენის დიალექტად მიიჩნევენ. დანამდვილებით ცნობილი ისაა, რომ თქურქული ტომების დამკვიდრებამდე, XI ს-დე,

აქ ირანული ენა ბატონობდა. დღევანდელი აზერბაიჯანის მოსახლეობის ნაწილი (თალიბები) ინარჩუნებს ამ მახასიათებელს. დიდი მცდელობის მიუხედავად მათი საბოლოო გათურქება ვერ ხერხდება. ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა თურქულენოვანია. არა და, იყო ხანგრძლივი პერიოდი ქვეყნის სიტორიისა, როდესაც მოსახლეოას ალბანებს უწოდებდნენ, ენა და დამწერლობაც ალბანური ჰქონდათ.

დღეს იმდენად მივიწყებულია, დაკარგულია და გაძნელებულია რაიმე მოვაკნურის, ალბანურის ცოდნა, რომ ისაც კი დაუდგენელია რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ენა, ვინ, რომელი ტომები, ეთნოსები მიიჩნევიან მათ ახლობლად. ვარაუდი, რომ ალბანური ენა დაღესტნურის მონათესავეა, ბევრს ვერაფერ სასიკეთოს იძლევა. მკვლევართა ვარაუდი ეფუძნება დაღესტანში უტიების (უდინების) ყოფნას. უდინები (უტიები) ისტორიულად ცნობილნი არიან სევანის ტბის მიდამოებში. მათი მცირე ნაწილი კახეთშიც სახლობს. მათი გარკვეული რაოდენობის ცხოვრება დღევანდელ დაღესტანში, აზერბაიჯანსა და საქართველოში რამდენადაა მითითება ალბანელობაზე, ამას კარგი მკითხავიც ვერ „დაადგენს“. სხვა ამბავია, რომ ალბანურის უცოდინარობა, ჯერ გაირანირებული, მერე გაარაბებული, შემდეგ კი გათურქებული მოსახლეობის, გენის, მახსოვრობის არსებობას არ გამორიცხავს. სწორედ ეს შესაძლებლობაა მაქსიმალურად გამოყენებული თანამედროვე აზერბაიჯანელი მკვლევარების მიერ. ერთი მხრივ თურქული, აზერბაიჯანული წარსულის კეთილად წარმოჩენის, ისტორიის დაძველების, მათი უძველეს მკვიდრ მოსახლეობად დასაბუთების და მეორე, მეზობლებთან ტერიტორიული დავის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით.

ალბანეთის სამეფომ ბედის უკუღმართობის გამო ადრე შეწყვიტა არსებობა. ალბანი მოსახლეობა ჯერ კიდევ იქნებოდა, როცა VI ს, სასანიდთა დინასტიის ბატონობისას, ირანელებმა მტკვრის ჩრდილოეთ მხარეში არანის (შირვანის) პოლიტიკური ერთეული დააფუძნეს. ამ გზით ცდილობდნენ კავკასიონის ჩრდილოეთიდან ხაზართა შემოსევების აღკვეთას. როცა შირვანის მმართველებმა განჯის მხრე შეიერთეს, ბუნებრივია, დარჩენილი ალბანი მოსახლეობა (თუ ტომები) ირანიზაციის გზას შეუყენეს.

მთელი VII-VIIIს.ს. შირვან-შაჰების სამფლობელოს არაბები ეპატრონებიან. მათ ისე მკვიდრად მოიკიდეს ფეხი, რომ აღარ იყო ალბანური

ქრისტიანობის ნასახი, აღარ ისმოდა ალბანური, გაქრა ალბანური დამწერლობა.

აზერბაიჯანელ მკვლევართა ნაწილი (აქ და სხვაგან გვარებს და ტიტულებს არ ვასახელებთ. მთავარია რომ ეს საკითხის არსს არა ცვლის), რომლებიც პანთურქიზმის მოტრფიალენი არიან, ცდილობენ დააძველონ თურქული ტომების გამოჩენა და ამ მოვლენას IVს. საზღვრავენ. დამჯერებელმა დაიჯეროს, მაგრამ როგორ შეესიტყვება ეს მტკიცება იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომ XIს-დე აქ ირანული (სპარსული) ენა ბატონობდა და თუქრიზაციაც ამ დროიდან იწყება. უფრო მეტი, ბარდოსის კუთვნილ ტერიტორიაზე, შესაბამისად სამხრეთ ალბანეთის, ატროპატენის, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქული ენა მხოლოდ XIIIს. მკვიდრდება.

მკვლევარები კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას. ცნობილი ფაქტია, ირანი (სპარსეთი), როცა ბიზანტიის იმპერიას ექიშპებოდა, სხვა მეთოდებთან ერთად რელიგიასაც სასურველ იარაღად იყენებდა. კერძოდ დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში ცდილობდა მის მოსპობას ან უკიდურეს შემთხვევაში არა მართლმადიდებლური (მათი გაგებით ბერძნული) ქრისტიანობის გავრცელებას. რამდენადაც სომხური ქრისტიანობა (მონოფიზიტური, გრიგორიანული) მართლმადიდებლურს (ბერძნულს) უპირისპირდებოდა, ირანის შაჰები (იქიდან მოყოლებული ყველა დამპყრობი მართლმადიდებლური რუსეთის ჩათვლით) მას დასაშვებად მიიჩნევდა. თავის მხრივ დაპყრობილი ქვეყნების ქრისტიანი მრევლი, გამუსულმანებას (მათი აზრით გათათრებას) სომხურ ქრისტიანობას არჩევდა. ამ გზით ფართოდ ვრცელდებოდა გრიგორიანელობა (სომხების მტკიცებით ჭეშმარიტი ქრისტიანობა) და სომხდებოდა არა სომეხი მრევლი.

აზერბაიჯანელ მკვლევართა მტკიცებით, როცა VII ს. არაბებმა დაიპყრეს ალბანეთის ტერიტორია, მოსახლეობას სომხურ რელიგიაზე გადასვლის ნება დართეს. ასეთი გზით გასომხდნენ ალბანელები და მათი ეკლესიები სომხური არქიტექტურის ნუმუშად მონათლეს. ამ პორცესმა შედეგად მოიტანა სომხების მკვეთრი დემოგრაფიული მატება დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ყოველ შემთხვევაში ასე იყო აზერბაიჯან – სომხეთის ომამდე, ყოფილი შუშის სახანოს, შემდეგ ყარაბაღად წოდებული ერთეულის გამო.

მკვლევართა მიერ ალბანეთის ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, ქრისტიანობაც არაა ერთნაირად გაგებული. ერთი ნაწილი ალბანეთის სამეფოს, ჩრდილოეთით მდ. თერგიდან მოყოლებული მდ. არაქსამდე, განიხილავს. სხვათა აზრით მტკვირს მარცხენა მხარის ალბანეთი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მარჯვენა მხარის ალბანეთისაგან. (გასახსენებელია თარგამოსის მიერ ტერიტორიების განაწილება მოვაკანსა და ბარდოსს შორის). ამ პოზიციაზე მყოფ მკვლევართა მიერ, მითითებაა იმაზე, რომ მტკვრის მარცხენა მხარეს იყო ალბანური მართლმადიდებლური ქრისტიანობა, მარჯვენა მხარეს კი მონოფიზიტური. არ გამორიცხავენ, რომ ეს შეიძლება ქართულ (მართლმადიდებლურ) და სომხურ (მონოფიზიტურ) რელიგიურ, კულტურულ, პოლიტიკურ გავლენასთან იყოს კავშირში. ყოველ შემთხვევაში მტკვრის მარცხენა მხარეს შირვანი, მარჯვენა მხარეს არანი როცა ეწოდა, იქ ალბანური მოსახლეობა შეიძლება აღარც იყო. ისტორიულად, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია იზიდავდა და იყო მრისხანე დამპყრობლების მუდმივი სათარეშო. რომაელები, პართიელები, სპარსელები, ხაზარები, არაბები, მონღოლ-თურქები, ბოლოს რუსები, არა მხოლოდ იპყრობდნენ ტერიტორიას, არამედ თავისი ენის, კულტურის გავრცელებასაც ცდილობდნენ. ამდენი მომხდურის თარეშის, დამკვიდრების, ასიმილაციური ხანგრძლივი პერიოდების შემდეგ რა შეიძლებოდა დარჩენილიყო მოვაკანი ბარდოსელ-ალბანელებისაგან? შეიძლება გენური კოდი?

აზერბაიჯანელი მკვლევარები გვიან შეუდგნენ დიდებული ისტორიის „შექმნას“, მაგრამ დიდი წარმატებით, მხოლოდ ერთია. ვერ შეაჯამეს იდეები, საერთო დასკვნა ვერ გააკეთეს. ნაწილი რომ აზერბაიჯანელთა ალბანელობას ამტკიცებდა, მეორე ნაწილს მიდიელობა იზიდავდა. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მანას პოლიტიკური ერთეული შეიძლება ძველი აზერბაიჯანელებით ყოფილიყო დასახლებული. მესამე ნაწილს აზერბაიჯანელთა სელჯუკობა აღარ აკმაყოფილებდა, რადგან ისინი მხოლოდ XI ს. გამოჩნდნენ ამ მხარეში. შესაბამისად, თუ აზერბაიჯანელები სელჯუკებია, ნიშნავს მოსულებია და უძველეს მოსახლეობად ვერ ჩაითვლებიან. დაიწყო თურქების იქ დამკვიდრების დაძველება და ბოლოს ისეთ აღმოჩენამდე მივიდნენ, რომ შუმერებიც თურქები ყოფილან, კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეში ისინი მდგარან.

ცალკე უნდა აღინიშნოს არქეოლოგიური წარსულის აზერბაიჯანულად წარმოჩენის ვარიანტი. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მრავლადაა არქეოლოგიური მასალა. ქვის, ბრინჯაოს ხანის ნიმუშები რამდენად შეიძლება აზრებაიჯანელების ნახელავად დამტკიცდეს გაუგებარია. როგორ შეიძლება მტკიცება, რომ ეთნოსების ჯერ კიდევ ჩამოყალიბებამდე პერიოდში აზერბაიჯანელები აზერბაიჯანელობდნენ.

ამ ვერსიამ ბევრად გადააჭარბა ალბანურს. აზერბაიჯანელების ალბანელობის ვერსიის თანახმად, ალბანეთის სახელმწიფო ძველი წელთა აღრიცხვის IV ს. არსებობდა და მკვლევართა აზრით მდ. თერგიდან მდ. არაქსამდე, კასპიის ზღვიდან თბილისამდე (ამ ვერსიას ემსახურებოდა ქ. განჯის სამხრეთით არსებული ქ. გარდმანის ქართულ გარდაბანთან გაიგივება) იყო განფენილი. რამდენად „ძველდება და დიდებულად“ გამოიყურება ურარტუელების, ხეთების, შუმერების, ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის გათურქების ვარიანტი? მდ. არაქსი რაა, მდინარეების ევფრატისა და ტიგროსის მიდამოები, ე.წ. შუამდინარეთი, ჩვენთვის ცნობილი ცივილიზაციის აკვანი, თურქების, და ამდენად უკვე აზერბაიჯანელების შემოქმედება ხდება.

ქართული ნათქვამია: მადა, ჭამაში მოდის. რა გააჩერებდა, ისტორიის დაძველებისა და საუკეთესოდ წარმოჩენის მსურველებს, თუ სერიოზული მეცნიერები ზომიერებას იცავდნენ და ობიექტურ ისტორიას ქმნიდნენ, უფრო მეტნი იყვნენ მეტის მდომელები. და მაინც საოცრებას ჰგავდა იმის მტკიცება, რომ ჩრდილოეთ აფრიკა, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ტერიტორიები თურქულია. თვით ეტრუსკებიც თურქები ანუ აზერბაიჯანელები ყოფილან.

ასეა, როცა ეთნოსს არა აქვს საკუთარი დამწერლობა, ისტორიული კულტურა, როცა მას მიზანმიმართულ ისტორიას სხვები (საბჭოთა კავშირის მასშტაბით რუსები ან გარუსებული მკვლევარები) უქმნიან.

რუსეთის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის დაპყრობამდე, იქ 15 სახანო იყო. 1828 წ. თურქმენჩაის ზავით, რუსეთ-ირანის საზღვარი მდ. არაქსზე დაიდო. არაქსის ჩრდილოეთი მიწები რუსეთის საკუთრება გახდა. დაიწყო სახანოების გაუქმება და რუსული ადმინისტრაციული დაყოფა.

1842 წ. რუსეთმა სამხრეთ კავკასიონი გუბერნიებად დაჰყო, გაუქმდა სამეფო-სამთავროები, სახანოები და დაარსდა ქუთაისის, თბილისის, დერბენტის, შემახიის გუბერნიები. ბოლოს მათ ერევნის გუბერნია დაერთო.

გუბერიები, მათ შიგნით მაზრები ისე იქმებოდა, რომ ერთეულში რაც შეიძლება მეტი ეთნოსის წარმომადგენლები მოხვედრილიყვნენ. აღრევა რუსული ადმინისტრაციის აუცილებლობას აძლიერებდა.

არც რელიგიურ-კულტურული სფეროს გარდაქმნა გამორჩენიათ მეფის მოხელეებს. რელიგიური ფაქტორი მუდმივი დაძაბულობისა და აშკარა დაპირისპირების წყარო ხდებოდა კავკასიელებს შორის.

აზერბაიჯანის მოსახლეობაში ფართე გავრცელება ჰპოვა პან-თურქიზმისა და პანისლამიზმის იდეებმა. მოსახლეობა არა მხოლოდ ეროვნულად, რელიგიურადაც არ იყო ერთგვაროვანი. როგორც წესი შიიტებს ირანის მხარე ეკავათ, სუნიტებს თურქეთისა. საქართველოში მაცხოვრებელი მუსულმანები, ე.წ. ბორჩალუს ტომელები, არა მხოლოდ წარმომავლობით განსხვავდებოდნენ აზერბაიჯანის თურქებისაგან. რელიგიური თვალთახედვით ისინი მიურიდიზმის მიმდევრები იყვნენ. ამას აზერბაიჯანელი იდეოლოგებისათვის ხელი არ შეუშლია დიდ მუსულმანურ სახელმწიფოზე ეოცნებათ. თუ შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს მუსულმანი მოსახლეობის მიმხრობა (აჭარლების, თურქი მესხების, ბორჩალოელების სახით) აზერბაიჯანი შავ ზღვაზე გასასვ-ლელს მიიღებდა, ბაქო-ბათუმის ხაზი დიახაც ანდამატივით მიმზიდველი იდეა გახლდათ. თუ თურქეთის ფაქტორსაც გაითვალისწინებდნენ, მაშინ დიდ აზერბაიჯანს დიდი პერსპექტივები ესახებოდა.

იდეა დიდი ძალაა, როცა მასებს დაუფლება და აამოძრავებს. ამიტომ გასაკვირი სულაც არაა, რომ 28.05.1918 წლიდან, პირველი დამოუკიდე-ბელი აზერბაიჯანული სახელმწიფოს შექმნიდან 27.04.1920 წლამდე, როცა (როგორც სერგო ორჯონიკიძე ამბობდა აღტაცებით). საბჭოთა წითელმა არმიამ ერთ დღეში მოამწიფა სოციალისტური რევოლუცია და გაამარჯვებინა კიდეც, ამ მცირე დროის მანძილზე აზერბაიჯანს ტერი-ტორიული დავა ჰქონდა მეზობლებთან. არც შიდა დაპირისპირება იქნა დავიწყებული. 1919 წ. თალიბებმა აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთში ე. წ. მუღანლის რესპუბლიკა შექმნეს. ეს ირანულენოვანი მცირე ეთნოსი, აზერბაიჯანელმა თურქებმა სისხლისაგან დაცალეს და დაიმორჩილეს. უფრო მეტი, საბჭოთა აზერბაიჯანშიც არ მისცეს მათ თავისუფალი განვითარების საშუალება. სკოლები, პრესა დაუხურეს. ტროცკიზმის წინააღმდეგ რეპრესიების პერიოდში გაასახლეს.

უფრო მასშტაბური იყო 1918 წ. კონფლიქტი სომხეთის რესპუბლიკასთან განჯა-ყარაბაღის ნაწილის, ზანგეზურისა და ნახიჭევანის გამო.

ეს დავა ორ რესპუბლიკას შორის პერმანენტულად გრძელდებოდა. უკვე საბჭოთა რუსეთი ოსტატურად ძაბავდა მათ ურთიერთობას და ამავე დროს მოთოკილი ჰყავდა ორივე. სადემონსტრაციო მაგალითი: ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც ვ. ლენინის დაჟინებული მოთხოვნით შეიქმნა, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ერთიანი ცენტრიდან მართვას გულისხმობდა. (მოგვიანებით, 1929 წ. ფარულ მოხსენებაში, ს. კიროვი აცხადებდა: მოსკოვისათვის ბევრად მისაღებია სამივე რესპუბლიკის ერთად მართვა. ცალკ-ცალკე მეტი პრობლემები და წინააღმდეგობა იქნება. მოსკოვს კი სჭირდება ბაქო-ბათუმი ერთ სისტემაში მოექცეს და ასე იმართოს). აი ამ კავკასიურმა ცენტრმა ე.წ. კავბიურომ 4.07.1921 წ. იმსჯელა რესპუბლიკათა ურთიერთტერიტორიული დავის საკითხებზე და ყარაბაღი სომხეთს მიაკუთვნა. მეორე დღეს კი გადაწყვეტილება შეცვალა და ყარაბაღი კვლავ აზერბაიჯანს დაუტოვა. რა ნაციონალური საკითხის ცოდნა, რის ინტერნაციონალიზმი, ახალი ბატონები ხალხის წვალებით ერთობოდნენ.

სხვა არა ნაკლებ ოდიოზური ფაქტი. იყო დრო, როცა ნახიჭევანმა თავი ცალკე სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა. მაშინ აზერბაიჯანის რევკომმა (რევოლუციურმა კომიტეტმა) ნახიჭევანი ზანგეზურთან ერთად სომხეთის კუთვნილებად აღიარა. არც ეს გადაცემა იყო მყარი... გადასცეს, მაგრამ არ გადასცეს. სანაცვლოდ ნახიჭევანის რესპუბლიკა ავტონომიამდე ჩამოაქვეითეს. ასეთი იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკა მოქმედებაში.

პანთურქიზმის მიმდევრებმა საქართველოში, ჯავახეთშიც სცადეს 1918 წ. ისლამისტური რესპუბლიკის შექმნა. თურქეთი ძალას არ იშურებდა ამ იდეის ხორცშესხმისათვის. დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურებმა ეს მცდელობა აღკვეთეს.

1936წ. საბჭოთა კავშირში მიიღეს გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია. ამას თავისი ცვლილებები უნდა გამოეწვია იმპერიაში. უკან დარჩა ე.წ. ინდურსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის მძიმე პროცესები. იმპერია სწრაფად იკრებდა ძალებს და ევროპა-აზიის სივრცეში საშიში ხდებოდა. ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა ჯერ ინგლისიდან, შემდეგ იაპონიიდან და რაც მთავარია გერმანი-

იდან მომდინარე საფრთხის შესახებ. ამიტომ ტარდებოდა სპეციალური ღონისძიებანი. მიზანი თუ ამართლებს საშუალებას, მაშინ გამართლება მოეძებნება იმ პროცესებსაც რაც იმპერიაში ტარდებოდა. შედეგი კი ის იყო, რომ როცა სამხედრო ექსპერტები ადარებენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის შესაძლებლობებს 1937 წლამდე, უპირატესობას პირველს ანიჭებენ. სხვა ამბავია, რომ ევროპის ოკუპაციით გერმანიამ შესაძლებლობები გააორმაგა.

1936 წ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა „გახდა". ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და თვითეულმა რესპუბლიკამ ცალკე ფუნქციონირება დაიწყო. ამის შემდეგ ძლიერდება ისლამიზმი აზერბაიჯნში და ტერიტორიული პრეტენზიების ტალღა მეზობლების მიმართ. წარსულს ჩაბარდა მკაცრი ზომები პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ.

პირველ რიგში საჭირო იყო აზერქაიჯანული ეროვნული ერთობის განტკიცება. 1935 წ. ამიერკავკასიის მუსულმანთა აზერბაიჯანელებად გამოცხადება პროცესის მხოლოდ დასაწყისია. თუ მოსახლეობის 1926 წ. აღწერის მიხედვით აზერბაიჯანში თურქები ცხოვრობდნენ თათრებთან, ირანელებთან, ლეკებთან და სხვებთან ერთად, ახლა ყველა ერთეული არა მხოლოდ ცხადდებოდა აზერბაიჯანელად, არამედ ასეთად უნდა ეგრძნო თავი. არა მხოლოდ აზერბაიჯანში. სხვა რესპუბლიკებში მაცხოვრებელი მუსულმანები უნდა გააზერბაიჯანელებულიყვნენ. არ იყო ეს იოლი ქურთების, თათრების, ბორჩალოელებისათვის. ძალა თუ აღმართს ხნავს, წინ რა დაუდგებოდა სხვა რელიგიების მიმდევართა მუსულმანად მოქცევასა და შემდეგ აზერბაიჯანელად ჩაწერას. პარალელურად გაძლიერდა აზერბაიჯანული (უკვე არა თურქული) ფესვების ძიება შორეულ წარსულში. გამოცოცხლდა აზერბაიჯანელთა ალბანელობის იდეა. არც მიდია და ატროპატენა იქნენ დავიწყებულნი.

საბჭოთა იმპერიის დაშლისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, ახალი სტიმული მიეცა ისტორიული წარსულის კვლევას. თუ სომხები ქვეყნიდან ჯერ კიდევ 1988წ. გააძევეს, სხვა ეთნიკური ერთეულები, რომლებიც თავის ისტორიულ მიწაზე სახლობდნენ, სამშობლოში ცდილობდნენ ეროვნული სტატუსის ამაღლებას. თალიბებმა შექმნეს ნაციონალური აღორძინების პარტია, გამოსცეს პრესა და ავტონომიური ერთეულის შექმნის იდეა

გაჟღერდა. 21.06.1993 წ. მათ მუღანლოს რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. მოუსვენარი თალიბების ამბოხი ხანმოკლე აღმოჩნდა. უკვე აგვისტოს ბოლოს აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ „კონსტიტუციური წესრიგი“ აღადგინა. ასეთი მოვლენები კარნახობდა ერთიანი, დასაბუთებული, ყოვლის მომცველი ისტორიის შექმნას. ისეთისა, რომლის იდეებზე აღზრდილი თაობები იამაყებდნენ აზერბაიჯანელობით და აღარ გაიხსენებდნენ ვინ რომელი ეთნიკური ჯგუფის თუ სახანოს ნაშიერია.

ასეთი მთლიანი, შეკრული აზერბაიჯანი მომავლის პრაქტიკაა.

მიზანი არ არის დღევანდელი აზერბაიჯანის მთლიანი ისტორიის წარმოჩენა. მიზანია დადასტურება იმისა, რომ დღევანდელი აზერბაიჯანელი ერი, რომლის შიგნით ალბანური წარსული; თუნდაც მახსოვრობის სახით არსებობს, მიჩნეული იქნას არა მხოლოდ კავკასიელებად, არამედ კავკასიონელად. კავკასიონის იმ აღმოსავლეთ სამხრეთი ნაწილის მემკვიდრე მესაკუთრედ, რომელსაც სტრაბონის მიხედვით ალბანელები (მროველის თქმით მოვაკანები) ფლობდნენ.

***

ძვ. წ. ა. III-II ათასწლეულების მიჯნაზე კავკასიონის ჩრდილოაღმოსავლეთი ნაწილის, ლეონტი მროველის მიხედვით, თარგამოსიანელი ლეკოსის (ლეკანის) მოდგმა ეუფლება. სწორედ ამ დროიდან, III ათასწლეულიდან მოიპოვება ამ ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტები. საერთოდ კი ადამიანის ცხოვრების მანიშნებელი ნაშთები 100 ათას წელს აღწევს.

კავკასოსთან ერთად, რატომ მაინც და მაინც ლეკოსს მოუწია კავკასიონის ჩრდილოეთით გადასვლა და იქ დამკვიდრება? თუ ბოლომდე უკრიტიკოდ ვენდობით ლეონტი მროველის ცნობას თარგამოსის მიერ რვა გმირი ვაჟისათვის კუთვნილი მხარის განაწილების შესახებ, ისმის კითხვა: რა დაუშავა ან რით გამოარჩია თარგამოსმა კავკასოსი და ლეკოსი, რომ მათ კუთვნილი მიწები კი არ მისცა, არამედ უცნობი, არავისი მამული. ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს არა არსებული მამისეული ქონების განაწილებასთან მემკვიდრეებს შორის, არამედ რთულ მიგრაციულ პროცესებთან, რომელსაც ბევრი ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის არსებითია ის, რომ ამ ორი მონათესავე მოდგმის ტომებს ისედაც ეკავათ ჩრდილოეთი მხარე (კავკასიონის მისადგომები) და თუ

ჩრდილო კავკასიაში მუდმივად არ სახლობდნენ, ყოველ შემთხვევაში სეზონურად მაინც ათვისებული ჰქონდათ, სხვანაირად მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტები განსახლებამდე (გაყოფამდე) ადრეულ პერიოდში აქ ვერ მოხვდებოდა. მესამე ათასწლეულში მიგრაციულმა პროცესებმა კი აიძულა ლეკოსიანების (არავინ უწყის რამდენი ტომი იყო) ძირითადი მასა კავკასიონის ჩრდილოეთი მხარის საბოლოო ათვისება მოეხდინათ. მით უფრო, რომ სამხრეთიდან დიდი იყო იძულება, ხოლო ჩრდილოეთით ვოლგამდე მუდმივი მაცხოვრებელი ეთნოსი არ ჩანდა.

ლეონტი მროველის მიხედვით (სხვა წერილობითი წყარო, რომელიც ძვ. წ. ა. III ათასწლეულის მოვლენებს აღწერდა, სამწუხაროდ არ არსებობს) ლეკოსიანებს წილად ხვდათ მთაგრეხილის ჩრდილოეთი კასპიის ზღვიდან მდ. ლომეკამდე (დერგი, თერგი) და ამ მანძილის ჩრდილოეთით, რამდენის ათვისებასაც შეძლებდნენ. და უკვე მეხუთე ათასწლეულია ლეკოსიანები კავკასიონის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილს ფლობენ მიმდებარე დაბლობთან ერთად.

კავკასიონის ეს ნაწილი თუმცა ტანმაღალი მწვერვალებით თავს ვერ მოიწონებს, მაგრამ სილამაზითა და სირთულით არ ჩამოუვარდება მთლიან მასივს. ღრმა ხევები, ძნელად მისადგომი აულები, ხეობების ჩაკეტილობა, ისტორიული თავგადასავალი, ხელს უწყობდა ერთ დროს შეკრული, ახლო ნათესაური ტომების დაშორიშორებას, ეთნიკური და დიალექტური სიჭრელის ჩამოყალიბებას. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ დღევანდელი დაღესტნის ტერიტორია სამ ათეულამდე ეთნიკურ ჯგუფს აერთიანებს, რომლებიც (მკვლევართა საერთო დაანგარიშებით) შვიდ ათეულზე მეტ დიალექტზე მეტყველებენ. ამ შედარებით მცირე ტერიტორიაზე ათეულობით ეთნოსისა და დიალექტების მატარებელთა თანაცხოვრება ლეკოსიანების არც სოციალურ-ეკონომიკურ და არც სახელმწიფოებრივ გაერთიანება-განვითარებას ხელს ვერ შეუწყობდა. დაღესტანში ოთხ ძირითად ეთნიკურ-ენობრივ ჯგუფს მოიაზ- რებდნენ: ლაკურ, ლეზგიურს, დარგუულს, ავარულს. აქ არის იბერიულ-კავკასიური ეთნოსების, ინდოევროპული და ალთაური ენების ოჯახები. ალთაურ-თურქული მოდგმისაა: თურქმენები, თათრები, ნოღაელები, ყუმუხები, აზერბაიჯანელები. იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს ქმნიან: ლეკები-დარგუულები, დიდოელ-ხუნძებ-ანდიურები, ლეზგიურები. აქედან ხუნძებ-ანდიელები დაღესტნის სამხრეთ-დასავლეთში მოსახლეობენ, საქართ-

ველოსთან ახლოს. მათი მცირე ნაწილი საქართველოში ჩამოსახლდა (ზოგი ძალით, ზოგი ნებართვით) და დღეს ზერბაიჯანის ბელაქან-ზაქათალის რაიონებში სახლობენ. საკმაოდ მოძველებული მონაცემებით, დაღესტნელებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ავარიელები თითქმის ნახევარ მილლიონს აღწევდნენ, შემდეგ მოდიოდნენ 2,5 ასი ათასი დარგელი და ამდენივე ნოღაელი, მათ მცირედ ჩამორჩებოდნენ რაოდენობით ყუმიხები ორას ათასზე ცოტა მეტი. ლეკები ორას ათასამდე, რუტულები და აგულები თითქმის ას ორმოცდაათ ათასამდე თითოეული, ლაკები და ტაბალებ-სარანელები ას-ასი ათასი. ტატები და ცახურები ცოტა ნაკლები და ა. შ. აქ არ იანგარიშებიან არა მკვიდრი ეთნოსები, რომლებიც მრავლად სახლობენ ამ დალოცვილ მხარეში.

ქართველები ისტორიული ტრადიციით დაღესტნელებს ლეკებს უწოდებდნენ და ასეა დღესაც, ლეონტი მროველიდან მოდის ეს ტრადიცია. ისე, ხუნძები, ანდოელები, დარგუელები, ლაკები ლეკებთან ერთად მთიანი კავკასიონის უძველეს მოსახლეობად ითვლებიან.

თავად საერთო სახელწოდება დაღესტანი (როგორც მთების მხარე, მთების ქვეყანა) 15-16 ს. მკვიდრდება. მას დღევანდელი აზერბაიჯანისაგან მდ. სამური ყოფს და ჩრდილოეთით 540 კმ. გადაჭიმული. ამ საინტერესო ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია მიზანს არ წარმოადგენს. მხოლოდ მოკლე მითითება, რომ დერბენტის (ალბანეთის) კარი ბევრ დამპყრობს იზიდავდა. ყველა ცდილობდა მის დასაკუთრებას მონაცვლეობით, სხვათა დაპყრობისა თუ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

მკვლევართა დაანგარიშებით ძვ. წ. ა. V ათასწლეულში ლეკოსიანების ენა ჯერ კიდევ იბერიულ-კავკასიური დედა ენის თუ ფუძე ენის შემადგენელი იყო. ჯერ დიალექტის, შემდეგ კი ცაკლე ენაც, ამ ენის დედა ენად გადაქცევის, მისი დიალექტებად დაყოფისა და ენობრივ ოჯახად ჩამოყალიბების პროცესი უკვე მერვე ათასეულ წელს გადის და სადამდე მივა, უფალმა უწყის.

ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის მტკიცება შეიძლება, რომ: 1. თავდაპირველი დედა ენის ელემენტების ძიების საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია; 2. კავკასიონური ერთობის რაობის გარკვევისათვის ასევე მნიშვნელოვანია ლინგვისტური, გენეტიკური, ფსიქოლოგიური და ა. შ. ძიებანი; 3. არა ნაკლები ღირებულებისაა იმის კვლევა თუ რომელმა ეთნოსმა რა ზეგავლენა იქონია ლეკოსიანთა ენაზე და რა უკურეაგირებას

ჰქონდა ადგილი. ამ მხრივ ძალზე დიდ ქარტეხილებს გადაუვლია და ბევრი ცვლილებაც მოუტანია.

უძველესი, რის შესახებ უტყუარი ინფორმაცია არსებობს, არის სკვითების მასშტაბური შემოსევა ძვ. წ. ა. VIII საუკუნეში, ისტორიულად ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოეთიდან მასობრივი შემოჭრა კიმერიელებსა და სკვითებთანაა დაკავშირებული. ვოლგა-დონის აუზიდან გამოდევნილმა კიმერიელებმა კოლხეთის გავლით წინა აზიას უწიეს და იქაობა იავარყვეს. მათმა მადევარმა სკვითებმა კავკასიონთან დევნა შეწყვიტეს და მთების პარალელურად დაიძრნენ აღმოსავლეთით. ლეკოსიანელების დარბევისა და ჟლეტის შემდეგ ალბანეთის (დერბენტის) კარი გაარღვიეს და ალბანეთში შეიჭრნენ. სკვითები მიდიელებმა შეცვალეს, მიდიელები აქამენიდთა სპარსეთმა. ცნობილია, რომ ლეკოსიანელები არა მხოლოდ აღიარებდნენ მომხდურთა უპირატესობას და ხარკს უხდიდნენ მათ, არამედ მათ ლაშქრობებშიც უწევდათ მონაწილეობა. დამპყრობთა ხანგრძლივი ყოფნა, ადგილობრივების გარკვეულ გადაგვარებასაც უწყობდა ხელს. მით უფრო, რომ დამპყრობლები ციხე-სიმაგრეთა დამცავ გარნიზონებს ტოვებდნენ და დასახლებებსაც ქმნიდნენ.

ძვ. წ. ა. IV საუკუნის ბოლოს ალბანურ ტომთა გაერთიანებამ იმძლავრა და საკუთრივ 26 ალბანურ ტომთან ერთად ლეკოსიანელთა ნაწილიც შეიერთა. ლეზგები, ლაკები, დიდოელები საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე იყვნენ ალბანეთის სამეფოს შემადგენლობაში. თუ ამას დაემატება ლეკოსიანთა ტერიტორიულ არეალში ალბანური წარმოშობის უტიების (უდინების) მკვიდრობა, გასაგები გახდება ამ ორი მოძმე წარმომავლობის (მოვაკანელებისა და ლეკოსიანელების-ლეონტი მროველის მიხედვით) ხალხების მრავალმხრივი სიახლოვის გარდუვალობა. ეს კი უეჭველად გულისხმობდა ერთი მხრივ ურთიერთ გამდიდრებას, მეორე მხრივ კი ასიმილაციას.

ახ. წ. ა. IV ს. დაღესტნის ტერიტორიაზე მომთაბარე და მოთარეშე ჰუნები გამოჩნდნენ. ალბანეთის (დერბენტის) კარამდე მათ ყველაფერი გადათელეს და სიკვდილი თესეს. VII ს. ჰუნებს ხაზარები ჩაენაცვლნენ. ხაზართა ხაკანი (კაგანი) X ს. ბატონობდა ჩრდილოეთ კავკასიაში. იმავე VIII ს. შეიქმნა არაბთა სახალიფო და დაღესტნის მიდამოები ამ ორი მტაცებლის ქიშპის ასპარეზი გახდა. არაბთა ბატონობას მუსულ- მანობის გავრცელება და დაჩქარებული ასიმილაცია ახლდა. მხოლოდ 725 წ.

ამირა მასლამამ არა მხოლოდ აიღო და დაარბია დერბენტი, არამედ იქ არაბული დასახლებაც შექმნა (24000 არაბი ჩაასახლა) და შემდგომი არაბიზაციის საფუძველი შექმნა. 732-739 წწ. მურვან იბნ მუჰამედმა (ქართველთა მიერ მურვან ყრუდ წოდებულმა) რამდენჯერმე გაილაშქარა დაღესტანისაკენ, ხაზარები დაამარცხა და ლეკოსიანებს მძიმე ხარკი დაუწესა. მხოლოდ X ს. როცა ხალიფატი დაიშალა, შესაძლებელი გახდა დამოუკიდებლობის მოპოვება. ესეც იმ პირობით, რომ შირვან-დერბენტში არაბული დინასტია გახდა მმართველი ძალა.

XI ს. ძველი მჩაგვრელი ახალმა, თურქ-სელჯუკებმა შეცვალეს. ამას XIII ს-ან მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობა მოჰყვა. თუ საქართველოს ზეობის ხანაში ლეკოსიანელები სრულ ავტონომიას ინარჩუნებდნენ და მოკავშირეობის გზით ურთიერთკულტურას აზიარებდნენ, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებსაც განამტკიცებდნენ, 1239 წ. შემდეგ (როცა მონღოლებმა დერბენტი აიღეს) ურთიერთობა მოიშალა. უფრო მეტი, მონღოლები ლეკოსიანებს საქართველოს მხრიდანაც უტევდნენ.

1395 წ. დაღესტნის ტერიტორიაზე, მდ. თერგთან მოხდა ოქროს ურდოს მბრძანებლის თოხთამიშის და კოჭლი თემურის გადამწყვეტი ბრძოლა. გამარჯვებული თემურ ლენგი უფრო დიდი სისასტიკით მიუბრუნდა ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებს და პირველ რიგში დაღესტნის მაცხოვრებლებს.

XV ს. უკვე მოძლიერებული სპარსეთი ცდილობს დერბენტის გასასვლელისა და ჩრდილოეთის ტომების დამორჩილებას. შემდეგ მას თურქეთი დაემატა, რამაც კავკასიონის ჩრდილოეთით მაცხოვრებელი ეთნოსების დამონება და განვითარების შეფერხება გამოიწვია. ამ ორ მტაცებელს შორის 1590 წ. დაიდო ზავი, რომლის ძალითაც დაღესტანი (და არა მხოლოდ ლეკოსიანები) თურქეთს ერგო. ამას 1606 წ. შაჰ აბას I (ბრწყინვალეს) ლაშქრობა მოჰყვა. სპარსელებმა აიღეს დერბენტი და მთლიანად დაღესტანის დაპყრობას შეუდგნენ. 1741 წ. ნადირ შაჰი 100 ათასიანი ჯარით შეესია ქვეყანას. ორი წლის უწყვეტი ბრძოლების დროს მისი არმია განახევრდა. ვინ იანგარიშა დაღესტნელთა ადამიანური დანაკარგი?

მიზანი არაა დაღესტნის მთლიანი ისტორიის გაშუქება, მიზანია ნათელი გახადოს, რომ გაუთავებელმა შემოსევებმა, განმათავისუფლე-

ბელმა ომებმა, მოსახლეობის მუდმივი, მრავალმხრივი ცვლილებების პროცესებმა განაპირობეს 5 ათასი წლის წინ ერთიანი ლეკოსიანური (ლეკური) ეთნოსის ცვლილებები. დღეს თუ იქ 30 ეთნიკური ჯგუფი და 70 დიალექტია მოქმედებაში, რომელთაგან უმრავლესობა ლეკოსის ჩამომავალი არაა, ეს ისტორიის ბედუკულმართობის შედეგია.

ამდენად მართებულია დასკვნა, რომ დაღესტნელების მხოლოდ მცირე ნაწილია ლეკოსიანი და ძირძველი კავკასიონელი, თუმცა ერთიანობაში აღებული დაღესტნელებიც ასეთად ითვლებიან. და ეს იმათთვის, ვისთვისაც კავკასიონი დედა სამშობლოა ან ვისთვისაც ისტორიული სამართლიანობა არსებობს. სხვაფრივ დაღესტანი ჯერ ხანობით მაინც რჩება რუსეთის შემადგენლობაში და გაუთვითცნობიერებელი მსოფლიოსათვის დაღესტნელებიც რუსები არიან. (მხოლოდ საილუსტრაციოდ: ერთ დროს საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრებში, რვა კაციდან ერთი ესტონელი ენგლასი იყო, ერთი მოსკოველი არსენ მეკოკიშვილი და ექვსი ქართველი. მათ წარმატებებზე, არა მხოლოდ მსოფლიო, არამედ რუსული პრესის ნაწილიც წერდა: გამარჯვება რუსმა დევგმირებმა მოიპოვესო. ასეა დღესაც დაღესტნელები, ჩრდილოეთ კავკასიონელები და არა მარტო ისინი რუსეთის სახელით მოღვაწეობენ და ასეთებად ითვლებიან)...

***

ლეკოსიანელთა სამხრეთით, მოვაკნელებისა და ქართლოსიანელებს შორის ჰეროსის სამკვიდრო იყო.

ერთად-ერთი ისტორიკოსი რომელიც ჰეროსის დამკვიდრებას და ჰერთა ტომების საზღვრებს აღწერს ლეონტი მროველია. აი რას მოგვითხრობს იგი: „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვან გულგულა და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორს ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი და მის გამო ჰქვიან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ. 1955 გვ. 4).

ჰეროსისა და ჰერთა რაობის საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს კვლევასა და ანალიზს. მკვლევარები აღნიშნავენ: ჰერების საკითხთან დაკავშირები არის ორი მოსაზრება. ა. ხახანაშვილი, ნ. ბერძენიშვილი,

ვ. დონდუა, სტ. მენთეშაშვილი, თ. პაპუაშვილი ჰერებს ქართველების მონათესავედ მიიჩნევენ. გ. მელიქიშვილი, ი. იესენი, გ. ნიორაძე, დ. მუსხელიშვილი კი ალბანურ ტომად.

ამას ემატება თანამედროვე აზერბაიჯანელი მკვლევარების პოზიცია. ისინი თავს ალბანელთა სულიერ და ფიზიკურ მემკვიდრეებად აცხადებენ და შესაბამისად პრეტენზია აქვთ ყველაფერზე (მათ შორის ტერიტორიებზე), რაც ალბანელებს უკავშირდება. უფრო მეტი, ისინი მოვაკანისა და ბარდოსის ალბანელობას „ამტკიცებენ“ და სამხრეთ აზერბაიჯანზე (ირანის აზერბაიჯანზე) გარკვეულ პრეტენზიას აცხადებენ. აღარა ითქმება იმაზე, რომ ქალაქი გარდმანი მათთვის დღევანდელი ქართული ქალაქი გარდაბანია და აქედან გამომდინარე, გარკვეული მცდარი დასკვნების შემცველი.

თუ ქართველ მეცნიერთა ნაწილი ჰერებს ალბანურ ტომად მიიჩნევს, მაშინ აღარ უნდა იყოს გასაოცარი აზერბაიჯანელი მესაზღვრეების დავით გარეჯის მიდამოებში შემოსვლა. მით უფრო, რომ „ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბო ნეკრესელი“ (საქართველოს ისტორია, ტ. 2, თბ. 2012 წ. გვ. 181).

რა ლოგიკური დასკვნა გამოდის? ჰერები ალბანელები ყოფილან, ისინი მკვიდრობდნენ დღევანდელი ნეკრესის, ალავერდის, გარეჯის მიდამოებში. ე. ი. ეს ტერიტორიები თავისი კულტურული ძეგლებით ალბანურია, ბედის უკუღმართობით მოხვედრილი საქართველოს შემადგენლობაში. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ალბანელთა „მემკვიდრეები“ აშკარა პრეტენზიას მომავალშიც წამოაყენებენ.

ამ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ აზერბაიჯანელ მკვლევარებს ავიწყდებათ საკუთარი წარმომავლობა. მათთვის მთავარია, რომ ჰერები თვით ქართველების მიერაა ალბანურ ტომად მიჩნეული, ხოლო ჰერეთი ალბანეთის ტერიტორიად. ისინი ამავე დროს ცდილობენ, მყარი მეცნიერული საფუძველი შეუქმნან ჰერების და მათთან არაპირდაპირ კახელების ალბანობას. აზერბაიჯანელი მკვლევარები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ქართველი მეცნიერის დ. მუსხელიშვილის იმ მტკიცებას თითქოს ძვ. წ. ა. II-I სს. „...части албанских областей Камбасены и Эрети вошли в состав Иберии.“ ხედავთ? ამას უმატებენ იმავე პერიოდის ალბანეთის ამსახველ რუკას, სადაც მთელი ქართლ-კახეთი თბილისიდან აღმოსავლეთით ალბანეთის ტერიტორიაა.

ყოველივეს აგვირგვინებენ რუსი მეცნიერი ა. ვორონოვის დასკვნით იმის შესახებ, რომ გენეტიკური კვლევების თანახმად კახეთისა და ჩრ. დასავლეთ აზერბაიჯანის მოსახლეობა მყარ ერთგვარობას ამჟღავნებს (Воронов А.А. Антропологические особености распростоанения и групп крови в Закавказье. В кн: Антропология и геногеография М. 1974). აქედან უკვე ლოგიკურია დასკვნა, რომ ისტორიული ჰერეთის აზერბაიჯანელ და კახეთის ქართველ მოსახლეობას საერთო წინაპარი ჰყავდა. ვინ იყო ეს წინაპარი? „ცხადია“ ალბანელი ე. ი. აზერბაიჯანელების წინაპარი. ამის შემდეგ, მათი აზრით, არა მხოლოდ ინგილოები (ისტორიული ჰერეთის მკვიდრნი) არამედ კახელებიც გაქართველებული ალბანელებია.

ახლა ვცადოთ მიკერძოების გარეშე საკითხში გარკვევა. იაფეტიდების წარმოშობისა და განსახლების შესახებ მწირი, მაგრამ ერთიანი თვალსაზრისია შემორჩენილი. სომხური წყარო უთითებს თორგამის ჩამომავალ ჰაოსის შესახებ. სხვა მემკვიდრენი ჰაოსის გარდა სომეხ ისტორიკოსს არ აინტერესებს. ალბანეთის ისტორიის ფუძემდებელი (მოვაკანისა და ბარდოსის ჩამომავალთა ისტორიკოსი) მოისეი კალაკანტელი (წარმოშობით ალბანელად მიჩნეული) ალბანელთა უძველეს ისტორიას ისე აღწერს, რომ ლეონტი მროველის თვალსაზრისს ვერ ცვლის და არ ეწინააღმდეგება. ცნობილია, რომ ხაზართა ხაკანი, (კაგანი) იოსები, არაბთა ხალიფასადმი გაგზავნილ წერილში ამტკიცებდა მისი ხალხის იაფეტურ წარმომავლობას: ხაზარეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი თარგამოსიდან მოდისო.

ახლა მივუბრუნდეთ ლეონტი მროველს, რომელსაც ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული და ერთიანი თვალსაზრისი აქვს. მროველის მიხედვით, იაფეტის შთამომავალ თარგამოსს მრავალ შვილთაგან გამორჩეული რვა ძე ჰყავდა. „ან როგორც ამბობს მროველი: „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა... ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“. ზედმეტია განმარტება, რომ ჰაოსის მონათესავე ტომებში სომხების თუბალ-ტაბალ-იბერი წინაპარი იგულისხმება, ეგროსის მონათესავე ტომებში მეგრელებს ასახელებს, ბარდოსის ნათესავებში რანის მაცხოვრებლებს. რანი კი ალბანთა სახელწოდებაა სპარსული „არრანი“-დან ნაწარმოები.

ამ შემთხვევაში შევჩერდეთ პრინციპულ საკითხზე. მროველი ცაკლე გამოყოფს მოვაკანის, ცალკე ბარდოსის და ცალკე ჰეროსის კუთვნილ ტერიტორიებს. ისმის კითხვა: თუ სამივე ალბანელების ეთნარქები არიან, მაშინ რატომ ასახელებს მათ ცალ-ცალკე, რატომ აზუსტებს მათი ტერიტორიების საზღვრებს? თუ მხოლოდ იმიტომ რომ აქ ტომთა დიდი გაერთიანება და ფართე ტერიტორია იგულისხმება, მაშინ ჰაოსს ბევრად მეტი შეხვდა და რატომ იქ არა ჰყოფს? ხომ არ იყო ენობრივი სხვაობა, თუნდაც კარგაც განვითარებული დიალექტების დონეზე და ყოველი მათგანი უკვე გაყოფამდე წარმოადგენდა ცალკე ერთეულს? წარმომავლობითი ერთობის გარდა სხვაობასაც უნდა ნიშნავდეს ძვ. წ. ა. III ს. მკვლევარის პოლიბიუსის მითითება იმის შესახებ, რომ ატროპატენასა და ალბანეთს შორის რამდენიმე წვრილი (მცირერიცხოვანი) ტომი მოსახლეობსო. რომ არ ყოფილიყო გარკვეული გაუცხოება, სხვაობა ბარდოსისა და მოვაკანის ჩამომავლებს შორის პოლიბიუსს სხვა ტომების არსებობაზე მითითება არ დასჭირდებოდა. მროველიც არ ჩამოთვლიდა ცალკ-ცალკე ძმებს. თუ ჰაოსის წილად ულაპარაკოდ აღიარა თარგამოსისგან მიცემული „...ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისისა“ კანონიერად, რა დაუშლიდა ერთად ეთქვა მოვაკანი, ბარდოს, ჰეროსის სამფლობელო თუ სამივე ალბანური წამროშობის ტომების ეთნარხები (მამამთავრები) იყვნენ?

საქმე იმაშია, რომ ძვ. წ. ა. III ათასწლეულში, როდესაც უკვე თარგამოსიანელები და არა იაფეტიდები (თარგამოსიანელები უკვე მხოლოდ ნაწილია იფეტიდების) იყოფიან ცალკე ერთეულებად, ჰერეთი როგორც ასეთი (ისევე როგორც იბერია და სომხეთი) არ არსებობდნენ. თარგამოსიანელები ძალზე ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ გაფანტულები და მათში უკვე იყო ცალკე ეთნოსებად ჩამოყალიბების პროცესი. ამის დასტურია ისტორიული ცნობა, ბევრად უფრო გვიან, ვანისა და ურმიის ტბებს შორის ჰერთა ტომის არსებობის შესახებ.

ეს ცნობა ამავე დროს დადასტურებაა ლეონტი მროველის მონათხრობის ჭეშმარიტებისა. თუ ჰერები ცხოვრობენ კავკასიონის სამხრეთით ქართლოსიანთა და მოვაკნელებს შორის და ამავე დროს ცხოვრობენ ბევრად სამხრეთით, ვანისა და ურმიის ტბებს შორის, მაშინ ისმის კითხვა: ჰერთა ნაწილი საიდან საით არის წასული, სადაა მათი პირველსაცხოვრისი? მროველი გარკვევით აცხადებს რომ ყველა ეს „ძმა“ - ჰეროსიც, ქართ-

ლოსიც, ბარდოსიც და მოვაკოსიც მოვიდნენ სამხრეთიდან, მამისეული სამფლობელოს გაყოფის, მიგრაციული პროცესების შედეგად. ეს მოსვლა არ ნიშნავდა აუცხო მხარეში დამკვიდრებას. სავარაუდოა, რომ მათი ნაწილები ისედაც ფლობდნენ ამ მიდამოებს და მოხდა „დაკანონება“.

კარგადაა ცნობილი, რომ ქარდუხები (კარდუხები), ქარდები (კარდები) თარგამოსიანელთა განსახლების სამხრეთს ფლობდნენ. თუ არა გაყოფა და მასთან დაკავშირებული მიგრაციული პროცესები (რაზეც გარკვევით მიუთითებს მროველი), რას უნდა აეძულებინა სამხრეთში მაცხოვრებელი ტომები (ან ამ ტომების ნაწილი) მიეტოვებინათ სამკვიდრო და ახალი ადგილები აეთვისებინათ? ლეონტი მროველი გაყრის აუცილებლობას მოსახლეობის დიდი სიჭარბით ხსნის. თარგამოსის შთამომავლობა – ამბობს სულმნათი – იყო „...დიდი და ურაცხვ, რამეთუ ესხნეს ცოლმრავალ ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილიშვილნი ძეთა და ასულთა მისთანი, ... და ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა“ (ქართლის ცხოვრება ტ. 1. თბ. 1955, გვ. 4).

ამავე დროს, თარგამოსის სამფლობელო იყო გადაჭიმული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიონიდან ხმელთაშუა (ორეთის) ზღვამდე. იმ დროს თარგამოსიანელებს ერთადერთი მოქიშპე სამხრეთიდან ჰყავდათ ქამიტების (ნებროთიანების) სახით. მათ საწინააღმდეგოდ უფროს ძეს, ჰაოსს მისცა სამფლობელოს საუკეთესო ნახევარი და ტომთა (მაცხოვრებელთა) ნახევარი. ჰაოსის ნახევარზე მაცხოვრებელ ქართლოსიანებს და ჰეროსიანებს კი „დაუკანონა“ ახალი ტერიტორიები. კითხვა ისმის: თუ ჰერები მოვაკნელების (შემდგომ ალბანელებად წოდებულების) ტომის ნაწილს წარმოადგენდნენ, რატომ ცალკ-ცალკე სამფლობელოები გამოუყო მათ? ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ჰერები ცალკე ერთეულს წარმოადგენდნენ, ისეთივე გაუცხოების გზაზე დამდგარს, როგორიც იყო მოვაკნელებსა და ქართებს შორის, ქართებსა და ეგრებს შორის და ა. შ.

ამ ლოგიკური დასკვნის უარმყოფელებმა უნდა მოიტანონ რაიმე დასაბუთება, რატომ მიიჩნევენ ჰერებს ან ქართველურ ან ალბანურ ტომად, სამწუხაროდ განცხადება, რომ ვინმეს ჰერების ალბანელობა სწამს, დასაბუთება არაა. თავის დროზე აფხაზებსაც სწამდათ, რომ წარმომავლობით ეგვიპტელები არიან, მაგრამ ვერ დაასაბუთეს და შეეშვნენ. ჰერებს და ჰერეთს თავისი სახელოვანი წარმომავლობაც აქვთ და ისტორიაც. ამ წარსულის კვლევისას უეჭველად იქნება გათვალისწინებული ისტორიულ-

გეოგრაფიული ფაქტორები, რომელთა ერთობლიობამ განაპირობა მისი ნაწილის მოქცევა ჯერ ალბანეთის სამეფოს და შემდეგ აზერბაიჯანის შემადგენლობაში, ისევე, როგორც მეორე ნაწილის ქართიზაცია და საქართველოს განუყრელ ნაწილად გადაქცევა. მხოლოდ შეხსენებისათვის ითქმება, რომ ერთი მდინარის სახელი ზოგჯერ მეორეზეც ვრცელდება. ვთქვათ არაგვის სახელი თერგის მისამართითაც ითქმოდა. ასევე ალაზანს უწოდებდნენ არა მხოლოდ იორს, არამედ ჰერეთის სამთავროს სხვა მდინარესაც. ამიტომ, როდე- საც მსჯელობაა, უნდა გაირკვეს კერძოდ რომელზეა მითითება. ასევე, რაკი ჰერეთის უძველესი დედაქალაქი ჰერეთი, შემდეგ (მროვლის დროს), ხორანთად წოდებული დღეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში თოფრახ-კალად იწოდება, არ უნდა იყოს ჰერების ალბანელობის დამამტკიცებელი. (ამ მხრივ საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა ერთობლივი დასკვნა). თავად ამ მხარეს ერთი პერიოდი კაკ-ელისენი ერქმეოდა და მას ელისენში (ახლა ცნობილი სოფ. ალიაბადი) მყოფი მოურავი განაგებდა. თავად ეს მხარე, როგორც წესი, კახეთის ნაწილად ითვლებოდა და მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს რევოლუციური ანექსიის შემდეგ (1921წ) გადაეცა აზერბაიჯანის მხარეს.

ის ფაქტი, რომ ალბანეთის სამეფო გარკვეული დრონის მანძილზე ზეობდა ჰერეთზე, ჰერების ალბანელობის საბუთად ვერ გამოდგება.

ქართველებს ასევე შეუძლიათ იმის გახსენება რომ ჰერეთის ცენტრი ერთ დროს შაქი იყო, რომ ჰერები წმინდა ნინომ მოაქცია ქრისტიანობაზე და ა. შ.

ისტორიულად ცნობილია, რომ ალბანეთი და ქართლი ცვალებადი წარმატებით ცდილობდნენ ჰერეთის დაუფლებას და მოსახლეობის ასიმილაციას. ეს არაა მამტკიცებელი ჰერების დამოუკიდებელ ეთნიკურ ერთეულად არ არსებობისა. თუ საბოლოო ანგარიშით ჰერების ქართიზაცია მოხდა ან დღეს, უკვე ქართიზირებული ჰერების აზერბაიჯანიზაცია სწარმოებს, ეს ვერ წაშლის ისტორიულ წარსულს, ჰერები თავიდანვე არც ალბანელები (მოვაკნელები) იყვნენ და არც ქართლოსიანები.

ისტორიულმა ბედუკუღმართობამ ბევრი ეთნოსის არსებობა წაშალა. თუ ძველი შუმერები, ეგვიპტელები, ფინიკიელები და ა. შ. გაქრნენ, მათთან შედარებით მცირერიცხოვანი ჰერები დევგმირებად ჩანან, რადგან შეძლეს და X–XI ს-დე შეინარჩუნეს მეობა.

იყო პერიოდი, როდესაც ალბანეთი ცდილობდა ჰერეთის მიერთებას. შემდეგ დადგა დრო, როდესაც გარეშე მტერთა მოძალება (სპარსელები, ხაზარები, არაბები და ბოლოს თურქ-სელჯუკები) ასუსტებს და ბოლოს უღებს ალბანეთის სამეფოს და თვით ალბანი ეთნოსის არსებობას. შეცვლილი ვითარების გამო უკვე ჰერეთი ცდილობს ალბანეთის დასავლეთ ნაწილზე ზეგავლენის მოპოვებას.

ჰერეთის საერისთაო, ქართლის კი არა თითქმის მთელი საქართველოს სამეფოს ნაწილად შეიქმნა სტეფანოზ ერისმთავარის ძის არჩილის დროს. მეფე არჩილ II თანხმობით მოიპოვეს ბაგრატიონებმა ჰერეთის ერისთაობა და თანამდებობის მემკვიდრეობითობა. მისი ძის ჯუანშერის, უმემკვიდროდ გარდაცვალებამ ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავარ ლეონ II გამეფებას, უკიდურეს აღმოსავლეთში კი ჰერეთის სამთავროს შექმნას. ჰერეთი ცვალებადი წარმატებით ცდილობდა დამოუკიდებლობის მიღწევას. X ს. ბოლოს ბაგრატ III ჰერეთი მტკიცედ დაუკავშირა დანარჩენ ქართულ სამეფო- სამთავროებს, ხოლო დავით აღმაშენებლის დროს იგი ერთ ქართულ პროვინციად გადაიქცა. ამის შემდეგ ჰერეთი საქართველოს ტერიტორიას წარმოადგენდა, ჰერები კი გაქართველებულ ტომს.

ის ფაქტი, რომ ალბანეთის ისტორიის ასპარეზიდან გაქრობის შემდეგ ჰერეთი გაფართოვდა და მისი ცენტრი ხორანთადან (ყოფილი ქ. ჰერეთიდან) გადავიდა (IX–Xსს) შაქში (ახლანდელი ნუხი), სულაც არ ნიშნავდა ჰერების გაალბანელებას, მაგრამ უეჭველად ნიშნავდა უკვე თურქულ თუ გათურქების გზაზე დამდგარი ალბანური ეთნოსისათვის ახალი გენეტიკურ-ფსიქიკური იმპულსის მიცემას. არ უნდა იქნას მხედველობიდან გაშვებული ის ფაქტი, რომ მოვაკოსიანები (ალბანელები) და ჰერები ისედაც მოძმე ტომობრივი გაერთიანებები იყვნენ. და არა მხოლოდ ისინი, გასახსენებელია კორნელი ტაციტის მიერ შემონახული ცნობა, რომლის მიხედვით ალბანელები და იბერები იმდენად ახლობლად გრძნობდნენ ერთი-მეორეს, რომ ორთავე ეთნოსს თავისი წარმომავლობა ბალკანეთის ნახევარკუნძულის თესალიის მხარედან მიაჩნდათ.

ჰერეთი დიდი ხნის მანძილზე საქართველოს შემადგნლობაში კულტურულ ავტონომიას ინარჩუნებდა. ცნობილია რომ ამ მხარეში იყო თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები. სოფ. კაკში ხელნაწერთა გადამწერი სპეციალიზებული სკოლაც ყოფილა. არა მარტო

ჰერეთში. დაღესტანშიც შვიდი სკოლა ყოფილა, რომლებსაც გადაწერილი წიგნები ეგზავნებოდათ.

უფრო მეტი, ისტორიამ იცის საქართველოში ლეკიანობის შესახებ. სამწუხაროდ, ნაკლებადაა ცნობილი კახელების, ჰერებისა და ავარელების (ქართველებისათვის ლეკების) ახლო მეგობრული და ნათესაური კავშირების შესახებ. ჰერები და კახელები სამუშაოდ (საშოვარზე) ჩამოსულ ლეკებს დასახლების საშუალებასაც აძლევდნენ. ცნობილია, რომ კახეთის მეფე ლევანმა ლეკებს ჩამოსახლების უფლება მისცა გარკვეული პირობით. ასე მომრავლებულმა ლეკებმა ჰერეთის ფიფინეთის მხარეს ჭარი (ლეკურად გზას ნიშნავს) უწოდეს. მრავლად იყო ლეკების ჰერებად და ქართველებად ქცევისა და პირუკუ შემთხვევები. ენათმეცნიერთა აზრით წახურელ ლეკთა მეტყველება უფრო ჰერულსა და ქართულს ჩამოჰგავს ვიდრე ლეკურს.

ჰერეთში ჰერთა და ლეკთა ბედი მრავალნაირად შეიცვალა. საბჭოთა პერიოდში „სოციალისტურმა“ აზერბაიჯანულმა ხელმძღვანელობამ დაჩქარებულ-იძულებითი წესით მოახდინა ადგილობრივთა ასიმილირება. ჭარ-ბელაქანის მოსახლეობის მიმართ ეს შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა რელიგიური ერთობის ნიადაგზე. გაძნელდა ჰერების ჯერ გამაჰმადიანება, შემდეგ კი გააზერბაიჯანელება. ვისაც შეხება ჰქონია აღნიშნულ პრობლემასთან, მას კარგად მოეხსენება რა ძალისხმევით ახერხებდნენ ჰერები მცირეოდენი კულტურული ავტონომიის ელემენტების შენარჩუნებას. არა და ვისაც ჭეშმარიტად შესტკივა გული ჰერებზე, მათი ალბანელობა ან ქართველობა კი არ უნდა ამტკიცონ, არამედ მათ რეალურ კულტურულ ავტონომიაზე უნდა იფიქრონ.

ამ პატარა მიმოხილვის მიზანი ჰერების ისტორიის გადმოცემა, მათი ეთნიკური კუთვნილების განსჯა კი არა, იმის თქმა იყო, რომ ისინი ძირძველ კავკასიონელებს განეკუთვნებიან და დიდ კავკასიურ ოჯახში სხვათა თანასწორად უნდა გრძნობდნენ თავს. დანარჩენმა კავკასიელებმა კი მათ ეთნიკურ კუთვნილებაზე კი არა, ფიზიკურ გადარჩენასა და სულიერ განვითარებაზე უნდა იზრუნონ.

ამრიგად გამოვიდა, რომ თარგამოსიანელებიდან ჰაოსისა და ბარდოსის მონათესავე ტომები თავიდანვე მოწყვეტილნი იყვნენ კავკასიონის მიდამოებს. ისინი უეჭველად იყვნენ კავკასიელები, მაგრამ არა კავკასიო-

ნელები. მათ და მათთან ერთად მოვაკნელებმა არა მხოლოდ ენა, არამედ ეთნიკური რაობაც ვერ შეინარჩუნებს. მათგან სხვაობით ლეკოსელებმა ნაწილობრივ ენაც და ეთნიკური რაობაც შეინარჩუნეს. მიუხედავად დიდი ქარტეხილებისა, მათ ეს მოახერხეს თავად კავკასიონის წყალობით. ჰერებმა, ჰეროსის მომმეებმა, მართალია, ენა (ჰერული დიალექტი) ვერ განავითარეს და დამოუკიდებელ ენად ვერ აქციეს, მაგრამ ფიზიკური არსებობა მაინც არ დაკარგეს. სწორედ ამაზე მიუთითებდა ცნობილი მკვლევარი ა. ვორონოვი, როცა ამბობდა, რომ აზერბაიჯანის დასავლეთი მხარის და საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილის მაცხოვრებელთა გენეტიკური მონაცემები, მტკიცე ერთობას ამჟღავნებსო.

***

კავკასიონის ჩრდილოეთი კალთები მრავალ ეთნოსს უკავია. სამხრეთით თუ მოვაკოს, ჰეროს, ქართოს და ეგროსის შთამომავლობას უნდა ეცხოვრა და ეთნოსთა სიმრავლე უნდა ყოფილიყო, ჩრდილოეთი ლეკოსსა და კავკასოსს ერგოთ. შესაბამისად იქ ორი ეთნოსი უნდა ყოფილიყო. ისტორიამ ინება და ჩრდილოეთი ისე არია, რომ ბევრი საკითხის გარკვევა დღემდე ვერ ხერხდება და სამომავლო კვლევების ობიექტად რჩება.

ლეკოსის მიმართ საკმაო სიცხადეა. აქ გამოკვეთილია საკუთრივ ლეკოსიანელები და მათთან ჩასახლებული და ცხოვრებისეულად გადაჯაჭვული ეთნოსები. ამ ხაზით კითხვის ნიშანს მხოლოდ მათთან კავკასოსის შთამომავალთა მიმართება ქმნის. თუ ვიცით, რომ თერგის აღმოსავლეთი ლეკოსიანებს ერგოთ, დასავლეთი კი კავკასოსს, მაშინ როგორ გავიგოთ დღევანდელი ჩეჩენ-ინგუშების რაობა. ჩეჩენ-ინგუშები (სხვანაირად ვაინახები, სხვანაირად ქისტები, სხვანაირად ძურძუკები, და ღლიღვები) ვის განეკუთვნებიან ლეკოსიანებს თუ კავკასიანებს? კითხვა არაა უბრალო მნიშვნელობის ან უბრალოდ გადასაწყეტი. ამ ორი მოძმე ტომის დღევანდელ ყოფაში ან მეზობლებთან ურთიერთობაში მას შეიძლება ყურადღებაც არ მიექცეს, მაგრამ ისტორიული წარსულის თვალთახედვით შეიძლება პრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდეს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით შეიძლება ფრთხილი მოსაზრების გამოთქმა, რადგან მტკიცებას ბევრი ისეთი რამ სჭირდება, რაც მომავალ კვლევებთანაა დაკავშირებული.

დღევანდელი მონაცემები და მდგომარეობა ვაინახებისა დეტალურადაა მოცემული მკვლევარების მიერ. აქ მოტანილი ზოგიერთი მონაცემიც მათგან იქნება ნასესხები.

ის ცნობა, რომ დღევანდელ ჩეჩენ-ინგუშებს ერთი წარმომავლობა აქვთ, იმდენად ცხადია, რომ მტკიცებასაც არ საჭიროებს. განსჯას საჭიროებს ის ცნობა, რომლის მიხედვით ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ისინი ქართველებთან, დაღესტნელებთან ერთად და დამატებით ყარაჩაელებთან, ბალყარელებთან, ოსებთან ერთად ქმნიან კავკასიურ ტიპს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კავკასიური ტიპი განსაკუთრებულია, იგი არ მეორდება, მაშინ ისმის კითხვა: რამდენად დასაბუთებულია ამ ეთნოსების (ირანულ ენოვანი, თურქულ ენოვანი, და იბერიულ-კავკასიური ენოვანი) ერთტიპიურობის საკითხი, ამ ეთნოსთა რომელი ნაწილების შესწავლა მოხდა და ა. შ. კითხვა ზედაპირული არაა. ყარაჩაელები, ბალყარელები, ოსები სახლობენ იმ ტერიტორიაზე (კავკასიონის იმ ნაწილში) სადაც მათ მოსვლამდე კავკასოსის მონათესავე ტომები სახლობდნენ და თუ მათი ასიმილირება მოხდა, ბუნებრივია ერთტიპიურობის ელემენტები შემონახული იქნება. რაც შეეხება ვაინახებს და ქართველებს, ეს ორი ძირძველი კავკასიელი ეთნოსი არა მხოლოდ გეოგრაფიულად იყო დაკავშირებული, არა მხოლოდ წარმომავლობით იყო ერთიანი (ორივე თარგამოსიანელია) არამედ, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოსცემს, ენობრივ-კულტურული კავშირებიც მტკიცე ჰქონებიათ, თემურ-ლენგის შემოსევებამდე მაინც. ამ ცნობის თანახმად დურძუკები და ღლიღვები, დღევანდელი ჩეჩნები და ინგუშები (ლეკების მსგავსად) ქართულს ფლობდნენ, დამწერლობაც ქართული ჰქონდათ და ქართულად აღავლენდნენ ლოცვას ქრისტიანულ ეკლესიებში.

მკვლევართა გაანგარიშებით ვაინახების ტერიტორია 19,3 ათასი კმ. აქედან ჩეჩნებს (თვითსახელი-ნახჩი) 17,3 ათასი კმ უკავიათ, ინგუშებს (თვითსახელი – ღილღაი) 2 ათასი. საერთო მოსახლეობა რუსეთ-ჩეჩნეთის ომამდე 1270000 იყო. ომს რამდენი შეეწირა?

ისმის ლოგიკური კითხვა, მართალია ენობრივი დაყოფის მიხედვით მკვლევარები აერთიანებენ ვაინახურს და დაღესტნურს და ცალკე ჯგუფად მიიჩნევენ, მაგრამ რამდენად ბუნებრივია ეს დაყოფა? უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა ასე: ადიღეური, ვაინახური, დაღესტნური, ქართველური? ვაინახური ენა ხომ თავის მხრივ იყოფა: ინგუშები,

ჩეჩნები, ბაცბები, (წოვა თუშები). დაღესტნურ ენათა და დიალექტთა სიმრავლეზე უკვე ითქვა.

ასეთ გამოცალკევებას თავისი ახსნა მოეძებნება. თუ ვაინახურ-დაღესტნური ერთ შტოდ (ოჯახად, მიმდინარეობად) განიხილება, მაშინ ლოგიკურად ისმის საკითხი ვაინახების ლეკოსიანობის შესახებ. თითქოს ასეც უნდა იყოს. ლეკოსის მონათესავე ტომებს მროველი მდ. ლომეკის (დერგის, თერგის) აღმოსავლეთ კავკასიაში ათავსებს და მიუთითებს, რომ აქ მხოლოდ ამ მოდგმის ტომების საცხოვრისია. თუ ეს ასეა, მაშინ ვაინახები ლეკოსიანები ყოფილან. მაგრამ ეს ასე არაა, მროველი არაორაზნოვნად მიუთითებს ვაინახთა კავკასოსის კუთვნილებაზე.

აი, როგორ აღწერს იგი: გაყოფისა და დიდი მიგრაციული პროცესების დროს „...კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისი, დასავლით“ ერგო.

კავკასისა და ლეკოსის მონათესავე ტომებს ეტყობა ჩრდილოეთით ფართე მიწები აუთვისებიათ, რამაც სხვა (უცხო) ტომთა დაპირისპირება გამოიწვაია. მროველი გადმოგვცემს: კავკასისა და ლეკოსის დაფუძნების დრონისათვის „...უმკვიდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა“. ამ ცნობის თანახმად, „მდინარემდე დიდად“ ე. ი. ვოლგამდე, იმ ხანისათვის მკვიდრი მოსახლეობა არ იყო. ეს სეზონურად მომთაბარე ტომების არსებობას ვერ გამორიცხავს. პირიქით, გულისხმობს შეტაკებებს ამა თუ იმ ადგილის ხელში ჩასაგდებად.

წინასწარი განმარტების მიზნით: მროველისათვის და საერთოდ ისტორიისათვის უცნობია იმ ტომთა სახელწოდებანი, რომლებიც ვოლგა-დონის ზოლში მომთაბარეობდნენ ან პერიოდულად გამოჩნდებოდნენ. ამიტომ ისტორიკოსი მათ მოიხსენიებს ყველაზე უფრო გავრცელებული სახელით-ხაზარნი. ამ შემთხვევაში დასადგენი არაა ამ მომთაარე ტომებმა შექმნეს შემდეგ ხაზართა გაერთიანება თუ არა. არსებითია, რომ იმ ძველი პერიოდის მომხდურებს ხაზარების სახელით იხსენიებს. მროველი ბრძანებს: „მას ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი და დაუწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასიოსთა“ (ქართლის ცხოვრება, თბ. 1955. ტ.1. გვ. 11.).

ბრძოლა თარგამოსიანელებსა და მომხდურებს („ხაზარებს“) შორის იყო ხანგრძლივი და ცვალებადი ხასიათის. მროველის თანახმად, ბრ-

ძოლები ჩრდილოეთ კავკასიის დაუფლებისათვის გაგრძელდა, სანამ არ შეიქმნა სპარსეთი, რომელმაც დაიწყო ამ მხარის დახარკვა. ისტორიულად ცნობილია, რომ სპარსეთის სამეფო შექმნა კიროსმა ძვ. წ. ა. VI ს. მან და მისმა მემკვიდრეებმა ირგვლივ ყველა დაიმორჩილეს და ბოლოს ბერძნულ ათენისა და სპარტის ქალაქ სახელმწიფოებს უწიეს. მანამდე? მანმადე, ცოტა ადრე, მას შემდეგ, რაც „და გამოხდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი“ (გვ. 13) „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს...“ (გვ. 15). ეს ისეთი ცნობაა, რომელიც ქართველთათვის და „ურიათათვის“ (ებრაელებისათვის) განმარტებას არ საჭიროებს, ძვ. წ. ა. VI ს.

მანამდე? მროველს მიახლოებით აქვს მითითებული თარგამოსიანელთა ბრძოლის დასაწყისი ჩრდილოეთის ტომებთან (ხაზარებთან,როგორც იგი უწოდებს). აი რას გადმოგვცემს სულმნათი: ბრძოლებიდან გავიდა ხანი და „...შემდგომად ამისა რამდენთამე წელიწადთა მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე განვლო ზღუა ისრაელთა“ (გვ.14). დღეს უკვე დადასტურებულად ითვლება ცნობა მოსეს მიერ ეგვიპტიდან ებრაელთა გამოყვანის შესახებ. ეს ამბავი ძვ. წ. ა. XIII ს. განეკუთვნება. აქედან შეიძლება ვარაუდი, რომ თარგამოსიანელებს, ყოველ შემთხვევაში, თუ ძვ. წ. ა. 23-ე საუკუნეში ბრძოლებით არ დაიკავეს ჩრდილოეთ კავკასია, მის დასაცავად მაინც გადაუტანიათ მძიმე ომები ძვ. წ. ა. მე-13 საუკუნემდე.

რაც შეეხება საკუთრივ კავკასის და ლეკოსის მოდგმას როცა მათ მძიმე ბრძოლები ჰქონდათ მომხდურებთან თუ დამხდურებთან, დანარჩენი ტომები მათგან დაცულნი იყვნენ. მროველი ასე აღწერს ამ მდგომარეობას: „და ესე თარგამოსიანთა ყოველნი მას ჟამსა იყვნეს მშვიდობით...“ (გვ. 11).

ეტყობა ბრძოლა სასიცოცხლო სივრცისათვის ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, რადგან თარგამოსიანებს ერთი მეორის დახმარება არაერთხელ დასჭირვებიათ. ამიტომ იყო, რომ „...შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი და გარდავლეს მთა კავკასთა. და მოტყუენნეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი, და აღაშენნეს ქალაქნი პირსა ხაზარეთისასა, და წარმოვიდეს“ (გვ. 11).

გაძნელდა მოთარეშე ტომების შეკავება. დადგა დიდი მარცხის დრო. თარგამოსიანები მოძალადეებს ვეღარ უმკლავდებოდნენ შეერთებული ძალებითაც კი. მროველი გვამცნობს: „ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენნა ქუეყანანი... და გარდავლო კავკასია. და

იყო ძე მისი სახელით უობოს, და მისცა ძესა თვისსა ტყუე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქუეყანა კავკასის ნაწილი, ლომეკის მდინარისა დასავლით, დასავლეთამდე მთისა“ (გვ. 12).

როდის უნდა დაერბიათ ე. წ. ხაზარებს მთელი კავკასია? ისტორიულად ცნობილია, რომ მომთაბარეებმა სამხრეთ კავკასიაში შემოაღწიეს ძვ. წ. ა. VIII-VII სს. კიმერიელებმა დასავლეთ საქართველოს გავლით უწიეს მცირე აზიას, მიარბიეს იქ არსებული სახელმწიფოები, ბოლოს სამხრეთ თარგამოსიანელებს (ჰაოსიანებს) შეერივნენ და ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა სომეხი ერი. კიმერიელების მადევარი სკვითები კავკასიონის პარალელურად წავიდნენ და ალბანეთის (დარუბანდის) კარით შემოვიდნენ სამხრეთში, დაარბიეს ურარტუს იმპერია ასურეთთან ერთად და სათავე მისცეს დიდ ცვლილებებს.

თანამედროვე კვლევითი მიღწევები არ იძლევიან ნათელ წარმოდგენას, როდის უნდა მომხდარიყო დიდი ცვლილებები ჩრდილოეთ კავკასიაში, კავკასის საცხოვრებელ არეალში. თავად ეს არეალი არაა განსაზღვრული.

თუ გამოვალთ მროველის მიერ გადმოცემული სინამდვილიდან და მას კვლევით მონაცემებს შევადარებთ, დაახლოებით ასეთი სურათი იხატება: კავკასიონის დასავლეთი მხარე თარგამოსიანელ ეგროსს ერგო. მროველი გვამცნობს: „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი; აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვან ბედია“ (გვ. 5). ამ შემთხვევაში საინტერესოა ეგროსის მონათესავე ტომთა ჩრდილო საზღვარი, ესაა მდინარე „მცირისა ხაზარეთისა“. მკვლევართა ერთი ნაწილი მას დღევანდელ მდ. ნოგოფსუხოდ მიიჩნევს (გელენჯიკთან). მეორე ნაწილი მას მდ. ყუბანს და ზღვასთან მის მარცხენა შესართავთან აიგივებს. საკითხი ბოლომდე დაუდგენელია, მაგრამ ერთი პატარა ფაქტი, რომ შავი ზღვის სანაპიროზე სამი ერთნაირი წარმომავლობის ძველი ტოპონიმია: ანაკლია, ანაკოფია (ახლა ახალი ათონი) და ანაპა, ამ უკანასკნელ ვერსიას ამყარებს.

თუ ჩრდილოეთით ეგროსის კუთვნილი მხარე ასე შორს იყო გაჭიმული, მაშინ კავკასის მხარე უფრო ჩრდილოეთით უნდა იგულისხ-

მებოდეს. უფრო ჩრდილოეთით კი ტამანის ნახევარკუნძული და მდ. დონის მიდამოებია. შეიძლება იყო მეორე შესაძლებლობაც. კავკასის მონათესავენი თერგიდან ასე შორს ვერ სწვდებოდნენ.

რას მოგვითხრობს ისტორია?

მკვლევართა შეთანხმბული დასკვნის მიხედვით ძვ. წ. ა. III-II ათასწლეულებში ადგილი აქვს მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტების გავრცელებას. ე. წ. ჩრდილო კავკასიური კულტურა, რომელიც კოლხურთან დიდ ახლობლობას ამჟღავნებს II–I ათასწლეულების მიჯნამდე გრძელდება. მათი მატარებელი ტომები დანამდვილებით დადგენილი არაა.

ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ძვ. წ. ა. I ათასწლეულის VI-V სს. აქ სახლობენ მეოტების სახელწოდებით ცნობილი: სინდები, თორეტები, კერკეტები, ფატეები, დოსხები და სხვ. ცენტრალური კავკასიის მიდამოებში: ღარღარები, ისადიკები (სოდები), ჰამიკეთები. აღმოსავლეთ ნაწილში: ლეგები, გელები, კასპიები, დიდურები, ანდაკები და სხვა.

ისტორიისათვის ცნობილ ამ ტომთაგან რომელი განეკუთვნება კავკასის მოდგმას, როდიდან სახლობენ აქ და რა სივრცე უკავიათ უცნობია. არის მოსაზრება, რომ ჰამიკეთები შეიძლება ვაინახების წინაპრები იყვნენ. ჯერ ხანობით მაინც მეცნიერებას სხვა მონაცემები არ გააჩნია.

ასევე დადგენილად ითვლება, რომ ძვ. წ. ა. V ს. ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდნენ სკვითური წარმომავლობის დანდარები. რამდენად შეიძლება დანდარების , ღარღარების, გარგარების ურთიერთმიმართება დადგინდეს, ეს ჯერ კიდევ კვლევის თემაა. შეიძლება სახელწოდებების დამთვევაა, შეიძლება ერთი ტომის სახელწოდების ვარიაციებია.

მკვლევართა დასკვნის თანახმად ძვ. წ. ა. III-II სს. ჩრდილოეთ კავკასიაში ირანულენოვანი ტომები იწყებენ დამკვიდრებას. ეს სარმატული ტომები ორ მსხვილ გაერთიანებას ქმნიან. სირაკები იკავებენ კავკასიის დასავლეთ ნაწილს, აორსები კი აღმოსავლეთს. ახალი წ. ა. I ს. მოყოლებული აორსებს შორის წამყვან პოზიციებს ალანთა ტომი იკავებს. შემდეგ ეს სახელი სხვა ტომებზეც ვრცელდება.

დადგენილი არაა კავკასის მოდგმის ტომები, რომლებიც თერგის დასავლეთით სახლობდნენ რა ტერიტორიებს ფლობდნენ და როდის იქნენ შევიწროებულნი.

ჩრდილოეთ კავკასიის დახასიათება უფრო ფართე არეალს მოიცავს, ვიდრე კავკასიონის ჩრდილოეთი ნაწილია. უძველესი ცნობები ამ

უკანასკნელის შესახებ მროველთანაა საძებარი. იგი გარკვევით ამბობს, რომ კავკასიონის ჩრდილოეთი მხარე ლეკოსისა და კავკასის მოძმე ტომებს შორის გაიყო თერგზე. ეგროსის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის დასასრული და მდინარეა მცირე ხაზარეთად წოდებული. მისი ჩრდილოეთი შეიძლებოდა კავკასის მოდგმას დაეკავებინა. მაშინ გამოდის, რომ კავკასის ტომებს მთაგრეხილიდან ჩრდილოეთით უსაზღვრო სივრცე ჰქონდათ.

ლეკოსი და ლეკოსიანები ცნობილია. აქ გასარკვევი მხოლოდ ვაინახებისა და ლეკოსიანების ურთიერთმიმართებაა. იყვნენ ვაინახთა წინაპრები ლეკოსიანები თუ არა. თუ ხო, დასადგენია არა მხოლოდ მათი ადგილი და მნიშვნელობა ლეკოსიანებს შორის, არამედ მათი მიმართებაც კავკასის ტომებთან: ხომ არ არიან ისინი შერეული ლეკოს-კაკასოსები? მთავარი მაინც იმ ტომების დადგენაა, რომლებიც ლეკოს, ქართოს, ეგროსის ტომების მეზობლად სახლობდნენ. ვინ იყვნენ ისინი?

მკვლევართა უმეტესობა იმ აზრისაა, რომ თუ ძვ. წ. ა. III ათასწლეულის მონაცემები უცნობია, I ათასწლეულში წამყვანი ადგილი მეოტებსა და სინდების ტომებს ეკავათ, ისეთებს, როგორებიც იყვნენ: კერკეტები, ტორეტები, ზიქები.

მეოტების ადგილსამყოფელს ვარაუდის დონეზე თუ განსაზღვრავენ: სინდები, მკვლევართა აზრით, ცხოვრობდნენ ტამანის ნახევარკუნძულზე, დაახლოებით ანაპამდე. თუ ვერწმუნებით იმ მკვლევარებს,რომელთა მიხედვით ეგროსის ჩრდილოეთ საზღვარი მდ. ყუბანის ზღვასთან შესართავის მარცხენა ტოტია, (მდ. ყუბანია მდ. მცირე ხაზარეთისა), მაშინ თანხვედრაში მოდის ეგროსიანელებსა და კავკასოსებს შორის საცხოვრისი არეალის განაწილება.

მკვლევართა ერთი ნაწილი ასევე ეთანხმება აზრს, რომლის მიხედვით სინდების მეზობლად სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე ეკავათ: კერკეტებს, მოსხებს და ჰენიოხებს.

ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა ტომთა ჩამონათვალის რიგითობას, რომლის მიხედვით განსაზღვრავენ, რომელს რა მხარე უნდა კუთვნებოდა. არ არსებობს არავითარი ცნობა ძვ. წ. ა. III-II ათასწლეულებში მათ შესახებ. არც ისაა ცნობილი ამ ტომთაგან, რომელს რა ტერიტორია ეკავა. გადაწყვეტით მათი კავკასის ტომებისათვის მიკუთვნებაც არ შეიძლება.

მკვლევარებისათვის მისაღებია მხოლოდ ის დებულება, რომ კავკასიური ტომების ჩრდილოეთი ძვ. წ. ა. VI-IV სს. სავრომატები მომთაბარეობენ მდინარეების დონსა და ვოლგას შორის.

დადგენილად ითვლება, რომ სავრომატები ჩრდილოეთ კასპიისპირეთიდან შემოდიან ჩრდილოეთ კავკასიაში. სტრაბონი აღნიშნავს სირაკებისა და აორსების ირანულენოვანი ტომების ბინადრობას ვოლგა-დონის მიდამოებში.

გასახსენებელია სტრაბონის მითითება იმის შესახებ, რომ კავკასიონის მთათა სისტემის მაღალი ნაწილი მიმართულია ალბანთა, იბერთა, კოლხთა და ჰენიოხთა მიწა-წყლისაკენ. ჩრდილოეთ კავკასიონის მცხოვრებ ტომთა შორისაც ჰენიოხებია დასახელებული. გამოდის, რომ კავკასიონის მფლობელ ტომთაგან ჰენიოხებს უკავიათ მთაგრეხილის სამხრეთი და ჩრდილოეთი კალთები. აქედან უკვე საინტერესო ხდება მათი ვინაობა. ისინი კავკასოსის ის ნათესაობაა, რომელთაც სამხრეთი შეუნარჩუნებიათ? ვინ იყვნენ ისინი?

მეცნიერთათვის სადაოს არ წარმოადგენს ის, რომ მეოტებისა და სინდების საცხოვრისიდან აღმოსავლეთით მდ. არღუნის ხეობამდე და ნაწილობრივ კავკასიონის სამხრეთითაც ერთი კულტურაა. ეს ტომები ქმნიან ე. წ. მაიკოპის კულტურულ განშტოებას. იგი მოიცავს ჩრ. კავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებს და სამხრეთითაც იჭრება. მათი შექმნილია მრავალრიცხოვანი დოლმენები. მათი ნახელავი ცნობილია, შემქმნელების ირგვლივ ინტერესი, დავა და ჰიპოტეზები არ წყდება.

დადგენილად ითვლება მხოლდო ის, რომ მათ ჩრდილოეთით სკვითები, შემდეგ კი სავრომატები მომთაბარეობდნენ. აქედან ძვ. წ. ა. VII ს. 70-ან წლებში სკვითები იწყებენ შეჭრას ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ კი ალბანეთის (დერბენტის) კარის გავლით ურარტუს იმპერიას ესხმიან თავს. იმავე პერიოდში კიმერიელები, შავი ზღვის პირის გავლით იჭრებიან მცირე აზიაში.

ცხადია, რომ როგორც კიმერიელები, ასევე სკვითები ჩრდილოეთ კავკასიის მფლობელ ძველ ტომებს პირველ რიგში დაიმორჩილებდნენ, შეავიწროვებდნენ, ნაწილობრივ შეერეოდნენ, შეითვისებდნენ და ისე წამოვიდოდნენ კავკასიონის სამხრეთისაკენ. არც სამხრეთ კავკასიონელებს დაადგებოდათ უკეთესი დღე. მომხდურთა რისხვა არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ მათ მატერიალურ კულტურასაც დაასვამდა დაღს.

კიმერიელებს და სკვითებს, რომლებიც კავკასიონის გავლით წინა აზიის, მათთან შედარებით, ბევრად მაღალი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებს დაერივნენ, მოჰყვნენ სავრომატები. ესენი ადგილობრივთა დარბევით არ დაკმაყოფილებულან. დაიწყეს მათი შევიწროება, და გამოთავისუფლებული ტერიტორიების დაკავება, ადგილობრივების ასიმილირება და შერევა, სადაც ძველი ახლდებოდა და ახალი ძველდებოდა. ამიტომაა ეჭვები, გაურკვევლობა და დაუსრულებელი ძიება, სინამდვილეში ვინ იყვნენ მეოტები და სინდები. მიეკუთვნებიან კავკასოსის მოდგმას დანდარები, ტორეატები, ტარპეტები, კერკეტები, ზიგები და სხვა თუ არა? მით უფრო რომ მათი ლოკალიზება ხდება არა უშუალოდ კავკასიონის მიდამოებში, არამედ უფრო ჩრდილოეთით.

ლეონტი მროველი სამწუხაროდ არ ასახელებს არც ლეკოსიანებს და არც კავკასოსიანებს. მისთვის საკმარისია ამა თუ იმ მოდგმის გენეტიკური ერთობისა და ეთნარხოსის აღნიშვნა. ან შეიძლება ძვ. წ. ა. III ათასწლეულში არ იყო გამოკვეთილად დიფერენცირებული ლეკოსისა და კავკასის მონათესავე ტომები? შეიძლება თარგამოსის შვილების მიმდევარი ტომები არა ცალკე ენების, არამედ დიალექტების დონეზე იყვნენ დაცილებულნი? იქნებ იაფეტიდები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ერთობას? მხოლოდ დასაფიქრებლად: თუ თარგამოსის შთამომავლობა იყო „...დიდი და ურიცხვ“, თუ „ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა“, (ქართლის ცხოვრება, თბ. 1955, ტ. გვ. 4). რატომ მხოლოდ რვა ძე გამოარჩია და მათ დაუყო არა მხოლოდ „წილათ“ ნახდომი, უზარმაზარი სამფლობელო კავკასიონიდან ხმელთაშუა ზღვამდე? ან რა აუცილებლობა იყო კავკასიონის ჩრდილოეთის ათვისება დაეკისრებინა ლეკოსისა და კავკასოსისთვის? რატომ არის, რომ მროველი არსად არ უხვევს ძვ. წ. ა. III ათასწლეულის ვითარებას და არ ასახავს შემდგომ დრონში მომხდარ ცვლილებებს?

დასაფიქრებელია ისიც, რომ წარსულის ბევრი აღმწერელისაგან განსხვავებით, მროველი არ განადიდებს თარგამოსიანელთა ღვაწლს. მისთვის დამახასიათებელია ფაქტის დაფიქსირება შეფასების გარეშე. მშრალი მითითებაა იმის შესახებ, რომ გაყრის (გაყოფის) შემდეგ თარგამოსის მემკვიდრეები ქამის მემკვიდრეების (ქამიტების) მორჩილებაში რჩებოდნენ. აი, რას ამბობს მროველი: გაყრის მიუხედავად თარგამოსიანელები ინარჩუნებდნენ ერთობას და „...ერთობით ჰმონებდეს ნებროთს გმირსა,

რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქუეყანისა“ (გვ.6). და იმდენად ძლიერი იყო ნებროთი (ბაბილონის გოდოლის შენების ინიციატორი), რომ როდესაც თარგამოსიანელები აჯანყდნენ მისი ბატონობის წინააღმდეგ, უფროსმა ძმამ ჰაოსმა არა მხოლოდ ძმებს მოუწოდა დასახმარებლად და დარაზმა ყოველი ნათესავი, „თარგამოსისი“, არამედ, დახმარება სთხოვა საერთოდ იაფეტიდებს. მროველი გვამცნობს, რომ თარგამოსიანელებს „.შეეწივნეს სხუანიცა ვინმე ნათესავნი დასავლეთისანი“ (გვ. 6). ნებროთის (ქამიტების) მხრივ საფრთხე იაფეტიდებმა მხოლოდ საერთო ძალით მოსპეს.

სრულიად განყენებული ფიქრისათვის: იაფეტის პელაზგიური (ჩვენთვის ძველ ბერძნულად ცნობილი) მითოლოგიისათვის იაპეტის (პრომოთეს მამა) შთამომავლები იყვნენ ის „ვინმე ნათესავნი დასავლეთისანი“, რომელნიც არ კარგავდნენ ერთობის გენეტიკურ გრძნობას, შეძლების ფარგლებში ჰქონდათ ურთიერთობა და ქმნიდნენ ერთ ცივილიზაციას.

უფრო ახლო ფიქრისათვის: იაფეტიდები იყვნენ თუბალ-თაბალ-ტაბალი და მეშეხ-მოსოხ, მუსკ-მუშქ (მესხი) ტომები. სადაც თარგამოსიანელთა (ტაბალ-იბერთა) წილი სამფლობელო თავდებოდა, იქ იწყებოდა მეშეხ-მესხთა მიწები დასავლეთით და სადამდე?

ყოველივე ითქვა იმის დასამოწმებლად, რომ იაფეტიდები ათასწლეულების მანძილზე არ კარგავდნენ ერთობის გრძნობას, თუ შორდებოდნენ ტერიტორიულად, თუ დიალექტები ცალკე ენებად ყალიბდებოდა და შიგნით დიალექტები ჩნდებოდა, გენეტიკურ-ფსიქიკური მახსოვრობა ინარჩუნებდა არსებობას და საჭირო შემთხვევაში მიძინებულ გრძნობებს აღვიძებდა.

ივ. ჯავახიშვილი კავკასიონის ჩრდილოეთით მაცხოვრებლებს „საბეირებად თვლის და გვამცნობს „საბერ“ შენახულია ვითარცა სახელწოდება იმ ტომისა, რომელთაც კავკასიის მთები ეკავათ და ჯიქებს ზემოთ ცხოვრობდნენ „საბეირ“-ების სახელით პროკოპი კესარიელი მათ ჰუნების ტომადა თვლის“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1. თბ. 1950, გვ . 403.).ასეთი კონსტატაცია სიცხადეზე მეტ კითხვებს ბადებს, სამწუხაროდ მათზე პასუხი დღემდე არ არსებობს. არსებული კი ნაკლოვანია.

საკითხში სიცხადე ვერც ძველ მკვლევარებს შეაქვთ და არც ახლებისაა უხარვეზო და უეჭველად მისაღები. პრობლემის გადაწყვეტის

მიზნით XIX-XX სს. მკვლევარები არაერთგზის გარჯილან. წერილობითი წყაროების სიმწირის გამო ხშირად მიმართავდნენ დამხმარე მეთოდებს, მაგრამ დღემდე მხოლოდ ჰიპოთეზების დონემდეა წარმატებები. სიცხადისათვის. Красильников Ф.С. წიგნში

„...Кавказ и его обители. М. 1919, ე გვ. წერს: «...существуют предания... что племя «адыге», как называют сами себя черкесы, переселилось с северних берегов Черного и Азовского морей и заняло восточный берег, значительную часть обоих склонов Кавказского хребта и Кубанскую равнину.»

ფ. კრასილნიკოვის ეს დებულება არ ახალია და არც რაიმე უცნაურობის შემცველი. მკვლვართა ნაწილი დღესაც ასაბუთებს ადიღეველების ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ (ყაბარდოელები) გადაადგილების ფაქტს, ამას შევუპირისპიროთ სტრაბონის უტყუარი ცნობა ჰენიოხების შესახებ. სტრაბონის მიხედვით ჰენიოხებს ეკავათ კავკასიონის სამხრეთი და ჩრდილოეთის რაღაცა მონაკვეთი. ამავე აზრს თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილი იზიარებს.

ხომ არ არიან აზოვის მხრიდან სამხრეთით და კავკასიონის სამხრეთითაც დამკვიდრებული ადიღები (ჩერქეზები ...სახელწოდება მრავალია), სტრაბონის მიერ აღნიშნული ჰენიოხები? კითხვა ლოგიკურია. არსებითია, რომ დასაბუთებული პასუხიც ლოგიკური იყოს. საპირისპიროდ საკმარისია თუნდაც ისეთ აღიარებულ ავტორიტეტზე მითითება, როგორიცაა რისმაგ გორდეზიანი. (მეცნიერი, რომლის კვლევითი ფესვები სულმნათ სიმონ ყაუხჩიშვილიდან მოდის). აი, რაზე მიუთითებს იგი ნაშრომში „ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა“ თბ. 1993. 37-ე გვ. იგი წერს „ძვ. წ. ა. III ათასწლეულში საერთო ქართველური ერთიანობის არეალიდან სვანების ჩრდილოეთისაკენ გადაადგილების“ შედეგების შესახებ. მხედველობაშია სვანების მიერ არა კოდორ-რიონის მიდამოების ათვისება, არამედ კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეში დამკვიდრება.

ამრიგად, არის ისტორიულად დაუსაბუთებელი აზრი ჩრდილოეთიდან სამხრეთში (მათ შორის კავკასიონის სამხრეთში), ადიღეველთა გადმოსვლის შესახებ და აზრი სამხრეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში სვანების გადასვლა-დამკვიდრების შესახებ. ამასთან, თუ სვანების ჩრდილო კავკასიაში გადასვლის დრონი ცნობილია ძვ. წ. ა. III ათასწლეული,

ადიღეველთა სამხრეთ კავკასიაში გადმოსვლის დრონი უცნობია. ამ მხრივ ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ თავად ადიღეური წამოშობის ტომების ხსენება (მეოტები, სინდები თუ დადასტურდა მათი ადიღეური წარმომავლობა და ა. შ.) მხოლოდ ძვ. წ. ა. IV-V სს, განეკუთვნება. ამდენად ეს ორი საპირისპირო მოვლენა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და პირუკუ ჩრდილოეთიდან

სამხრეთისაკენ მიგრაციის შესახებ დროთა და ვითარებათა მიხედვით შესაძლებელიც იყო და ისტორიულ ფაქტადაცაა მიჩნეული. აქ მხოლოდ ერთია გასარკვევი: კავკასოსის მოდგმას განეკუთვნებიან თუ არა სვანები და ადიღეველები? რას ნიშნავს ჰენიოხობა და ასეთებად შეიძლება ყოფილიყვნენ ადიღეველები და სვანები?

იმის დადგენა თუ ვინ შეიძლება კავკასის მოდგმას განეკუთვნებოდეს თითქმის შეუძლებელია. საკმარისია მიეთითოს სტრაბონის იმ ცნობაზე, რომ კავკასიაში 70 ტომი ცხოვრობდა, რომელთაც ერთი-მეორისი თარჯიმანის გარეშე არ ესმოდათ და ცხადი გახდება საკითხის სირთულე.არა მხოლოდ სტრაბონი IXს. არაბი გეოგრაფი იბნ ალ ფაკიხ ალჰამადანი 72 ტომს ასახელებს. ის რაც ძვ. წ. ა. III ათასწლეულში ნათელი იყო, კავკასიაში ექვსი თარგამოსიანელი „ძმის“ მოდგმა სახლობდა, ათასი წლის შემდეგ გაურკვევლობას ბადებს. დიოსკურიაში ეგროსისა და კავკასოსის მოდგმა იყრიდა თავს ახ. წ. ა. დასაწყისასთვის. მათ ჩამოსახლებულები ემატებოდნენ და ურთიერთობის გარკვევისათვის 30 ენაზე მოსაუბრეებს თარჯიმანი სჭირდებოდათ. ცხადია, რომ ეს ათეულობით ტომი ყველა კავკასოსის მოდგმისა არ იქნებოდა, იყვნენ ეგროსის და შეიძლება უკვე არა თარგამოსიანელი ტომები.

ძვ. წ. ა. VI ს. მოყოლებული შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნებში აღმოცენებას იწყებენ ბერძნული დასახლებები, რომელთა მიზანი ვაჭრობა, ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენის გავრცელება და ბარბაროსების (მათი თვალსაზრისით) ბერძნულ სივრცეში მოქცევაა. ისინი თავის დასაყრდენს ქმნიან ყირიმის ნახევარკუნძულზე. ძვ. წ. ა. V ს შეიქმნა ბოსფორის სამეფო. მისი დედაქალაქი პანტიკაპეა და ქ. ხერსონი გავლენას ავრცელებენ არა მხოლოდ ჩრდილოეთით მომთაბარე ტომებზე, არამედ ქერჩის სრუტის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე (სინდთა ტომების არეალზე). უფრო სამხრეთით, ეგროსის მონათესავე ტომთა ტერიტორიაზე იქნება ორი ცენტრი, დღევანდელი ბიჭვინთა (პიტიუტის, ახლა

პიცუნდის) და სოხუმის (ადრეული ცხუმის, გვიანდელი დიოსკურიის) სახით. სწორედ ამ სავაჭრო-კულტურულ ცენტრებში იყრიდა თავს 70 ტომის წარმომადგენლები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტომთა სიმრავლე არ ამტკიცებს მოსახლეობის სიმრავლეს, ვთქვათ თუ კავკასის ერგო მთელი ჩრდილო კავკასია თერგამდე და უფრო ჩრდილოეთით განუსაზღვრელი, ახლა დაახლოებით ორი ათასამდე წლის შემდეგ ტომები გაბნეულია ხეობებში და პრაქტიკულად კარჩაკეტილ მეურნეობას მისდევენ, იგივე ითქმის ეგროსის, ლეკოსის და სხვათა მიმათ, ტომის ნაწილი, რომელიც რომელიმე ხეობაში ლოკალიზდება, დანარჩენებს მოწყვეტილი, ენობრივი და ფსიქოლოგიური გაუცხოების გზას ადგება, იძენს დამოუკიდებლობის ატრიბუტიკას და ბევრ შემთხვევაში იმ მთელის წინააღმდეგაც გამოდის, რომლის ნაწილი იყო ადრეულ ხანაში.

კავკასიანების შემთხვევაში ამ ადგილობრივ ტომებს ემატებოდა უცხო წარმომავლობის, ზოგჯერ ძალით და ზოგჯერ ნებით ჩამოსახლებული ტომები. მიმდინარეობდა ჭიდილი და იყო შეკავშირებაც. ურთიერთობების მანძილზე იცვლებოდა ორივე მხარე და ჩნდებოდა შერეული მოსახლეობა. ამდენად, გასაკვირი არაა ჩრდილოეთ კავკასიაში ტომთა სიმრავლე და სიჭრელე.

უკვე აღინიშნა, რომ ძვ. წ. ა. XIII ს-დე კავკასოსის მონათესავე ტომებს გადატანილი ჰქონდათ მძიმე ბრძოლები ახალი ტერიტორიების დაკავებისა და მომთაბარე მომხდურთა მოგერიების მიზნით. ძვ. წ. ა. VII ს. ჩრ. კავკასიის დასავლეთ ნაწილს გადაქელავენ კიმერიელები, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილს სკვითები. ბუნებრივია წარმოვიდგინოთ რა ცვლილებებს მოახდენდნენ ისინი კავკასოსის და ლეკოსის მონათესავე ტომებს შორის. და მაინც არ გაუნადგურებიათ ადგილობრივი ცივილიზაცია. მაინც „გავლით“ და არა „დაფუძნებით“ აღინიშნა კიმერიელების ეს შემოსევა.

მკვლევარების უმეტესი ნაწილი აღიარებს ჩრ. კავკასიის დასავლეთ ნაწილში V–IV სს. სინდთა ტომის გაერთიანების (თითქმის სახელმწიფოებრივი) არსებობის თვალსაზრისს. ასევე მიჩნეულია მისი მოსახლეობის კავკასოსის ტომებთან კუთვნილება. ამ ნიადაგზეა დასაბუთებული ადიღეურ ტომთა კავკასიურ-იბერიულ წარმოშობის ისტო-

რია. შესაძლებელი იყო თუ არა კავკასოსის მონათესავე ტომთა ასე ჩრდილოეთით განფენა?

2. თუ ისინი კავკასის ტომებს განეკუთვნებოდნენ, მაშინ საკითხავია, მროველის მიხედვით (და არა მხოლოდ მისი) თანამედროვე კვლევების თანახმადაც) ეგროსის კუთვნილი მიწები ყუბანის (მდ. მცირე ხაზარეთისა) და ზღვასთან მიერთების მარცხენა მხარეს მოიცავდა. მის მეზობლად ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით კავკასოსის „წილი“ ქვეყანა იყო. ამდენად ამ ადგილებში დაფიქსირებული ტომები შეიძლებოდა ტომთა ამ გაერთიანების ნაწილი ყოფილიყო. ამ აზრს ამაგრებს პტოლემეუსის ცნობა მდ. დონის მიდამოებში იაქსამატების ტომის არსებობის შესახებ. სომხური გეოგრაფია ამ ცნობაზე დაყრდნობით ავითარებს აზრს „ნახჩა მატიანების“ შესახებ. დონის აზოვის ზღვასთან შესართავთან იაქსამატების არსებობა აღიარებულ ფაქტად ითვლება. ასევე კამათს არ იწვევს ვაინახების თვითსახელი „ნოხჩი-ნახჩა“. რამდენად მისაღებია უძველესი სომხური გეოგრაფიის ცნობა იაქსამატების ნახჩა მატიანელობის შესახებ, ეს მომავალი მსჯელობების საგანია. ვარაუდის დონეზე მისი შესაძლებლობის უარყოფა არ გამოვა. მით უფრო რომ სახელწოდება „ნოხჩი“ სავარაუდოდ XII ს. მკვიდრდება. (შეიძლება მანამდე ბრუნვაში სხვა თვითსახელი იყო?) სომხური გეოგრაფიის უძველესი ტექსტი კი XIII ს-ა. შეიძლებოდა თუ არა ახალი სახელის ძველიდან გამოყვანა? ესაც კვლევის საგანია.

რა არის ცნობილი კავკასოსის არეალში მაცხოვრებელი ტომების შესახებ? ძალზე მცირედი. დღეს აქ სახლობს ქართველთა ნაწილი მოხევეების სახით, მათ მეზობლად არიან ე. წ. ალან-ოსები. მათ საკმაოდ დიდი ნაწილი უკავიათ ჩრდილოეთ ცენტრალურ კავკასიაში. მათი ნაწილი სახლობს კავკასიონის სამხრეთში და დღევანდელი მდგომარეობით ქმნის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას. ოსებ-ალანების დასავლეთით ყაბარდო-ბალყარეთია, შემდეგ ყარაჩაი-ჩერქეზეთი, უშუალოდ კავკასიონის გასწვრივ რუსეთის კრასნოდარის მხარე, მაგრამ კავკასოსის არეალში ადიღების კომპაქტური დასახლებაცაა, რომლის ისტორიული მიწები რუსეთის უშუალო კუთვნილებაა.

ვაიანახები? ვაინახები (ჩეჩენ-ინგუშები) ისტორიული ცნობადობის მანძილზე თერგის აღმოსავლეთით, ლეკოსის წილ ქვეყანაში სახლობენ. ეს ბადებს ლოგიკურ კითხვებს: 1. ვაინახები თარგამოსიანელთა

ლე- კოსურ ნაწილს განეკუთვნებიან თუ კავკასისას. 2. თუ ლეკოსისას, მაშინ მათ ოდითგან კუთვნილ მიწაზე უცხოვრიათ და ლეკოსიანები არიან; როდის რა ტერიტორია ეკავათ მათ და როგორ მოხვდნენ თერგის აღმოსავლეთით. იქ სადაც ცხოვრობენ მინიმუმ ორი ათასეული წლის მანძილზე; 3. თუ ისინი კავკასოსის ნათესავ ტომებს განეკუთვნებიან, მათ გარდა ვინ ცხოვრობდა კავკასიონის ჩრდილოეთით, მეოტებისა და სინდების აღმოსავლეთით ლეკოსიანებამდე და რა ისტორიული ბედი ეწიათ? თუ ჭეშმარიტების შემცველია პტოლემეოსის და ძველი სომხური გეოგრაფიის მონაცემები და ვაინახების (ნოხჩი-ნახჩების) ტომი იაქსამატების სახელით იყო ცნობილი (პტოლემეოსისთვის მაინც) და მათ ტანაისის, მდ. ტონის მიდამოები ე. ი. კავკასოსის „წილი“ ქვეყნის ჩრდილოეთი მხარე ეკავათ, მაშინ ვინ სახლობდა მათ ქვევით (სამხრეთში) კავკასიონამდე?

ჯერ საკუთრივ ვაინახების შესახებ.

ეჭვის გარეშეა ვაინახური ჩეჩნებისა და ინგუშების გენეტიკურ-ფსიქოლოგიური ერთობა, სადაც ერთი ენა ურთიერთობის წესია და ერთი ტერიტორია ურთიერთობის არეალი. ის ფაქტი, რომ ჩეჩნები სხვადასხვა დიალექტებზე მეტყველებენ: ითონხალის, შაროს, შატოის, მითხოს, ტერელის და ა.შ. ვერ არღვევს და ამდიდრებს ამ ერთობას. საკუთრივ ინგუშებს შიდა დიალექტური დაყოფა არ ახასიათებთ.

რაც ქართველობა მეზობლობს და ურთიერთობს ვაინახებს, მათი ეთნოსახელი იცვლებოდა. ისტორიულად ისინი ცნობილი არიან დურძუკების(ძურძუკების), ღლიღვების, ქისტების სახელით. სტრაბონი მათ შესახებ ხმარობს ხამეკიტებისა და ისადეკების სახელს. მათი ლოგიკური გაგრძელება იყო ხამხი და სადოი თემების არსებობა. სტრაბონის ტრიგლოდიტები, ხამეკიტები და ისადეკები (ისადოკები) არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა აღიარა ვაინახების შორეულ წინაპრებად. ეს არ ნიშნავს რომ განსჯისათვის საკითხი დახურულია.

ასევე არაა შეწყვეტილი განსჯა ვაინახების კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე მაცხოვრებელ ტომებთან მიმართების ხასიათზე. კერძოდ, გამოთქმულია აზრი, რომ თუშები, ფხოველები (ხევსურები), წანარები (მოხევები), დვალები გაქართველებული კავკასიანებია. მეორე მხრივ არის ვაინახებში ქართლოსის მონათესავე ტომთა ნაშთების ძიების მცდელობა. პროცესი ურთიერთ გამამდიდრებელია, მაგრამ ჯერ ხანობით მაინც ბინდით მოცული. ამ და არა მხოლოდ ამ საკითხებს უეჭველია მომავალი

გენეტიკურ-ფსიქოლოგიური, ლინგვისტური და მათემატიკური კვლევის შედეგები მოჰფენენ ნათელს.

უძველესი ბედი ვაინახებისა (და არა მხოლოდ მათი) კვლავ ლეონტი მროველის „შველას“ მოითხოვს. აი, მისი მონათხრობი: „ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენნა ქვეყანა“. და გარდავლო კავკასია. და იყო ძე მისი სახელით უობოს, და მისცა ძესა თვსსა ტყუე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქუეყანა კავკასის ნაწილი, ლომეკის მდინარისა დასავლით, დასავლეთამდე მთისა“ (ქართლის ცხოვრება, ტ.1. თბ. 1955, გვ. 12).

უპირველეს ყოვლისა, რა პერიოდია ეს? ჩავლილია თარგამოსიანელთა ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებისა და მასთან დაკავშირებული ბრძოლების ხანა. ასევე ჩავლილია ის დრო, როდესაც დასავლეთი საქართველოს გავლით, ჩრდილო-დასავლეთი კავკასიიდან კიმერიელების ტალღამ წინა აზიას უწია, ხოლო სკვითურმა ძალამ ალბანეთის (დარუბანდის) კარის გავლით ურარტუს იმპერიას. ეს კი ძვ. წ. ა. VII-VI საუკუნეებია. იმ დროს ქართლი თითქოს არ დაზარალებულა და ქართლში არც „სომხითის მხარე“ არსებობდა. მაშ რა პერიოდია, როცა მომხდურებმა (მროველი მათ ხაზარებს ეძახის) კავკასიონის სამხრეთი ნაწილიც მოარბიეს და ჩრდილოეთ ნაწილშიც თავისი დასახლება შექმნეს?

უკვე ითქვა, რომ ძვ. წ. ა. V ს. ჩრდილოეთ კავკასიაში მოვიდნენ სკვითური წარმომავლობის დანდარები. მათ მალე მოჰყვნენ სკვითების მონათესავე სავრომატების ტომები. მათ შემოჭრას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მეოტები და სინდები ეწინააღმდეგებოდნენ. სავრომატებს ორი მძლავრი ტომთა გაერთიანება ჰქონდათ: სირაკები და აორსები. სირაკებმა შეძლეს აზოვის ზღვისთვის მიეჯაჭვათ დამხვდურები და სამხრეთით წამოსულიყვნენ. მათგან აღმოსავლეთით მოქმედებდნენ აორსები. ამ ტომებს და ნაწილობრივ დამხვდურებსაც, მკვლევარებმა, სიცხადისათვის, სარმატები უწოდეს. არა კიმერიელები, არა სკვითები, არამედ სარმატები. ეს ირანულენოვანი ტომები ადგილობრივთა (კავკასიანთა და ლეკოსიანთა) დარბევით არ დაკმაყოფილებულან. მათ დაპყრობილ ტერიტორიებზე ჩასახლება იწყეს და არც სხვათა რბევას ანებებდნენ თავს.

მკვლევარების ერთი ნაწილის დასკვნის თანახმად დანდარები გამოჩნდნენ ძვ. წ. ა. V ს., სირაკები და აროსები კი დამკვიდრებას იწყებენ III ს-ან. არის აზრი მათი VI-IV სს. დამკვიდრების მცდელობის შესახებაც.

აქ ერთი ბუნდოვანი საკითხის განხილვაა საჭირო. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ აორსებიდან წარმოსდგა ოვსების ტომის სახელი. არის აზრიც იმის შესახებ, რომ ოსები ძველი კავკასიური ტომია და იგი სხვა კავკასიანებთან ერთად სკვით-სარმატების გამოჩენამდე მკვიდრობდა კავკასიონის ჩრდილოეთით. ასევეა გამოთქმული მოსაზრება, რომ ოსების ტომი კავკასოს-ჰეროსის ტომთა შერევის შედეგია. საფუძვლად მოაქვთ ოსების თვითსახელი ჰირ, ჰირისტონ. თქმა არ უნდა, ჰერ შეიძლება ჰირ-ად გადაქცეულიყო და ბოლოს ჰ-ც შეიძლება ჩამოსცილებოდა. აქ შეუძლებელი არაფერია. საკითხი მსჯელობისთვის ღიაა და კვლევის ახლებურ ხერხებს საჭიროებს.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: სავრომატების, კერძოდ კი აორსების ტომთა გაერთიანების ჩრ. კავკასიაში დამკვიდრების დრო. არ შეიძლება არ გაჟღერდეს გალაქტიონის სიტყვები: „დრო, დრო აღნიშნე“. ისტორიაში დრონის განსაზღვრას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუ „ოვსების, -ჰირ-ირისტინების“ კავკასიურ წარმომავლობას ვაღიარებთ, მაშინ მკვლევარების მიერ მიღებულ თარიღს ძვ. წ. ა. III- II სს. აორსების დაფუძნებისათვის კავკასიაში, საეჭვოს ვერ გავხდით. მეორე შემთხვევაში კი ეს თარიღი მიუღებელი ხდება. აი, რატომ.

1. მკვლევართა კამათს არ იწვევს ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიის ძირითადი თარიღები. კერძოდ კი სპარსეთის მეფე დარიოს კოდომანის დამარცხება და მისი ოჯახის ტყვედ აყვანა. ამ ფაქტმა აიძულა ურარტუს გამოდევნილი მეფე, არიან ქართის მეფე იარედოსის ძე აზონი, ახალ დამპყრობს გასცლოდა და სამეფო ცენტრი მცხეთაში გადმოეტანა. ეს მოხდა ძვ. წ. ა. 332 წ. ამ დროს ფარნავაზი 3 წლის იყო და იგი დედამ მთაში დურძუკებში გახიზნა. აზონმა იპყრა ქართლი, ეგრისი და აღკვეთა ჩრდილოელი მეზობლების თარეში. როდესაც ფარნავაზი დავაჟკაცდა იწყო ბრძოლა აზონის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში სხვებთან ერთად მისი მოკავშირე იყო ოვსთა უფლისწული, რომელსაც შემდეგ და მიათხოვა კიდეც. ეს მოხდა ძვ. წ. ა. IV ს. თუ ამ დროს აორსები (რომლებიც ქართველთათვის „ოვსების“ სახელით იყვნენ ცნობილი) ჯერ შემოსულები არ იყვნენ ჩრ. კავკასიაში, მაშინ ფარნავაზის დახმარებას როგორ შეძლებდნენ? 2. აზონ იარედოსის ძემ არა მხოლოდ დააფუძნა ქართლის სამეფო, არამედ ქვეყანაც გაწმინდა მომხდური ძალებისაგან და იქით შეუტია ჩრდილოელ მეზობლებს. ფარნავაზმა კიდევ უფრო

გააძლიერა, გააფართოვა და განამტკიცა სამეფო (აზონის, იარედოსის, არიან ქართის შესახებ იხ. „იარედოსი“, ფარნავაზის შესახებ „არმაზი“ წიგნში „საჯილდაო“). ცხადია, რომ გაძლიერებულ სამეფოს „ხაზართა მეფე“ იოლად ვერ დაამარცხებდა და ვერც მისცემდა ტყვეებს „სომხითიდან და ქართლიდან“ ძეს უობოს, რომელიც დააფუძნა კავკასის ქვეყნის ნაწილში, ლომეკის (თერგის) მდინარის „დასავლით“. არა და, მროველი გარკვევით ამბობს, რომ თერგიდან დასავლეთით, კავკასიონის მთის დასასრულამდე, სამფლობელოდ მისცეს უობოს და შეიქმნა ახალი „სამეფო“, ახალი ქვეყანა. ეს ცვლილება უნდა მომხდარიყო ძვ. წ. ა. IV ს. შუა ხანებამდე. ამიტომაა გასარკვევი: ვინ, როდის, სად.

მროველი კი განაგრძობს თხრობას: „და დაეშენა უობოს და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისა, ხოლო დურძუკ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა და უწოდა სახელი თვსი დურძუკეთი და მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართასა.“ (იქვე, გვ. 12).

ცნობილია, რომ სავრომატებმა არა მხოლოდ კავკასის კუთვნილი მიწების ნაწილი მიიტაცეს, ჩაესახლნენ და დახარკეს, უფრო მეტი, მათ „სომხითიდან“ (და არა სომხეთიდან) და ქართლიდან მოსახლეობის ნაწილი ტყვედ წაასხეს და ჩრდილოეთში შერეული მოსახლეობა შექმნეს (აორსები, კავკასოსები, ქართლოსიანები). ისეთი მძლავრი ძალა იყო შემოჭრილი, რომ ამ მონაპოვარით არ დაკმაყოფილებულან. ამავე ლაშქრობის დროს, „მასვე გზობასა მისცა მამის ძმისწულსა მისსა ხაზართა მეფემან ნაწილი ლეკანისა, აღმოსავლით ზღვითგან დარუბანდისით მდინარამდე ლომეკისა. და მისცა ტყუე რანისა და მოვაკანისა. და დაეშენა იგი მუნ, რომელ ნაწილი იყო ლეკანისი“ (იქვე, გვ.12).

და ასე გაგრძელდა, გვამცნობს მროველი, ვიდრე სპარსეთი არ შეიქმნა და არ დაიწყო ამ მხარის დახარკვა. ეს ცნობაც ეთანხმება იმას, რომ აღნიშნული მოვლენები უნდა მომხდარიყო ძვ. წ. ა. V-IV საუკუნეთა მანძილზე. (კიროსის მიერ შექმნილი VI ს. სპარსეთის იმპერია IV ს. ალექსანდრე მაკედონელმა გაანადგურა). აღარაა მსჯელობა გასაგრძლებელი იმის შესახებ როდის შეიქმნა ალბანეთისა და სომხეთის სამეფოები ძვ. წ. ა. IIს. და რა ხნით აღიკვეთა ჩრდილოეთიდან თარეში. ყოველივე მიუთითებს ძვ. წ. ა. V-IV საუკუნეებზე.

ამ შემთხვევაში არსებითია ის ცვლილება, რაც მოხდა კავკასოსის კუთვნილ ქვეყანაში და მომძე ტომებში. მოველი გარკვევით აცხადებს, რომ კავკასიანი დურძუკი, იძულებული შეიქმნა თავისი „ნათესაობით“ გადასულიყო თერგს გაღმა და მთის „ნაპრალსა შინა“ დამკვიდრებულიყო. ეჭვი არაა, მთის ნაპრალი დარიალის ხეობაა და თერგის მარჯვენა მხარე. ის მიდამო, რომელიც, „მემკვიდრეობით“ ლეკოსისა იყო, მაგრამ იძულებული გახდა დურძუკისთვის (კავკასის ჩამომავლისათვის) დაეთმო. რთული არაა იმის განსაზღვრა, რომ არც დურძუკი გადასახლებულა თავისი ნებით და არც ლეკოსიანებს დაუთ- მიათ უბრძოლველად. მოველის ცნობიდან გამომდინარე ნათელია, რომ მტრისაგან ძლეულ ლეკოსიანებს დურძუკისათვის „არ ეცალათ“.

ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდა ახალი ძალა, რომლის მიზანი ადგილობრივთა რბევა კი არ იყო, არამედ სასიცოცხლო არეალის მოპოვება.

***

სავრომატების შემოჭრამ და დაფუძნებამ ბიძგი მისცა ძირეულ ცვლილებებს ჩრდილოეთ კავკასიაში. მოგვიანებით ეს მთელ კავკასიონზე აისახა მეოტებისა და სინდებიდან მოყოლებული ლეკოსიანების ჩათვლით და ეგროსის „წილიდან“ მოყოლებული მოვაკოსის „წილის“ ჩათვლით. ახალმა ვითარებამ ძალთა ახალი განლაგება განსაზღვრა. წინასწარ უნდა იქნეს აღიარებული, რომ მომხდურთა (სავრომატების) შეტევა ერთი მიმართულებით არ განხორციელებულა. კავკასიანთა ერთი ნაწილი აზოვისა და შავ ზღვებს მიაჯაჭვეს, ძვ. წ. ა. IV ს. სინდთა ტომები ბოსფორის სამეფოს შეუერთდა, სარმატებისაგან თავდაცვის მიზნით.

შემდეგ იგივე მეოტებმა გაიმეორეს. მეორე ნაწილი (ჩეჩენ-ინგუშების წინაპრები) აღმოსავლეთით განდევნეს და იძულებული გახადეს „მთის ნაპრალში“ შეეფარებინათ თავი, ცხადია ხელუხლებელი არც სამხრეთი მხარე არ გადარჩებოდა.

ვინ იყვნენ კავკასიონის ჩრდილოეთით და თერგიდან (ლომეკიდან) დასავლეთით მაცხოვრებელი ტომები ვაინახების (დურძუკების, ჩეჩენ-ინგუშების წინაპრების, ნოხჩო-ნახჩო, გარგარა, ღალღაი, ღლიღვი, ქისტი და სხვა. სახელი მრავალია, არსი – ერთი.) გარდა? საკითხი უაღრესად რთული და ბევრის მომცველია.

გასახსენებელია ძველ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა ნათქვამი, რომ კავკასიონის ჩრდილოეთში და სამხრეთში ერთდროულად სახლობდნენ ჰენიოხები, კიდევ? წინასწარ გასათვალისწინებელია ძვ. წ. ა. I ს. ავტორის დიოდორე სიცილიელის ცნობა, რომ მომხდურებმა (სირაკებმა და აორსებმა) კავკასოსის „წილი“ ქვეყნის უმეტესი ტერიტორია უდაბნოდ აქციეს, ნაწილი მოსპეს, ნაწილი დაიმონეს, ნაწილი აიძულეს გახიზნულიყვნენ. სამხრეთ კავკასიონელები ცდილობენ მთაგრეხილის გადმოსასვლელების ჩაკეტვას და თავდაცვას, როგორც სავრომატებისაგან (მროველი იტყვის „ხაზარებისაგან“), ასევე კავკასოსის მონათესავე ტომებისაგან.

ძველი მკვლევარები ასევე მიუთითებენ ტომთა მსხვილი გაერთიანებების დაშლაზე და შედარებით წვრილ ერთეულთა მომრავლებაზე ძვ. წ. ა. დასასრულსა და ახალ წელთა აღრიცხვის I-II საუკუნეებში. ასე ჩნდებიან ისტორიის ასპარეზზე კერკეტები, ტორეტები, ზიხებ- ძიგებ-ჯიქები, ახეელები, მოსხები, სანიგები, აბაზგები, აფშილები, მისიმილიანები და სხვა. რაც შეეხება ჩრ. კავკასიის ცენტრალურ ნაწილს, აქ სტრაბონი მხოლოდ გარგარებს ასახელებს, გარგარების ვაინახურ-დურძუკული ნაწილის შესახებ უკვე ითქვა. ისინი კავკასიონის ნაპრალში ჩაესახლნენ. დანარჩენები ან სხვები?

ყველაზე ავტორიტების მქონე სტრაბონი, პლინიუსი, პტოლომეი დანარჩენებში ან სხვებში იალბუზსა და მყინვარწვერს (ელბრუსად და ყაზბეგად ცნობილ მწვერვალებს) შორის ასახელებენ ტალებს (ტალი), აკისი (აკინები), სოდი (სადოი). ტალების დასავლეთით ადრევე ცნობილები იყვნენ ჰენიოხები.

დღევანდელ მკვლევარებში საყოველთაოდ აღიარებული ტალებია. მათ არაორაზროვნად მიაკუთვნებენ დვალებს. ეს ერთი ტომის სახელის ვარიანტებია. კარგა ხანია რაც გაჟღერდა და მსჯელობის ობიექტი გახდა კიდევ ერთი ტომის – წანარების კუთვნილების საკითხი. ამ ორი ტომის წარმომავლობამ და რაობამ პრინციპული ხასიათი შეიძინა. დღეს მათი ვინაობის გარკვევასთანაა დაკავშირებული არა მხოლოდ ეგროსის, კავკასოსის და ქართლოსის (უფრო ზუსტად ამ სახელებთან დაკავშირებულ ტომთა) ურთიერთმიმართების საკითხი, არამედ თანამედროვე ქართველობასა და ალან-ოსთა ურთიერთობების პრობლემაც.

დღევანდელობა ბევრ ეთნოსს აღუძრავს მადას და უბიძგებს სხვისი ისტორიის მისაკუთრებისაკენ. ამას ხელს უწყობს ბევრ ტომთა შესახებ არსებული კონკრეტული ცნობების იგნორირება ამა თუ იმ პოზიციის დაფიქსირების დროს. განსაკუთრებულ სიმწვავეს ამ მხრივ დვალების ეთნიკური რაობის საკითხი ქმნის.

დვალების შესახებ ინფორმაცია სულ ცოტა ძვ. წ. ა. IV საუკუნიდან არსებობს. მივმართოთ კვლავ ლეონტი მროველს, რომლის არც ერთი დებულება არ არის უარყოფილი მეცნიერების მიერ. სულმნათი ჯერ კიდევ აზონ იარედოსის ძესთან დაკავშირებით მიუთითებს: აზონ

„...დაიწყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთითგან და ბერ- დუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა, და მოხარკე ყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი“ (გვ. 19). აზონი ქართლის სამეფო ტახტზე ფარნავაზმა შეცვალა. მან ვრცელი სამეფო ადმინისტრაციულ ერთეულებად დაჰყო და შეეცადა მთის ტომებთან ურთიერთობის დარეგულირებას. მისი მემკვიდრე საურმაგის დროს ადმინისტრაციულმა ერთეულებმა მოინდომეს ცენტრალიზებული მმართველობის მოშლა. ისტორია გვამცნობს, რომ ერისთავები განუდგნენ საურმაგ მეფეს და აიძულეს თავი დედის ძმებისათვის შეეფარებინა დურძუკეთში. საურმაგს ასევე მხარი დაუჭირა მამიდაშვილმა, ოვსეთის მეფის (მთავრის, ბელადის) შვილმა. გამარჯვებულმა საურმაგმა „...განმრავლებულ ყვნა დუძუკნი. ნათესავნი კავკასისნი...“ პოზიციების გამყარებისა და დურძუკებისადმი მადლობის ნიშნად, საურმაგმა „...წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თვსად, დედულნი.“ (იქვე, გვ. 27).

ლეონტი მროველი ერთბაშად რამდენიმე საჭირბოროტო კითხვას სცემს პასუხს: 1. დურძუკნი (ვაინახები) მართალია ლეკოსიანთა „წილ“ ქვეყანაში ჩასახლდნენ, მაგრამ დარჩნენ კავკასიანებად; 2. დურძუკნი მართალია კავკასიანნი არიან, მაგრამ არა ერთად-ერთნი. ისინი მხოლოდ არიან „ნათესავნი კავკასისნი“. 3. დურძუკნი იმდენად ახლობელნი არიან ქართლოსის მოდგმისა, რომ აქ მათი „წარჩინებულად ყვნა“ სრულიად უმტკივნეულო (ბუნებრივი) მოვლენაა; 4. საურმაგმა დურძუკნი დიდოელებს (ლეკოსიანებს) კი არ ჩაუსახლა, არამედ „დიდოეთიდან ვიდრე

ეგრისამდე,“ ე. ი. იმ ტერიტორიებზე, სადაც მკვლევარნი დვალებს (ტალებს) და შეიძლება არა მხოლოდ მათ მოიაზრებდნენ; 5. მთავარი. მკვლევართაგან ცნობილი იყო, რომ სუანები (სვანები) ყველაზე ძლიერ ტომს წარმოადგენდნენ, ისინი ფლობდნენ კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილს (ჰენიოხების მსგავსად), მათ მართავდა 300 არ-ჩეულთა საბჭო, შეეძლოთ გამოეყვანათ 200 000 მეომარი და ამისდა მიუხედავად მათი ცალკე აღნიშვნა გაყრის დროს არ მოხდა.უფრო მეტი, იგივე მროველი, როდესაც იწყებს თარგამოსიანელთა გაყრის პროცესის აღწერას, ამბობს არა ეგრისელთა ეთნარქი ეგროსი, არამედ მეგრელთა. ამით თითქოს ეჭვქვეშ აყენებს მეგრელთა გარდა სხვა ტომების ეგრის-ელობას. ამ დასკვნით ნაწილში კი ცხადყოფს, რომ ეგრისი (ეგროსის კუთვნილი მხარე) არის არა მხოლოდ მეგრელების

,რადგან თავად ეგრისი „...არს სუანეთი“.

მროველის ეს დასკვნა კი თავისთავად მრავლის მეტყველია: 1. თუ ეგრისი სვანეთია, ეგროსი არა მხოლდო მეგრელთა, არამედ სვანების ეთნარქსაც წარმოადგენს; 2. განმარტებას საჭიროებს დებულება, რომ თარგამოსი იყო – არა ეგროსელთა (ისევე როგორც ლეკთა, კავკას-იანთა და სხვ.) არამედ მეგრელთა მამა (ქართლის ცხოვრება, ტ. 1. თბ. 1955, გვ.3) და რომ ეგრისი „... რომელ არს სუანეთი“ (იქვე, გვ.

27). ამ დებულებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუ გამოირიცხე-ბა იმის დაშვება, რომ ტექსტში შეიძლება მოხვდა ცვლილება და უნდა ყოფილიყო არა „მეგრელთა“, არამედ „ეგროსელთა“ მამა, მაშინ საკითხი ნათელი ხდება. სხვა შემთხვევაში მხოლოდ იმის დაშვება შეიძლება, რომ ძვ. წ. ა. III ათასწლეულში მეგრელები სვანებისაგან ბოლომდე გამოყოფილ (ენობრივად) ტომს წარმოადგენდნენ და მხოლოდ ისინი იგულისხმებიან ეგროსელებში. ასეთ შემთხვევაში სვანები უკვე აღარ იანგარიშებოდნენ ეგრისელებად და საჭირო გახდებოდა მათზე, როგორც კავკასის მოდგმის ტომზე მსჯელობა. მროველი კი გარკვევით ამბობს, რომ საურმაგმა დურძუკნი დასხა „ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“, ე. ი. სვანეთი არის იგივე ეგრისი. ეს კი გარკვევით იმაზე მითითებაა, რომ როდესაც თარგამოსმა ეგროსის „წილი“ ქვეყანა შემოსაზღვრა, იქ მეგრელებისა და სვანების ერთობა იგულისხმებოდა და არა სხვაობა. აუცილებელია კიდევ ერთხელ იქნეს გახსენიებული მროველის ცნობა ეგროსის საცხოვრისის საზღვრის შესახებ. აღმოსავლეთით ეგროსის

სამფლობელო ლიხის მთამდე ვრცელდებოდა, დასავლეთით ზღვამდე. ჩრდილოეთი ამ ორი წერტილის გაყოლებით უნდა გავრცელებულიყო და მისულიყო იმ წერტილამდე, სადაცაა მდ. მცირე ხაზარეთისა. მაგრამ საინტერესოა, რომ მროველი მთელ მდინარეს ასახელებს და არა მხოლოდ შესართავს, ან შუა წელს, ან სათავეს. ასევე მიიჩნევს რომ ამ მდინარესთან „წარსწუთების წუერი კავკასისა.“ კავკასიონს მრავალი არა მხოლოდ თოვლიანი მწვერვალი აქვს, არამედ წვერი-ც. შეიძლება მსჯელობა მის დასავლეთ ან აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ ან სამხრეთ წვერებზე ე. ი. მის დასაწყისზე ან დაბოლოებაზე (რაც იგივეა). ამ შემთხვევაში კი საუბარია მდ. მცირე ხაზარეთისა, რომელიც არის ეგროსელთა ჩრდილოეთი საზღვარი და სადაც „წარსუთების წუერი კავკასისა.“ (ხომ არაა ეს „წუერი“ იალბუზი?)

ლიხის მთა, დასაწყისშივე ითქვა, რომ გამოდის კავკასიონიდან და თითქმის პერპენდიკულარულად მიემართება სამხრეთისაკენ. იგი კვეთს საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად არა მხოლოდ ბარში, არამედ მთაშიც. კავკსიონის მთაგრეხილი ასევე შეიძლება პირობითად გაიყოს დასავლეთ საქართველოს კუთვნილ და აღმოსავლეთის კუთვნილ ნაწილებად. შესაბამისად, ეგროსის „მამულების“ აღმოსავლეთი საზღვარი კავკასიონის მთაგრეხილის დასავლეთ ნაწილსაც მოიცავდა. შემდეგ იგი მისდევდა მდინარეს „მცირისა ხაზარეთისა“. მკვლევართა მნიშვნელოვან ნაწილს სადაოდ არ მიაჩნია, რომ ესაა დღევანდელი მდ. ყუბანი, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის ერთ-ერთი „წუერის“ „წარსწუთების“ ადგილას, მიიმართება ჩრდილოეთით, უხვევს დასავლეთით და ორ ტოტად უერთდება ზღვას. მდინარის ზღვასთან შეერთებს ადგილიც არაა საკამათო. მროველი საზღვარს მდინარეზე დებს და არა მის ჩრდილოეთით.

ეს შედარებით ვრცელი განმარტება მოითხოვა ძირითადი საკითხის გარკვევის მცდელობამ: კავკასის მოდგმის რომელი ტომები სახლობდნენ კავკასიონის ჩრდილოეთ ნაწილში მდ. ყუბანსა და თერგს შორის? უკვე აღინიშნა, რომ სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემეუსი იალბუზსა და მყინვარწვერს შორის, სხვანაირად მდ. ყუბანსა და მდ. თერგს შორის, კავკასიონის ჩრდილოეთ ნაწილში ასახელებენ ტალებს ანუ დვალებს. დვალები კავკასის ჩამომავალი ტომია. მაგრამ მათ დასავლეთით? მსჯელობაც ეგროსის მიწების ჩრდილოეთი საზღვრის შესახებ გამოწვეული

იყო იმ აუცილებლობით, რომ იგი ერთად ერთი იყო რვა ძმას შორის, რომელსაც „მამისგან, თარგამოსისგან“ „მემკვიდრეობით ერგო“ კავკასიონის ჩრდილოეთი ნაწილი და შესაბამისად ეგროსელებით დასახლებული. (გავიხსენოთ, რომ ქართლოსის „წილის“ ჩრდილოეთ საზღვარი კავკასიონამდე ვრცელდებოდა, ჰეროსისა კი „ტყეტბამდე“ ანუ გულგულამდე[1]. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ თარგამოსიანელთა შორის მიწების ასეთი განაწილება იქ უკვე მაცხოვრებელი ტომების რაობის გათვალისწინებით მოხდებოდა და ხელაღებით ძველებს ახალ ტომებს არ ჩაუსახლებდნენ, ამით „სამოქალაქო“ ომს სათავეს არ დაუდებდნენ.

ამრიგად, როდესაც ლეონტი მროველი შთამომავლობას ამცნობს ფარნავაზის მემკვიდრე მეფე საურმაგის მიერ დურძუკთა „მთიულეთს“ ჩასახლების ფაქტს, მას მხედველობაში აქვს სვანეთამდე (ეგრისამდე) ტერიტორია, სადაც დვალები მოსახლეობდნენ. აქ კიდევ ერთი ცნობა იპყრობს ყურადღებას. მროველი დურძუკებზე საუბრობს, როგორც „... ყოველთა კავკასის ნათესავთა“ ნახევარ-ზე. იმ ნახევარზე, რომელიც მეტისმეტად იყო შევიწროებული ყოველი მხრივ და რიცხოვნობის კვალობაზე საარსებო არეალი არა ჰყოფნიდა. დურძუკნი ჩაასახლა დურძუკეთიდან სვანეთამდე, მაგრამ სამხრეთი და ჩრდილოეთი საზღვრები მხოლოდ ერთი სიტყვითაა განსაზღვრული – „მთიულეთს“. შესაბამისად საჭირო ხდება ამ „მთიულეთის“ სავარაუდო საზღვრების კვლევა.

არა დღევანდელი, არამედ მროველის მიერ მითითებული „მთიულეთი“ რა ფარგლებშია საძებარი? თუ დავეთანხმებით მოწოდებულ აზრს, იმის შესახებ, რომ „მთის ნაპრალში ჩაჯდომამდე“ დურძუკები (ვაინახები) თერგის დასავლეთით სახლობდნენ, კავკასის ნათესავთა მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდნენ, მაშინ საძებარია, ვინ იყვნენ დანარჩენნი. მროველი გარკვევით მიუთითებს „ხოლო შვილთა ზედა კავკასისთა იყო უფალ დურძუკ, ძე ტირეთისი“ (იქვე, გვ. 11.), რა გამოდის ნათქვამიდან თუ არა ის, რომ დურძნუკნი (ვაინახები) ტომთა დიდი გაერთიანების ნაწილს წარმოადგენდნენ. და როდესაც ვაინახები იძულებულნი გახდნენ

1. ტყეტბა ანუ გულგულა – შეიძლება გაირკვეს მოვსეს კალაკანტუელის მიხედვით. როცა ალვანთა ქვეყნის ქართველებთან საზღვარს ეხება, იგი ქ. ხალხალას ასახელებს. მკვლევართა ნაწილის აზრით, ხალხალა მდებარეობდა დღევანდელ ნუხსა და განჯას შორის. გეოგრაფიულად აქ იყო ტყეტბა, რომელიც ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული.

სამშობლო მიეტოვებინათ და ახალი ეძებნათ, ბუნებრივია, რომ არც დანარჩენ ნაწილს ჰქონდა მშვიდობიანი ყოფა, ისინიც შევიწროებულნი, შეიძლება ნაწილობრივ მოსპობილნი და განდევნილნი იქნენ.

უკვე იყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ მეოტები და სინდები ზღვასთან გამაგრდნენ, ბოსფორის სამეფოს „მიეკედლნენ", წვრილ ტომებად დაიყვნენ, ეგროსის წილ ქვეყანაში ჰპოვეს თავშესაფარი. სხვანაირად მთებში შეიკეტნენ, (ამ მხრივ მომავალი კვლევის საგნად რჩება ამ ტომთა კავკასობის საკითხი: რამდენად იყვნენ ისინი კავკასიანნი, ხომ არაა მათში იბერიულ-კავკასიური შეძენილი და ა. შ.). ცხადია, იგივე პროცესები სამხრეთითაც განვითარდებოდა და გასაკვირი აღარაა დვალების მთებში ჩაკეტვა.

ითქვა, რომ თარგამოსიანელთა (და არა მხოლოდ კავკასიანთა) დაცემა VI-IVსს. შორის უნდა მომხდარიყო. ძვ. წ. ა. IV ს. აზონმა შეიძლო და არა მხოლოდ ქართლის სამეფო დააარსა დედაქალაქით მცხეთა, არამედ „...დაიწყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთითგან და ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა, და მოხარკე ყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი" (იქვე, გვ. 19). ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ როდესაც აზონმა მძლავრი სამეფო შექმნა (პრაქტიკულად ურარტუს სამეფოს გაგრძელება, რადგან თავად ამ მეფეთა შთამომავალი იყო და არიან ქართიდანაც ანუ ურარტუს ქართიდანაც მრავალი თანამემამულე ქართლში ჩამოასახლა), მან ჩრდილოეთით კავკასიანებს დვალების და ჩრდილოეთის ეგრისელებსაც განვითარების მეტი საშუალება მისცა.

თუ მან „მოხარკე ყვნა"ოვსები და ზოგადად „ხაზარნი", მაშინ ცხადია დვალებს და სვანებს (ეგრებს) კუთვნილ მამულებსაც დაუბრუნებდა. ასე, რომ როდესაც საურმაგმა დურძუკები ჩაასახლა სვანეთამდე, ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ეს მაღალ მთებში მოხდებოდა. რატომ არ უნდა ვივარაუდოთ რომ ეს კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეში მყოფ დვალებს შორის მოხდა?

ამრიგად, გამოკვეთილი კავკასიონის ჩრდილოეთით მოსახლე ტომებია ვაინახები და დვალები. დასავლეთით, ზღვასთან ახლოს, მდ. ყუბანის ქვემო წელზე დამკვიდრებული მეოტი და სინდი წარმოშობის(დღევანდელი გაგებით ადიღეური) ტომების რაობის გარკვევის შემდეგ წარმოსდგება სრული სურათი. თუ დადასტურდა მათი კავკასისგან წარმომავლობა,

მაშინ ცხადი გახდება, რომ დონის მხრიდან შემოჭრილმასირაკებმა და აორსებმა ერთი-მეორეს დააშორეს მონათესავე ტომები და სათავე დაუდეს მათ გაუცხოებას. რაც შეეხება აღმოსავლეთში დარჩენილ კავკასიონებს, საურმაგ მეფის მიერ ვაინახების (დურძუკების) დვალების საცხოვრისში ჩასახლებამ, პირიქით გააძლიერა მათი ერთობა და შეიძლება ამიტომაც შეიძლეს დვალებმა 18 ს. ბოლომდე თვითმყოფადობის შენარჩუნება, ხოლო ვაინახებმა თანამედროვე პირობებშიც ორი სახელმწიფოებრივი გაერთიანების შექმნა.

არც ვაინახებს და არც დვალებს ისტორიის ბედუკუღმართობამ არ დააცალა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა. ამის მიუხედავად ვაინახებმა შეძლეს ენობრივ-კულტურული და ყოფაცხოვრებითი თვითმყობადობის შენარჩუნება. მართალია მათ თერგის მარცხენა ნაპირზე ტერიტორიები დაკარგეს, მაგრამ აღმოსავლეთით ბარში და მთების ხეობებში განფენაც შეძლეს. როგორც წესი ხეობებში და სოფლებში ჩასახლება სისხლით ნათესაობის მიხედვით სწარმოებდა, რაც ხელს უწყობდა თემური მფლობელობის შენარჩუნებას. ამიტომაა, რომ ფეოდალიზმის ელემენტები გვიან IX ს. მკვიდრდება, ხოლო განვითარებული ფეოდალიზმის დონემდე ურთიერთობანი არასოდეს არ ასულა.

ვაინახების სახლობა სისხლით ნათესაობის მიხედვით, არ გამორიცხავდა შერეული ოჯახებისა და გვარების არსებობას. ასეთი დაყოფა, ერთიანი პოლიტიკური ცენტრის არ არსებობის პირობებში თითქოს თემებისა და ხეობების მაცხოვრებელთა არაორგანიზებულობაზე უნდა მიუთითებდეს, მაგრამ იყო პირიქით. სწორედ მკაცრად განსაზღვრულმა ორგანიზებულობამ შეაძლებინა მცირერიცხოვან ვაინახებს გაეძლოთ და გადაეტანათ შეუწყვეტელი შემოტევები. აორსების, ალანების, ხაზარების, მონღოლების და სხვ. მომხდურთა მხრივ. მხოლოდ თემურ ლენგმა რვაჯერ ილაშქრა და ცეცხლითა და მახვილით მიაღებინა ისლამის რელიგია ქრისტიანობის გზაზე შემდგარ ვაინახებს. მიუხედავად სიმძლავრისა და სისასტიკისა ლენგ-თემურმა დარიალი ვერ აიღო. ვაინახებს შინაგანმა ორგანიზებულობამ გადააატანინა ეს საფრთხე.

საუკუნეთა მანძილზე ვაინახებს ბევრი ლაშქრობაც მოუწყიათ და საქართველოს ლაშქარში დაქირავებული მეომრების თუ მოკავშირეების სახით მონაწილეობა მათი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროც იყო. მთაში ცხოვრების მკაცრი წესი თავისუფლებისმოყვარედ და მებრძოლად

აყალიბებს ადამიანს. სუსტი ვერ ძლებს და მონად არ იბადებიან. ამიტომ იყო, რომ ყველა დამპყრობთა შორის ყველაზე მოხერხებულმა რუსებმაც ვერ დაიმორჩილეს და ვერ მოინადირეს ვაინახები. (დასამოწმებლად გასახსენებელია რესეთის იმპერიის შემქმნელის პეტრე დიდის ნათქვამი: რუსის მუჟიკი ისეთი მოხერხებულია, რომ ერთი მუჟიკი ორ ებრაელს ყოველთვის მოატყუებსო. მამით ქართველი პეტრე, დედით, აღზრდით, გაგებით რუსი იყო და კარგად იცოდა მათი ბუნება.

ერთი მხრივ მთიელთა (მათ შორის ვაინახთა) თავისუფლების მოყვარეობა და მეორე მხრივ რუსთა (მთავრობის დონეზე მაინც) ვერაგობა და გაუტანლობა ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე იბრძვის კავკასიაში. სწორედ მათგან გავრცელდა დღევანდელი სახელმწოდება: ჩეჩნები და ინგუშები. ქართველები კი არა მხოლოდ ჩრ. კავკასიაში მაცხოვრებელ ვაინახებს, არამედ თუშეთ-კახეთის მხარეში შემოხიზნულებსაც ქისტის სახელით იცნობდნენ, ემტროდნენ, ემოყვრებოდნენ, შერეულ მოსახლეობასა და გვარებს ქმნიდნენ.

განსაკუთრებით განმტკიცდა ქართველთა და კავკასიელთა კავშირები ჯერ ყივჩაღების, შემდეგ კი მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. იმასაც ადასტურებენ, რომ ეს კავშირები 15 ს. ჩათვლით იყო შეურყეველი და რომ არა თემურ ლენგის ამომძირკვავი თარეში, რომელსაც მუსულმანობის დამკვიდრება მოჰყვა, შეიძლება ერთობა არც დაირღვეოდა. (ცნობისათვის: როცა ორი ეთნოსის წარმომადგენლები ერთად აღნიშნავენ დღესასწაულებს ეს სულიერი კავშირის მანიშნებელია.საერთოდაც უაღრესად საყურადღებოა ვაინახებში ათინაგი-ს და ხევსურებში ათენაგენობის ფესვები და არსი. ხომ არაა ეს წარმართული ათენა ქალღმერთისადმი მიძღვნილი?).

თავისუფლბისათვის ბრძოლა უშედეგო არ რჩება ისეთი მცირერიცხოვანი ეთნოსისათვისაც კი როგორსაც ვაინახები წარმოადგენდნენ. საბჭოთა იმპერიის რღვევამ ვაინახების ინგუშურ ნაწილს საშუალება მისცა პირველად არსებობის ისტორიაში შეექმნათ სახელმწიფოებრივი გაერთიანება.

ისტორიისათვის კარგადაა ცნობილი ვაინახების საერთო ტრაგედია, რომელიც მათი სამშობლოდან გასახლებით დაგვირგვინდა. (სამწუხაროა, რომ ამ ტრაგედიას რუსეთის შოვინისტურ პროპაგანდას აყოლილები ი. სტალინის ან ლ. ბერიას, ანუ ქართველების ნამოქმედრად თვლიან და

არ უკვირდებიან, რომ ეს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მხოლოდ ერთი სადამსჯელო ოპერაცია იყო იმ წინააღმდეგობისათვის, რასაც ვაინახები უწევდნენ დამპყრობელს 1785 წ. მოყოლებული, როცა შეიხმა მანსურმა გაზავათის მოწოდება გაახმოვანა). ცნობილია, რომ ინგუშების ტერიტორიის ნაწილი 1957 წ. რეაბილიტაციის შემდეგ ოსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში დარჩა. ინგუშების მოთხოვნას, ამ სივრცის დაბრუნების შესახებ, რეალური შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, გროზნოში გამართულ მიტინგებს წაგლეჯილი ტერიტორიების დაბრუნების შესახებ, მოსკოვისაგან წაქეზებულმა ოსებმა მათი ტერიტორიებიდან ინგუშების საერთო განდევნით უპასუხეს. 1981 წ. ოსებმა საგანგებო ზომების გატარება დაიწყეს. საბოლოო ანგარიშით ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზიდან საერთოდ გაასახლეს რამდენიმე ათეული ათასი ინგუში. დედაქალაქის ის რაიონი, რომელიც ადრე ინგუშებს ეკუთვნოდათ, მათთვის აკრძალულ ზონად იქცა. საქმეს არც რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებამ უშველა, რომლის მიხედვით ინგუშების რეაბილიტაცია ბოლომდე უნდა განხორციელებულიყო. 1992 წ. 4 ივნისს გადაწყდა ინგუშეთის რესპუბლიკის ფორმით რუსეთის ფედერაციაში გაერთიანება. არც ამან უშველა. ინგუშებმა ვაინახთა ჩეჩნურ ნაწილს შეგნებულად არ დაუჭირეს მხარი რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს, იმედი არ გამართლდა, მოსკოვმა მაინც ოსების მხარე დაიჭირა.

შემთხვევითია? არა, რადგან იმპერიის ცენტრმა კარგად უწყოდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მისი პოლიტიკის ბოლომდე ერთგული მხოლოდ ოსები იქნებოდნენ. (ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიაში სომხები). ისტორიული ტენდენცია სხვა რაიმეზე არ მიუთითებს. ოსები ერთგულობდნენ ყველა მომხდურს, ვისაც კავკასიის დაუფლება სურდა. ასე იყო, ასე არის, ასე იქნება. ამიტომ დამთავრდა მარცხით ინგუშების ბოლო გაბრძოლება 1992 წ. ოქტომბრის ბოლოს.

ვაინახების ჩეჩნურ მხარესაც არ მოსვლია ნაკლები ზარალი. მოსკოვმა ვერ აპატია მცირერიცხოვან ეთნოსს ჯერ სუვერენიტეტის გამოცხადება 1990 წ. გროზნოში გამართულ ეროვნულ ყრილობაზე და შემდეგი წლიდან რეალური სუვერენიტეტის მოპოვების მცდელობა.

1991 წ. 10 ნოემბერს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას სადამსჯელო ღონისძიებები უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა. რუსეთ-ჩეჩნეთის ორი შეჯახება უკანასკნელთა მარცხით დასრულდა. ჩეჩნეთის მოსახლეობა განახევრდა.

ობიექტური შეფასებით, რუსეთ-ჩეჩნეთის ომი არ დასრულებულა არა 1992 წლიდან, არამედ 1785 წლიდან მოყოლებული. იგი საერთო კავკასიურ ომში გადაზრდის ტენდეციის შემცველია და ასეც მოხდება, რაც შემცირებული იმპერიის კიდევ უფრო დამცრობას გამოიწვევს. უეჭველად გამართლდება საბჭოთა იმპერიის შემქმნელის ვ. ლენინის ნათქვამი, რომ: იმპერიები ანაქრონიზმია და დასაღუპად განწირულები. ასე იყო, ასე არის, ასე იქნება.

მანამდე კი საჭიროა კავკასიონის მკვიდრთა წარსულის, აწმყოს, ურთიერთმიმართების განსაზღვრა. ეს არაა მარტივად გადასაწყვეტი პრობლემა. მათ შორის ერთი ცენტრალურთაგანია დვალების ეთნიკური კუთვნილები საკითხი.

***

მკვლევართა შორის დვალების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ აზრთა ერთობა არაა. ერთნი მიიჩნევენ, რომ დვალები წარმოშობით, ყოფით, დღევანდელი ეროვნული კუთვნილებით, ოსებია. დადასტურებულად მიაჩნიათ ასეთი დებულება რუსი და საკუთრივ ოსი მკვლევარების დიდ ნაწილს. მეორეთა აზრით დვალები ქართულ ეთნოსთან უნდა იყოს ორგანულად დაკავშირებული. მესამენი (ლეონტი მროველი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ.), დვალებს კავკასოსის უძველეს ტომთა გაერთიანებას მიაკუთვნებენ.

დვალების ტომის ისტორია მწირ ცნობებს შეიცავს, მაგრამ საკმარისს, რათა ითქვს, რომ მათი წარსული კავკასის ტომთა გაერთიანების გარდა სხვას არავის უკავშირდება. ყოველ შემთხვევაში არ არსებობს წყარო, რომელიც მათ ოსური (ალანურ) ეთნიკურ წარმომავლობაზე მითითების შემცველი იქნებოდა. ეს ბუნებრივია, რადგან კავკასიანების ამ გეოგრაფიულ არეალში დამკვიდრება ძვ. წ. ა. მესამე ათასწლეულს განეკუთვნება, ოვსებისა კი ძვ. წ. ა. IV საუკუნეს. საწინააღმდეგოს მტკიცებულებად რამდენად გამოსადეგია ვახუშტი ბატონიშვილის აზრი ოსების სახელწოდების წარმომავლობაზე, ჯერ კიდევ დასადგენია. აი, რას ბრძანებს იგი: „ქუეყანა ესე, რომელსა აღვსწერთ, წილხდომილ არს კავკასისა, ძისა თარგამოსისა“ (ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ, 1973, გვ. 632). აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „ხოლო კავკასოს დაიპყრნა ქუეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პონტოს ზღუა-

მდე, კავკასის მთის ჩრდილოთი ველითურთ, და ამისგან ეწოდა მთასა კავკას და ველსა ოსი“ (იქვე, გვ. 632). რამდენად მისაღებია ასეთი მარტივი (უფრო პრიმიტიული) ახსნა, დასაფიქრებელია. ამ შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ ავტორი არა მხოლოდ დვალებს მიიჩნევს კავკასოსის მოდგმად, არამედ ოსებსაც. ამით გარკვეულად ეხმიანება ოსთა (ჰირ, ჰირისტინ, ირისტინების) ჰერ-კავკასის მოდგმის ტომების შერევის შედეგად ჩამოყალიბების ვერსიას. ამ ვერსიას არა მხოლოდ არსებობის უფლება აქვს, არამედ ობიექტურ მკვლევართა ყურადღებასაც საჭიროებს.

ვახუშტი ბატონიშვილი კი ასეთ ახსნას იძლევა: შემოსეულმა მტერმა, (საფიქრალია, რომ მხედველობაში სავრომატების სირაკებისა და აორსების ტომები იგულისხმება) დაარბია არა მხოლოდ კავკასიონის ჩრდილოეთი, არამედ სამხრეთიც. ამ წყაროს მიხედვით „ურბანოსმა“, სადაო არაა, მხედველობაშია ლეონტი მროვლეის „უობისი“, ტყვე ქართლ-სომხითარნი დაასახლა კავკასის ტომთაგან წართმეულ ბარის ადგილებში და თავის სამფლობელოს „უწოდა ოვსეთი“ (იქვე, გვ. 632). ასევე, დაპყრობილი მხარის მთიან ნაწილს „უწოდა დუალეთი“, რაც მის მშობლიურ ენაზე ნიშნავდა „ორი წელიწადი“. წყაროში ნათქვამია: „... ხოლო არაგს დასავლით, რომელ არს მდინარე ლომეკი და აწ თერგი, რომელი დის ხევიდამ კავკასთა შინათა, უწოდა დუალეთი“ (იქვე, გვ. 633).

რამდენად დასაბუთებული და სარწმუნოა ოვსეთისა და დვალეთის ისტორიის ასეთი გადმოცემა ისეთივე დამაფიქრებელია, როგორც გამოყენებული წყაროების რაობა.

ვახუშტი ბატონიშვილი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ დვალეთი არ შედიოდა ოვსეთის შემადგენლობაში, საკუთრივ ოვსეთი კი ოსებთან (ან აორსებთან) ერთად ქართულ მოსახლეობასაც შეიცავდა. აი, როგორ ახასიათებს იგი შექმნილ ვითარებას: „ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზს ძურძუკეთი და დუალეთი, და სხვანი ხევნი იგი დაშთნენ მეფეთა ოსთასა და იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე“. (იქვე, გვ. 633). რა დასკვნა გამომდინარეობს ნათქვამებიდან თუ არა ის, რომ 1. სავრომატებისაგან ოტებულნი კავკასიანნი (დურძუკები, დვალები), მონათესავე ქართთა ტომის (სამეფოს) გავლენის ქვეშ მოექცნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მის ფუნქციონირებაში; 2. საკუთრივ ოვსეთი არ იყო

მხოლოდ საერომატებით (აორსებით და არა ალანებით დასახლებული, რადგან უკანასკნელნი მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემ- დეგ ჩნდებიან ჩრდილოეთ კავკასიონში) დასახლებული. აქ სავარაუდოა, რომ კავკასიან-ების ნაწილი დარჩა მონების თუ სხვათა ფორმით და რაც არსებითია ჩასახლებულ ტყვეთა რაოდენობა უკვე შერეულ მოსახლეობას ქმნიდა. ამასთან, რამდენადაც საყოფაცხოვრებო-სამეურნეო და ზოგადი კულ-ტურის დონე შედარებით დაბალი იყო, დაპყრობილთა უკუზემოქმედება მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა შემდგომი განვითარების პროცესებში. დასტურად ნათქვამისა, მივმართოთ კვლავ ბატონიშვილს. მის მიერ მო-ცემული სურათი ასეთია: „არამედ დუალეთიცა განიყოფის ხევ-ხევებად და იწოდების ხევნი ესრეთ: კასრის ხევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად. ხოლო რომელნი დაშთნენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, და სახელნი ესენი ეწოდნენ ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან.“ (იქვე, გვ. 633).

ამ შემთხევაში საყურადღებოა არა საკუთრივ ოვსეთის „ხევთა“ ქართული წარმომავლობა, ბასიანი, ქურთაული, თაგაური და ა. შ. საკ-მარისი იქნებოდა გახსენება იმისა, რომ კავკსიონის სამხრეთში არის დიდგორი, იქით კი დიგორი. საყურადღებოა დვალეთის ხეობათა სახელ-წოდებანი. რომელი არაა ქართული ტოპონიმი? არსს ვერ შეცვ- ლის ის, რომ დვალეთში ხევს ეწოდება ზახა, ხოლო არაგვს ხეობაში ზემო თუ ქვემო ჯახა.

ის ფაქტი, რომ დვალეთი ძვ. წ. ა. IV საუკუნიდან მოკიდებული ქართს, იბერიის სამეფოს, ქართლის სამეფოს ,სამთავროს, შემდეგ საქა-რთველოს სამეფოს დაუკავშირდა და გარკვეულწილად გაქართველდა არ ნიშნავს დვალთა გადაშენება-გადაგვარებას. უფრო მეტი, XVIII ს. დვალები, ბატონიშვილის დახასიათებით „კუალად არიან, ვითარცა უწიგნონი, უცოდინარნი. ენა აქუთ ძველი, დუალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად...“ (იქვე. გვ. 639). ნიშანდობლივია, რომ დვალებმა ბოლომდე შეინარჩუნენ ენა „დუალური“, იმის მიუხედავად, რომ ფართედ ვრცელდებოდა ოსური მეტყველება. ეს კი საკუთრივ ოსების ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგი იყო, რადგან ოსეთის სამეფო-სამოსახლო დაკავებული იქნა ადიღეური წარმომავლობის ყაბარდოელთა მიერ და ისტორიულ ოსეთს ეწოდა ყაბარდო, ხოლო საცხოვრისიდან აყრილმა

ოსებმა მთის ხეობებს მიაშურეს, მეზობელი დვალები და ქართველებიც შეავიწროეს და პრაქტიკულად ოსეთი ახალ საზღვრებში მოაქციეს. ამ ცვლილებებს იმ დრონის მკვლევარი ასე გადმოსცემს: „ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკსიას შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდად, და კავკასიასა შინა მყოფნი, მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა გუარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხუათა უგურაოთა-კუალად დუალადვე“ (იქვე, გვ. 634). ფარნავაზიდან მოყოლებული დვალეთი მტკიცედ დაუკავშირდა ქართლს და როგორც მისი მთიანი მხარე აქტიურად მონაწილეობდა სამეფო-ქვეყნის ცხოვრებაში. ამავე დროს დვალები ავტონომიას ინარჩუნებდნენ კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში. მეორე მხრივ, დვალები ციხე-სიმაგრეთა სისტემით იყვნენ გამოყოფილნი ოვსეთის ქვეყანას და საქართველოს ჩრდილოეთის მოთარეშეთაგან იცავდნენ. წყარო გვეუბნება, რომ აქ „...ძუელად არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვითკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს იტყვიან თვით იგინივე, თამარ მეფისაგანა“ (იქვე გვ. 640). მხოლოდ ინტერესისათვის: ცნობილია, რომ გიორგი სააკაძე, ქართლის მოურავად დანიშვნისთანავე, გადავიდა დვალეთს და ოსეთისაგან გამყოფი ციხე-კოშკების გამაგრება დაიწყო. აი საილუსტრაციოდ: „ხოლო კასრის კარი არს ქუემი ზრამაგას ქუეთ, სად მივიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა, და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა. და არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა ...რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“. (იქვე. გვ. 645).

„ხოლო კასრის ხევის დასავლეთი არს დიგორი“ (იქვე. გვ. 649).

ამ მცირე მიმოხილვის მიზანია იმის დადასტურება, რომ დვალები ეთნიკური წარმომავლობით თარგამოსიანელებია, მაგრამ არც ძირძველ ქართებს არ განეკუთვნებიან და მით უფრო არაფერი აქვთ საერთო ოსებთან. და კიდევ ერთი: ძვ. წ. ა. IV ს. მოყოლებული დვალები საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრებოდნენ, მაგრამ ჰქონდათ იმხელა ავტონომია, რომ XVIII საუკუნეშიც საკუთარ ენას ინარჩუნებდნენ.

კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა: ბატონიშვილი ამბობს, რომ უწიგნო, უცოდინარი დვალები სალაპარაკო ენად უკვე ოვსურს მიიჩნევენ განსხვავებით ჩრდილოეთის ოვსებისაგან „...ვინაითგან ჩერქესთა ენა სხუა არს“ (იქვე, გვ. 639). ვინ არიან ეს ოვსად წოდებულნი

დვალები? „ხოლო ესე ოვსნი განიყოფების ესოდენ გუარად: სიდამონად, ჭახილიძედ, თაგაურად, ქურთაულად, ბადელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად...“ (იქვე. გვ. 639).

ავად თუ კარგად დვალეთი ავტონომიურ ერთეულს წარმოადენდა კავკასიაში რუსეთის იმპერიის შემოსვლამდე. შემდეგ მისი ბედი ისევე რადიკალურად შეიცვალა, როგორც სხვა კავკასიონელებისა. რამდენჯერმე შეცვალეს საქართველოს ადმინისტაციულ-ტერიტორიული დაყოფის სქემა. ბოლოს, არა ისტორიული კუთვნილების გამო, არამედ რუსთა ძირითადი სამხედრო ბაზიდან (ვლადიკავკაზი) სიახლოვის გამო, დვალეთი ჩამოაშორეს თბილისის გუბერნიას და ვლადიკავკაზის მმართველობაში გადასცეს. ეს მოხდა 1858 წელს. ასე დაიკარგა დვალეთის მეობა და გაწყდა კავშირი საქართველოსთან. დვალები გაიყვნენ, გაიფანტნენ ოსებსა და ქართველებს შორის. ესაა სინამდვილე. მაგრამ რომ აღსდგეს დვალეთის ავტონომია? რომ შეიკრიბებოდნენ დვალები?

ისტორიული დვალეთის ჩრდილოეთით დღეს ოსეთის სახელმწიფოა. იყო დრო, როდესაც აქ კავკასოსის მოდგმის ტომები სახლობდნენ.

ვაინახები და დვალების გარდა მათ შორის ასახელებენ წანარებს.

ვინ იყვნენ თუ არიან წანარები?

***

საუკუნეზე მეტია წანარების ტომის საკითხმა აქტუალობა შეიძინა. შესაბამისად გამოითქვა სხვადასხვა ვერსია მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ერთნი დაბეჯითებით ამტკიცებენ წანარების ეგროსელობას და მათ ეგრისელთა სვანურ შტოდ განიხილავენ. მკვლევართა ეს ნაწილი ეყრდნობა ნიკო მარის აზრს იმის შესახებ, რომ სვანები ძველ დროს ორ დიდ ტომად იყოფოდნენ აბასხები და წანარები. სიმონ ჯანაშიაც მიიჩნევდა, რომ წანარები, წანები, ცანები, აცანები ერთი ფუძიდან მომდინარე სახელწოდებაა. ასევე არის აზრი ჭანი, სანი (სვანი), წანი (წანარი), შუანი (სვანურად – სვანთა მხარე, აქედან სტრაბონის სოანე. ბერძნულად შ, ს-თ იწერება), ერთი ფუძიდან მომდინარეობის შესახებ. განსაკუთრებული ნაყოფიერებით იკვლევდა წანართა საკითხს თ. მიბჩუანი ბევრი საგულისხმო მასალის მოშველიებით. მეორე ვერსიის თანახმად წანარები კავკასოსის ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ ვაინახებთან და დვალებთან ერთად. მათ სასარგებლოდ ბევრი ფაქტორი

მეტყველებს, როგორც გეოგრაფიული, ასევე ეთნოგრაფიული. და მაინც ვინ არიან წანარები?

ისტორიულად ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ადრეულ შუასაუკუნეებში წანარები თერგის ხეობაში სახლობდნენ. აქედან ისინი ერწოთიანეთს უწევენ და კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებაში იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. თუ ეს ასეა, მაშინ მოხევეები, იქიდან მოყოლებული კახეთის მთიანეთში წანარების ტომს უცხოვრია. თვით თერგის ხეობას (დარიალს), წანარეთის ხევსაც უწოდებდნენ. რის დასტურიც ისაა, რომ ისტორიულ წყაროში არის მითითება, რომლის თანახმად სპარსელებმა შეძლეს და დაიპყრეს ქართლი, მთიანეთი და დაადგინეს მთავარი „წანარეთისა ხევსა“. სულმნათი ლეონტი მროველი მიუთითებს ვინმე წანართა მიერ ჩადენილ მკვლელობაზე. წანართა შესახებ მსჯელობაა სომხურ საისტორიო წყაროებშიც.

წანარების სახლობას ძალზე ფართე სივრცეში მოიაზრებენ. ისინი იგულისხმებიან სოფ. წილკნის (წინკარის) ჩრდილოეთით დარიალის ხეობის ჩათვლით. მ. ბროსე მათ განფენას არაგვიდან აღმოსავლეთით ნუხამდე და დერბენტამდე ვარაუდობდა. თ. მიბჩუანი ვარაუდობს, რომ წანარები სხვა ტომებისაგან სხვაობით კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებს ერთდროულად ფლობდნენ და სიძლიერით გამოირჩეოდნენ. ამ ვერსიის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ორი ერწოს რეგიონის არსებობა: რაჭა-სვანეთის მიმართულებით და თიანეთის რაიონში. „ერწოს“ საკითხს ეხება ნიკო მარი ამ ტომის რაობასთან დაკავშირებით. წანარების სვანური წარმომავლობის სასარგებლოდ მიუთითებენ იმაზეც, რომ გაოსებული დვალები მოხევეებს „ცონას,“ „სონას“ ეძახდნენ, ისევე როგორც დარიალის ხეობას სონა-სენა-ს, ხოლო ყაზბეგის მთას სოენას-ს. რაც შეეხება ისტორიულ ოსებს, ე. წ. ოს-ალანებს, მათთვის ეს ტერმინები უცნობია.

და მაინც ვინ არიან წანარები?

მკვლევართა ნაფიქრ-ნააზრევს რა დალევს. ქრონოლოგიურად რომ დალაგდეს წარსული, დაახლოებით ასეთი ლოგიკური განვითარების სურათი იხატება: ძველი წელთა აღრიცხვის III ათასწლეულში ადგილი აქვს დიდ მიგრაციულ პროცესებს. სრულდება შუმერული და მტკვარ-არაქსის კულტურების ეპოქა. იშლებიან ამ ცივილიზაციის ტომები და ცდილობენ ახალი არეალის დამკვიდრებას. მათ შორის დიდი ცვლი-

ლებები და მიგრაციებია მესხურ (მუსკ)–იბერიულ (ტაბალ) ტომებს შორის. ტაბალი თარგამოსიანელები მყარად მკვიდრდებიან კავკასიონის მიდამოებში და ავიწროებენ, რა აქ მოსახლე მონათესავე ტომებს, მათ ნაწილს იერთებენ, ნაწილს კი აიძულებენ სხვა საცხოვრისი ეძიონ. მთის იბერების ნაწილი გადადის კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეში. რ. გორდეზიანი (ნაშრომში „ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბ., 1993), ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს პროცესები ძვ. წ. ა. III ათასწლეულში უნდა განვითარებულიყო. მაშინ უნდა განხორციელებულიყო ლეკოსიანების, კავკასიანების და ეგრ-სვანების ჩრდილოეთით გადანაცვლება. ამ დროს, თუ უფრო ადრე არა, უნდა მომხდარიყო კავკასიანების (ცნობილი კავკონების) ტომთა ნაწილის დაფუძნება დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე და რაც უაღრესად საყურადღებოა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ულუმბოს (ოლიმპოს) მთის ძირში. სავარაუდოა, რომ მათი მეშვეობით უნდა წასულიყო მითი ამირანის (პრომეთეს) შესახებ.

უკვე იყო მსჯელობა კავკასიონს გადასულ ლეკოსიანებისა და კავკასოსის (კავკონების ბერძნული წყაროებით) შესახებ. ისიც აღინიშნა, რომ თუ ვაინახების შესახებ ძირითადში ერთი აზრი მიღწეულია, დვალების ირგვლივ კამათობენ მხოლოდ თანამედროვე რუსი და ოსი მკვლევარები. მათი სურვილია დვალები ოსებად წარმოადგინონ და ამით დაპყრობილი თავისად დაამტკიცონ. თავად ალან-ოსების საკითხი ქვევით იქნება განხილული. რაც შეეხება წანარებს, აქ ერთი აზრია იმის შესახებ, რომ ისინი მთის იბერებს განეკუთვნებიან. მათ ეკუთვნოდათ კავკასიონის ჩრდილოეთით დაბლობები ძვ. წ. ა. III ათასწლეულიდან, V-IV საუკუნეებამდე. იყვნენ წანარები სვანური წარმომავლობის თუ კავკასოსის წარმომავლობის, დღემდე მაინც გაურკვეველია, რადგან წანართა ენა (დიალექტი) უცნობია. რამდენადაც სვანური (ეგრისული) კვალი არის ქართლის ტერიტორიაზე, შეიძლება იმის დაშვება, რომ ძვ. წ. ა. III ათასწლეულამდე მათი განსახლების არეალი ამ ტერიტორიასაც ეხებოდა. ყოველ შემთხვევაში III ათასწლეულისათვის აქ კავკასოსის მოდგმის (დიალექტის) ტომები სახლობდნენ და მროველის თანახმად, სწორედ ისინი იკავებდნენ თერგის (ლომეკის) დასავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთს. შესაბამისად, როდესაც სავრომატები (სირაკები და აორსები) შეიჭრნენ კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში და იავარ-

ჰყვეს სამხრეთიც, ვაინახებთან ერთად, დვალებთან ერთად შეავიწროეს წანარები. თუ, როგორც ვარაუდობენ ეგროსელები (სვანების, ებზე-ს ნაწილი) მდ. ყუბანამდე სახლობდა (მდ. მცირისა ხაზარეთისა), ხოლო მის ჩრდილოეთით კავკასოსები, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რომ აორსებს კავკასოსელებთან (ბერძნულად –კავკონებთან) ერთად ყუბანის მარცხენა ნაპირზე მაცხოვრებელი ეგროსელებიც განედევნათ და მათი ნაწილი (თუ დადასტურდა წანართა სვანური წარმომავლობა) დარიალის მიდამოებში მოხვედრილიყო. უფრო სავარაუდოა, რომ წანარები კავკონთა შემადგენლობაში შედიოდნენ დვალებთან და ვაინახებთან ერთად. ჩაღრმავება ცალკეულ დეტალებს სიცხადეს ვერ შემატებს. მონათესავე ტომებს რომ არქეოლოგიური, ტოპონიმური და ა. შ. მსგავსება ახასიათებდეთ – გასაკვირი არაა. მით უფრო, რომ ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე უკვე მთის იბერთა სავრომატებთან და სკვითებთან მსხგავსებაზეა მსჯელობა შესაძლებელი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასევე ადგილი ჰქონდა მსჯელობას კოლხებისა და ეგვიპტელების ერთობაზე, რაც აფხაზთათვის მცდარი დასკვნის საფუძველიც გახდა. აქვე უნდა ითქვას, რომ წანარების საბოლოო გაქართველება ვერ ჩრდილავს მათ ეთნიკურ-კულტურული ისტორიულობის მნიშვნელობას. ის რაც მიუღწეველია ან სადისკუსიოა დღევანდელი მეცნიერებისათვის, უეჭველად ხელმისაწვდომი გახდება მომავალში.

წანარები, ისევე როგორც დვალები და ვაინახები კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობებისა და დაბლობის მფლობელები იყვნენ ათასწლეულების მანძილზე და მხოლოდ მომხდურთა სისასტიკემ აიძულა საშობლო მიეტოვებინათ. ეს არ ნიშნავდა შექმნილ ვითარებასთან შეგუებას. შესაძლებლობის ფარგლებში ისინი ცდილობდნენ წართმეულის დაბრუნებას. წანარები დიდხანს ინარჩუნებდნენ სოფ. ალთა, სოფ. ბალთა და სოფ. ჩმის (ჩემი-ას) მიდამოებს და საბოლოოდ თემურ ლენგის შემოსევებმა აიძულეს მაღალ ხეობებში შემოხიზნულიყვნენ. ამ დრონისათვის დვალები და წანარები უკვე გაქართველებულ ტომებს წარმოადგენდნენ.

წანარებმა, უკვე მოხევეების სახელით დღემდე შეინარჩუნეს არსებობა და თუმცა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს, შეცვლილი და შემცირებული ოდენობითაც მნიშვნელობან როლს ასრულებენ საქართველოს ცხოვრებაში.

ნაკლებად გაუმართლა დვალებს. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშ-

ნავდა, რომ XVIII ს. პირველ ნახევარში დვალეთის ძირითადი ნაწილი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით იყო, მაგრამ უკვე შერეული მოსახლეობით. რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ ოსების დიდი რაოდენობა საქართველოში გადმოდის საცხოვრებლად. მცირერიცხოვანი დვალი მოსახლეობა ან ოსდება, ან სამხრეთით იწევს და იფანტება. ახალი რეალობიდან გამომდინარე და მაღალი იმპერიული მოსაზრებებით გამყარებული ხელისუფლება ჯერ ოსეთის „ოკრუგს“ ქმნის დვალეთის ტერიტორიაზე (1842-3 წ.), შემდეგ კი ვლადიკავკაზის სამხედრო ოლქს მიუერთეს და თბილისის გუბერნიას ჩამოაცილეს (1858 წ.).

***

წანარების (მოხევეების) და დვალების ჩრდილოეთით კავკასიო- ნის ქედი ოსებს უკავიათ საუკუნეთა მანძილზე. რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით მათ ასევე დაიკავეს კავკასიონის სამხრეთის მნიშ- ვნელოვანი ნაწილი და ორი ოსური სახელმწიფო შექმნეს.

კავკასიონელების ოჯახს ეს არათარგამოსიანელი წარმომავლობის ეთნოსი საკმაოდ გვიან ჩაესახლა, მაგრამ ძალზე დიდი წარმატებით.

ისევე, როგორც სხვა ერების წარმომავლობა, ოსების წარსულიც შეიცავს უტყუარ და სადაო ელემენტებს. უკვე ითქვა, რომ არის აზრი ოსების (თვითსახელი ირი, ჰირი, ირისტონ...) ჰერებისა და კავკასოსის მონათესავე რომელიღაც ტომის შერევის შედეგად ჩამოყალიბების შესახებ. ასევე გაკვრით ითქვა ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებაზე, თითქოს კავკასიანელების ქედს გადაღმა გადასახლების შემდეგ, მთებში დარჩენილებს ეწოდათ კავკასი, ხოლო ბარში ჩასახლებულებს – ოსი. არის ვერსიაც ძველი და ახალი ოსების შესახებ. ძველი ოსები კავკასის (აქედან თარგამოსის) მოდგმის ტომია, ახალი ოსები კი ირანულ ენოვანი. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს მტკიცებულება ოსების ალანურ-სკვითური წარმომავლობის შესახებ. ასეთ ვითარებაში გასარკვევია საკითხი: ოსებს, ბალყარებს, ყარაჩაელებს მიაჩნიათ, რომ ისინი ალანებისაგან წარმოსდგებიან, მათი ჩამომავლებია. ასეთი მტკიცება კი დამატებით განმარტებას საჭიროებს. სრულიად მართებულად სვამს კითხვას ალანთა პრობლემის მკვლევარი ვ. კოვალევსკაია. იგი მიიჩნევს, რომ ალანები თავის მხრივ სარმატების ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ და ადრე ურალსა და ვოლგას შორის მომთაბარეობდნენ.

სკვითების კვალდაკვალ გადმოლახეს ვოლგა, დაიყვნენ ორ ნაწილად, სირაკებად და აორსებად და დონ-აზოვიდან კასპიის ზღვამდე ტრამალებს შეესიენ. იმ ტერიტორიებს, სადაც კავკასოსისა და ლეკოსის მოდგმის ტომები საუკუნეებით სახლობდნენ. ალანები სარმატების ტომთა გაერთიანების აორსების ნაწილს შეადგენდნენ. შესაბამისად, როდესაც აორსებმა ჩრდილოეთი კავკასიის საგრძნობი ნაწილი დაიკავეს, ალანები მათი ლაშქრის მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიდა. საკითხავია, ამ ალანებმა როგორ დაუდეს სათავე ირანულ და თურქულ ენებზე მოლაპარაკე ეთნოსებს? ამიტომ სვამს საკითხს მკვლევარი: „Вклад исторических алан в этногенез того или иного народа Северного Кавказа еще требует всесторонней научной оценки...» (В. Б. Ковалевская. Кавказ и Аланы. М. 1984. с.7). ამასთან, მკვლევარი იქვე მეორე კითხვასაც აყალიბებს: «Как оценить удельный вес местного кавказского населения... в этногенезе...» მით უფრო, რომ იქ არსებული კულტურა (ყობანური) კოლხურ კულტურას არა მხოლოდ ჩამოგავს, არამედ არის აზრი «... о единой колхидско-кобанской культуре.» (გვ. 22). დამატებით: ჩრდილო-კავკასიაში იყო ერთიანი კოლხური კულტურა ყობანურის სახელწოდებით, რომლის შიგნით ძვ. წ. ა. V–IV საუკუნეებიდან შესამჩნევი ხდება სარმატული ელემენტები. ეს იმაზე მიგვანიშნებს, ასკვნის მკვლევარი, რომ ძველი წელთა აღრიცხვის დასასრულისათვის კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე ჯერ კიდევ ადგილობრივი მოსახლეობაა. რაც შეეხება სტეპებს, იქ უკვე სარმატები მომთაბარობენ. მათ შორის არიან ალანებიც. (მითითებული ნაშრომის 80-ე გვ.). დასკვნა ეფუძნება როგორც წერილობით წყაროთა ანალიზს, ასევე არქეოლოგიურ მონაცემებს. არსებული მასალა, ხშირ შემ- თხვევაში მითიური, დაუჯერებელი, სარწმუნო სახეს ღებულობს ლეონტი მროველის ნაშრომში. მხოლოდ ერთია, რომ მროველი სკვით-სარმატებს ხაზარებს უწოდებს. აი, მკვლევარის დასკვნა: «Обратившись к анализу сведений Л. Мровели о скифских походах, можно как в капле воды, увидеть сжатое изложение тех исторических событий, которые по крупицам можно воссоздать, лиш суммируя все другие доступные источники. События удивительно четко ложатся в определенной последовательности: те что ранее воспринимались как легендарные, обретают материальность, а имена, казалось

бы, мифических персонажей могут быть достаточно убедительно отожествлены с именами реальных, известных нам по другим источникам.» (იგივე ნაშრომის 71 გვ.).

ლეონტი მროველის ნაღვაწის ვრცელი შეფასება მოტანილია იმ მიზნით, რათა ერთი მხრივ მართებულად იქნას გააზრებული მისი მნიშვნელობა და მეორე მხრივ, ასევე სწორი შეფასება მიეცეს იმ „სახელოვან“ მკვლევართა ნახელავს, რომელნიც „მაღალი დონის სამეცნიერო პროდუქციას“ ქმნიან ასეთი წყაროს დაკნინების გზით.

მხოლოდ საილუსტრაციოდ: იური სერგეევიჩ გაგლოევმა (მოგვიანებით გაგლოითმა) შექმნა მონოგრაფია «Аланы и вопросы этногенеза осетии» Тб. 1966. მან დიდი ძალისხმევა ჩააქსოვა ქართული წყაროების და მათ შორის მროველის თვალსაზრისის, ოსების შესახებ, „ორიგინალური“ გაგების მცდელობას. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ შეგნებულად უვლის გვერდს იბერების, ქართველების ოსებთან ურთიერთობის საკითხს. არც ის, რომ ჰირკანების და იბერების ტომთა ურთიერთმიმართებაა „გაბუნდოვანებული“. მთავარია, რომ საქართველოში ქართველებს ვერ ხედავს. სამწუხაროდ ისევ ციტატი: ფარნავაზ მეფემ დახმარებისათვის ოსებს და ქუჯის მიმათა. ვინაა ქუჯი?

«...нетрудно догадатсья, что к этой группе имен относится и имя эгрисского владетеля, что ясно указывает на его сарматское происхождение. Об этом, очевидно, свидетельствует и факт совместних действий Куджи и овсов на стороне Фарнаваза. Очевидно Куджи был сарматским военачальником...» (მითითებული ნაშრომის გვ. 183).

დასკვნა წამკითხველმა გააკეთოს, იქვე გაითვალისწინოს ნაშრომის 188 გვ. გატარებული აზრი იმის შესახებ, რომ ფარნავაზს „მიუტაცია“ დურძუკეთი და დვალეთი. ჩრდილოეთ კავკასიონის დანარჩენი ტერიტორია კი კვლავ ოსებს დარჩენიათ.

ამის შემდეგ მოდი და ნუ დაინტერესდები ოსების, ოსებისა და ალანების ურთიერთმიმართების და მათი იბერ-ქართველებთან ურთიერთობის პრობლემით. მანამდე კი კვლავ მცირე ამონარიდი ლეონტი მროველის

ნაშრომიდან: ფარნავაზმა დახმარებისათვის მიმართა ქუჯის, რომელიც იყო ეგრისელთა (ძვ. წ. ა. IV საუკუნეში უკვე მეგრელთა, გნე-

ბავთ ზანთა, ლაზთა, მაგრამ არა სარმატთა) მთავარი. აი, რა უპასუხა ქუჯიმ: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი.“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1. თბ. 1955, გვ. 22). თუ აქედან ქუჯის და ეგრისელთა სარმატობა დასტურდება, მაშინ კვლევა-ძიებას აზრი ეკარგება.

სულ სხვა თვალსაზრისს ავითარებს ოსების ეთნოგენეზისა და კავკასიონელებთან (ამ შემთხვევაში ქართველებთან) მიმართებაში ჭეშმარიტად ცნობილი ოსი მკვლევარ-მეცნიერი ვ. აბაევი. მისი დასკვნა ასეთია:

«...осетинский язык _-это иранский язык, Формировавшийся на кавказском субстрате» (В.И.Абаев, Осетинский языки фольклор,» М-Л., 1949, т.1. ст. 11.). და კიდევ ერთი:«Племенные названия , digor, iron, tuae, не объясняется из иранского, а восходят к этническим самоназваниям доосетинского населения, удержавшимся и после ираназаций.» (იქვე, გვ. 79).

ბატონი ვასილ (ვასო) აბაევის თვალსაზრისი არა მხოლოდ უპირისპირდება ი. გაგლოევის დაუსაბუთებელ მტკიცებას, არამედ ოსეთის ტერიტორიაზე ტომობრივ თვითსახელს დიგორელები, ირონელები, დვალები ოსების დასახლებამდე არსებულ კავკასოსის მონათესავე ტომთა არსებობაზეც მიუთითებს. ოსების გამოჩენამდე კავკასიონის ჩრდილოეთით დაფუძნებულმა ტომებმა სარმატიზაციის (ირანიზაციის) პირობებში თვითსახელი შეინარჩუნეს იმ დონემდე, რომ თანამედროვე ოსები თავს უწოდებენ ირონ და დიგორონ. ცნობილი მკვლევარი ა. ცაგაევა აზუსტებს რა ოსეთის ტოპონიმების რაობას, ეთანხმება ვ. აბაევის მტკიცებას ტომობრივ-გეოგრაფიული სახელწოდების კავკასიური წარმომავლობის შესახებ.

ამრიგად, ი. ს. გაგლოითი (გაგლოევი) მიიჩნევს, რომ ოსების ეთნოგენეზი სკვით-სარმატ-ალანების ტომთა შიდა განვითარების შედეგია. კავკასიელების როლი უარყოფილია. მისგან სხვაობით, ისეთი ცნობილი მკვლევარები, როგორიც ე. ნ. კრუპნოვი, ვ. ა. კუზნეცოვი, ვ. ფ. მილერია ოსების ეთნოგენეზში წამყვან ელემენტად სწორედ კავკასიელებს მიიჩნევენ.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ოსებისა და ალანების ჩრდილო კავკასიაში გამოჩენისა და დამკვიდრების საკითხს. როდის უნდა მომხდარიყო ეს? თუ დავეთანხმებით ძირითად აკადემიურ გამოცემებში

გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ძვ. წ. ა. III საუკუნეში იწყება კავკასიის (და არა კავკასიონის) წინა დაბლობებში ირანულ ენოვანი მომთაბარე სარმატების მოძრაობა. (История Северо-Осетинской АССР. Орджоникидзе, 1987), მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მროველის მიერ ფარნავაზის მოკავშირედ დასახლებული ოვსები, რომე- ლიღაც ძველი კავკასიური წარმომავლობის ტომია, რაც დიდ ეჭვებს ბადებს. ყოველივე ლოგიკურად ლაგდება, თუ დავეთანხმებით ა. დ. ცაგაევას მტკიცებას იმის შესახებ, რომ «...первое появление скифо-сарматских племен в этом районе регистрируется с VII-VI вв. до н. э.» (Цагаева А.Д. Топонимия Северной Осетий. Орд. 1971, с 179-180). მკვლევარი ბევრ საყურადღებო ტერმინს განიხილავს, რომელთა ახსნამ უნდა მოჰფინოს ნათელი კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები იმ ტომების საკითხს, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოსების, ყარაჩაელების და სხვა ეთნოსთა ფორმირებაში. განხილულია ტერმინები რომელთა ახსნა მხოლოდ ქართულზე დაფუძნებით შეიძლება. ყურადღებას იქცევს მსჯელობა მითიურ ტომზე „ცარციატ-ი“. ცარციატთან დაკავშირებული ტოპონიმები დაფიქსირებულია ალაგირის, თრუსოს მაღალმთიან ადგილებში დღევანდელი ოსეთისა და ყაზბეგის რაიონებში. (გვ. 181). ამასთან დაკავშირებით საკითხავია, მითიური ტომები ცარციატი და სონი (სოენი), ხომ არაა წანარი და სვანი? მით უფრო, რომ ავტორის აზრით ეს ტომები ოსების წინაპრებთან არ მეგობრობდნენ, ხოლო მათ მიდამოებში მრავლადაა ქართული ტოპონიმები, განსაკუთრებით ტერმინებთან გორი, ჯვარი, სამთავრო-სთან დაკავშირებული. იქვე ალაგირის მიდამოებში, ცეოსის ხეობის გასაყართან წმინდა ნიკოლოზ დვალის სამლოცველოც იყო.

როდესაც არ არსებობს ზუსტი ცნობები, საკითხის ირგვლივ საკამათო ბევრია. ამ შემთხვევაში ზუსტი მხოლოდ მროველის მითითებაა ოვსების (და არა ოსების) ფარნავაზთან (ძვ. წ. ა. IV წ) ურთიერთობის შესახებ. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ოსების სავრომატული ნაწილი ამ დროს უკვე ცნობილი მძლავრი სამხედრო ძალა იყო. ყოველივე იმაზე მიანიშნებს, რომ სწორედ აორსები იყვნენ ოვსების სახელით ცნობილნი ქართებისათვის. იმ დროს სახელწოდება ოსი და მით უფრო ალანი საერთოდ უცნობი იყო. თუ ასეთი მსჯელობა მისაღებია, მაშინ აორსების ტომთა გაერთიანება ძვ. წ. ა. IV ს-ში კი არა, რამდენადმე

ადრე ჩამოყალიბდა. IV ს. ისინი უკვე კავკასიის ჩრდილოეთში მკვიდრობენ და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა საქმეებშიც აქტიურად მონაწილეობენ. სტრაბონი მიუთითებდა სარმატული წარმომავლობის აორსების ტომთა გაერთიანების არსებობაზე მდ. დონის (ტანაის) მიდამოებში, ხოლო სირაკებისა მდ. ყუბანის (მდ. მცირე ხაზარეთისა) აუზში ყოფნის ფაქტს. ეს ორი გაერთიანება ტომებისა მომთაბარეობდა აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის, მდ. დონისა და მდ. ყუბანის შორის ვრცელ ტერიტორიებზე.

რაც შეეხებათ ალანებს, ახ. წ. ა. I საუკუნიდან ხდებიან ცნობილნი. მალე თავის გავლენასა და სახელს მონათესავე ტომებზე ავრცელებენ. აქედან უკვე დასკვნაა ალანების მრავალრიცხოვნებისა და სიძლიერის შესახებ. აქედანვე აზრთა სხვაობაა მათი სკვითური, სარმატული, მასაგეტური წარმომავლობის შესახებ. აქედანვე ცნობაა მათი ჯერ კავკასიის ჩრდილოეთში ბატონობის თაობაზე, შემდეგ კი (ახ. წ. ა. IV საუკუნიდან) ჰუნებთან ერთად ევროპაში ლაშქრობის შესახებ.

ცნობილია რომ ჰუნების მრავალრიცხოვანმა ურდომ 372 წ. ვოლგა გადალახა და დასავლეთით დაიძრა. მათ ალანთა გაერთიანება დაამარცხეს, ნაწილობრივ მოსპეს, დანარჩენები შეიერთეს და უკვე 375 წ. ოსტგუთებს დაუპირისპრდნენ. 378 წ. ჰუნებმა რომის ლეგიონები დაამარცხეს. ბოლოს ალანები ვანდალებთან ერთად ჩრდილოეთ აფრიკაში მოხვდნენ, სადაც იუსტინიანე იმპერატორის ლეგიონებთან სასტიკად დამარცხდნენ.

ასეთი იყო მეომრული გზა ალანთა ძირითადი ბირთვისა. ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილი ალანები საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფლობდნენ ჯიქეთიდან მოყოლებული დაღესტნადე. სწორედ მათ წინააღმდეგ იქნა აგებული სიმაგრეები კავკასიონის ძირითად გადასასვლელებზე. ეს სიმაგრეები ასრულებდნენ როგორც დაცვით, ასევე დაქირავებული მეომრების შემოსასვლელი კარის ფუნქციებს.

რამდენადაც ალანები კავკასიონის ჩრდილოეთს ფლობდნენ ჯიქეთის ბოლოდან თერგამდე, ამდენად მათ ეგროსისა და კავკასოსის მოდგმასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დღევანდელი ოსების, ყარაჩაელების, ბალყარების ეთნოგენეზში. უფრო მეტი. მკვლევართა ნაწილი ალანებს ყარაჩაელთა და ბალყართა წინაპრად მიიჩნევენ, მაგრამ არა ოსებისა. ძალზე რთულია ეთნოსის წარსულის ზუსტი ასახვა, როცა არ არსებობს

წერილობითი ისტორია და მკვლევარებს მხოლოდ მოხუცთა მონაყოლის ანალიზი აქვთ. მართალია ქართულმა წყარომ შემოგვინახა სახელწოდება ოვსი, მაგრამ აქ დღევანდელი არც ოსები იგულისხმებიან და არც ალანები. ქართველობა ალანებს ისევე ოვსებს უწოდებდა, როგორც საკუთრივ აორსებს. ოვსებს სამხედრო და ეკონომიურ კავშირებთან ერთად ზოგჯერ მტრული და უფრო ნათესაური კავშირები ჰქონდათ სამხრეთის მეზობლებთან. სწორედ სკვით-სარმატული და კავკასიური წარმომავლობის ტომების შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ოსი ერი. პროცესი არ იყო მარტივი და უმტკივნეულო. თუ ე. წ. ძველი ოსები კავკასიონის ქედის იქით ფართე ტერიტორიებს ფლობდნენ, ახალი ოსები უკვე ქედს მიჯაჭვულნი აღმოჩნდნენ. თუ ძველი ოსების სამხრეთი მეზობლები კავკასოსის მონათესავე ტომები იყვნენ, ახალი ოსები უკვე ამ ტომთა საცხოვრის არეალში ყალიბდებიან და შესაბამისად ჯერ შერეულ მოსახლეობას ქმნიან, შემდეგ კი მათ სრულ ასიმილაციას აღწევენ. თუ ადრე ვაინახები, წანარები, დვალები ცალკე კავკასიურ ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ, ახლა წანარების ნაწილი და დვალების უმეტესობა, მათი კუთვნილი ტერიტორიებით უკვე ოსეთისა და ოსების შემადგენლობაშია მოქცეული.

ამ პერიოდიდან მოყოლებული ოსეთის შემადგენლობაში მოექცა თავისი უკვე გაოსებული მოსახლეობით თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი. რაც შეეხება უშუალოდ თერგის (დერგი, ადრე ლომეკი) ხეობას, დღევანდელი ჩმის (ადრე ჩემია), ბალთასა და ალთას ჩათვლით, სავარაუდოდ ეს ტერიტორიები თემურ ლენგის შემოსევებამდე შერეულ მოსახლეობას ეჭირა.

ოვსთა, ალანთა და კავკასიანთა შერევა-შერწყმა არც უცებ მომხდარა და არც უმტკივნეულოდ. ძვ. წ. ა. V-IV საუკუნეებში უკვე მომხდარ ფაქტადაა მიჩნეული კავკასოსის ტომთა გაერთიანების დაშლა, ნაწილობრივ განდევნა თერგის აღმოსავლეთით, ნაწილობრივ დამორჩილება და დაყოფა ოვსებსა და ქართებს (იბერებს ბარისა) შორის. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ თერგის დასავლეთით დარჩენილი კავკასიონელები, წანარები და დვალები იძულებულნი გახდნენ დამორჩილებოდნენ ჯერ მცხეთის მამასახლისთა ძალაუფლებას, შემდეგ კი მეფე ფარნავაზისას. მათი ჩრდილოეთი ნაწილი კი ოვსთა გავლენის ქვეშ მოექცა და თანდათან გაოსდა. ამის შემდეგ, გვამცნობს ისტორია,

კავკასიანნი (კავკასიელნი) „...იყვნენ მორჩილებასა შინა, და მომცემელნი ხარკთა მეფეთა ქართველთასა: ძურძუკი, ხევი, დუალეთი, კასრის კარის ზეით. ხოლო სხვანი იყვნენ მორჩილებასა შინა ოვსთა მეფეთასა.“ (ქართლის ცხოვრება. ტ. IV, გვ. 654.).

ოვსების მიერ ჩრდილოეთ ნაწარეთისა და დვალეთის დამორჩილება გრძელდებოდა ახ. წ. ა. II საუკუნემდე, როცა იბერიის მეფე ამაზასპმა ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში და არაკავკასიელნი განდევნა ან შეავიწროვა. ასეთი განსაზღვრა ვითარებისა ნიშნავს გარდამავალი უპირატესობის მოპოვებას და არა საბოლოო გამარჯვებას. ცნობილია, რომ არა მხოლოდ ოვს-ალანები, არამედ ჰუნებიც არაერთხელ ლაშქრობდნენ სამხრეთში ზოგჯერ იბერიის მეფეთა თანხმობით და „შეუთანხმებლადაც.“ ეს ბუნებრივია, რადგან მოლაშქრენი ნადავლს მიელტვოდნენ და კარგად ხედავდნენ არა მხოლოდ იმ ქვეყნის სიმდი- დრეს, რომლის წინააღმდეგ იყვნენ მიწვეულნი, არამედ დამქირავებელი ქვეყნის დოვლათსაც.

ერთი ასეთი მოთარეშე ლაშქრობა ოვსებს მოუწყიათ ვახტანგ გორგასლის ბავშვობისას. თავდამსხმელებს დრო კარგი (მათთვის) შეურჩევიათ. მეფე მირდატი ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მან მხოლოდ ის შეძლო, რომ მამის, მეფე არჩილის მიერ გამაგრებული ჩემიას (ახლა ჩმის) ციხე გაამაგრა და წანარნი მცველად მიუჩინა. მირდატს ვახტანგი 9 წლისა დარჩა. იბერთა უპატრონობით ოვსთ უსარგებლიათ, მალულად კასპს დასცემიან და ქონებასთან ერთად, ვახტანგის 3 წლის და მირანდუხტი ტყვედ წაუყვანიათ, საფიქრალია შემდეგ დიდი გამოსასყიდის მიღების მიზნით. ექვსი წელი ითმინა სირცხვილი ვახტანგმა. 15 წლის მეფედ აღზევდა და მაშინვე სამზადისი ბრძანა. ჯუანშერს საკმაოდ დეტალურად აქვს გადმოცემული ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა ჩრდილოეთში. ოვსებისა და ხაზარების გაერთიანებული ლაშქრის დამარცხების შემდეგ, წერს ისტორიკოსი „...განიბნივეს ტყუევნად ოვსეთისა, შემუსრნეს ქალაქნი მათნი. და განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო... და მოყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი, და შეიქცა, და მიადგა ოვსეთსავე.“ (ქართლის ცხოვრება. ტ.1. გვ. 156-157.).

ამ ლაშქრობებით ოვსებისა და ქართველების ურთიერთობა საბოლოოდ არ მოგვარებულა და არც დამთავრებულა. მალე თავად ოვსების

ცხოვრებაში მოხდა დიდი ცვლილება. უკვე ითქვა, ე. კრუპნოვი, ვ. კუზნეცოვი, ვ. მილერი ოვსების ეთნოსში წამყვან კომპონენტად კავკასიურ ტომებს მიიჩნევენ.. ამ ოვსებს VI-VII სს. ალანები ავიწროებენ, აიძულებენ მთებს მიეჯაჭვონ და აქაც შერეული მოსახლეობა შექმნან. ეს ყარაჩაელი ეთნოსის მახსოვრობაში აისახა იმით, რომ თაგაურელ ოვსებს უწოდეს ალანები, მაშინ, როცა თანამედროვე ოსებიც იტყვიან ირონ და დიგორონ.

სწორედ ეს ცვლილებები აქვს მხედველობაში ჯუანშერს, როცა გორგასლის ჩრდილოეთში ლაშქრობის თხრობისას ჩაურთავს: „შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით – კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა.“ (ზემოთ მოტანილი ამონარიდის შუა ნაწილი გვ. 156-157.).

ალანები V ს-ე მომთაბარე ცხოვრებას ინარჩუნებდნენ. ცნობილი ამიან მარცელინი აღწერს ურმებში მოსახლე, საქონელთან ერთად მოგზაური ალანების შესახებ, რომლებსაც ხორბალი არ მოჰყავდათ. VII ს-ან იცვლება მათი ცხოვრების ნირი. VIII-X ს. მათ უკვე ქალაქური ცხოვრება აქვთ აწყობილი. აქვე გასახსენებელია ის მომენტი, რომ სონი, სოენი სვანების გარდა ამ ძველ ოვსებსაც ეწოდებოდათ. რატომ? პასუხი ცალკე კვლევის საგანია. აქვე მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი რომ თავად ოსები იყოფიან ირონებად და დიგორებად და საერთო სახელი არა აქვთ. უფრო ზუსტად არა ჰქონდათ ისტორიულად და ახლა მკვიდრდება – ოსები და ოსეთი. თანაც რუსეთის დახმარებით ერთდროულად სამხრეთი ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი.

მრავალმხრივმა შერწყმა-შედუღებამ დრონი მოითხოვა და მხოლოდ X-XII ს. დასრულდა ოსური ეთნოსის ჩამოყალიბება. ორი ძირითადი კომპონენტი მონაწილეობდა ამ ეთნოგენეზში: კავკასიურ-ოვსური და სკვითურ-სარმატულ-ალანური. მკვლევართა დასკვნით ოს ერთში შერწყმულია ალანურ-ირანული ენა და დამხდურთა კავკასიური ტიპი. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული შეიძლება მსჯელობა ოსთა ურთიერთობაზე სხვა ეთნოსებთან.

ოს ეთნოსს ისეთივე რთული ისტორია აქვს, როგორც სხვა კავკასიელებისათვისაა დამახასიათებელი. იყო წარმატება და წარუმატე-

ბლობა, იყო სხვებზე აღმატება და სხვისი ყმობა. ხშირად ერთი საერთო მტერი ჰყავდა კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსებს და მათთან გამკლავება საერთო მოქმედებას მოითხოვდა.

ოსი ეთნოსის ჩამოყალიბება და პროგრესი საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნასა და გაძლიერებას დაემთხვა. ამიტომ ბუნებრივი იყო მათი დაახლოება და გარკვეულად ინტერესთა თანხვედრა. ამას გარკვეულად არისტოკრატთა ოჯახური დაახლოება უწყობდა ხელს. უმაღლეს დონეზე ხდებოდა დინასტიური დაახლოება. ცნობილია რომ გიორგი I მეუღლე იყო ოსეთიდან წამოყვანილი ალდე, მის მემკვიდრე ბაგრატ IV შორენა შერთეს, ოსთა მეფის ასული, ასევე, წყაროთა მოწმობით, ოსთა სამეფო ოჯახის ერთი შტო იქ გადასული ბაგრატიონების ხაზს აგრძელებდა. მიიჩნევენ, რომ ოსთა სამეფო ოჯახის ამ ხაზის წარმომადგენელი იყო დავით სოსლანი, პიროვნება, რომელმაც ბევრი შეიძლო საქართველოს ძლიერებისათვის.

იდილიური სურათი რომ არ დაიხატოს, აქვე გასახსენებელია, რომ მონღოლთა ბატონობის დროს ოსებმა ისარგებლეს საქართველოში უმეფობით და ხელი მიჰყვეს არა მხოლოდ მთიანეთის ძარცვას, არამედ დაიწყეს ჩასახლება და ასე დმანისსაც კი უწიეს. ისიც ცნობილი ფაქტია, რომ გიორგი V ბრწყინვალეს სამი წელი დასჭირდა სამეფოს მომხდურ ოსთაგან გაწმენდისათვის. მეზობლობა-მეზობლობად, მეგობრობა-მეგობრობად, მაგრამ ოსი ეთნოსის ინტერესები მოითხოვდა უკეთესი მიწებისა და მდიდარი მხარის დაუფლებას. არც მონღოლეთის იმპერია იყო წინააღმდეგი, რომ მტრისთვის მტერი გაეჩინა.

თავის მხრივ ქართველობაც ცდილობდა არსებულის შენარჩუნებასა და წართმეულის უკან დაბრუნებას. ესაც ერის უფლება და მოვალეობა იყო. ეს ხდებოდა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, არამედ ჩრდილო მხარესაც. თუ ადრე პერიოდებში მთლიანი წანარეთი და მთლიანი დვალეთი შედიოდა ქართლოსის ჩამომავალთა საგამგებლოში, შემდეგ ოსმა ეთნოსმა მოახერხა და პრაქტიკულად ამ ტერიტორიათა ნახევარი დაიკავა. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობიდან ნათლად იკვეთება, რომ იმ დროს დიდი და პატარა ლიახვების ,ქსნის, ფრონეს, ლეხურას, ტანას, მეჯუდის, თეძმის ხეობები სრულიად საქართველოს ეკუთვნოდა. ასევე ეკუთვნოდა თერგის, არდონის, ფიაგდონის ხეობათა ზედა ნაწილი. ოსეთსა და საქართველოს შორის საზღვრად დვალეთის ორი და დარიალის კარი

ითვლებოდა. ისიც ცნობილია რომ ქართველი მეფეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ოსეთისაგან გამყოფ ციხე-სიმაგრეთა სისტემის მზაობას. განმეორებით მხოლოდ ცნობისათვის: ქართლის მოურავად დანიშნული გიორგი სააკაძე პირველ რიგში დვალეთს გადავიდა სასაზღვრო სიმაგრეების შემოწმებისა და შეკეთების მიზნით.

17 ს. პირველი ნახევრიდან, ისარგებლეს რა ქართველთა მძიმე მდგომარეობით იწყება ოსების შემოსვლა და დასახლება ჯერ ზახას ხეობაში, შემდეგ კი მაღრან-დვალეთში. ქართული მოსახლეობისაგან დაცლილ მამულებში ოსი ხიზნების ჩასახლებას რიგ შემთხვევაში ადგილობრივებიც უწყობდნენ ხელს. და მაინც XVIII ს. პირველ ნახევარში ოსური მოსახლეობა დიდი და პატარა ლიახვის, მეჯუდის, ქსნის, თერგის მხოლოდ სათავეებთან ჩანს. ბარი ჯერ კიდევ მიუწვდომელია მათთვის.

1801 წლიდან იწყება დიდი ცვლილებები ოსთა და ქართველთა ურთიერთობაში. ამ წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა მეფობა საქართველოში და დაიწყო დაუნდობელი კოლონიზაციის პროცესი. იმპერიული პოლიტიკა სხვა მეთოდებთან ერთად გულისხმობს: თუ დაპყრობილ ერს არა ჰყავს სხვა ერის ნაწილი კომპაქტურად ჩასახლებული, ჩაუსახლე და საჭირო მომენტში აუჯანყე. ასეთ შემთხვევაში მათ უეჭველად დასჭირდებათ დამპყრობის შუამავლობა, აქედან გამომდინარე შედეგებით.

1801 წ. საქართველოს მოსახლეობა 622, 6 ათასი ქართველისაგან, (79, 4%), 52 ათასი აფხაზისაგან (6,6%), 47 ათასი სომეხისაგან (6%), 30 ათასი ბორჩალოელისაგან (3,8%), 29,3 ათასი ოსისაგან (3,7%), 3,3 ათასი ებრაელისაგან (0,4%), 500 ბერძენისაგან (0,1%) შედგებოდა.

ქართველობა ერთადერთი ერი იყო კავკასიაში, რომელსაც ორი დამოუკიდებელი სამეფო ჰქონდა (ქართლ-კახეთისა და იმერეთის) და კავკასიაში ყველაზე მძლავრს პოლიტიკურ-სამხედრო და ეკონომიკურ ძალად ითვლებოდა. დღევანდელი აზერბაიჯანი 15 სახანოდ იყო დაყოფილი. აქედან ორი ერეკლე II ყმადნაფიცი. სომხებს ერთი ერევნის სახანო ჰქონდათ და ისიც ერეკლე II ყმადნაფიცი. ასეთ ვითარებაში რუსეთის იმპერიამ კოლონიზატორული პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ წარმართა. აქედან იყო და მოელოდა ძლიერ წინააღმდეგობას.

რუსეთის იმპერიის მესვეურები გეგმაზომიერად მოქმედებდნენ, მათი დახმარებით ადიღეური წარმოშობის ტომებმა შეძლეს ცალკე პოლი-

ტიკური ერთეულის შექმნა და ისტორიული ოვსეთის დაკავება. (ამ საკითხზე სხვაგან იქნება მსჯელობა). ეს ფაქტი ვახუშტი ბატონიშვილს ასე აქვს აღწერილი: „ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიას შინა, იწოდნენ : ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდად, და კავკასიასა შინა მყოფნი, მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა გუარიანთა, მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხუათა უგუაროთა – კუალად დუალადვე“. (ქართლის ცხოვრება ტ. IV. გვ. 634). სრულიად გასაგებად და მოკლედაა გადმოცებული ის პროცესები, რაც დაიწყო ივანე მრისხანეს დამოყვრებით და დასრულდა ოვსეთის მიწაზე ახალი ერთეულის – ყაბარდოს შექმნით. ასევე ცხადადაა ნათქვამი, რომ ადიღეველთაგან ოტებული ოსები დვალეთს მიეძალნენ, მოახდინეს მისი ნაწილებრივი მიტაცება და შერეული მოსახლეობის შექმნა, სადაც გაბატონებულებია, „გუარიანები“ უკვე ოსები არიან, ხოლო დამორჩილებულები, „უგუარები“ ჯერ ხანობით მაინც კვლავ დვალებად რჩებიან. იმ დროს საქართველო ძალზე დასუსტებულია. იგი სპარსეთისა და თურქეთის დავის საგნადაა ქცეული. რუსეთის იმპერიას ჯერ კიდევ არა აქვს დღის წესრიგში საქართველოს დაპყრობის ამოცანა და მხოლდო დიპლომატიურ ინტრიგებში მონაწილეობს. ან რა უნდა ითქვას სხვებზე, როდესაც მამით ქართველმა (ერეკლე I შვილმა) დიდმა პეტრე I-აც მწარედ მოატყუა ქართველობა და მტრების საჯიჯგნი გახადა ქართლი და კახეთი. დასუსტებულ საქართველოს დვალეთის დაცვა, კიდეც რომ მოენდომებინა, არ შეეძლო. დვალეთი ქართლის სამეფოს ნაწილი იყო და დაცვის ორგანიზებაც ქართველებს ევალებოდათ, ცხადია. რომ თავად გაუბედურებულნი დვალებს ვერ უშველიდნენ. ვერც უშველეს. დვალეთი ოსებმა დაიკავეს. დვალები, ვინც შეიძლო, თავს უშველა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეეფარა, ვინც არა, დარჩა და გაოსდა.

1801 წ. როცა მსჯელობაა საქართველოში 29,3 ათასი ოსის არსებობაზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მათი დიდი უმეტესობა გაოსებული დვალი იყო.

ოსებისა და ქართველების ურთიერთობის საკითხს, ისევე, როგორც ოსების ეთნოგენეზისა და საქართველოში მეორე ოსეთის შექმნის პრობლემას არაერთი მკვლევარი შესჭიდებია. ამ შემთხვევაში ეს მიზანი არაა, ამიტომ მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული ფაქტებია განმეორებული. ფაქტის გაგება კი მრავალნაირად შეიძლება.

რუსეთის იმპერიის გავლენით ბევრი კავკასიონელი ეთნოსის ბედი ტრაგიკულად შეიცვალა, ზოგისთვის იგი სავალალოდ, ზოგისთვის სანუგეშოდ წარიმართა.

ოსები (უკვე ოსები) კავკასის მოდგმის მიწა-წყალზე დამკვიდრებულები, იძულებულნი ხდებიან ქართოსის მოდგმის ზონაში ეძიონ დაკარგულის კომპენსაცია. იმპერია მეთოდურად აიძულებს ოსებს ჯერ დვალეთში თავშესაფრის ძიებას, შემდეგ კი უკვე კავკასიონის სამხრეთში. მხოლოდ საილუსტრაციოდ: ცნობილია, რომ XIX ს. დასაწყისისათვის დვალი ოსები (გაოსებული დვალები და ცალკეული ოსები) ქსნისა და არაგვის საერისთაოების მხოლოდ ათიოდე სოფელში ქმნიდნენ კომპაქტურ დასახლებას. ცოტა უფრო მეტ სოფელში იყო შერეული მოსახლეობა. დანარჩენ მხარეში და მათ შორის ცხინვალში და ჯავაში არც ერთი ოსი ან გაოსებული დვალი არ აღინიშნება. წყაროები მიუთითებენ, რომ ქართლის მთისპირეთში ოსები 19 ს. მეორე ნახევარში იწყებენ მასობრივ დასახლებას. თუ ათეულ საუკუნეთა მანძილზე ერთი ეთნოსი მეორეს ტერიტორიაზე მკვიდრ მოსახლედ არ ჩანს, შემდეგ კი ათეულ წლების მანძილზე ხდება ინტენსიური ჩასახლება, ამას თავისი ახსნა უნდა ჰქონდეს. ეს ახსნაა იმპერიის მიზანმიმართული პოლიტიკა. ეს პროცესი ისე არ უნდა იქნას გაგებული, როგორც რუსეთის ზრუნვა ოსი მოსახლეობის მიმართ. ოსებს შესანიშნავი სივრცე ეკავათ ისტორიულად და არც აიყრებოდნენ იქიდან სხვათა სასარეგებლოდ. მთელი კვინტესენცია ამ რთული მიგრაციულ, პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკური გარდაქმნებისა, ჩადებული სრულიად გაცხადებულად: ვლადიკავკაზი (დაეუფლე კავკასიას).

ოსების სამშობლოდან აყრა და საქართველოს ტერიტორიაზე ჩასახლება, მხოლოდ დასაწყისი იყო. 1842წ. რუსეთის მთავრობამ კავკასიონის საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისაგან შექმნა ე. წ. ოსეთის ოკრუგი, ცენტრით სოფ. ქვეშეთში. შემდეგ მაღალი იმპერიული მოსაზრებით, ოკრუგის ტერიტორიული სივრცე გადააკეთეს რამდენჯერმე, ცენტრი სოფ. ქვეშეთიდან სოფ. ჯავაში გადაანაცვლეს და ბოლოს მას ჩამოაცილეს დვალეთი და 1858 წ. ოსეთის სამხედრო ოკრუგს გადასცეს, რომლის ცენტრი ვლადიკავკაზში მდებარეობდა. ასე, საბოლოოდ „დაიკარგა“ ისტორიული დვალეთი და იგი ე. წ. ჩრდილოეთ ოსეთის ნაწილი გახდა. რაც შეეხება დიდი და პატარა ლიახვების სათ-

ავეებს, სადაც უკვე ოსურად მოსაუბრე მოსახლეობა სჭარბობდა, ისინი ჯავის საპოლიციო უბანში შედიოდნენ, რომელიც სოფ. ანანურიდან იმართებოდა. „მმართველობის“ გაადვილების მიზნით, ბოლოს ჯავის საპოლიციო უბანი გორის მაზრას დაუქვემდებარეს.

1917 წ. თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და ოქტომბრის სამხედრო გადატრიალებამ თავდაყირა დააყენა ადრე დამკვიდრებული წესრიგი. ოსთა და ქართველთა ურთიერთობაში ამოქმედდა ის „ნაღმი“, რომელიც მიზანმიმართულად იყო ჩადებული იმპერიის მესვეურთა მიერ. ამ საკითხზეც არაერთი გამოკვლევა არსებობს და განმეორებას სიახლე არ შეიძლება ახლდეს. (მხოლოდ ერთი. სხვა ნაშრომთაგან განსხვავებით, ავტორის „რევოლურიური ანექსია“ < თბ. 2008, სრულად იძლევა ვ. ლენინის კონცეფციას ეროვნული საკითხის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ და წარმოადგენს ოსთა და ქართველთა ურთიერთობის ხასიათის გაგების საფუძველს).

ცნობილია, რომ ვ. ლენინი კავკასიაში დასაქმებულ ს. ორჯონიკიძესა და ს. კიროვს ხშირად მოძღვრავდა რა გზით, რა მეთოდებით უნდა ემოქმედათ, როგორ უნდა შეპირებოდნენ კავკასიონელებს დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და ა. შ. თუ ისინი დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოს წინააღმდეგ იბრძოლებდნენ. და მათაც იბრძოლეს. და ბრძოლა დაუფასდათ.

პირველ რიგში, უკვე დამკვიდრებული იყო 1842 წ. შემოღებული ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“. ამ ტერმინს უკვე გარკვეული ფსიქოლოგიური ძალა ჰქონდა შეძენილი. ამ ნიადაგზე უკვე იყო ჩამოყალიბებული შეხედულება ისტორიული (ახლა უკვე ჩრდილოეთ ოსეთად მიჩნეული) და საქართველოს მიწა-წყალზე ჩასახლებული (უკვე სამხრეთ ოსეთად მონათლული) ოსების გაერთიანების შესახებ. ამ „იდეამ“ ადვილად იმუშავა ოსებს შორის. ამ ფერხულში ჩაბმულები აღმოჩნდნენ გაოსებული დვალები. (მართებულად ამბობდა ვ. ლენინი: გარუსებული უცხოელი რუსზე მეტად რუსი შოვინისტიაო. გაოსებული დვალი რატომ არ იქნებოდა ოსზე მეტი ნაციონალისტი ოსი? და ა. შ.). მეორე: მეფის მთავრობა არა მხოლდო უსახლებდა ქართველობას ე. წ. ხიზნებს, არამედ გარკვეულ შეღავათებსაც უწესებდა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან მიმართებაში. ეს არა მხოლოდ ათამამებდა ხიზნებს, არამედ გარკვეულ წინააღმდეგობასაც ბადებდა და ადგილობრივებში თესავდა ხიზნების მდ-

გომარეობაში გაასვლის (გაოსების) სურვილს. მესამე და რაც მთავარია, ქართული პოლიტიკური ინტელიგენცია დაქსაქსული, ურთიერთდაპირისპირებული (ბოლშევიკებად, ესერებად, მენშევიკებად, ფედერალისტებად და ა. შ.) ისედაც დასუსტებული და ეროვნულ იდეოლოგიას მოკლებული (თუ ნოე ჟორდანიაც ლენინელობდა, რა ითქმის დანარჩენებზე?), თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შიშით ვერც ორგანიზებას ახერხებდა და ვერც სეპარატიზმის ლიკვიდაციას. რაც შეეხება გასაბჭოების შემდგომ პერიოდს, თავად უუფლებო (საქართველოს ჰქონდა რუსეთის საოლქო-ადმინისტრაციის ოდენი პარტიული და სამეურნეო უფლებები) რესპუბლიკას, საბჭოთა იმპერიის ნების საპირისპირო „სიზმრის ნახვაც“ კი ეკრძალებოდა. (რამდენადაც არსებობს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“> თბ. 1991, საჭირო არაა კონკრეტული მასალის მოშველიება). არც იმის მტკიცებაა აუცილებელი, რომ ისტორიულ ოსეთში ოსური სული მიკნინებული იყო, ყველაფერი რუსულ თარგზე მოიაზრებოდა და მხოლოდ ე. წ. სამხრეთ ოსეთში იყო ნებას მიშვებული ყველაფერი ოსური. (ავტორს, რომელიც კომისიასთან ერთად თვეობით სწავლობდა ე. წ. სამხრეთ ოსეთში „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის“ საკითხს, აქვს კიდეც წვლილი იმ დახურულ მოხსენების შედგენაში, რაც 1984 წლის გაზაფხულზე წარედგინა მაშინდელ ხელისუფლებას).

ის ტრაგიკული მოვლენები, რომელიც ოსურ-ქართულ ურთიერთობებში გამოიკვეთა 1987-89 წწ. იყო ლოგიკური შედეგი საბჭოთა იმპერიის გამთიშველი პოლიტიკისა. ოსებმა მეტროპოლიის დახმარებით მოიგეს. მოიგეს ისევე, როგორც მონღოლების შემოსევების შემდეგ. ძლიერს „აყოლა“ ტრაგიკული აღმოჩნდა ოსების ალანური წინაპრებისათვის. ჰუნებმა ალანები დასავლეთ ევროპაში გაიყოლიეს, ბოლოს ვანდალებთან ეთად აფრიკაში მოხვდნენ და დღეს დაკარგულია მათი ხსენება.

ძლიერ დამპყრობს „აყოლილი“ ოსები მონღოლური ბატონობის ეპოქაში ღრმად შემოიჭრნენ ქართლში. არბიეს და ხოცეს ქართველობა, დაიწყეს მათი საცხოვრისის მითვისება. კავკასიონს გადმოსულებმა დმანისს უწიეს. არ იკმარეს, რომ ისედაც სხვის მიწა-წყალზე სახლობდნენ. ჩრდილეთი ბასიანი, დიგორი, ალაგირი, თაგაური, ჩემია, ალთა-ბალთა

უკვე განაღდებული ჰქონდათ და ახლა სამხრეთით გორი, დიდგორი და ბოლოს ვარძია და ბასიანი ისურვეს. ტრაგიკულად დამთავრდა სხვისი ქონების მითვისების ეს მცდელობაც. ჯერ ხანობით მაინც უმართლებთ ოსებს მესამე ბატონის – რუსების ხელში. დიდი წარმატებით შეიძლეს საქართველოს გათავისება. რუსეთის ხელშეწყობით საქართველოში 160 ათასზე მეტი ოსი შემოსახლდა. აქედან 65 ათასი კომპაქტურად დააფუძნეს ყორნისის, ახალგორის, ცხინვალის რაიონებში. სწორედ ამ მიდამოებშია შექმნილი ხელოვნური სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა.

ოსების ისტორია ისევეა ხელახლა გასააზრებელი, როგორც ბევრი ისეთი ეთნოსისა, რომელთაც არ ჰქონდათ დამწერლობა და ძირითადად სხვათა ცნობებს ან ზეპირსიტყვაობას ეფუძნებიან. უდაოდ მხოლოდ ისაა მიჩნეული, რომ მათი წინაპრები ვოლგისპირეთიდან მოსული ირანულენოვანი ტომებია. ზომიერ მკვლევართა მტკიცებით მოსულები თუ მომხდურები, კავკასიონის აბორიგენ მაცხოვრებლებს შეერივნენ და სათავე დაუდეს ოსი ეთნოსის ჩამოყალიბებას.

ისტორიის ბევრი საკითხი იწვევს მკვლევართა კამათს. არქეოლოგიური მასალის კუთვნილებაც არაა ერთნაირად გაგებული. რომ არაფერი ითქვას სხვა ერების წარმომადგენლებზე, ოს მკვლევართა შორისაც არაა აზრთა თანხვედრა. სადისკუსიოა ოსთა ეთნოგენეზის ძირეული პრობლემები: საიდან მოდიან ოსები, რა თანაფარდობაა მოსულებსა და აბორიგენ მოსახლეობას შორის, რა როლი შეასრულეს ალანებმა მათ ჩამოყალიბებაში (ალანები არიან თუ არა მათი წინაპრები), ალანები იყვნენ თუ არა ერთი ენობრივი ჯგუფი, როდის ჩამოსახლდნენ ოსთა წინაპრები კავკასიონ ეთნოსთა შორის და სხვა. ბოლო პერიოდში კი აქტუალური გახდა ოსთა და ქართველთა ურთიერთობის საკითხი. აქ კი თეორიული დავა კონფლიქტში გადაიზარდა და შედეგიც შესაბამისი დადგა. შესაბამისი, რადგან გადაწყვეტაში მთავარი იყო მისი შემქმნელი და მისი მომრიგებელი იმპერიული ცენტრი. ბოლო პერიოდის ობიექტური მკვლევარისათვის საკითხი ცენტრის (მოსკოვის) მნიშვნელობისა საეჭვო არაა. არც ისაა საეჭვო, რომ ცენტრი, გეგმავდა რა მეფის რუსეთის მემკვიდრეობით გადმოცემულ ოსურ-ქართული ურთიერთობის საკითხს, მას პერიოდულად აძლევდა საჭირო სტიმულს (მაგალითისთვის: როცა როქის გვირაბი იჭრებოდა, ოსმა ინტელიგენციამ შეკვეთილად უმღერა

საბჭოთა ხალხის ამ ერთობლივ შემოქმედებას. ავტორი მომსწრეა ოსთა აღტყინებული რაუნდებისა, რას ნიშნავდა როქის გვირაბის გაჭრა, რას მოუტანდა ის ოს ეთნოსს, რა დიდი როლი ჰქონდა ამ საქმეში რუსებს, ოსებს, სომხებს და ა.შ. მხოლოდ არა ქართველებს. ქართველების არ მოხსენიება დასამახსოვრებელია.

დიდი ხანია დავიწყებული აქვთ ოსებს საქართველოში ჩამოსახლების პერიოდი და პერიპეტიები. არგუმენტი, რომ აქაა დამარხული მამა-პაპა რამდენად გამოდგება ეთნოსის ავტოქტონობისთვის ჯერ კიდევ გასარკვევია.

აღნიშნული იყო, რომ ჯერ კიდევ 1842 წ. შეუქმნეს ოსებს ცალკე ერთეული შიდა ქართლის ტერიტორიაზე. მერე რა, რომ იქ ოსები ჯერ კიდევ არა ცხოვრობდნენ. ეს ხომ მომავლის საქმე იყო. 1860 წლიდან დაიწყო ოსების მასობრივი შემოსახლება საქართველოში. მანამდე მათ წარმატებით აითვისეს ისტორიული დვალეთი. დვალების ნაწილი გაიფანტა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დარჩენილები მალე გაოსდნენ. სწორედ ეს გაოსებული დვალებია აბორიგენი მოსახლეობა, მათ ეთქმით, რომ ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობენ.

ოსების ეთნოგენეზით დაინტერესებულ მკვლევარებს შორის საკამათოა ოსების ალანობის საკითხი, რამდენად დასაბუთებულია ოსთა ალანური წარმომავლობა. როგორ მოხდა, რომ ალანებს თავის წინაპრებად მიიჩნევენ თურქულ ენოვანი ყარაჩაელები და ბალყარები და ირანულ ენოვანი ოსები. როდესაც ალანი ტომები ჰუნებთან ერთად დასავლეთით წავიდნენ ვინ დარჩა კავკასიონის ჩრდილოეთით, რატომ უწოდეს დაჩენილებს ოსები და არა ალანები? კითხვა რიტორიკისათვის როდია. დასაბუთებული პასუხი არა ჩანს.

სანაცვლოდ კარგად ჩანს ისტორიის გამრუდებული წარმოჩენა. თავად ოსი მკვლევარები არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ოსი ეთნოსი მხოლოდ X-XII სს. ყალიბდება როგორც ცალკე ერთეული. იმ დროს ოსები არც ალანობენ, არც სკვითობენ, არც სარმატობენ. არის ოსი ხალხი, რომელსაც მტრულ-მოყვარული ურთიერთობა აქვს მეზობლებთან. ამასთან, მათი ტერიტორია ჯერ კიდევ ჩრდილოეთითა განფენილი. დღევანდელი კისლოვოდსკის, პიატიგორსკის მიმდებარე ტერიტორიები სრულიად ოსურია. იქ მათ კავკასიის მოდგმის ტომებთან აქვთ ურთიერთობა. იმ ადგილებიდან მათი გამოდევნა მონღოლების დამსახურებაა, რასაც მომავალში ადიღეურ-ჩერქეზულ-ყაბარდოული მოსახლეობის შემოსვლა-

დამკვიდრება მოჰყვება. ლოგიკურია, რომ იმ პერიოდში კავკასიონურ ეთნოსებს, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიონელებს ნაკლები შეხება და შედარებით მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

შესაბამისად, როდესაც ქართველი მკვლევარები, აქედან უკვე იდეოლოგები და პოლიტიკოსები ოს-ქართველთა ურთიერთობებზე მსჯელობენ, მიიჩნევენ, რომ ოსები ჩრდილოეთ კავკასიონელებია, მათი სამშობლო იქაა და პრეტენზიები კავკასიონის სამხრეთზე სრულიად დაუსაბუთებელია.

ბუნებრივია, რომ ოსებს ქართველების ასეთი მიდგომა საკითხისადმი არა მხოლოდ არ აწყობთ, არამედ იმპერიული პოლიტიკის გამოვლინება-დაც მიაჩნიათ. მათთვის ძალზე დროულად და ამომწურავად დაახასიათა ქართული პოლიტიკა, საქართველო როგორც მცირე იმპერია დიდმა მეცნიერმა ა. სახაროვმა. შეიძლება წყალბადის ბომბის შექმნის საქმეში მისი ღვაწლი მართლაც დიდი იყო, მაგრამ ფიზიკა-მათემატიკის სფეროში დამსახურება ვერ შეფასდება ისტორია-სოციოლოგიის სფეროში ასეთ-სავე წარმატებად. არა და, მის ყოველ დებულებას შესაბამისი სიმძიმე ახლდა. ქართული სხარტი სიბრძნეა: პური, მეპურემ უნდა გამოაცხოს.

ცხადია, რომ ქართველთა პოზიცია ოს მკვლევარებს, პოლიტიკოსებს, იდეოლოგებს აყენებდა დილემის წინაშე: უნდა ეღიარებინათ ოსთა ხიზნობა ქართულ სივრცეში ან დაესაბუთებინათ აბორიგენობა კავკასიონის სამხრეთში. მათ მეორე ვარიანტი ირჩიეს და დაიწყეს თეორიული ბაზის შექმნა, რომელიც მათ ავტოქტონურობას დაადასტურებდა, რომელიც მათ კავკასიონის სამხრეთში მკვიდრ მოსახლეობად აქცევდა.

ოსთა ისტორიის ქართულ მიწა-წყალზე დაძველების ცდა იწყება ზ.ვ. ვანეევით და განსაკუთრებულ „მეცნიერულ“ სიმაღლეზე ადის ი.ს. გაგლოევის (გაგლოითის) მცდელობით. უკანასკნელის „მეცნიერულ“ აღმოჩენებზე მოკლედ უკვე ითქვა. საკითხავია რას მიესწრაფოდნენ ოსი მკლევარები?

უმთავრესი ისტორიის დაძველებაა. თუ ობიექტურ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ოსთა წინაპრები კავკასიონის არეალში ფიქსირდებიან ძველი წელთა აღრიცხვის V-III საუკუნეებს შორის, ახალნი ამ დებულებას არ ეთანხმებიან. მათი აზრით კიმერიელები, სკვითები მათი უშუალო წინაპრებია და რადგან ამ ტომებმა ჯერ კიდევ VIII-VII საუკუნეში შემოაღწიეს კავკასიონის სამხრეთში, გამოდის, რომ ეს ტერიტორიები იმ დროიდან მოყოლებული მათი კუთვნილებაა. დადგენილად ითვლება,

რომ კიმერიელებმა ეგვიპტეს უწიეს. ამ ლოგიკით მთელი მცირე აზია ოსურია. დავიჯეროთ?

მნიშვნელოვანია ოსი მკვლევარების მხრივ იმის მტკიცება, რომ კოლხები კიმერიულ-სკვითური წარმომავლობისანი არიან. არ უნდა დაივიწყონ, რომ ქუჯი „უეჭველად“ სკვითური სახელია. შესაბამისად აფხაზი და ქართველი მეფეები მუდამ ოსები თუ არა მათი წინაპრები მაინც იყვნენ.

ორი აზრი არ შეიძლება იყოს დვალების ოსობის შესახებ. ისინი მუდმივად კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებს იკავებდნენ, ეს კი იმის დასტურია, რომ იქ ოსები ყოველთვის იყვნენ. რა თქმა უნდა „ცდება“ ლეონტი მროველი როცა ამბობს მეფე საურმაგის მიერ იქ დურძუკების (ვაინახთა, ჩეჩენთა წინაპრების) ჩასახლებაზე. „ცდება“ ვახუშტი ბატონიშვილი, როცა ოსურ მეტყველებასთან ერთად დვალურსაც ახსენებს. ბასიანელები, დიგორელები, თაგაურები და სხვა, მოხსენიებული გვარები ბიბილურები, ჭახილისძეები, სიდამონიძეები და სხვ. ოსებია და სხვანაირად გაგებაც მკრეხელობაა. ასეთია ოსური ლოგიკა.

თქმა არ უნდა „ცრუობენ“ მეცნიერები, როცა ყობანურ კულტურას კოლხურის მსგავსად და გაგრძელებად მიიჩნევენ. ვის, თუ არა უმაღლესი კულტურის მქონე ალანებს უნდა შეექმნათ იგი. რკინის დამუშავების ტექნოლოგიაც მათი შემუშავებულია და კაცობრიობისათვის ნაჩუქარი.

ამ მკვლევართა თანახმად, ოსების გადასვლა-ჩასახლება კავკასიონის სამხრეთში ძველი დრონის პროცესების გაგრძელებაა, ბუნებრივი მოვლენაა და იგი არ უნდა დაუკავშირონ მონღოლების, გნებავთ რუსების პოლიტიკას. ოსები თავის ისტორიულ მიწებს იკავებდნენ, რომელიც აგრესორმა ქართველებმა დროებით დააკარგვინეს.

ამ კონცეფციიდან გამომდინარე, ოსებს არასოდეს არაფერი საერთო ქართველებთან არა ჰქონიათ. ქართველი „იმპერიალისტები“ ბოლოს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოჩნდნენ და დაიპყრეს სამხრეთი ოსეთი, ამიტომ არავითარი კულტურული ძეგლები ქართული არაა. თვით სამხრეთ ოსეთი არასოდეს არ შედიოდა საქართველოს ფარგლებში, ოსები მუდამ მტკიცედ ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას. მსოფლიო საზოგადოებრიობამ დროა დააფასოს ოსთა დამსახურება და აღკვეთოს იმპერიალისტი ქართველების მხრივ გენოციდის მცდელობა.

იმდენი დაიწერა და ითქვა ოსების მიერ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში შეტანილ გადამწყვეტ წვლილზე, რომ ყოველივეს ჩამოთვლაც შეუძლებელია. და მაინც მცირე გახსენება.

ბ.ვ. ტეხოვი ოს მკვლევართა შორის მუდამ გამოირჩეოდა ზომიერებით. იგი ყობანური კულტურის დიდ მცოდნედ მიიჩნეოდა ოსებში. ქართველთა პატივისცემაც არ მოჰკლებია. როგორც სპეციალისტი იგი ეთანხმებოდა საყოველთაოდ მიღებულ აზრს, რომ ყობანური კულტურა კოლხურის გაგრძელებაა და ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში ჩრდილოეთ კავკასიაში მიტანილი სამხრეთიდან. უფრო მეტი, მისი აზრით ქართველების წინაპრებს უნდა მიეტანათ ჩრდილოეთში. ასე იყო 1987 წლამდე. ოსურ-ქართული ურთიერთობის დაძაბვის კვალობაზე მისი პოზიციაც რადიკალურად შეიცვალა. მისი ახალი კონცეფცია აგებულია იმ „აღმოჩენაზე“, რომლის მიხედვით ირანულენოვანი ტომები და აქედან გამომდინარე ოსები უძველესი დრონიდან სახლობდნენ კავკასიონის ორივე მხარეს. რასაკვირველია ყობანური კულტურაც უკვე ოსური გახდა. ძველი წელთა აღიცხვის II ათასწლეულიდან მოყოლებული არა ყოფილა პერიოდი, როდესაც აქ არა ყოფილიყო ოსი ეთნოსი, ოსური კულტურა. თუ უძველეს პერიოდში ადგილი ჰქონდა მიგრაციას, მაშინ ოსურის კვალი ინდოეთში უნდა იყოს საძებნელი. ოსების არიულობა ბ. ტეხოვისათვის ისეთი ხელშესახებია, რომ სპეციალურ დასაბუთებასაც არა საჭიროებს.

ოს იდეოლოგებს შორის ყველაზე შორს და ყველაზე ღრმად მაინც ცნობილი ალან ჩოჩიევი ხნავს და თესავს. არიელობას დღეს ბევრი ეთნოსი ეპოტინება. ამიტომ არიელობა ჩოჩიევისთვის სახარბიელო დასკვნა არაა. იგი თავგამოდებით არწმუნებს საკუთარ თავს და დიდი წარსულის აღმოჩენით კმაყოფილ ნაწილს ოსებისა, იმის მტკიცებით, რომ ოდესღაც, კაცობრიობის გარიჟრაჟზე არსებულა „ას-ალანთა“, თუ „ოს-ალანთა“, ეთნოსი. „ას-ალანები“, ძველი წელთა აღრიცხვის III ათასწლეულში, მყარად იკავებდნენ კავკასიონის ორივე მხარეს. უფრო მეტი, რას მიქვია კავკასიონი. სირიიდან (შუამდინარეთიდან, უფრო ზუსტად) მოყოლებული მთელი აღმოსავლეთ ევროპა ოსთა წინაპრების საცხოვრისი იყო. განა საკამათოა, რომ მტკვარ-არაქსის ცივილიზაცია, კოლხური და ყობანური კულტურაც ოსთა წინაპრების შემოქმედებაა. თუ ოსურად ობიექტურები ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ კავკასიონის

უძველესი მკვიდრი მოსახლეობა ოსურია, ქართველები კი იქ ბევრად გვიან არიან ჩასახლებულები. ტყუილად ედავებიან ქართველი შოვინისტები ოს პატრიოტებს პირველობას.

უცნაური იქნებოდა ენერგიული ალან ჩოჩიევი ამ მიღწევებით რომ დაკმაყოფილებულიყო, მით უფრო, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე სხვებმა გადაასწრეს. „ღრმა მეცნიერული“ კვლევა მისი პრიორიტეტია და შედეგმაც არ დააყოვნა. პირველ ყოვლისა, დააზუსტა, რომ არა მხოლოდ ოსები, არამედ რუსებიც არიული წარმომავლობისა არიან და ამ ნიადაგზე საერთო აქვთ წარსული და მომავალი მიზნები. მხოლოდ ეგაა, ოსები მაინც რაღაცა მითიური „ას-ალანებია“. ჰაიდა, ალან ჩოჩიევო რაკი შექმნა და განავითარა „ას-ალანთა“, (თუ ოს-ალანთა) ისტორია, შემდეგ რუსეთს დაუკავშირა, მაშ წინ რა დაუდგებოდა იმის დამტკიცებას, რომ ცხინვალია ამ არიელთა აკვანი, სალოცავი წმინდა ადგილი და მათი საერთო მოვალეობაა დაიცვან ძირძველი არიული მიწა ქართველი აგრესორებისაგან.

ესაც არაა საკმარისი ოსები და რუსები პირველი ქრისტიანები და იესო ქრისტეს მოძღვრები არიან. სხვანაირ ფიქრიც კი მკრეხელობაა, რადგან უკვე „დამტკიცებულია“, რომ ახალგაზრდა იესო სწორედ ცხინვალში ეზიარა ადამინურ სიბრძნეს. მხოლოდ ერთია გასარკვევი. ეს ოსური სიბრძნე იყო, რუსული თუ შერეული.

მთავარია, რომ მსოფლიო ცივილიზაცია ოსურ ზღაპრულად დევგმირულ მხრებზე დგას. განა გასაკვირია, რომ ევროპის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები „ოს-ალანთა“ განაყარია. ასეთ დროს კი ვინ არიან სკვითები, კიმერიელები, სარმატები. ოსები, როგორ შეიძლება ასეთი წინაპრების ჩამომავლები იყვნენ. სხვა თუ არაფერი, ხომ „დამტკიცებულია“, რომ ოსები პირველი ადამიანებია დედამიწაზე. ოსი ეთნოსი ათი ათასობით წლის წინ ეთნოსობდა. ჯერ იყვნენ ოსები, მერე წარმოიშვნენ დანარჩენი ადამიანები. ქრისტიანობაც ხომ „ას-ალანთა“ რწმენის მოდიფიკაციაა... თვით მუსულმანობაც თავისი რწმენის ფესვებს „ას-ალანთა“ მეობიდან იღებს. რა საჭიროა ფესვების ძიება. შეხედეთ თანამედროვე ოსეთს. კავკასიონის ორივე მხარეს ჩაჭიდებული ოსეთია ის ატლანტიდა, რის შესახებაც პლატონი სწერდა.

ერთად-ერთი რისი მიღწევაც ოსებს სჭირდებათ, ესაა ბრწყინვალე ალანური მსოფლიო მნიშვნელობის იმპერიის შექმნა. უფრო სწორედ

შექმნა კი არა, – აღდგენა, რადგან ხომ ისედაც ცხადია, რომ ყირიმიდან მოყოლებული კავკასიონი მუდამ იყო ოსთა სამფლობელო.

აი, ასეთ თაყვანსაცემ ეთნოსს ეღობება აგრესიული ქართველობა. ოსებს ართმევენ წარსულს, უკნინებენ დამსახურებას, ითვისებენ მის კულტურულ მიღწევებს, უწყობენ გენოციდს... მსოფლიო საზოგადოებრიობის ვალდებულებაა „ას – ალანთა“ სახელოვანი შთამომავლობა მტკიცედ დაიცვას თანამედროვე ქართველი კანიბალებისაგან. რას ეჭიდებიან ეს საცოდავი, ველური ქართველები? არიული რუსეთი მომმე არიულ ოსეთს არავის დააჩაგვრინებს.

სწორედ რუსების „ძმური“ დახმარებით შეძლეს ოსებმა შიდა ქართლში ავტონომიის მოპოვება. „ძმური“ დახმარებით იბრძოლეს დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ 1918-1920 წლებში. „ძმური“ დახმარებით შექმნეს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1936 წ. ატონომიურ რესპუბლიკად, ახლა კი რესპუბლიკად მოინათლა რუსეთის შემადგენლობაში. თუ ჩრდილოეთში მოაღწიეს რესპუბლიკის შექმნას, სამხრეთში უფრო იოლი არ უნდა ყოფილიყო? „ძმური“ დახმარება მაშ რისთვის არსებობს?

უკვე იყო მსჯელობა მოსკოვში, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის კომისიების შესახებ. იქ დიდი ხნის წინ იგეგმებოდა ოსთა და ქართველთა ურთიერთობის ყველა შესაძლო ვარიანტი.. 1990 წ. როცა ნათელი გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის და შესაბამისად საქართველოს დამოუკიდებლობის გარდუვალობა, ამოქმედდა ჩადებული ნაღმები და მათ შორის ოსური. 1988-1990 წწ. რა არ ითქვა და დაიწერა ქართველთა შოვინიზმზე, რასისტულ პოლიტიკაზე, აქედან თავის დაღწევის გზებზე.

20.09.1990 წ. ოსებმა, საოლქო საბჭოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის“ შესახებ. მოითხოვდნენ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას და ამ გზით რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. ცხადდებოდა სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ცხინვალის ეს დოკუმენტი ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადა. როცა ოსები არ დაეთანხმნენ და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის (უკვე რესპუბლიკის) უმაღლესი საბჭო შეიკრიბა, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ თვით ავტონომია გამოაცხადა გუქმებულად. მოგვიანებით რუსეთის პრეზიდენტი ბ.ნ. ელცინი დაეთანხმა ამ აქტს. მანამდე საბჭოთა კავშირის

პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა 07.01.1991 წ. ოსებისა და ქართველების აქტები ცნო ძალადაკარგულად.

ამისდა მიუხედავად სამხრეთ ოსეთში მღელვარება არა წყდებოდა და დაჟინებით მოითხოვდნენ რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. ცნობილმა ოსმა მეცნიერმა ვასილ (ვასო) აბაევმა ცხინვალის ეს პოლიტიკა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად შეაფასა. ამის გამო ოს ფსევდო პატრიოტთა რისხვაც დაიმსახურა.

რუსების „ძმური“ დახმარებით „სამხრეთელმა“ ოსებმა საქართველოსგან დამოუკიდებლობას მიაღწიეს. 1996 წ. ცხინვალში საზეიმოდ მიიღეს სამხრეთ ოსეთის კონსტიტუცია. 2001 წ. კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები და დაამტკიცეს.

ორი ათეული წელია არსებობს სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა ქართველებთან ურთიერთობის დარეგულირება. ეს არც მოხდება მოსკოვის სურვილის გარეშე. მოსკოვი მაშინ დათანხმდება, როცა შეიძლებს ასეთივე გავლენის მოპოვებას მთლიან საქართველოზე.

არის მეორე შესაძლებლობა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ძალთა თანაფარდობის ცვლა, ეროვნული დამოუკიდებლობის მზარდი ტენდენცია, რუსეთს აიძულებს შეეშვას კავკასიას და ვოლგისპირეთი მაინც შეინარჩუნოს. თავის სიტყვას იტყვის რელიგიური ფაქტორის წინ წამოწევა.

ამ შემთხვევაში კი არსებითი ისაა, რომ ოსები არიან კავკასიონის მაცხოვრებლები და კავკასიონელთა ოჯახის წევრები.

***

უკვე ითქვა, რომ ოსებთან ერთად ალანურ წარმოშობისად თვლიან თავს ყარაჩაელები და ბალყარები. საინტერესო ფენომენია. ოსები ირანენოვანი, ყარაჩალები და ბალყარები თურქულ ენოვანი ეთნოსებია. როგორ უნდა მომხდარიყო ეს?

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ტომები, რომლებიც ცენტრალურ და დასავლეთ ჩრდილო კავკასიაში მოსახლეობდნენ უძველეს დროში იბერიულ-კავკასიური წარმოშობისანი იყვნენ. ძვ. წ. ა. I ათასწლეულში მათ არეალში გამოჩნდნენ კიმერიელები, სკვითები, შემდეგ სარმატები, ალანები, ჰუნები. ბოლოს მიემატნენ თურქულ ენოვანი ტომები. მათი

ურთიერთ შერევის შედეგია ირანულ ენოვანი ოსების და თურქულ ენოვანი ყარაჩაელ-ბალყარელი მოსახლეობის ჩამოყალიბება. რაც შეეხება კავკასიური წარმომავლობის ტომებს, მათი განვითარების შედეგად მიიჩნევა ადიღეურ ენაზე მოსაუბრე ჩერქეზულ, ყაბარდოული და ნაწილობრივ ახალი აფხაზური გაერთიანებანი.

ყარაჩალებისა და ბალყარების წარმომავლობის შესახებ მრავალი თვალსაზრისი განიხილებოდა. ერთი ვერსიით ისინი ჰუნების ნაწილს წარმოადგენენ, მეორეს მიხედვით ყირიმელი თათრები არიან, მესამე, მეოთხე და ა. შ. მათ მონღოლებიდან მოყოლებული სლავების ჩათვლით ყველა ისტორიულად ცნობილ ეთნოსებს მიაკუთვნებდნენ. განსაკუთრებული პოპულარობით მაინც მათი ალანური წარმოშობა და გათურქებული კავკასიელობა სარგებლობს.

ამ შემთხვევაში მიზანი არაა სპეციალური კვლევა. თვალსაზრისის ძირითადი ხაზი ასე გამოიყურება: კავკასიელი მოსახლეობის უძველესი პერიოდის აღმწერელი წყაროს, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, სულ მცირე, ძვ. წ. ა. III ათასწლეულში იაფეტიდი თარგამოსიანელები იკავებენ კავკსიონის ჩრდილოეთ მხარეს. რამდენადაც ვოლგამდე მაინც სხვა მკვიდრი მოსახლეობა არ არსებობდა, მათ შეეძლოთ დაეკავებინათ ძალზე ვრცელი ტერიტორიები. ძვ. წ. ა. VIII-VII სს. მიჯნაზე მათ თავს კიმერიელები ესხმიან. კიმერიელებმა გადაიარეს კავკასიონის დასავლეთ გადასასვლელებზე და მცირე აზიაში შეიჭრნენ. მათ მოჰყვნენ სკვითები, რომლებმაც კავკასიონის პარალელურად იარეს აღმოსავლეთით და ბოლოს ალბანეთის (დერბენტის) გზით შეესივნენ აზიას. რამდენადაც ეს ტომები თარეშით დაკმაყოფილდნენ, რაიმე არსებითი კვალი კავკასიელების ცხოვრებაში არ დაუტოვებიან. ძვ. წ. ა. V-IV სს. მიჯნაზე იმავე გზით შემოიჭრნენ სარმატები. წინამორბედთაგან განსხვავებით, მათ კავკასიელების არეალში სამოსახლო მიიზომეს. შესაბამისად, კავკასოსის ტომთა გაერთიანება გახლიჩეს. მეოტები, სინდები, კერკეტები, ზიხები აზოვის ზღვის ჭაობებს მიაჯაჭვეს, მდ. ყუბანის მარცხენა ნაპირზე მცხოვრები ეგროსელები შეავიწროეს, კავკასოსის ტომთა ნაწილი მთებში შერეკეს, თერგის (ლომეკის) აღმოსავლეთით გადარეკეს და სამკვიდრო შექმნეს. ესენი აორსების ტომთა გაერთიანებას ქმნიან და კავკასიანებზე ბატონდებიან.ამავე დროს ლაშქრობენ სამხრეთში და აქედან წაყვანილ ტვეებს ჩრდილოეთ კავკასიაში ასახლებენ. შემდეგ პერიოდში დამპყრობთა

შორის დაწინაურდა ალანთა ტომი, რომელმაც თავისი სახელი დანარ-ჩენებზე გაავრცელა. ამიტომაა, რომ ისტორია ალანებს, მხოლოდ ახ. წ. ა. I საუკუნიდან იცნობს. ალანების სახელი აორსებზეც გავრცელდა და მათთან შერეულ კავკასიელებზეც (როგორც კავკასოსის, ასევე ეგროსის ნათესავ ტომებზე). ალანებმა დაიკავეს ყუბანის პირეთიდან დაღესტნამდე ტერიტორია. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობაზეც ვრცელდებოდა სახელწოდება ალანი, თუმცა თავისი წარმომავლობით ისინი ალანებს არ განეკუთვნებოდნენ. ამიტომ იყო, თუმცა მიაჩნდათ, რომ ალანი, ასეი და ოსი ერთი და იგივე ტომის სახელია, სინამდვილეში ვითარება საწი-ნააღმდეგოს ამტკიცებდა. ოსები თავს ირონებს ეძახდნენ, ხოლო ასებად, ოსებად ბალყარები მიაჩნდათ. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ასები და ალანები X-XIII სს. მანძილზე მტრობდნენ კიდეც ერთი მეორეს. ცხადია მტრობის (მეტოქეობის) გარდა იყო მოსახლეობის შერევაც, რაც გავლენას ახდენდა ეთნოსების ფორმირებაზე. მიჩნეულია, რომ ყარაჩაელები და ბალყარები ჩამოყალიბდნენ კავკასიური მოსახლეობის საფუძველზე, მასში ჯერ ირანულ ენოვანი (აორსები, ალანები) და შემდეგ თურქულ ენოვანი (ბოლგარები და ყივჩაღები) ტომების შერევა-შერწყმის შედეგად. მეორე თვალსაზრისი, რომ თურქულ ენოვანმა ბოლგარებმა და ყივჩაღებმა შეიერთეს (შეითვისეს) აშდიგორელები და შექმნეს ყარაჩაი-ბალყარების ეთნოსი, საკითხის არსს არა ცვლის. მკვლევარები უტყუარად აღნიშნავენ, რომ ტოპონიმები (აქედან ეთნონიმები) რომლებიც „გორი“-ს უკავშირდება, იბერიულ-კავკასიური წარმომავლობისაა. (უკვე ითქვა: ჩრდილოეთ კავკასიაში დიგორი, აშდიგორი და ა. შ. სამხრეთში-გორი, ახალგორი, დიდგორი და ა. შ.) აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თავად აშდიგორელები კავკასიელებისა და აორსების შერეული მოსახლეობაა. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ თურქულ ენოვანი ყივჩაღები მონღოლებთან

1222 წ. განცდილი მარცხის შემდეგ გაიფანტნენ, შემდეგ მონღოლებს შეერივნენ და ასე განაგრძეს არსებობა. მათი ნაწილი კავკასიელების (ალანების, აშდიგორელების) ადგილობრივ მოსახლეობას ჩაუსახლდა, შეერია, შეეთვისა და ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა ყარაჩაელ-ბალყარების ეთნოსი. გასაკვირი არაა, რომ ყარაჩაელებს XIX ს. შუა პერიოდამდე ალანებს ეძახდნენ და ქართველ მკვლევართა მტკიცებით, მეგრელები დღესაც ასე ეძახიან. რაც შეეხებათ ბალყარებს, მათი მისამართით ქა-ართველების ნათქვამი „ბასიანები“, ჯერ კიდევ საჭიროებს დაზუსტებას.

ქართველებისათვის ბასიანი გეოგრაფიული სახელწოდება იყო და რჩება. თუ ითქმის ბასიანელი, სულაც არ ნიშნავს ეთნიკური კუთვნილების აღნიშვნას. ბასიანი – საქართველოს სამხრეთის გეოგრაფიული ტერმინიცაა, მაგრამ იქ მაცხოვრებელი ბასიანელი ბალყარელს როდი ნიშნავს და ა. შ.

დადასტურებულად ითვლება, რომ ყარაჩაელ-ბალყართა სალიტერატურო ენა თურქულია, ჩამოყალიბებული იქ ყივჩაღების XIII ს. ჩასახლების შემდეგ (XIV ს. ეთნოსი უკვე საბოლოოდ ფორმირებულია). ყარაჩაელ-ბალყარებს უკავიათ ჩრდილო კავკასიის ის ნაწილი, რომელიც ლეონტი მროველის მოწმობით ეგროსის კუთვნილი მიწა-წყალი იყო და სადაც ათეულობით საუკუნეების მანძილზე სვანური მოსახლეობა მკვიდრობდა, ამდენად აუცილებელი ხდება ამ ორი ეთნოსის ურთიერთობის წარსულის კვლევა თანამედროვე მეთოდებით. ის, რაც ამ მხრივ თ. მიბჩუანმა შეძლო, ბევრის მეტყველია, მაგრამ არა საკმარისი. სიცხადე საკითხში არც ზ. რატიანის ნაშრომს „წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითაა საქართველო“, თბ. 1995, შეუტანია, საბჭოთა კავშირის დროს ეთნოურთიერთობების საკითხი, სამწუხაროდ წარმატებული არ იყო. (მოსკოვში არსებული ეთნოპრობლემების შემსწავლელი ინსტიტუტი იმდენად „მიზან მიმართული“ მუშაობდა, რომ პოპულარობას უწევდა მრავალ „აღმოჩენას“. ვთქვათ, თუ ეთნოსი 100 ათასს აჭარბებს, ის უკვე ერია. თუ რაოდენობრივად ნაკლებია – ის მხოლოდ ეროვნებაა და ა. შ. მათი „მეცნიერული“ ნამოქმედარი ამტკიცებდა ორი გერმანული ერის, დასავლეთის და აღმოსავლეთის, ორი კორეელი ერის, – ჩრდილეთელი და სამხრეთელი და ა. შ. არსებობს).

განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა რუსეთის შესაბამის ინსტიტუტებში მიმდინარე ღრმა „სამეცნიერო“ საქმიანობა. ყოველივე ექვემდებარებოდა ერთ პრინციპს: გათიშე, დააშორიშორე, დააპირისპირე. (ეგებ მოვა დრო, როცა ობიექტურად მოაზროვნენი შეძლებენ ამგვარი „სამეცნიერო ცენტრების“ გაშიფრვას).

მკვლევართა მიერ ბევრი უტყუარი დებულებაა დადგენილი, რომელიც ყარაჩაელთა და ბალყართა წარმომავლობას უკავშირდება. და მაინც გაურკვეველია თავად „ყარაჩაელი“-ტერმინის საკითხი. ეთნოსის გენეზისში მრავალი ელემენტი მონაწილეობდა. ამას არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ლინგვისტური კვლევები ცხადყოფენ. დამწერლობის

არ არსებობა, ისტორიული კუთვნილების ზეპირსიტყვაობაზე დაფუძნება კვლევებს ართულებს.

ამავე დროს, ანთროპოლოგია, არქეოლოგია, ფოლკლორი არაორაზროვნად მიუთითებენ კავკასიურ-იბერიული ქვედა პლასტების არსებობაზე. სწორედ მათ მიეკუთვნებათ ძვ. წ. ა. III ათასწლეულიდან მოყოლებული კოლხურ-ხეთური კულტურის ელემენტების გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში. ძვ. წ. ა. II-I ათასწლეულების ცნობილი ე. წ. ყობანური კულტურა თავისით არ შეიქმნებოდა.

სხვა წერილობითი ცნობები იმ უძველესი პერიოდის შესახებ არ არსებობს ლეონტი მროველის გარდა. ის კი დღევანდელი ყარაჩაელებისა და ბალყარების სივრცეს ეგროსის კუთვნილ მიწა-წყლად მოიაზრებს. ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ იბერიულ-კავკასიურ ტომებს ჩაუსახლდნენ მოსული ჯერ ირანულ ენოვანი, შემდეგ კი თურქულ ენოვანი ტომები, რამაც ენობრივი ცვლილება გამოიწვია, მაგრამ კავკასიური ტიპი ვერ შეცვალა. ენა იცვალა, გენეტიკური კოდი დარჩა.

ყარაჩაელები და ბალყარები მათი რთული გენეზისის მიუხედავად კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებს იკავებენ საუკუნეთა მანძილზე, სხვა სამშობლო არ გააჩნიათ და ლოგიკურია, რომ კავკასიონელებად ითვლებიან. კავკასიონელებად, მაგრამ არა კავკასოსის მონათესავე ეთნო გაერთიანებად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სრული საფუძველი მათ ფორმირებაში კავკონთა მონაწილეობის აღიარებისა.

ამ დასკვნას ამაგრებენ ქართველი მკვლევარები. გარდა იმისა, რომ ყარაჩაელები და ბალყარები ეგროსის კუთვნილ მამულში ცხოვრობენ, მათ შეითვისეს ეგრების (სვანების) კულტურულ-სამეურნეო მიღწევები. საკმარისია მიეთითოს ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსების მიერ დამკვიდრებულ თუ შემონახული ტოპონომებზე: სვანების მთა, ველი, წყალი და ა. შ. სვანური ნადირობის კულტი აფშატი შეთვისებული აქვთ კავკასიონელებს. შედეგს არ ცვლის თუ აფშატს არქმევენ აპსატს და სხვ. თ. მიბჩუანმა გამოწვლილვით შეისწავლა კავკასიონის ამ რეგიონის მოსახლეობა და მივიდა დასკვნამდე რომ არსებული გვარების საკმაო რაოდენობა (დაახლოებით 40 გვარი) არა მხოლოდ სვანური წარმოშობისაა, არამედ მოხუცებს ახსოვთ კიდეც თავისი სვანობა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ყარაჩაელთა და ბალყართა აღნიშნულ, სვანთა ტერიტორიაზე ჩასახლება უნდა მომხდარიყო არა უადრეს XIV-XVII

საუკუნეებისა. ამ თვალსაზრისს ეთანხმება ვ. ალექსეევის დასკვნა, რომ ყარაჩაელებს და ბალყარებს გენეტიკური კავშირი სწორეთ სვანებთან ჰქონდათ. (Алексеев В. П. Некоторые проблемы происхождения балкорцев и карачацев в свете данных антропологии. Нальчик, 1960, с. 320-333). იგივე აზრი ჯერ კიდევ ათასეულობით წლებით ადრე იყო გამოთქმული სტრაბონის, მენანდრეს და სხვათა მიერ. სვანებს მიიჩნევდნენ იმ რიცხობრივად მძლავრ გაერთიანებად, რომელიც კავკასიონის „გარშემო“ ცხოვრობდა. არა მხოლოდ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კალთებზე, არამედ გარშემო. (ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა. ტ. III, გვ. 221). ასე რომ არა ყოფილიყო, სვანები 200 ათასი მეომრის შეკრებასაც ვერ შეძლებდნენ. შესაბამისად, სადაო არ უნდა იყოს, რომ სვანები, ცხოვრობდნენ რა ჩრდილოეთ კავკასიონში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ ყარაჩაელთა და ბალყართა ეთნოგენეზში. პროცესი არ იქნებოდა მხოლოდ მშვიდობიანი ან მხოლოდ ომის გზით არ წარიმართებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ადიღეველთა ნაწილმა ისტორიული ოსეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, შექმნა ყაბარდო და მეზობლები შეავიწროვა. არის ცნობა იმაზე, რომ ამას რეგიონალური მიგრაციები მოჰყვა. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიას შინა, იწოდნენ : ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდად, და კავკასიასა შინა მყოფნი, მათ შემოსულთაგან ოვსეთად...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 634). ასევე ცნობილია, რომ ყაბარდოს (ყაბარდოელები ისეთივე ადიღეველებია, როგორც აბაზინები. შაფსუღები, უბიხები... ყველა ვისაც ერთ დროს ჩერქეზების სახელით აერთიანებდნენ), მთავარ თემრიუყ იდაროვი, მას შემდეგ, რაც რუსეთის მეფე ივანე მრისხანეს ქალიშვილი მიათხოვა და მოყვრობის ძალით გული მოიცა, მეზობელი ტომების დალაშქვრას შეუდგა. 1557 წ. ყაბარდო მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთს. თემრიუყ-მა სხვებთან ერთად სვანური დასახლებებიც დაიპყრო ყუბანის, ბახსანის, ზედა ბალყარის, ბეზინგის და ჩეგემის ხეობებში. თ. მიბჩუანის ცნობით, დაპყრობილი იყო 164 სვანური სოფელი. იქვე განმარტებულია, რომ დღევანდელ ბაქსანს იმ დროს ერქვა ბახსონ და აქედან არიან წამოსული სვანი ბახსოლიანები. ამავე ცნობას ადასტურებს ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის მიხედვით სვანები ცხოვრობენ მდ. ბაქსანის და ყუბანის ხეობებში. XVIII ს. შუა პერი-

ოდში სვანური მოსახლეობა ჯერ კიდევ მყარად იკავებდა ჩამოთვლილ ხეობებს და ბუნებრივია, მათი მონაწილეობის გარეშე ყარაჩაელებისა და ბალყარების ეთნოგენეზი ვერ წარიმართებოდა. სწორედ ამიტომ, თუმცა მათი ენა კავკასიონურს არ განეკუთვნება, მაგრამ აშკარად აჩენს კავკასიურ ელემენტებს.

***

ბევრად განსხვავებული მდგომარეობაა ადიღეური ძირიდან მომდინარე ყაბარდოელების, ჩერქეზების, საკუთრივ ადიღეველებთან მიმართებაში. ნებისმიერი ეთნოსი მრავალჯერადი შერევა-შერწყმის, მიგრაციული თუ ასიმილაციური პროცესების მომსწრეა. ბევრის წარსული ისეა ჩახლართული, რომ ჭეშმარიტების დადგენა თითქმის შეუძლებელია. ასეა ადიღევლების მიმართაც.

პირველ რიგში დასადგენია მათი კავკასიური ფესვები.

სტრაბონის მიხედვით ძვ. წ. ა. I ათასწლეულში ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მოსახლეობდნენ მეოტები და სინდები. მკვლევართა ნაწილის მტკიცებით (თუ ვარაუდით) ადიღეურ-ყაბარდოული (ჩერქეზები) ტომები მეოტების ჩამომავლებია. მეოტები კი ძვ. წ. ა. VI საუკუნიდან არიან ისტორიისათვის ცნობილნი. იმ დროს ისინი აზოვის (მეოტიის) ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთში და მდ. ყუბანის (ძველი სახელწოდებით პაპანისი, ანტიკიტი, კოპა, აქედან ქართულად კაფა) ქვემო დინების აუზში მოიაზრებიან.

ისტორიულად კავკასიონელებისათვის ის პერიოდია, როცა უკვე გადაქელილი აქვთ კიმერიელებს და სკვითებს ეს ვრცელი მხარე და სარმატების შემოსევის პერიოდია. სარმატულმა აორსებისა და სირაკების ტომთა გაერთიანებებმა მიმოფანტეს კავკასის მონათესავე ტომები და მათი არეალი დაიკავეს.

მახსოვრობის ძალით შევხედოთ ჩრდილო კავკასიას ძვ. წ. ა. III ათასწლეულიდან მოყოლებული. ამ პერიოდის შესახებ მხოლოდ ლეონტი მროველის მონათხრობია ცნობილი. იგი ზუსტად აღწერს იაფეტიდი თარგამოსის შთამომავლებს შორის ტერიტორიული გამიჯვნის საკითხს და კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეს ასე ყოფს. ლიხის მთიდან ზღვამდე და ასე მდინარემდე მცირე ხაზარეთისა (მდ. ყუბანი) ერგო ეგროსს.

ამასთან ეგროსელებია სვანები და მეგრელ-ლაზები. მდ. ყუბანის მარჯვენა მხარიდან (ჩრდილოეთიდან), მდ. თერგამდე (ლომეკამდე) ერგო კავკასოსს. მისგან აღმოსავლეთით ლეკოსს. მროველის მოწმობით ლეკოს-კავკასოსის სამფლობელოთა ჩრდილოეთი საზღვარი დაწესებული არა ყოფილა და არც საჭიროება მოითხოვდა, რადგან მდინარემდე დიდი ხაზარეთისა (ვოლგამდე) უზარმაზარი სტეპები აუთვისებელი იყო. ეს ტერიტორიები შეძლების ფარგლებში ლეკოს-კავკასოსის მონათესავე ტომებმა დაიკავეს. ისტორიისათვის უცნობია რამდენი შეიძლეს კავკასისა და ლეკოსის ტომთა გაერთიანებებმა. არის არაპირდაპირი მითითება, რომ საკმაოდ ჩრდილოეთით უნდა წაწეულიყვნენ.

ამ გეოგრაფიულ არეალში პირველად კიმერიელები და სკვითები გამოჩნდნენ. მათ თარეშით გაიარეს და მცირე აზიას შეესივნენ. ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში რადიკალურად შეიცვალა სარმატების შემოსევების შემდეგ. ისინი რბევით არ დაკმაყოფილებულან, მიიზომეს საარსებო სივრცე ლეკოსისა და კავკასის ტომთა შევიწროება-განდევნის გზით. ლოგიკური კითხვა: რა დაემართებოდათ კავკასის მოდგმის ტომებს? მტრის ურდო შემოიჭრა არა კასპიის (დარუბანდის) ზღვის სანაპიროს გავლით და არც მეოტიის (აზოვის) ჭაობიანი სანაპიროს გზით. მომხდური ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრშია შემოსული. კავკასის ტომთა გაერთიანება გაიფანტებოდა და გაერიდებოდა ბევრად ძლიერ მტერს თუ ერთ მუშტად შეკრული დაიხევდა მთებისაკენ? საფიქრებელია, რომ თავად კავკასის მონათესავე ტომები საუკუნეთა მანძილზე გაბნეულები იქნებოდნენ დიდ ტერიტორიაზე და გარკვეულად უკვე დაშორიშორებულნი ტერიტორიულადაც და ენობრივადაც (თუნდაც გამოკვეთილი დიალექტების დონეზე). შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მათი შეკრება ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის მიზნით? ბევრი იქნებოდა დამოკიდებული მომხდურთა მოულოდნელ, სწრაფ მოქმედებაზე. დასაშვებია თუ არა კავკასის მონათესავე ტომთა გაფანტვა? შეიძლება თუ არა ვარაუდი. რომ მეოტებისა და სინდების ტომები აზოვის ზღვას ყოფილიყვნენ მიჯაჭვულნი და მოწყვეტილნი იმ ტომებისაგან, რომლებიც იძულებულნი გახდნენ კავკასიონის მთებში ეპოვათ თავშესაფარი ან, როგორც ვაინახები, თერგის აღმოსავლეთით ხეობებში ჩაკეტილიყვნენ? გარკვეული სიცხადის შეტანა პრობლემის გარკვევაში

ანთროპოლოგიურ კვლევას შეუძლია. მათი მონაცემებით კი ადიღეურ, ჩერქეზულ, აბაზინურ, ყაბარდოულ მოსახლეობასთან ერთად პონტოს ტიპს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილიც მიეკუთვნება. მაგრამ აქ გასარკვევია, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რა ნაწილი? სხვანაირად გაურკვევლობის კვალს ტოვებს ანთროპოლოგთა მტკიცება, რომლის მიხედვით კავკასიელთა 4 ტიპიდან ქართველობა რა ნიშნებით ხვდება სამში, პონტოს, კავკასიურ და წინააზიურში. კიდევ ერთი მომენტია დასადგენი. მროველის მიხედვით კავკასის ნათესავებად აღიარებულ ვაინახებსა და დვალებს გარდა ქართველობაც მოიაზრება კავკასიურ ტიპში. იქვე არიან ყარაჩაელები, ბალყარები, ოსები, დასავლეთ დაღესტნის მაცხოვრებლები. ეს ყველაფერი გასაგებია. კავკასოსის მონათესავე ტომებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს ამ ეთნოსთა ჩამოყალიბებაში. უფრო მეტი, ისინი იყვნენ საფუძველი, რომელზეც ეს ეთნოსები დაეშენნენ. ამავე ტიპს არ განეკუთვნებიან ადიღეველ-აბაზინურ-ყაბარდოულ-ჩერქეზული და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც პონტოს ტიპის შემადგენლობაშია. საკითხავია თუ მეოტები და სინდები ძველი კავკასიონელები (კავკასის მონათესავე ტომები) იყვნენ, რატომ ვერ შეინარჩუნეს კავკასიური ტიპის ნიშნები? საკითხი ღიაა განსჯისათვის და თუ კვლევის დღევანდელი მეთოდები საბოლოო დასკვნის საშუალებას არ იძლევა, ეგებ გენეტიკურმა კვლევებმა შემატონ სიცხადე? კავკასიის გენოგეოგრაფია ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

შეიძლება სიმართლეს სიცხადე შემატოს ფ. კრასილნიკოვის თვალსაზრისმა იმის შესახებ, რომ ადიღე-ჩერქეზები სულაც არ არიან აბორიგენი კავკასიონელები? მისი თქმით «...Существует предания... что племя «адыге», как называют сами себя черкесы, переселились с северных берегов Черного и Азовского морей и заняло восточный берег, значительную часть обоих склонов Кавказского хребта и Кубанскую равнину.» (Красильников Ф.С. Кавказ и его обитатели. М. 1919, с 55). თუ კვლევა დაადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რა ნაწილია პონტოს ტიპის შემადგენელი ელემენტი, მაშინ შეიძლება ისიც განისაზღვროს, ეს ნაწილი განეკუთვნება თუ არა ადიღეველთა (ჩერქეზთა) იმ ნაწილს, რომელმაც კავკასიონის სამხრეთი კალთები დაიკავა.

რას გვეუბნებიან ამ ხაზით წერილობითი წყაროები და ზეპირსიტყვაობა იმ ეთნოსებისა, რომლებიც მოკლებული იყვნენ წერის კულტურას? ამ საკითხების კვლევას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ვითარებაში, როცა რუსეთთან კავშირების დამყარების შემდეგ (რუსეთის მიერ კავკასიელების დაპყრობის შემდეგ) ბევრი რაიმე იძულებით შეიცვალა კავკასიონელთა ცხოვრებაში, მათზე ჭეშმარიტ ცოდნაში.

მკვლევართა დავას არ იწვევს ის, რომ კავკასიის ჩრდილო დასავლეთით, ძველი წელთა აღრიცხვიდან მოყოლებული ცნობილი არიან მეოტები და სინდები ამის მიუხედავად აზრთა სხვაობას იწვევს მეო- ტების ტომთა შემადგენლობა. თუ ცნობილია, რომ ერთი მხრივ სინდი, კერკეტი, ტორეტი, ზიხი, (ქართულად-ჯიქი), ახეები (აქაველები) ეთ- ნიკურად მონათესავე ტომებია, მეორე მხრივ კამათს იწვევს მეოტების ვინაობის (რაობის) საკითხი. დანდარები, ტარპეტები – ვინ იყვნენ ისინი? არის აზრი მათი ადიღეური კუთვნილების შესახებ. გამოთქმულია მოსაზრებაც თვით ადიღეველების არა კავკასიონელობის შესახებ. რაც ცნობილია საბოლოო დასკვნისათვის საკმარისი არაა.

მკვლევართა მიერ აღიარებულადაა მიჩნეული, რომ სინდებს ეკავათ ტამანის ნახევარკუნძული ანაპამდე და მდ. ყუბანის ქვემო წელი. უფრო გვიან მათგან სამხრეთით სახლობდნენ კერკეტები, შემდეგ ტორეტები, ახეელები (აქაველები), მოსხები და ჰენიოხები. ცოტა განსხვავებულ მოსაზრებას გვაცნობს სტრაბონი. მისი ცნობის თანახმად ჯერ იყვნენ ახეელები, შემდეგ ზიგები და შემდეგ კერკეტები. ამას გარდა, სტრაბონის მიხედვით მეოტების შემადგენლობაში მოიაზრებიან თავად სინდები, დან- დარები, ტორეატები, ტარპეტები, არეხები, ობიდიაკენები, სიტაკენები, დოსხები. ყურადსაღებია, რომ თავად მეოტების საცხოვრებელი არეალის დადგენაც იწვევს აზრთა სხვაობას. თუ ცნობილია, რომ სინდები ტამანის ნახევარკუნძულზე სახლობდნენ, მათ ქვევით კერკეტები, ახეელები, მოსხები და ჰენიოხები, რატომ ვერ საზღვრავენ მეოტების არეალს? მხოლოდ იმაზე თანხმდებიან მკვლევარები, რომ მათი სივრცე მდ. ტანაისამდე (დონამდე) ვრცელდებოდა. იმიტომ ხომ არა, რომ ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ? მათ ზევით (ჩრდილოეთით) VI-V სს. მდ. ვოლგა-დონის შორის უკვე სავრომატული ტომებია (აორსები და სირაკები).

ძვ. წ. ა. VI ს. ჩნდება ბერძნული ელემენტები. ბერძნები აარსებენ სავაჭრო კოლონიებს ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულებზე. V ს. ეს კოლონიები ქმნიან ბოსფორის სამეფოს და თავის გავლენას სინდთა ტომებზეც ავრცელებენ. (გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩრდილეთ კავკასიის ახეელები (აქაველები) საბერძნეთიდან გადმოსული და აქ ცალკე ტომად დამკვიდრებული ახეელებია. რამდენად სანდოა ეს ცნობა? სავრომატების შემოჭრამ ვოლგა-დონის მიდამოებიდან სამხრეთით ძირეულად შეცვალა ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებული ტომების არა მხოლოდ საარსებო არეალის გეოგრაფია, არამედ შემადგენლობა და ერთიანობაც. ტომთა გაერთიანებანი დაიშალა და ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე უკვე ახალი სახელები, ახალი საცხოვრებელი არეალით ფიქსირდებიან ისეთი ცნობილი ავტორების მიერ, როგორიცაა სტრაბონი, პტოლომეი, პლინიუს უფროსი.

ვერც ერთი ავტორი ნათელს ვერ ჰფენს ცენტრალური კავკასიონის მოსახლეობის ეთნიკურ კუთვნილებას. ყოველი ტომი ან ტომის ნაწილი კალკე ხეობაშია ჩაკეტილი და როგორც კულტურულ-ეკონომიკურად, ასევე ენობრივად თანდათან შორდება ადრე ახლო ნათესაურ მოსახლეობას. სტრაბონის თქმით, ისინი მეცხოველეობით და ნადირობით ირჩენენ თავს. ერთია მხოლოდ, 70 ტომი (ან სხვადასხვანაირად მოლაპარაკე) ადამიანები დიოსკურიაში (ცხუმში, სოხუმში) იკრიბებიან სავაჭროდ და არა მხოლოდ. სტრაბონი მათ სარმატებისა და სკვითების მეზობლებს უწოდებს. პტოლემეუსი და პლინიუს უფროსი, იალბუზსა და მყინვარწვერს შორის ასახელებენ ტალებს (დვალებს), აკინელებს, სოდებს. ამის გარდა აღნიშნავენ ტროგლოდიტების, პოლიფაგების (ანუ ბევრის მჭამელების), ისადიკების არსებობას, თუმცა მკვლევართათვის უცნობია ვინ, რომელი ეთნოსის წარმომადგენლები არიან ისინი.

კავკსიონის ჩრდილოეთის სტეპები, ის რაც აორსებისა და სირაკების სამომთაბარეო იყო, ახ. წ. ა. I საუკუნიდან ალანთა კუთვნილება ხდება. ფიქრობენ, რომ თავად ალანები სავრომატული ტომია, რომელმაც თავისი გავლენა და სახელი დანარჩენებზე გაავრცელა.

***

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მომხდურთა გავლენით ტომთა არსებული გაერთიანებანი იშლება, მიმდინარეობს შერწყმის პროცესი, საფუძველი ეყრება ახალ, შეჯვარებულ ეთნოსებს, რომელბიც ადიღეველბის თვითსახელით არიან ცნობილნი. მკვლევართა ერთი ნაწილი ემხრობა მათი ჩრდილოეთიდან შემოსვლის იდეას. სხვათა აზრით ადიღეველები, ისევე როგორც მათი განაყარი ყაბარდოელები და აბაზინები პირიქით, ადგილობრივი კავკასიური ტომია, რომელმაც მოსულები შეითვისა, მოახდინა მათი ასიმილაცია, თუმცა თავადაც გარკვეული ცვლილება განიცადა. ასე რომ მეოტების, ზიგების (ძიგებ-ჯიქების) და კერკეტების ჩამოყალიბება სავრომატებთან შერწყმის შედეგია.

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ადიღეური წარმომავლობის ტომებს ენა და ტოპონომიკა კავკასიური აქვთ. მაგალითად მოაქვთ მრავალ ტერმინთა დაბოლოება აპე, ფსი (ფში). აპე ადიღურად ყურეს ნიშნავს. პარალელისათვის – უბე, ლაზურად ნიშნავს უპე. ქართველებშიც არის უბის სახელი – უპე, ოღონდ ეს თვალის უპეა (უბეა) და არა ზღვის, ქალის და სხვა. აპე-თუ წყლის უბეა, თავად წყალს ეწოდება – ფში (ფსი). ქართულშიც არის მსგავსი სიტყვები, ოღონდ ის სხვა წყალს ეწოდება. და თუ ასე გაგრძელდა მსჯელობა, მაშინ შეიძლება შეხსენება, რომ უფრო მეტი საერთოა და მეტად დამაფიქრებელი, სამეგრელოში ანა-კლია, აფხაზეთში ანა-კოფია (დღევანდელი ახალი ათონი) და დღევანდელი რუსეთში – ანაპა. ასე რომ გაგრძელდეს, მაშინ ისტორიული ნიკო-ფსი-ც საჭიროებს ახლებურ ახსნას. როცა პომპეუსმა მითრიდატე პონტოელის დევნა შეწყვიტა (ძვ. წ. ა. I ს.) და არსებულ პუნქტს უწოდა ნიკოფსი, ისიც ადიღურად ხომ არ აზროვნებდა?

ნიკოფსის ჩრდილოეთით ზიქები (ზიგები, ძიგები, ჯიქები) იკავებენ ეგროსის კუთვნილ მიწა-წყალს. ეს უკვე ახ. წ. ა. I ათასწლეულში ხდება. ჯუანშერი, აღწერს რა ვახტანგ გორგასალის ლაშქრობას ჩრდილო კავკასიაში, ამბობს, რომ ოვსეთის მეზობლად სახლობდნენ ჯიქები. „ჯიქეთი მუნვე იყო“, მაგრამ ამ ლაშქრობის „შედგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და... ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა.“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1. გვ. 156-157). ჯიქები

ნიკოფსის ჩრდილოეთით ეგროსის მამულებს იკავებენ არა უადრეს Vი საუკუნისა. ისინი ადიღეველი ტომებიდან ყველაზე სამხრეთით სახლდებიან და უკვე აფხაზეთის სამთავროს მეზობლები ხდებიან.

XIII ს. მონღოლების გამოჩენამ და ხანგრძლივმა ბატონობამ ცვლილებები გამოიწვია ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკურ შემადგენლობაში. მათგან დევნილმა ყივჩაღებმა მთებს შეაფარეს თავი და ყარაჩაელებისა და ბალყარელების ეთნოგენეზში მიიღეს გადამწყვეტი მონაწილეობა.

მონღოლთა მიერ განადგურებული იქნენ ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსები. რაც მთავარია, ჰუნებს გადარჩენილი (IV) ალანები დაიშალნენ, ნაწილი მონღოლებს მიემხრო და მათ ლაშქრობებში ჩაერთო, ნაწილი მთებში კავკასიელებს შეერია და განსაზღვრა ოსი ეთნოსის მომავალი. ალანთა განადგურებამ საშუალება მისცა ადიღეველებს წაეწიათ აღმოსავლეთით დაცლილ მიწებზე და ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. XV საუკუნისათვის, ალანთა მიწებზე დასახლებული ადიღეველები ქმნიან ახალ ეთნოსს-ყაბარდოელებს.

უპრიანია აქ კიდევ ერთხელ ვახუში ბატონიშვილის ნათქვამის განმეორება: 1. იგი ეხება რა სავრომატების (აორსების) ლაშქრობას ჩრდილოეთ და შემდეგ სამხრეთ კავკასიონში, აღნიშნავს „ურბანოსმა“ ქართლ-სომხითიდან წაყვანილი ტყვეები ჩრდილო კავკასიონის ბარში ჩაასახლა და ამ მხარეს „უწოდა ოვსეთი“ (ქართლის ცხოვრება. ტ. IV, გვ. 632). 2. ადიღეველებმა დაიკავეს რა ალანთაგან დაცლილი მიწები, შექმნეს ახალი სამთავრო. „ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიას შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდად, და კავკასიასა შინა მყოფნი, მათ შემოსულთაგან ოვსეთად.“ (გვ. 634).

ძალზე მრავალმნიშვნელოვანი განმარტებაა: 1. ძვ. წ. ა. V-IV ს. როცა ოვსეთი იქმნება, მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართლელებია. ოვსეთი სწორედ ჩასახლებული ტყვეების მიერ დაკავებულ ტერიტორიას ეწოდა; 2. ადიღეველების მიერ ალანებისაგან დაცლილ ტერიტორიის დაკავებს, მოჰყვა „ოვსეთის მოოხრება“, შეიცვალა ქვეყნის სახელწოდებაც. ოვსეთის მოსახლეობამ მიატოვა ბარი და მთებში ჰპოვა თავშესაფარი. ამ ახალ რეალობას ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღნიშნავს: ოვსეთს ეწოდა ყაბარდო ანუ ჩერქეზეთი (ერთი პერიოდი

ჩერქეზებს უწოდებდნენ ადიღეური წარმომავლობის ყველა ტომს), ხოლო ლტოლვილი ოვსების ახალ საცხოვრისს ეწოდა ოვსეთი, ე. ი. ოვსეთმა ბევრად სამხრეთით გადამოინაცვლა.

XIV საუკუნემდე ადიღები ყარაჩაელების დასავლეთით სახლობდნენ. ამის შემდეგ ისარგებლეს იმით, რომ მონღოლებმა მიატოვეს ალანთაგან წართმეული მიწები და აღმოსავლეთით წაიწიეს. მიგრაციულმა პროცესებმა თუმცა ადიღეველების სივრცე ბევრად გააფართოვა, მაგრამ ამავე დროს ეთნიკური ფორმირების პროცესიც შეაფერხა. XV ს. ადიღეველთა აღმოსავლეთმა ნაწილმა ყაბარდოელების სახით ახალი ეთნოსი შექმნა. გენეზისი ნებისმიერი ეთნოსისა რთული და წინააღმდეგობრივია.

ამ გზას ვერც ადიღეველები ასცდნენ, ტომთა გაერთიანება, გაყოფა, ერთი მათგანის გაძლიერება, დასუსტება ჩვეულებრივი მოვლენაა. მკვლევარები XVIII ს. ბოლოს ასახელებენ ხეგაკებს, წოფსინებს, ნატუხაელებს, შაფსუღებს, აბაძეხებს, ბჟედუხებს, აბაზელებს და სხვა. ტომი თავის მხრივ უფრო წვრილ ერთეულებად იყოფოდა, რაც ეთნიკური შეკავშირების პროცესს ართულებდა. ვთქვათ, ხეგაკები და წოფსინები დასუსტების შემდეგ ნატუხაელებს შეუერთდნენ. ჟანეელები ბჟედუხებს შეერწყნენ და ა. შ.

ცვლილებები არა მხოლოდ ტომთა გაერთიანების ან ტომთა სახელწოდებების ხაზით მიმდინარეობდა. ადიღურ ტომებს XIV ს. შუა პერიოდიდან ჩერქეზები ეწოდათ. ერთი პერიოდი ჩერქეზებს ჩრდილო კავკასიის ყველა მცხოვრებს უწოდებდნენ.

მკვლევართათვის ადიღეველების ისტორია თითქოს ნათელია. სინამდვილეში ბევრი რამ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. ვთქვათ მიჩნეულია, რომ მეოტები, ზიქები (ჯიქები) და კერკეტები არიან ადიღეველთა წინაპრები. ჯიქები (რომლის შიგნით მოიაზრებენ აბაზებს და დასავლეთის ჩერქეზებს, ჩერქეზებად კი ამ შემთხვევაში კერკეტებს) აფხაზეთის ბოლოს დაეფუძნენ არა უადრეს VI საუკუნისა. ამავე დროს კერკეტებში ბევრი აფხაზებს მოიაზრებს. აფხაზები კი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე I ს. იხსენიებიან. არის შეუთავსებლობა? შესაბამისად საჭირო ხდება საკითხის უფრო ღრმა, შეიძლება ახლებური კვლევა. ამ შემთხვევაში აქტუალობას იძენს საკითხი: პონტოს ტიპს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რომელი ნაწილი მიეკუთვნება.

აუცილებლობას წარმოადგენს კავკასიონელი ეთნოსების გენეგეოგრაფიის დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში მკვლევარები ისეთ ისტორიულ „აღმოჩენებამდე“ მიდიან, როგორიცაა აფხაზების ეგვიპტელობა, ადიღეველების – სანიგობა (Л. И. Лавров.) ადიღეური აბაზების – აბაზგობა (Н. Г. Волкова) და ა. შ. დასადგენია, ასევე, თავად ტომთა (გნებავთ ეთ- ნოსთა) სახელწოდებების პერიოდულობაც. ვთქვათ: ადიღეველები XIV საუკუნიდან იძენენ ჩერქეზების სახელს. ამავე საუკუნიდან ჩნდება სახ- ელწოდება აბაზა. აქედან აბაზინები. რამდენად შეიძლება ამ აბაზინების მიკუთვნება აფხაზეთის ტერიტორიაზე ცნობილ აბაზგებთან? ხომ არაა ეს არა მეცნიერული, არამედ პოლიტიკური კონცეფცია შორს მიმავალი დასკვნებით? შეიძლება უფრო მართებული იყოს XIX ს. დამკვიდრე- ბული აზრი, რომ აბაზები (აბაძეხები) არის ადიღების (დასავლეთის ჩერქეზების) და აფხაზების შერევის შედეგი? მით უფრო რომ XVII ს. დასავლეთ საქართველოში ნამყოფ-ნაცხოვრები უცხო ტომელები აფხაზებს იცნობენ როგორც ქართულ ტომს, ხოლო ჯიქებს, როგორც ადიღეურს. მათთვის აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვა ტომი უცნობია. როგორ მოხდა, რომ XVII ს. მოგზაურებს გამორჩათ ის ცვლილებები, რაც რუსი მკვლევარებისათვის XI ს. იყო ცნობილი?

უკვე ითქვა, რომ ყველა ჩერქეზული ტომის თვითსახელია ადიღე. თავის მხრივ ადიღელები იყოფიან ადიღელებად, ჩერქეზებად, ყაბარდოელებად. მათ ყველას XIV ს-ან ჩერქეზები ეწოდათ. ამიტომაა, რომ მათ ერთი სალიტერატურო ენა გააჩნიათ. ამავე ენაზე მეტყველებენ აბაზები და თანამედროვე აფხაზები.

მკვლევარები უტყუარად მიიჩნევენ, რომ ადიღეველთა ნაწილი მონღოლების ხანაში გადასახლდა მდ. ყუბანის მიდამოებიდან მდ. თერგის აუზში და შექმნა ყაბარდოელი ეთნოსი. სხვა ადიღეველები XIV ს. განსახლდნენ მდ. ურუპის, ყუბანის, ზელენჩუკის მიდამოებში. მათ XIX ს. ყაბარდოელთა მცირე ნაწილი ჩაესახლა. ამ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დასახლდა მდ. ზელენჩუკის, ყუბანის, კუმის კავკასიონის ხეობებში ახლა აბაზინების (ადრე აბაზას) სახელით არიან ცნობილნი და აქვთ 15 სოფელი: აფსუა, პატარა აბაზინი, ტაპანტა, აბაზა-ხიბლი, კარაპაგი და სხვა ასევე აქვთ სამი სოფელი ქ. კისლოვოდსკის მიდამოებში.

აბაზინები ორ დიალექტზე მეტყველებენ: ტაპანდა და შკარაუა. თითოეული დიალექტი ორ-ორ ნაწილად იყოფა. ყველას თვითსახელია აბაზა. ახლო მეზობლებიც ასევე უწოდებდნენ, მაგრამ თანამედროვე რუსი მკვლეარები მაინც აბაზინებს ამკვიდრებენ.

აქ კიდევ ერთ უცნაურ მტკიცებულებასა აქვს ადგილი. იგივე მკვლევარები დაბეჯითებით ამბობენ, რომ აფხაზი ეთნოსის გენეზისი სწორედ აბაზინების მონაწილეობით მიმდინარეობდა. ცნობილია, რომ აფხაზეთის ტერიტორიის უძველესი ტომებია მისიმილიანები, აფშილები, აბაზგები, სანიგები. მიჩნეულია, რომ მათი შერწყმის ნიადაგზე შეიქმნა აფხაზი ეთნოსი. ქართებმა აბაზგებს უწოდეს აბხაზები, შემდეგ სამთავროს შექმნის კვალობაზე. იქ მაცხოვრებლებზე გავრცელდა სახელი აბხაზი (აფხაზი). ეს მოხდა არა უგვიანეს VI-IX საუკუნეებში. იყვნენ კი მაშინ აბაზები (აბაზინები)? ისიც ცნობილია, რომ აბაზები (მათი წინაპრები) თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილოეთით ტუაფსემდე ტერიტორიას იკავებენ მხოლოდ XIV ს. მოყოლებული. ბოლოს აბაზები ყაბარდოელ ფეოდალთა გავლენის ქვეშ მოექცნენ და მათთან ერთად შევიდნენ რუსეთის მფარველობაში 1557 წ. ეს ის დროა, როცა საქართველოს სახელმწიფო დასუსტებულია, დაყოფილია და ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები შედარებით ადვილად შემოდიან მის საზღვრებში. ისტორია ამ პროცესს მთის ჩამოწოლას უწოდებს.

რუს მკვლევართა ნაწილი აბაზებს (აბაზინებს) სოციალური მდგომარეობით გაერთიანებულ ჯგუფად მიიჩნევს და არა ეთნიკური წარმომავლობით. «Термин абаза служил также для обозначения групп завысимого населения» (Волкова Н. Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М. 1973, с. 51). ამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რუსული წყაროები „ობეზს“ უწოდებდნენ აბა- ზას, აფხაზებს და საერთოდ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს „ობეზების“ (ტვირთის მზიდავების) ეთნიკურობას. ასე „ობეზი“ შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენელი; ის შეიძლება წარმომდგარიყო ანგარიშსწორების ფულადი ერთეულიდან – აბაზი. (მაგალითისათვის: რუსები ხშირად სომხებს „ტარხუნ“-ს ეძახდნენ, ხოლო ქართველებს „ლავროვე ლისტს“ მცენარის სახელის მიხედვით). ამგვარად, აბაზა შეიძლება მართლაც სოციალური შინაარსის ტერმინი იყო, რომელიც გარკვეული ეთნოსის მნიშვნელოვან ჯგუფს ეწოდა

მათი საქმიანობის ხასიათის გამო; 2. დიდი რუსი ისტორიკოსი ვასილ ტატიშჩევი, ეხება რა კავკასიელი ეთნოსების საკითხს, აბაზას ტომს (აბაზინებს) თათარ-მონღოლური წარმოშობის მოსახლეობად მიიჩნევს. აი, მისი დასკვნა: «Абаза, есть народ татарской по Куме и в горах до вершин Кубани по властию кабардинских князей» (Татищев В. Н. История Российская, М-Л, 1962, стр. 422).

რაც შეეხება „ობეზი“ სახელწოდებას, სულაც არ ნიშნავს რომ აქ აბაზა (აბაზინი) იგულისხმება. იგივე ვ. ტატიშჩევი, ახასიათებს რა კავკასიონელებს, განმარტავს: «Авхети, мнил бы нынешние Кахети в Грузии область, но оноя от Черного моря далеко за горами. Паче же мню, часть Мингрелии северная, которую турки и кабардинцы имянуют Авхазос, наши древние именовали Обезы,... Ныне оной большую часть кубанцы наполняют.» (იქვე, გვ. 171)/ ვ. ტატიშჩევის ეს დახასიათება XVIII ს. მეორე ნახევარს განეკუთვნება.

ცნობილია, რომ რუსეთი აბაზას საკითხს მუდამ ყაბარდოს პრობლემას უკავშირებდა თურქეთთან ხანგრძილი დავის დროს. აბაზები (აბაზინები) მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და ეს გარკვეულად ართულებდა მათი პოლიტიკური კუთვნილების საკითხს. 1753 წ. თურქეთმა დასვა მათი თურქეთისადმი ქვეშევრდომობის საკითხი. რუსეთმა ეს პრეტენზია უარყო. 1774 წ. რუსეთ თურქეთის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ყაბარდო რუსეთს ერგო. 1802 წ. აბაზების უმრავლესობა ნოღაელებთან ერთად ცალკე ომპაქტურად დასახლდა და ყაბარდოელთა ბატონობას თავი დააღწია.

აქ კიდევ ერთი უცნაურობა იკვეთება. თანამედროვე მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ აბაზა (აბაზინები) კავკასიონის ჩრდილოეთით გადასახლებული აფხაზები არიან. ამას „ამტკიცებენ“ სახელწოდებათა და ენობრივი მსგავსების საფუძველზე. ჯერ ერთი, ეთნოსებისა ან ქვეყნების სახელთა მსგავსება, სულაც არ ნიშნავს ნათესაობას. პირინეის იბერია და კავკასიის იბერია, კავკასიის ალბანეთი და ბალკანეთის ალბანეთი სახელთა დამთხვევაა და სხვა რამ დაუსაბუთებელია. ასევეა აფხაზეთი და აბაზინეთი. რაც შეეხება სამეტყველო ენის ნათესაობას, ჯერ კიდევ საკითხავია, როგორ წარიმართა პროცესები თავად აფხაზეთში. ცნობილია, რომ აბაზები 1917 წლამდე მესაქონლეობასა და ნადირობას მისდევდნენ და პრაქტიკულად პატრიარქალურ-თემური

ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მათი ერთ ადგილზე დამაგრება მხოლო საბჭოთა რუსეთში მოხდა. შესაბამისად მიწათმოქმედებაც ამ პერიოდიდან დამკვიდრდა, მანამდე გრძელდებოდა მათი ადგილ მონაცვლეობა.

იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიონელებს, დამწერლობა არა ჰქონდათ, არ შეეძლოთ ისტორიული წარსულის დაფიქსირება. ამიტომ ხშირად იყენებენ ზეპირსიტყვაობას. რამდენად ზუსტია მოხუცთა ნაამბობი? მით უმეტეს, ვისაც აქვს დანამდვილებითი ცნობები ამ მოხუცთა შესახებ, ვერ უარყოფს, რომ ბევრი მათგანი ადვილად იმატებდა 20-30 წელს, რადგანაც ეს გარკვეულ პრესტიჟთან იყო დაკავშირებული. ვისაც ავტორივით შეუსწავლია კავკასიონის მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხი, ის არ გაიკვირვებს, მტკიცებას, რომ კავკასიონელ მოხუცთა გადმოცემები დიდი ვარცლის მეშვეობითაც ვერ ხარისხდება.

თანამედროვე რუსული „მეცნიერული“ თვალსაზრისი, XIII ს-ან აფხაზი მოსახლეობის ჩრდილოეთ კავკასიაში მიგრაციისა და ამ ნიადაგზე აბაზების (აბაზინების) ტომის ჩამოყალიბების შესახებ ყოველგვარ „მეცნიერულ ფანტაზიას“ სცილდება. ეს მკვლევარები დასახულ მიზანს არგებენ ისტორიულ ფაქტებს და არ იძლევიან რეალური მოვლენის ობიექტურ ახსნას. მიუკერძოებელმა მკვლევარმა როგორ უნდა იფანტაზიოროს, რომ სასურველი რეალობად წარმოადგინოს. ვინც იცის კავკასიონელების ისტორია, მან ისიც იცის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებლები (აბაზგები, სანიგები, აფშილები, მისიმილიანები) მიწათმოქმედნი და მესაქონლეები, ხელოსნები, ვაჭრები და ა. შ. იყვნენ იმ დროსვე, როცა მათი რაობა გამჟღავნდა ისტორიაში. ლოგიკურად წარმოვსახოთ: მთელი ათას წელზე მეტი ხნის მანძილზე ისინი მკვიდრობენ ისტორიული აფხაზეთის (ქ. ანაპიდან ქვევით ანაკოფიამდე და ანაკლიამდე) ტერიტორიაზე. აქ მისდევენ ისინი მიწათმოქმედებას, ხელოსნობას, ბიზანტიასთან ვაჭრობას და ა. შ. ისინი ქმნიან აფხაზეთის სამთავროს (ამაზე შემდეგ იქნება მსჯელობა), გამოდიან ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნის ინიციატორებად, წარმოადგენენ საქართველოს იმპერიის წამყვან ნაწილს (პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად), ადიან სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის მაღალ საფეხურზე და შემდეგ ნებაყოფლობით ეშვებიან თემური წყობილების დონეზე. კაცობრიობის ისტორიას არა აქვს პროგრესის რეგრესით შეცვ-

ლის ასეთი მაგალითები. აფხაზებმა როგორ მოახერხეს ეს?

რუსი მკვლევარების ნაწილი დასაბუთებულად მიიჩნევს, რომ აფხაზთა ნაწილი გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიონში დაიწყო მომთაბარე ცხოვრება.და ეს მოხდა XIII ს. მოყოლებული. უბრალოდ გავიხსენოთ XIII ს. საუკუნის პირველ ნახევარში, ერთ დროს უძლეველ ქართულ იმპერიას მონღოლები ამარცხებენ, იმორჩილებენ, დუმანებად ყოფენ და შესაბამის გადასახადებს უწესებენ. ამასთან, მონღოლური რისხვა დასავლეთ საქართველოს არ შეხებია. დასავლეთი საქართველო გადაურჩა ყველა მომხდურის მხრივ აოხებას.

ამავე დროს მონღოლებმა დაიპყრეს კავკასიონის ჩრდილოეთი და იქ „შესაბამისი“ ამაოხრებელი ღონისძიებები გაატარეს. ეს მდგომარეობა გაგრძელდა თვით კოჭლი თემურის ლაშქრობებისას. თემურ ლენგმა რვაჯერ ილაშქრა საქართველოში, მაგრამ დასავლეთი (აფხაზეთი) მას არ აუოხრებია. სანაცვლოდ მან გადათელა, გადააგვარა და გადააჯიშა კავკასიონის ჩრდილოეთით მაცხოვრებელი ეთნოსები. ეს მან წაშალა ერთიანი კავკასიონური მეობა, კულტურა, სულიერება. ხოცა, ჟლიტა, გადააგვარა ფიზიკურად და სულიერად ჩრდილოელები.

საღად მოაზროვნე ადამიანისათვის როგორი წარმოსადგენია, რომ მტრებისაგან დაცული, მოწინავე საერთო კულტურის სფეროდან გამოეყოფოდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი და წავიდოდა ბედის საძიებლად იქ, სადაც მას არც ფიზიკურად, არც ეკონომიკურად, არც სულიერად, არც ენობრივად, არც გენეტიკურად და ა. შ. შემხვედრი, გამგები, არც ნათესავი და არც მეგობარი არ ეგულებოდა, სადაც ბატონობდა თემურ ლენგის კანონები; არც გაგება, არც დანდობა, არც შენდობა.

შეიძლება წარმოდგენა იმისა, რომ მბორგველი ადამიანი შეიძლება მოხვდეს უარეს სიტუაციაში, მაგრამ წარმოდგენა იმისა, რომ ცივილიზებული (იმ დროისთვის) აფხაზი მოსახლეობა მშვიდ ცხოვრებას მიატოვებდა და სადღაც ჩრდილოეთში მომთაბარე ყოფას ეზიარებოდა — წარმოუდგენელია. ამიტომაც არის, რომ ამ იდეის (აფხაზების ჩრდილოეთში გადასვლისა და იქ აბაზინური ტომის შექმნის იდეის) ავტორებს ერთი ისტორიული ცნობაც არ გააჩნიათ. არც შეიძლება გააჩნდეთ. მიზანი კი ყოველთვის როდი ამართლებს საშუალებას.

მიზანი არ არის ადიღეური წარმომავლობის ეთნოსთა დაწვრილე

ბითი ისტორიის გადმოცემა. ეს არცაა შესაძლებელი ცნობების სიმწირის პირობებში. ან რა უნდა ითქვას აბაზას ტომზე, რომელიც 1883 წ. მონაცემებით 9921 სულისაგან შედგებოდა. რომელთა თანამედროვე ტერმინოლოგია XX საუკუნეშია შექმნილი, რომელთა სოფლების სახელწოდებები საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა და სხვა. თვით ცნობილი სოფ. აფსუა ყოფილი შახგირეევსკოეა. აი, როგორია „მეცნიერული“ დასკვნა: «Так, бывшее сел. Шахгиреевское стало Апсуа (то есть «Абхазы»)». როგორია? აპსუა სხვა არაფერია თუ არა აფხაზი. სინამდვილეში?

***

სინამდვილე თანამედროვე მკვლევართა მიერ ისეა წარმოდგე- ნილი, რომ საკითხის სიღრმეში ჩაუხედავი მოსურნე სინამდვილისა ტვინარეული დარჩება. განსაკუთრებით ბოლო ნახევარი საუკუნეა რაც ისტორიული სინამდვილე ილახება. რუსული იმპერიული პოლიტიკა კვლევის სხვა მიმართულებას არა სცნობს საქართველოს მიმართ.

მთელი XIX-XX სს. მანძილზე მოძღვრავდნენ იმპერიის დამქაშები ქართველურ ტომებს: ქართველი სხვაა, თუში, ხევსური, დვალი, მეგრელი, სვანი, აფხაზი, აჭარელი სულ სხვა ეთნიკური ჯგუფებია. საქართველო მცირე იმპერიაა, სადაც აუცილებელია ეს ეთნოსები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. ნუ შეშინდებიან, ჰუმანური რუსეთი მათ გვერდში ამოუდგება, დაეხმარება და დაიცავს.

მეფის რუსეთის გამთიშველი პოლიტიკა, მეტ-ნაკლებად წარმატებული იყო. ამას ემატებოდა კავკასიონელ ეთნოსთა ურთიერთდაპირისპირების ნაცადი მეთოდი. პოლიტიკის არსი ასე ჟღერდა: ერთი ხელისუფალი – იმპერატორი, ერთი ენა – რუსული, ერთი ქვეყანა – რუსეთი. ამ სამი პრინციპისათვის არც კომუნისტებად წოდებულ

ექსპლოატატორებს უღალატიათ: ერთი მეფე – პარტიის გენერალური მდივანი, ერთი ენა – რუსული, ერთი ქვეყანა – საბჭოთა კავშირი. ცვლილება უმნიშვნელო იყო: მეფეს ეწოდა გენერალური მდივანი, ხოლო რუსეთს – საბჭოთა კავშირი.

განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა 1918-1921 წლებში. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა მიუღებელი იყო რუსეთისათვის. არა აქვს მნიშვნელობა, მას სოციალისტურს უწოდებდნენ, ბოლშევიკურს თუ სხვა.

ისტორიულად ცნობილია რუსთა ის უარყოფითი რეაქცია, რაც ვ. ლენინის მიერ ფინეთის დამოუკიდებლობის ცნობას მოჰყვა. ასმაგად მიუღებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. მას მთელი კავკასია მიჰყვებოდა. ამასთან, დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული თურქეთისათვის ჩამორთმეული ქართული პროვინციები, ლორე-ახტალა-სანაინოს (სანაინის) სასაზღვრო ტერიტორია და რაც მთავარია კავკასიონს იქითა (ჩრდილოეთის) ტერიტორიები. ამიტომ იყო, რომ ცნობილმა გენერალმა დენიკინმა, სანამ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ლაშქრობას წამოიწყებდა, ჯერ საქართველოს ჩამოაჭრა ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიები ადლერ-სოჭი-ტუაფსეს რაიონებში და საზღვრი მდ. ფსოუზე განაწესა, შემდეგ კი ვ. ლენინმა 1920 წ. 7. 05. ზავით ეს ახალი საზღვარი აღარ შეცვალა. (ამ საკითხებზე იხ. ავტორის „რევლუციური ანექსია“).

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოს (ფორმალურად რესპუბლიკად წოდებულს) რატომ უნდა ჰქონოდა უკეთესის იმედი. არ ეწერა და არც იყო. საბჭოთა პერიოდში ჩამოეჭრა მას ლორე-ახტალა-სანაინის (სანოინოს) ოც კილომეტრიანი საზღვრისპირა ტერიტორია სომხეთის სასასრგებლოდ. ასევე ჩამოეჭრა აღმოსავლეთით ტერიტორიები ძეგამ-ჩაის ხეობამდე, ე. წ. საინგილო. რაც შეეხება ჩრდილოეთის საზღვრებს, აქ ყველაფერი მოსკოვის სურვილს ექვემდებარებოდა. ნ. ხრუშჩოვის გადაწყვეტილებით 1957 წ. ჩამოეჭრა ქლუხორის რაიონი. ქართველებს უკან დაახევინეს კავკასიონის მთაგრეხილის პირიქითა მიწა-წყლიდან და მცოცავი აგრესია დღემდე გრძელდება. არაა საჭირო დიდი დაკვირვება, 200 მეტრი, კიდევ, კიდევ და საზღვარი კილომეტრობით იწევს უკან.

საქართველო კავკასიაში სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანაა. მის მორჩილებაზე ბევრადაა დამოკიდებული კავკასიელების მორჩილება. ამიტომ მუდმივი დაძაბულობა უნდა იყოს აქ. ამიტომ შეიქმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა და აფხაზეთს რესპუბლიკა. რესპუბლიკების აბრით, რუსეთი მყარ პლაცდარმს იქმნიდა მთელი წინა აზიის ქვეყნების წინააღმდეგ.

რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ავანგარდში წონიანი მნიშვნელობა აფხაზურ პრობლემას გააჩნია. ისაა, ერთი მხრივ სატყუარა და მეორე მხრივ ჩამკეტი ჩრდილო კავკასიის ეთნოსებისათვის და რაც მთავარია, იარაღი საქართველოს დასაჩოქებლად.

აფხაზეთის საკითხი თავისთავად საინტერესო და ბოლომდე გაურკვეველი ისტორიული მოვლენაა. აფხაზთა ეროვნული და ტერიტორიული პრობლემები ყოველთვის იყო მკვლევართა ყურადღების ცენტრში. მის შესახებ საუკუნეების მანძილზე წერდნენ უცხოელი მოგზაურები და რა თქმა უნდა ქართველები. ამ ცნობების შეკრება და ანალიზი არა ერთ მკვლევარს უცდია. მათ შორის პირველ რიგში აფხაზად აღიარებულ ავტორებს.

აფხაზ ავტორთა ნააზრევი პირობითად სამ ნაწილად, შეიძლება დაიყოს. პირველი განეკუთვნება იმ დროს, როცა აფხაზური აზრი, აფხაზობა (შინაგანი და გარეშე ფაქტორების ხელშეწყობით) იკრებს ძალას და ცდილობს საკუთარი მე ჩამოაყალიბოს, შექმნას დამწერლობა და მოახდინოს ისტორიული წარსულის სისტემატიზაცია. პირველი ეტაპის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია დამწერლობის, ლიტერატურისა და ისტორიის შექმნის მოთავე დიმიტრი გულია. ჭეშმარიტად დიდია მისი ღვაწლი. სხვაა, რამდენად მეცნიერული და მისაღები იყო კონცეფცია აფხაზთა აბისინელობის (ეგვიპტელობის) შესახებ. კონცეფციას ჰქონდა თეორიული „საფუძველი“. ცნობა ძვ. წ. ა. XI ს. ფარაონ სესოსტრატის ლაშქრობის შესახებ კავკასიაში, აქ მისი ლაშქრის ნაწილის დარჩენის შესახებ, ძველი ეგვიპტელებისა და კოლხების ფიზიკური, შემოქმედებითი და რაც მთავარია ტრადიციული მსგავსების შესახებ, მართლაც მიმზიდველი კონცეფციის მატარებელია. ბრძენმა ჰეროდოტემ იცოდა თავისი საქმე. დიდი ენერგია შეალია დ. გულიამ კონცეფციის შექმნას და ბოლოს თუმცა უარყვეს მისი დასკვნები, მაინც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა აფხაზთა მეობის კვლევის საქმეში. უფრო მეტი მეცნიერული კვლევის ახალი მეთოდები (გენური, მათემატიკური და სხვა, რომელიც ჩვენთვის უცნობია) მომავალში ახალ სიცხადეს შემატებენ დ. გულიას კონცეფციას. არც ჰეროდოტე იყო დაუღვინებელი მოაზროვნე და უსაფუძვლოდ არ წამოაყენებდა აზრს ეგვიპტელებისა და კოლხების ნათესაობის შესახებ. მომავალი განსჯის, ყოველი ახალი ხომ დავიწყებული ძველია. ფაქტი კი ერთია. კვლევების ბოლოს დ. გულიამ ბრძანა, რომ აფხაზები ქართველებია. აფხაზები ისეთივე განსაკუთებული ნაწილია იბერიულ-ქართული სამყაროსი, როგორც სვანები, ფხოველები (ხევსურები), კახელები და ა. შ.

აფხაზ მკვლევართა მეორე ეტაპის თაობამ, მემკვიდრეობა მიიღო და ახალ მოთხოვნათა შესაბამისად გადაამუშავა. მკვლევართა ამ თაობის წარმომადგენლებს ახასიათებთ „ზომიერება“. იყო ეს ეპოქის მოთხოვნა თუ კვლევების უფრო მეცნიერულობის შედეგი, გასარკვევია. გარკვული ისაა, რომ მათ უკუაგდეს აფხაზთა შორეთიდან „გადმოსახლებულობის“ კონცეფცია და შეეცადნენ ახლებურად განემარტათ ისტორიული სიძველენი. ამ ეტაპის ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლები არიან ბატონები ზურაბ ანჩაბაძე, გიორგი ძიძარია, შალვა ინალ-იფა. საფუძველის შემქმნელი ზ. ანჩაბაძეა. ვინც პირადად იცნობდა და თუნდ შორიდან სწავლობდა ამ პიროვნებას, მის დიდ პოტენციალში და ავტორიტეტში დარწმუნებული იყო. ამასთან, ეს ავტორები იცავდნენ „ზომის“ ფილოსოფიურ კატეგორიას და მყარ საფუძველს უქმნიდნენ მომავალ (მესამე ეტაპის) რადიკალურ მკვლევარებს.

სხვათა ნააზრევის ანალიზი უმადური საქმეა. მკვლევარმა საკუთარი უნდა წარმოაჩინოს, შემსწავლელი კი თავად მიხვდება მტყუან-მართალს. ამ პრინციპის საწინააღმდეგოდ ზოგჯერ აუცილებელი ხდება სხვათა ნათქვამის შეფასებაც. ასეა ახლაც.

ბატონ ზურაბის ხსოვნისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად უნდა მოხდეს მისი თვალსაზრისის ერთი მომენტის განხილვა. მი- იჩნევს: ძვ. წ. ა. 40-12 ათასწლეულებში ჩნდება ეთნიკური ნიშნები. კავკასიაში იქმნება საფუძველი ერთიანი ეთნოსის ჩამოსაყალიბებლად. ამ ეთნოსის ერთობის არეალი დასავლეთ კავკასიაში უნდა იყოს. 12-6 ათასწლეულში ერთიანი კავკასიური ეთნოკულტურა იყოფა სამ ჯგუფად: 1. სამხრეთ კავკასიური. 2. ჩრდილო დასავლეთ კავკასიური, 3. ჩრდილოეთ აღმოავლეთ კავკასიური. შესაბამისად იბერიულ-კავკასიური ენათა სამი განშტოება ყალიბდება. აფხაზეთი შედის სამხრეთ კავკასიურ არეალში, მაგრამ არის ჩრდილოეთ აღმოსავლური ჯგუფის დამახასიათებელი ელემენტები.

აი, აქ არის საკითხი გასარკვევი: 1. ძვ. წ. ა. 40-12 ათასიან წლებში რამდენად შეიძლება ეთნოსის ნიშნებზე საუბარი. დასაბუთებულად მიჩნეულია, რომ დედამიწაზე გამყინვარება თავის აპოგეას აღწევს 25 ათასი წლის წინ. ცხადია კავკასია ვერ აცდებოდა ამ ბუნებრივ მოვლენას. ისიც დასაბუთებულია, რომ გამყინვარება, დათბობის პროცესებს სწრაფად უთმობს ადგილს, დაახლოებით 12 ათასი წლის წინა. ჯერ ხანობით მაინც ძვ. წ. ა. VIII ათასწლეულის დასახლების ნაშთია ნა-

პოვნი თურქეთის ტერიტორიაზე. რა იყო კავკასიაში, რომელი ტომები უცნობია. შესაბამისად რა ეთნოსზე შეიძლება მსჯელობა?

2. ძვ. წ. ა. 12-6 ათასწლეულში რომელი ერთიანი კავკასიური ეთნოკულტურის დაყოფაზე შეიძლება მსჯელობა? ცნობილია, რომ ძვ. წ. ა. IV-III ათასწლეულში სხვა ცივილიზაციების პარალელურად (ეგვიპტური, შუმერული, კრეტულ-პელაზგიური) იყო ე. წ. მტკვარ-არაქსის ცივილიზაცია. მისი განფენის შედეგად მართლაც სამი შტო წარმოიქმნა სამხრეთ კავკასიური, ჩრდილო დასავლეთ კავკასიური, და ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიური. ამასთან, ჩრდილო-დასავლურ შტოს კოლხურის გაგრძელებად თუ არა მსგავსად მაინც მიიჩნევენ. აქ არაა ლაპარაკი რომელიმე ეთნოსზე. 3. ძირითადი დასამახსოვრებელი დასკვნა ავტორის აზრით, ასეთია: აფხაზეთი, მართალია შედიოდა სამხრეთ კავკასიური შტოს შემადგენლობაში, მაგრამ ჩანს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურის ელემენტები. ეტყობა, აქ იყო ორი შტოს შეხებისა და მიღწევათა ურთიერთ-გაცვლის არეალი. სინამდვილეში, იმ დროს, აფ-ხაზეთი გეოგრაფიულად და ეთნიკურად არ არსებობდა, როგორც არ არსებობდნენ სხვა გეოგრაფიული და ეთნიკური ერთეულები. ამიტომ მტკიცება, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილი აქვს სამხრეთის შტოს შიგნით ჩრდილოეთის შტოს ელემენტების გაჩენას, – მხოლოდ სურვილია შეიქმნას საფუძველი, რათა მომავალში, როცა უკვე მსჯელობა იქნება ტომებზე და ეთნიკურ კუთვნილებაზე, ყოველივე „დასაბუთებულად“ წარმოსდგეს. ნათქვამის სისწორის დასადასტურე-ბლად წყაროთა ძიება არაა საჭირო. თავად ზ. ანჩაბაძე აცხადებს, რომ კავკასიელთა ეთნო-ლინგვისტური დაყოფა სამ ჯგუფად მოხდებოდა ძვ. წ. ა. IV ათასწლეულში. რაც შეეხება კავკასიონის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ურთიერთ განსაზღვრულობას, მიწათმოქმედების კულ-ტურა აფხაზეთის ტერიტორიაზე და ჩრდილოეთში (სოჭის მხარეში) ერთნაირი თავისებურებებით ხასიათდება ძვ. წ. ა. III ათასწლეულში. და მართლაც სხვა რამეს ისტორია არ ცნობს. (ეს და სხვა მონაცემები აღებულია ნაშრომიდან: Анчабадзе З. Очерк этнической истории Абхазского народа. Сухуми, 1976).

ამ შემთხვევაში ავტორის მსჯელობიდან დასამახსოვრებელია ფუნ-დამენტური დასკვნა: 12-6 ათასწლეულებში აფხაზეთი არის სამხრეთ

კავკასიური არეალის წევრი, მაგრამ მასში შეინიშნება ჩრდილოეთ დასავლეთის არეალის ნიშნები.

ნაშრომში მსჯელობაა აბხაზების ფესვებზე და გენეზისზე. სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ მკვლევარები იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხ ოჯახს (ჯგუფს) გამოჰყოფენ: ადიღეური, ვაინახური, დაღესტნური და ქართველური. მკვლევართა იდეური კამათი გრძელდება. აქ დასამახსოვრებელი ერთია: ნაშრომში ცალკე ჯუფად (ოჯახადაა) დასახელებული აფხაზო-ადიღეური ენები. თუ ადრევე, ეთნოსების გაჩენამდე შეინიშნებოდა აფხაზეთში სამხრეთული და ჩრდილოეთური ნიშნები, ახლა უკვე გარკვევითაა დადასტურებული, აფხაზურ-ადიღეური ენობრივ-ლინგვისტური ერთობა.

საკითხის მიზანს სცილდება აფხაზურ-ადიღეური ფესვების ძიება მცირე აზიის ტერიტორიაზე მცხოვრებ უძველეს ხალხების შორის. რამდენადაა დასაბუთებული მათი მომდინარეობა პროტო-ხეთურიდან, რამდენად შეიძლება ძველ წყაროებში დასახელებული მცირე აზიური ტომი ქაშქი მივიჩნიოთ ადიღეველების (ქაშაგების) წინაპრად, ხოლო მეორე წყაროში ნახსენები აბეშლა აფსილებს დავუკავშიროთ ეს ცალკე განსჯის და ჯერხანობით გადაუწყვეტი პრობლემაა. ასევე დაუსრულებელი მსჯელობის საგანია ცალკეული ტოპონიმების დაკავშირება ადიღეურთან, მათი ჟღერადობის მიხედვით და აქედან დასკვნა, რომ კავკასიელთა ეს ჯგუფი ძვ. წ. ა. XVIII-XII სს. მცირე აზიაში სახლობდა. ჯერ ერთი, ცალკეული ტოპონიმების, გნებავს ტომების, ეთნოსების სახელწოდებათა მსგავსება ძნელად მისაღებია, მაგრამ ადვილად მაცთუნებელი. ნაშრომში მოტანილი სინუპე, სუფსა, ფაზისი, აკამპსა და ა. შ. რით ამტკიცებს, რომ ეს ადგილები ადიღ-აფხაზების (უკვე დამტკიცებული აქვს ეს ერთობა) წინაპრების სამოსახლო იყო? ეგებ პირიქითაა? ვთქვათ სინუპე ლაზურად წყლის უპეს (უბეს) ნიშნავს. ადიღურად? დაბოლოება პსა. ფშა-რატომ მიუთითებს ადიღეველობაზე? განა ფსა (სუფსა), ფშა (ფშანის წყალი) სხვანაირად არ აიხსნება? თუ ცალკეული სახელწოდებათა მსგავსებიდან ასე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება მეცნიერულ დასაბუთებად მიიჩნევა, მაშინ რა ვუყოთ კავკასიონის ჩრდილოეთით მდინარეების, ხეობების, დასახლებული პუნქტების მსგავსებას კი არა დამთხვევას სამხრეთულთან? ვთქვათ რუსეთის ტერიტორიაზეა ანაპა, აფხაზეთის ტერიტორიაზე-ანა კოფია (ახალი ათონი), სამეგრელოს ტერიტორიაზე

– ანაკლია, ასპინძის რაიონში ანა-კეთი, კახეთში – ანა-გა, ართვინის ვილაეთში – ან-კლია. ვამტკიცოთ, რომ ყველგან ადიღეველების ნასახლარებია? ლოგიკას მოკლებული აზრია. ვთქვათ რუსეთის შემადგენლობაშია იალ-ბუზი (ელბრუსს რომ ეძახიან, რათა იალბუზის თქმით ენა არ მოიტეხონ), კახეთში იალ-ნო, ქართლში იალ-ღუჯი, რა ვამტკიცოთ, რომ რუსების დარქმეულია ამ მთათა სახელები? ეგებ პირიქით?

ცხადია, კვლევისას ყოველ მცირე ელემენტსაც თავისი ადგილი და მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ მსჯელობა მიგიყვანს სწორ დასკვნამდე ლოგიკის ძალით. ასეა ზ. ანჩაბაძესთან მიმართებაშიც. იგი ასკვნის, რომ ძვ. წ. ა. III-II ათასწლეულია ძველი აფხაზური ეთნოსის ჩამოყალიბების პერიოდი. აფხაზები და აფხაზეთი იმ დროს არ არსებობდა, მაგრამ ნიშანდობლივია დებულება „ძველაფხაზური ეთნოსის“ შესახებ. ეს დებულება დასამახსოვრებელია, რადგან მოვა დრო, როცა დაისმის საკითხი ძველი და ახალი აფხაზების შესახებ. აქ კი სრულიად განსხვავებული დასკვნა აქვს ავტორს. დიას. მისი მტკიცებით ძვ. წ. ა. III-II ათასწლეულებში ყალიბდება ძველ აბხაზური (არა აფხაზური, არამედ აბხაზური) ეთნოსი, რომელიც შემდგომ (დაუდგენელ) პერიოდში იყოფა ადიღეველად და აბხაზად. თანაც ნიშანდობლივია ის, რომ ამ აბხაზ ეთნოსს გამოეყოფა ადიღეური, რომელიც შემდეგ იყოფა მეოტთა და სინდთა ტომებად, უფრო გვიან უფრო მრავალ (ათეულობით) წვრილ ტომებად, თანამედროვე ეტაპზე კი ქმნიან ადიღეველთა, ყაბარდოელთა, აბაზინთა ეთნოსებს. ვერ გამრავლდნენ, ვერ განვითარდნენ მხოლოდ საკუთრივ „აბხაზები!. ალბათ, „ქართველი იმპერიალისტების“ მცდელობის შედეგად. ავტორის აზრით ისტორია „ადასტურებს“ რომ ეს ასე მოხდა. ძვ. წ. ა. VI ს. შეიქმნა კოლხას სამეფო. მის შემადგენლობაში აბხაზეთის ნაწილი მაინც შევიდოდა. ცხადია, ეს მათ განვითარებას შეაფერხებდა. ერთად-ერთი თუ არა, ერთ-ერთი პროგრესული ფაქტი „ძველი აბხაზი“ ეთნოსის ცხოვრებაში ბერძნული, შემდეგ რომაული დასახლებების შექმნა იყო. დიოსკურია (ძველი, „ძველი აბხაზური“) ცხუმის ადგილას და პიტიუნტი (ასევე „ძველ აბხაზური“) ბიჭვიითნის ადგილას იყო არა მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური, არამედ კულტურულ-საგანმანათლებო ცენტრებიც. დასაზუსტებელი მხოლდო ისაა ვინ იყვნენ „ძველი აბხაზები“, განსაკუთრებით მაშინ, როცა „აბხაზები“- სიტყვის

გაცნობიერებამდე ათას წელს უნდა გაევლო.

აქ კიდევ ერთი „მარგალიტია“ გასახსენებელი. ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისით აღმოსავლეთ საქართველო, იბერია, ეთნიკურად ერთფეროვანი იყო. დასავლეთში კი კოლხეთის სამეფოში კოლხებთან ერთად სხვა მსხვილი ეთნიკური ჯგუფებიც (ტომები) არსებობდნენ. მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე. აზრი ასეა ფორმულირებული: «Резюмируя приведенные выше материалы, следует сказать...» «В частности, определенная племенная пестрота была характерна и для територии Абхазии, составлявщей в тот период северную часть Колхидского государства» (стр. 28).

ერთი შეხედვით სრულიად მართებული და უპრეტენზიო განაცხადია. იბერიის ქვეყანა ეთნიკურად ერთიანია, კოლხიდის სახელმწიფო კი ეთნიკურად ჭრელი. მათ შორის ეთნიკურად ჭრელია აფხაზეთის ტერიტორიაც, რომელიც კოლხიდის სახელმწიფოს ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენდა. აქ ბევრი რამაა დასაზუსტებელი: 1. კოლხიდის სახელმწიფო თუ კოლხიდა მხარეა. 2. რომელ ისტორიულ პერიოდზეა კონკრეტულად მსჯელობა? 3. მხედველობაში აქვს აიეტის კოლხეთი, ისტორიული კოლხა, ეგრისი, ლაზიკა, -უცნობია. 4. უცნობია ისიც ეთნიკურად ჭრელ „კოლხიდის სახელმწიფოში,“ მათ შორის აბხაზეთის ტერიტორიაზე სიჭრელეს სახელდობრ რომელი ტომები ქმნიან. 5. ამ პერიოდისათვის ადიღეველები უკვე გამოყოფილნი არიან აფხაზებისაგან თუ არა. არა და ამ მსჯელობიდან თავისუფლად შეიძლება აზრის გაგრძელება აფხაზთა ცალკე ეთნოსის უძველეს არსებობაზე.

კოლხიდის სახელმწიფო დაუსუსტბია ეთნიკურ ჭიდილს და ამიტომ მოუხდენია მისი დაპყრობა მითრიდატე პონტოელს. მაგრამ ეს უკვე ძვ. წ. ა. I საუკუნეა. მითრიდატეს ომების ჟამთა ამწერლები კი არაფერს გვაუწყებენ „კოლხიდის სახელმწიფოს“ შესახებ და „გვერდს უვლიან“ აბხაზეთში აბხაზების მოსახლეობის საკითხს. ხომ უცნაურია? თვით პომპეუსის ლაშქრობის დროს, მისდევდნენ რა დამარცხეულ მითრიდატეს, მივიდნენ ძველ ლაზიკამდე (უფრო ძველი ლაია, ლაიაში), აქ დააფუძნეს ახალი გამაგრებული პუნქტი ნიკოფსი და აფხაზები მაინც ვერ ნახეს. რატომ?

დაკვირვებული და გაკვირვებული ადამიანი გვერდს ვერ აუვლის ასეთ მტკიცებას: კოლხიდის სახელმწიფოს დასუსტებაში ადგილობრივ მაგრამ

არა კოლხიდური ეთნიკური გაერთიანებების გარდა, «...известную роль сыграли также, некоторые горские (в частности северокавазские) племена, которые в тот период постоянно вторгались в Колхиду, особенно на территорию Абхазии.» (стр. 29).

ყოველგვარი ფაქტების გარეშე, ასეთ მტკიცებას ერთი მიზანი აქვს: შეიქმნას წინაპირობა იმისა, რომ როცა ისტორიის ასპარეზზე ჩნდება სატომო სახელები აფშილეთი, აბაზგია, სანიგეთი, მისიმილიანეთი, გაჩნდეს შესაძლებლობა მთიელთა შორის ადიღეველებიც მოიაზრებოდნენ. არა და, თავად მისივე მტკიცებით იმ დროს კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეს ჯერ კიდევ სვანური მოსახლეობაა. უფრო მეტი, ნაშრომში მოტანილია ცნობა, რომ კოლხები (და არა კოლხიდა) ეს იგივე ეგრებია (ეგროსელებია) ან იგივე ლაზები. სახელი იცვლებოდა, ეთნოსი რჩებოდა. კერძოდ, მოაქვს ციტატი. «От Диоскуриады... до р. Апсари прежде жил народ, называемый колхами и переименованный в лазов.» რა გამოდის? ,,კოლხიდის სახელმწიფოში სოხუმიდან ქვევით, მდ. ჭოროხამდე ერთ ეთნოსს უცხოვრია. მაშ, რომელ ეთნოსთა ჭიდილმა დაასუსტა შიგნიდან ეს გაერთიანება? პასუხი არ ჩანს.

კიდევ ერთი დებულება, რომელიც მართლაც საოცრებას ემსგავსება. ბატონი ზურაბი ცდილობს დეტალურად გაარკვიოს აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების რაობა. მოჰყავს ძვ. წ. ა. VI ს. ავტორის ჰეკატე მილეტელის ცნობა: « Кораксы, племя колхов, вблизь колов... Кораколиская Крепость и Кораксийская стена...» და მათგან სამხრეთით «Колы, народ у Кавказа... Предгорья Кавказа называются Колскими горами.» ამ გამონათქვამებიდან გამომდინარე, ნაშრომში ასეთი დასკვნაა გაკეთებული «...нельзя сказать ничего определенного об этнической принадлежности кораксов и колов или дать их точную локализацию» (стр. 30). მოდი და ნუ დაიბნევი. ციტატი გარკვევით ამბობს, რომ კორაქსები კოლხური ტომია. აქ კი სწერია მათი ეთნიკური კუთვნილება უცნობიაო. სხვა თუ არაფერი, ზ. ანჩაბაძეს აფხაზ ფეოდალთა ჩამომავალს, როგორ დაავიწყდა, რომ სოხუმის სამხრეთით ჩამოუდის მდ. კელასური (ასევე უწოდებდნენ კლისურა და კორახი, იქ მაცხოვრებელი კორაქსების ტომის მიხედვით). ამ მდიანრეს მიუყვებოდა ცნობილი კედელი, რომელიც საბერძნეთისა და საქართველოს ნაწილებად ყოფდა აფხაზეთს. კორაქსების მახლობლად კი

კოლები ცხოვრებდნენ და მთებსაც მათი სახელი ერქვათ. სხვა ამბავია, რომ გარკვეულობა სხვანაირი დასკვნების საფუძველს ქმნის, ვიდრე ავტორის მიზანია.

ზ. ანჩაბაძის ნაშრომი უფრო შორს მიდის მიზნის მიღწევის გზაზე. მოტანილია ფსევდო სკილაკ კარინდელის (ძვ. წ. ა. IVს) ცნობა ეგროსის კუთვნილ მიწა-წყალზე მოსახლე ტომების შესახებ და ამბობს, რომ სულ ჩრდილოეთით ცხოვრობენ სინდები. შეხსენებისათვის: ადიღეველებზე საუბარის დროს ითქვა, რომ სავრომატების შემოსევის დროს სინდები დასახლდნენ აზოვისპირეთში, დაიკავეს ტამანის ნახევარკუნძული ანა-პამდე. ამ სინდების სამხრეთით ციტატი ასახელებს კერკეტებს, შემდეგ ტორეტებს, ახეელებს, ჰენიოხებს, კორაქსებს, კოლებს, მელანხლენებს, ჰელონებს, კოლხებს. კოლხებთან აკავშირებს ქალაქებს დიოსკურიას (სოხუმი, ძველად ცხუმი) და გიენოსს (ოჩამჩირე). თითქოს გასაგებადაა ნათქვამი. სხვანაირად სჯის ბატონი ზურაბი. ის ასკვნის: «Из этого можно сделать вывод, что кораксы и колы локализуются к северу от Диоскурии и в этническом отношении они не колхи, поскольку Псевдо-Скилакс называет их отдельно от колхов» (стр. 30). მი-ვყვეთ ავტორის ლოგიკას: ჰეკატე მილეტელთან ყურადღებას არ აქცევს მტკიცებას, რომ კორაქსები კოლხური ტომია. რატომ? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში კორაქსები და კოლები, მისი ანგარიშით უნდა „განლა-გდნენ“ დიასკურიის ჩრდილოეთით და უნდა აეკრძალოთ მათ კოლხობა. ასეთი ადვილად ამოსაცნობი ამოცანა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სხვა ტომებთან ერთად ნახსენებია კოლხთა ტომი. არა ეთნოსი, როგორც პირველ შემთხვევაში „კორაქსები კოლხური ტომია“, არამედ ტომები. ვინ დაადგინა და გამორიცხა კოლხურ ეთნოსში კოლხი ტომის არსებობა? ფსევდოსკილაკ კარინდელი ხომ ტომებს ჩამოთვლის და არა ეთნოსებს. ასე რომ ძვ. წ. ა. VI ს. ცნობაში ლაპარაკია კოლხი ეთნოსის შიგნით კორაქსთა ტომის არსებობაზე, მეორე შემთხვევაში კი ძვ. წ. ა. IV ს. საკუთრივ კოლხთა ტომის არსებობაზე.

ზურაბ ანჩაბაძე ძალზე შორს მიდის, როცა რომაელი პლინიუს სეკუნდის (ახ. წ. ა. I ს) გამონათქვამებს ეხება. პლინიუს სეკუნდთან ნათქვამია, რომ დიოსკურიის ახლოს ცხოვრობენ კორაქსები და იქვე ასახელებს აფშილებს და სანიგებს. აქედან ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდი: «По-видимому, кораксы могут быть отождествлены с

одним из этих племен» (стр. 30). რატომ? ახსნა არაა. სანაცვლოდ არის გასაოცარი დასკვნა: «Во всяком случае на основании данных Гекатея и Псевдо-Скилакса считать кораксов и колов колхскими племенами в узком (этническом) смысле нет достаточных оснований» (стр. 31). უფრო ღრმა აზროვნება წარმოუდგენელია. ნაშრომის 30-ე გვერდზე წერს, რომ ჰეკატეს ცნობით კორაქსები კოლხური ტომია. «О кораксах Гекатий сообщает следующее: «Кораксы, племя колхов...» მეორე გვერდზე (31გვ.) კი იმავე ავტორის იმავე ცნობაზე დაყრდნობით უარყოფს კორაქსების კოლხურ ეთნიკურობას. ახლა შევხედოთ ავტორის აზროვნების ხაზს: ჯერ მსჯელობა აქვს კოლხიდის სახელმწიფოზე. არა კოლხების, არამედ კოლხიდის. კოლხიდის ცნების ქვეშ ბევრი რაიმეს მოაზრება შეიძლება. მათ შორის მრავალი ეთნოსისა. მართალია სხვადასხვა ეთნოსებზე არა მსჯელობს და არ ასახელებს. (რაც არაა როგორ დაასახელებს) მაგრამ მოაზრება, დაშვება ხომ შეიძლებ. შემდეგ მოდის მსჯელობა, რომ კოლხიდის სახელმწიფოში ყველა კოლხი არაა. აქ თეორიული დაშვება უკვე რეალურ ვარიანტად განიხილება. მინიშნებაა, რომ კოლხი მხოლოდ ერთ-ერთი ეთნოსია. კოლხები ერთ ეთნოსს კი შეადგენენ, მაგრამ მრავალი ტომის გაერთიანებაა. აქ უნდა ვაღიაროთ, რომ კოლხი შეიძლება განვიხილოთ ფართე გაგებით-ტომთა გაერთიანება, ეთნოსი და ვიწრო გაგებით კოლხი ტომი. ეს საშუალებას იძლევა საჭირო შემთხვევაში კოლხი ვიწრო გაგებით ეთნოსად წარმოვიდგინოთ და რამდენადაც სხვა ტომებიც ცნობილია, ეს ტომები არ შეიძლება კოლხთა ეთნოსს ეკუთვნოდნენ. და თუ ტომი და ეთნოსი იგივეა, სხვა ტომები სხვა ეთნოსები ყოფილან. რომელი ეთნოსებია მხედველობაში? ეს უკვე მომავლის საქმეა.

მომავლის საქმე უკვე გაკეთებულს ორგანულად ერწყმის. პირველი, ვისაც ზ. ანჩაბაძე ორიგინალურად განიხილავს, ჰენიოხებია. ავტორი არ უარყოფს, რომ მკვლევართა ნაწილი ჰენიოხებად სვანებს ასახელებს. დ. გულია ჰენიოხებს აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევდა. ს. ჯანაშია ჰენიოხებს მეგრელ-ლაზთა წინამორბედებად თვლიდა. ლ. ლავროვის აზრით ჰენიოხი ეთნოსის აღმნიშვნელი კი არ იყო, არამედ ტომთა გაერთიანება რაღაცა ნიშნით. ამასთან ვერ ასახელებდა რა ნიშნით. ნ. კვეზერელ-კოპაძე არ გამორიცხავდა რომ ჰენიოხები ტვირთის მზიდავები იყვნენ. მით უფრო

სავარაუდოდ მიაჩნდა ეს, რომ ჰენიოხები ცხოვრობდნენ დღევანდელი აჭარის და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიებზე. რა საერთო უნდა ჰქონოდათ მათ?

ინტერესს იწვევს ზ. ანჩაბაძის პრობლემისადმი მიდგომა. ზოგჯერ აქვს მსჯელობა ჰენიოხებზე როგორც ეთნიკურად არა კოლხებზე, ზოგჯერ ჰენიოხები ეთნიკურობის გარეშე მოიხსენიებიან და ზოგჯერ კოლხების შემადგენლობაშიც შედიან. ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანი დასვამს საკითხს: სადაა ჭეშმარიტება?

მიუხედავად ბატონ ზ. ანჩაბაძისადმი პირადი სიმპათიებისა იძულებული ვარ მისი სამეცნიერო კვინტესენცია არ მივიღო განხილვის გარეშე. ბრძნული დასკვნაა: სხვისი დებულება მაშინ ხდება შენი, როცა მას კრიტიკული განხილვის შემდეგ მიიღებ.

როგორ სჯის ზ. ანჩაბაძე ჰენიოხების საკითხს?

პირველ რიგში აზუსტებს საკვლევ პრობლემას და აღნიშნავს, რომ იგი არ ეხება სამხრეთში მაცხოვრებელ ჰენიოხებს. მას მხოლდო მომავალი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ჰენიოხები აინტერესებს.

რატომ ჰენიოხების მხოლოდ ნაწილი, ცხადი შემდეგ ხდება. როცა ძველი ავტორები ტომებს ჩამოთვლიან ცალკე ასახელებენ ჰენიოხებს, ცალკე კორაქსებს, კოლებს და სხვა. სტრაბონი მიუთითებს, რომ კოლხები ჰენიოხების იქით ცხოვრობენ. პტოლემეუსი პონტოს (შავი) ზღვის გაყოლებით ჩრდილოეთიდან სამხრეთით ასახელებს: ახეელები, კერკეტები, ჰენიოხები, სვანო-კოლხები. II ს. ავტორი, დიონისე ეგვიპტელი, ახეელებს, კერკეტებს, ჰენიოხებს პელაზგებად (საპელაზგიოდან გამოსულებად) მიიჩნევს, ხოლო სვანო-კოლხებს ეგვიპტიდან წამოსულებად. IV ს. ავტორი, ფსევდო-ორფეი აღნიშნავს, ტომებს: კოლხებს, ჰენიოხებს, აბასკებს. ყოველი ავტორი მიუთითებს ტომების არსებობაზე. ზ. ანჩაბაძე აქედან ასეთ დასკვნას აკეთებს: «Таким образом, по данным антических источников, гениохи представляли собой «племя» (или группу родсвенных племен), которые этнически не были колхами» (стр. 31). დიდებული მიგნებაა. ჯერ ჰენიოხებს მიიჩნევს ცალკე ტომად ან ტომთა გაერთიანებად, მერე მათ საერთოდ ჩამოაცილებს სამხრეთში მაცხოვრებელ ჰენიოხებს (რადგან არა აქვს მათი ასეთი არსებობის განმარტება), შემდეგ კი ასკვნის, რომ ზევით დასახელებული (სტრაბონი, პტოლემეუსი და სხვა) ავტორების

მიხედვით ეთნიკურად განსხვავდებიან კოლხებისაგან. და არა მხოლოდ კოლხები- საგან. ზ. ანჩაბაძე განაგრძობს: „Вместо тем, как видно из тех же материалов, этнически они отличались и от абазгов, зихов и ахейцев» (стр. 31). სამწუხაროა, რომ ასე თავისებურად ეპყრობიან ანტიკური პერიოდის ავტორთა გამონათქვამებს. სხვანაირად ვერ აიხსნება ამ შემთხვევაში ზიხების (ჯიქების) და აბაზგების ხსენება. ყველაფერს გარდა ხომ უნდა განსხვავდებოდეს ტომების ჩამოთვლა ეთნოსების ჩამოთვლისაგან.

ჰენიოხები ტომია თუ მოსაქმეობის ან რელიგიურობის აღმნიშვნელი ტერმინი, ჯერ ეს უნდა გარკვეულიყო. არც იმის უგულვებელყოფა შეიძლებოდა, რომ ჰენიოხები სახლობდნენ თანამედროვე აჭარის და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიებზე, მათ შორის კი სხვა ტომთა სიმრავლე იყო. ამ ფაქტს, ხომ ახსნა სჭირდება.

ისტორიულად ცნობილია, რომ ტომები ზოგჯერ გაიყოფოდნენ და ნაწილი მიგრირებდა უკეთესი ცხოვრების სურვილით. ადგილი ჰქონდა იძულებით გადაადგილებასაც. უკვე იყო მსჯელობა კავკონების (კავკასის მონათესავე) ყოფნაზე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (ულუმბოს

მთის ფერდობებზე), მცირე აზიაში და კავკასიონის მიდამოებში. ეგებ ჰენიოხებიც ასე იყოფოდნენ? ეგება ჰენიოხობა ტომის სახელი კი არ იყო, არამედ რელიგიურობა მრავალ ტომთა? განა ქალდეველობა (ხალდეველობა) მრავალ ეთნოსს არ მოიცავდა?

ჯერ გავიხსენოთ: იგივე ფსევდო სკილაქსი, ჰენიოხებს, ხალხთა სხვაობას უწოდებს, პლინიუს სეკუნდი კი ჰენიოხთა მრავალსახელიანობაზე მიუთითებს. რას ნიშნავს ეს? ხომ არაა საუბარი არა ერთ ტომზე ან ერთ ეთნოსზე არამედ რწმენით (რელიგიურობით) გაერთიანებულ ტომებზე? საპელაზგოში (მათგან ძველ საბერძნეთში) სწამდათ, რომ ჰელიოსი (მზის ღმერთი) ცეცხლოვანი ეტლით ზეცაში მიმავალი კავკასიონის მწვერვალებიდან (კავკონთა მთებიდან) ამოდის. აქედანვე ამცნობს მისი უმცროსი და ეოსი ძმის მოახლოებას, აისის დადგომას. თ. მიბჩუანმა ასეთ მიხვედრას საფუძველი მოუძებნა, როცა განმარტა, რომ სვანები ცეცხლის ელვარებას-ჰელიოს უწოდებენ. ჰელიოდან, ჰელიოსიდან, ცეცხლის მოხმარების კულტი ხომ არ იკვეთება? ჰელიოხები, ჰენიოხები ხომ არ არიან ის ტომი ან ტომები რომლებმაც ცეცხლის კულტი აღიარეს და ღმერთი ჰელიოსი კაცობრიობას აჩუქეს? II ს.

ავტორი დიონისე ეგვიპტელი რატომ უწოდებდა ჰენიოხებს პელაზგიის მიწის შვილებს? რატომ ითვლებოდა ლეგენდარული აიეტის ზეციურ მამად ჰელიოსი? ხომ არ არიან პრომეთე და ჰელიოსი კავკასიონის მხრიდან საპელაზგოში წასული ღმერთები? ხომ ცნობილია, რომ ოლიმპოს ღმერთთა პანთეონის დიდი ნაწილი მცირე აზიიდან და კუნძულებიდან იყვნენ მისულნი საპელაზგოში. თავად პრომეთემ „მოსხოს“ მთის წვერიდან გაიტაცა ცეცხლი და ადამიანებს მისი მოხმარება ასწავლა. და ბოლოს, როცა საპელაზგოში მესამე თაობის ღმერთებმა გაიმარჯვეს მეხთამტყორცნი ზევსის მეთაურობით და ოლიმპოს (ულუმბოს) მთის წვერზე დაიდეს ბინა, იქ არც პრომეთე და არც ჰელიოსი არ მიუწვევიათ. პრომეთე კავკასიონს მიაჯაჭვეს, ჰელიოსი კი კვლავ კავკასიონის მწვერვალებიდან ამოდიოდა ყოველ დღე თავისი ცეცხლოვანი ეტლით. ისმის ლოგიკური კითხვა: პელაზგებმა რატომ დაუკავშირეს ეს ორი ტიტანი კავკასიონს? თუ კვლავ გავიხსენებთ, რომ კავკონების (კავკასოსის მონათესავე ტომების) არსებობა დაფიქსირებულია აქ, კავკასიაში, მცირე აზიასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; თუ გავიხსენებთ, რომ ჰენიოხები ცხოვრობდნენ კავკასიონთან , სამხრეთში (მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში) და, რომ მათ საპელაზგიოს მიწის შვილებს უწოდებდნენ, მაშინ თუნდაც მცირე სიცხადე მოეფინება ამ საკითხს. ჰენიოხების რაობის საკითხიც ახლებურად უნდა იქნას გაშუქებული.

ეს მცირე გადახვევა ზ. ანჩაბაძის მიერ ჰენიოხთა ნაწილის უგულვებელყოფამ გამოიწვია. თავად ავტორი კი სასურველ მიზანს აღწევს იმით, რომ ცდილობს დაამკვიდროს აზრი, თითქოს აფხაზეთი ყოველთვის იყო, ყოველთვის აფხაზეთი ეწოდებოდა, მოიცავდა ძალზე დიდ ტერიტორიას და კოლხეთს მხოლდო ემეზობლებოდა. იგი ასე განაგრძობს მსჯელობას: «Кроме гениохов, кораксов и колов, как выше указывалось, на территории Абхазии того времени локализуются и другие «племена» - ахейцы, меланхлены, гелони и др. (стр. 32). და რადგან აფხაზეთი მუდამ იყო, უნდა ვივარაუ- დოთ, რომ იქ მხოლოდ თანამედროვე ან ახალი აფხაზებით წინაპრები სახლობდნენ. ამ შემთხვევაში იქ მაცხოვრებელი ტომების სვანობა ან კოლხობა უნდა გამოირიცხოს. სხვანაირად ძნელია ასეთი ნათქვამის გაგება: «...Можно пологать, что эти племена относились к абхазо- адыгской этнической общности» (стр. 33).

რაკი „დაამტკიცა“ ზ. ანჩაბაძემ ჰენიოხების, კორაქსების, კოლების და სხვათა აფხაზ-ადიღეველობა, რაღა შეუშლიდა ხელს, რომ სინდები, კიმერიელები, კერკეტები, ჯიქები პელაზგიური წარმომავლობის ტომებად გამოეცხადებინა და კოლხებისაგან (არა კოლხი ტომისაგან), როგორც ეთნოსისაგან გაეცალკევებინა. მისი აზრით კოლხები ეგვიპტიდან გამოსულებია აფხაზ-ადიღეველები კი საპელაზგოდან (ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან). როგორია? მისი წინამორბედი დ. გულია, რომ აფხაზებს ეგვიპტელებად მიიჩნევდა და ვერ დაასაბუთა. ბოლოს ხომ აღიარა ძველი აფხაზები ქართველები არიანო. ზ. ანჩაბაძეს რა ექნა? და აი გამოსავალი: ეგვიპტიდან კოლხები არიან წამოსულები. აფხაზ-ადიღეველები, მათთან კიმერიელები საპელაზგოდან (ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან), ძველი საბერძნეთიდან არიან მობრძანებულებიო. არა მხოლდო მობრძანებულები, არამედ ახალ, მაღალ საფეხურზე განვითარებისა აბრძანებულები. აი, მისი მტკიცება: « В античную эпоху материальная и духовная культура населения Абхазии поднимается на новую, ещё более высокую ступень» (стр. 33).

ეს აყვავებული, ახალ საფეხურზე ასული აფხაზეთი ძვ. წ. ა. II საუკუნიდან იწყებს დაკნინებას. საქმე იქამდე მივიდა ჰენიოხებმა ქ. პიტიუნტი (ბიჭვინთა) გაძარცვეს. ხო, მაგრამ ხომ დაამტკიცა, რომ ჰენიოხები აფხაზ-ადიღეური წარმომავლობის ტომია და თან იმ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი. როგორ გავიგოთ: ჰენიოხებმა საკუთარი ქალაქი გაძარცვეს თუ ეს სხვა ჰენიოხებია რომლებიც მაღალ საფეხურზე ასულ აფხაზეთს ესხმიან თავს? საძაგლები.

ავტორის მსჯელობით, შეიძლება თავდამსხმელები „ჰენიოხების ტომთა გაერთიანების“ ის ნაწილია, რომელიც სანიგების სახელით მოიხსენიება. სანიგი და ჰენიოხი ხომ „ეთნონიმებია“. და რაკი ჰენიოხები აფხაზ-ადიღეველები არიან, მაშ, სანიგებიც ადიღეველები ყოფილან. კერძოდ კი ჯიქებ-სადზები (საგები). ტყუილად ფიქრობენ ქართველი ავტორები (და არა მხოლდო ისინი), რომ სანიგები სვანური ტომიაო. ამასთან თუ გათვალისწინებული იქნება გაგრა-სოჭის რეგიონის ტოპონიმიკა, რომელიც „მხოლოდ აფხაზურ-ადიღეურია“, სანიგების არა ადიღეურობა უნდა გამოირიცხოს. ხო და, რაკი ჰენიოხები და სანიგები ადიღეველებია, მაშ მათი სოხუმამდე მოსახლეობა სრულიად კანონზომიერია.

რაც შეეხებათ აფშილებს და აბაზგებს, მათზე სხვანაირი მსჯელობაც კი მკრეხელობაა. ისინი თანამედროვე აფხაზი ხალხის „უშუალო წინაპრები“ იყვნენ. ე. ი. ადიღეური წარმომავლობის ტომები. ამ შემთხვევაში წინ რა დაუდგებოდა ავტორს, რომელმაც „წარმატებით“ დაამტკიცა ჰენიოხებისა და სანიგების ადიღეველობა და აბსილ (აფშილ), აბაზგებს მიადგა. შედეგი წინასწარ „ცნობილი“ იყო და არც შეცვლილა. აფშილ-აბაზგებიც ადიღეური ტომებია.

ბოლოს კი საერთო დასკვნა: «Таким образом, основную часть населения античной Абхазии составляли этнические общиности абхазо-адыгского происхождения.» (стр. 39).

რა მნიშვნელობა აქვს როდის ხდებიან ცნობილნი ესა თუ ის ტომები, როდის ყალიბდება აფხაზეთი, რა ეთნიკურ თუ ტომობრივ ცვლილებებს განიცდის, მთავარია, როგორი უნდა რომ დაინახოს ავტორმა მათი წარსული.

ბატონი ზ. ანჩაბაძის კვლევის შედეგის შედარებით ფართე განხილვა თავად ავტორის დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა. მან დაასამარა აფხაზების ეგვიპტიდან ამოსვლის კონცეფცია, მან შეცვალა აფხაზების ისტორიული განვითარების ძველი ისტორია, მან განსაზღვრა აფხაზ (და არა მხოლოდ) მკვლევართა საქმიანობის მომავალი ხასიათი. მასთან შედარებით სხვა ძველი და მისი ეტაპის მკვლევარები შედარებით უფერულდებიან.

პირველ რიგში ეს ძველ (გარდასულ დროთა) მკვლევარებს შეეხება. ცნობილი დიმიტრი გულია ნახევრად მაინც შეშინებულ (ქართველების მიერ) მოღალატედ ცხადდება, როცა ძველ აფხაზთა ქართულ (გნებავთ კოლხურ, მაგრამ არა ადიღეურ) წარმომავლობაზე მსჯელობს. ცხონებულ სიმონ ბასარიას გამონათქვამები ფასს კარგავენ. მით უფრო რომ მისი რჩეული თხზულებების კრებული მართლაც ზომიერი მკვლევარის გიორგი ძიძარიას მიერაა გასალაშინებული. ბატონი გიორგი ალექსის ძე კი, მისი ვაჟის გუდისას აღიარებით, უფრო იმაზე სწუხდა, რომ მისი გვარიდან ქართული ძირი ვერ ამოაგდო. ძარია, სარია – მეგრული (ქართული) გვარებია. ახლა თუ ძიძას დავუმატებთ – სადღაა მათი ადიღეველობა და ა. შ. და მაინც ს. ბასარია მსჯელობს აფხაზთა დიდ პროგრესზე VI-IX საუკუნეებში და სამართლიანადაც ამაყობს იმ წარმატებებით. მხოლოდ ერთია: როცა ამბობს აფხაზეთის სკოლებით, მონასტრებით,

სულიერი კულტურის ძეგლებით „მოფენაზე“, არ აზუსტებს რა ენაზე, რომელი დამწერ- ლობით და ა. შ. სარგებლობდნენ აფხაზები. ეს საკითხები მხოლოდ მკვლევართა მესამე თაობამ „დააზუსტა“, ზ. ანჩაბაძის მიერ ჩაყრილ საფუძველზე. ს. ბასარია გადმოგვცემს აფხაზების მიერ განცდილ ისტორიას თურქების 400-წლიანი ბატონობის პირობებში და იმ შევიწროებას რაც რუსეთის გაბატონებას მოჰყვა. მასობრივი გადასახლებები თურქეთში. ხაზს უსვამს ახალი აფხაზური და აბაზინური ენების გაუცხოების ფაქტს. და ეს მაშინ, როცა თურქეთში წასულმა აფხაზებმა ენაც შეინარჩუნეს და წარმომავლობის ცნობიერებაც. ს. ბასარია წერს: «Кумско-Лоовские абазины причисляют себя к племени «Тапанта...» (стр. 87).

ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე აბაზინებმა ისიც არ იციან როდის, რა მიზეზით, რომელი სოფლებიდან გადასახლებულან. გაუგიათ, რომ აფხაზეთიდან წასულან მაგრამ «Марух-Чарух» გამოთქმის მეტი არაფერი ახსოვთ. „მარუხ-ჩარუხის“ ძახილით კი აბაზინთა აფხაზობა ვერ დამტკიცდება. ბატონ სიმონის თქმით, არავინ იცის რა მიზეზით წავიდნენ აფხაზეთიდან ჩრდილოეთში, რომელი ტომები იყვნენ, საიდან და ყველა ახსნა ხშირად მცდარი მკითხაობაა (გვ. 93). უტყუარი მხოლოდ ისაა, რომ ჩრდილოეთით პირველი გადასვლა მოხდა XVII ს. ბოლოს. (და არა XIII ს., როგორც ეს რუს მკვლევარებს წარმოუდგენიათ). ისიც უცნობია რომელი ტომები წავიდნენ ჩრდილოეთში, მაგრამ ცნობილია, რომ: «Далее, имеются исторические сведения, что нашествие монголов заставило обитавшие в верховьях и по берегам Кубани племена перейти на южную покатость своих гор и что в этот период в Абхазию пересилось много кабардинцев и абадзехов...» (стр. 94). უფრო მეტი, ავტორი აგრძელებს რა მსჯელობას, ამბობს: «Среди нашего абхазского населения... существуют разные мнения: есть даже, которые утверждают, что абазины всегда жили на С. Кавказе, и что, наоборот, мы, абазины, от туда перекочевали сюда.» (стр. 95).

ეთნოსთა შორის ურთიერთობა ყოველთვის არსებობდა. იყო ომები, იყო მეზობლობა, მცირე მიგრაციები, შერეული მოსახლეობა და ა.შ. არის ისტორიული ფაქტები XV ს. აფხაზეთის სამთავროს შექმნის თუ აღდგენა – აღორძინების შემდეგ შარვაშიძეების (მთავრების) მიერ ჩრდილოეთ

კავკასიონიდან მეომრების გადამოყვანის შესახებ, რათა ოდიშის მთავარ დადიანისაგან თავი დაეცვათ და მათ ხარჯზე მამული გაეფართოვებინათ. ჩამოსულთა დახმარებით აფხაზეთის სამთავრო თანდათან გაფართოვდა და მდ. ენგურს მიაღწია. შეიქმნა ე.წ. ბუფერული ზონა სამურზაყანოს სახელით. ჩრდილოეთ კავკასიონიდან გადმოსახლებულები (ძირითადად მესაქონლეები და მონადირენი) ყოველთვის ვერ ეგუებოდნენ მიწათმოქმედ ცხოვრებას და ადგილი ჰქონდა მათი ნაწილის უკან, მშობლიურ კერაზე დაბრუნებას. სწორედ ამის შესახებ სწერს ს. ბასარია, როცა აღნიშნავს: «Сказание о переселении абхазов из некоторых сел Самурзаканы в связи с небывалой засухы существует и в Поквешской общине» (стр. 97). ასეთი გადასახლებანი შესაძლებელიც იყო და არც გასაკვირი. უფრო მეტი, ავტორი არ გამორიცხავს, რომ აბხაზური (ახალი) ტომები ყოველთვის ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში (გვ. 98) ასეთსავე მიგრაციულ პროცესებზე მიუთითებდა ფ. კრასილნიკოვი თავის ნაშრომში «Кавказ и его обители, М. 1919, стр. 53-55.

აფხაზების ისტორიული წარსული ზ. ანჩაბაძის მიერ მყარ, ახლებურად გააზრებულ საფუძველზე იქნა წარმოჩენილი. ეს არ ნიშნავს, რომ არა რჩებოდა საეჭვო, განუხილველი და ახლებურად განსახილველი საკითხები. სხვა თუ არაფერი, კავკასიელების ანთროპოლოგიური ტიპოლოგიის საკითხები ბევრ საჭოჭმანო კითხვებს ბადებდა და მათი ახსნა აუცილებელი იყო.

როცა ანთროპოლოგები კავკასიის მოსახლე ეთნოსების ტიპოლოგიას სწავლობდნენ, ოთხი ტიპი გამოიკვეთა. მათ შორის პონტოს ტიპი. უკვე ითქვა, რომ ამ ტიპს ადიღეური წარმომავლობის ტომების გარდა დასავლეთ საქართველოს გარკვეული მოსახლეობაც განეკუთვნება. არა მთლიანად მოსახლეობა, არამედ ნაწილი. ვინ?

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიელთა ანთროპოლოგიური შესწავლა არაა სრული. მეორე, არაა აზრთა სრული ერთობა ამა თუ იმ ტიპისადმი ამა თუ იმ ტომის კუთვნილების საკითხში. ეს ნიშნავს, რომ საკამათო-სამსჯელო ბევრია და საბოლოო დასკვნა მომავალმა მკვლევარებმა უნდა შეასრულონ, არა მხოლოდ არსებული, არამედ მომავალში მიღებული მეთოდების გამოყენებით. კერძოდ, საჭიროა (ეს აზრი მეორდება) კავკასიონელთა გენოგეოგრაფიული რუქის შედგენა. შესაბამისად, დღეს-დღეობით შეიძლება საკითხს ისე შეხედო,

როგორც მექოთნე ქოთნის ყურის შერჩევისას. ანუ, თუ მკვლევართა ნაწილი ანთროპოლოგიურად აფხაზებს მეგრელ-აჭარლებს მიაკუთვნებს, ბატონ შალვა ინალ-იფას თქმით, ეს შეიძლება იმის შედეგი იყოს, რომ ადიღეური ტომები ადრეულ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სახლობდნენ და მათი კვალი დარჩა. აი, რას ბრძანებს აფხაზ მკვლევართა მეორე ავტორიტეტი ბატონი შალვა. (Ш.Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазии, Сухум, 1976): Если же исходить... из более реальных историко-этнографических, языковых и других факторов, то может оказаться, что в основе очевидно бесспорного антропологического сходства абхазов с мегрелами и аджарцами лежат не картвелский пласт в этногенезе абхазов, а, наоборот, древнейший абхазский (абхазо-авыгский) этнический субстрат на территории современной Западной Грузии (стр. 105).

თეორიულად მართებული მსჯელობაა, ასეთი დაშვება შეიძლება. მაგრამ საჭირო იქნება ბევრი რაიმეს უტყუარი დადასტურება და ბევრის უკუგდება. სახელდობრ: 1. რამდენად დადასტურებულია მცირე აზიის არეალში ადიღეური და აფხაზური ტომების ყოფნა? სახელწოდებათა მსგავსება (ქაშქი-ქაშაგი, აბეშლა-აფშილი) არ ნიშნავს საკითხის გარკვევას. ეს შეიძლება მხოლოდ ვარაუდი იყოს. მით უფრო, რომ ისიც საკითხავია, რამდენად ზუსტადაა გაშიფრული ძველი ტექსტი;

2. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ტოპონიმის დაბოლოების მსგავსება ადიღეურ მეტყველებასთან თუ იქ ადიღეველების ცხოვრების დადასტურებად იქნა მიჩნეული, მაშინ ეგება ისიც დადასტურებულად ჩათვალონ, რომ თბილისი რუსებმა დააარსეს, თბილისი-თბილი რუსულად თბილად (теопли) ითარგმნება, ხოლო მოსკოვი მეგრელების დაარსებული იქნება „მო სქუა“. დავიჯეროთ? თავის დროზე ასეთი სახელწოდებების შესახებ ფართედ იმსჯელა სულმნათმა პავლე ინგოროყვამ („გიორგი მერჩულე“ თბ. 1954). მის მიერ გაკეთებული კომენტარების განმეორება, საკითხის გაგებას მეტ სიცხადეს ვერ შემატებს.

ბატონ შალვა ინალ-იფას მართებულად აქვს მითითებული, რომ ანთროპოლოგებს შორის არაა აზრთა ერთობა კავკასიელთა ტიპების განსაზღვრის საკითხში. თვით ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიცაა ვ. პ. ალექსეევი, მისი აზრით არ უნდა იყოს ზუსტი, როცა აფხა-

ზებს, აჭარლებს მიაკუთვნებს პონტოურ ტიპს და მასში ჩერქეზებისა და ყაბარდოელების კუთვნილებას გამორიცხავს. აი ყურადღებას რაზე ამახვილებს ალექსეევი, მიუთითებს, რომ ანთროპოლოგიურად თუმცა შეინიშნება აფხაზების ახლობლობა ადიღეველებთან, მაგრამ ეს მეორადი, გვიან შექმნილი უნდა იყოს, აფხაზებს უფრო მჭიდრო ერთობა აქვთ ქართველებთან. «Антропологические данные как будто свидетельствуют об исторических связах абхазов в большей мере с грузинским миром, чем с адыгским. В хождение абхазов в состав народов адыгской языковой семьи осуществилось поздно и, во всяком случае, представляет собой вторичное явление в их этнической истории» (стр.194. В. П. Алексеев. происхождение народов Кавказа. М. 1974). სწორედ ასეთი დასკვნა ართულებს საკითხის საჭირო მიმართებით განხილვას ბატონი შალვასათვის. ბატონი შალვა ასევე მიუთითებს მ. აბდუშელიშვილის დასკვნაზე, რომ თავად აფხაზებიც არ არიან ანთროპოლოგიურად ერთტიპიურები. კერძოდ გუდაუთის აფხაზები ოჩამჩირე-გაგრის აფხაზებისაგან განსხვავდებიან.

ძველი პროპაგანდისტური მეთოდია: მკითხველს, მოსაუბრეს ძირითადად სიმართლე უნდა მიაწოდო და თუ მცირე სიცრუეს გაურევ, ეს ილეთი შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს. რაღაც ამდაგვარი გამოუვიდა ბატონ შალვას როცა ნაშრომის 111 გვერდზე, შემოგვაპარა ასურეთის მრისხანე მეფე ტიგლატპილასარის ძვ. წ. ა. 1112 წ. გაკეთებული წარწერის განხილვა. ასურეთმა ბევრი ქვეყანა დახარკა, მათ შორის იყო კოლხეთის (კილხის) მხარე. კილხის შესატყვისად ნაშრომში „მუშა ჰიპოთეზად“ ბატონ შალვას განხილული აქვს: ხაბხი, ხაპხი, აბხაზ-ი. რა მოხდა? ქვეყანა დაიქცა? ავტორმა უბრალოდ გამოთქვა აზრი, ხომ არ შეიძლება ასურულ წარწერაში აფხაზი იგულისხმებოდესო. მერე რა, რომ სიტყვა აფხაზი იმ პერიოდიდან 1500 წლის შემდეგ გაიჟღერებს.

არც იმით გადაბრუნებულა ქვეყანა, რომ ბატონ შალვას დაკვირვებით სინუპედან მოყოლებული აფხაზეთის ჩათვლით და უფრო ჩრდილოეთით (ეს კი არსებითია) თურმე ხათების, ქაშქების, აბეშლების ტომებს უცხოვრიათ. დიდი ამბავი თუ ავტორის დაკვირვებით მცოდნე მკითხველი გაკვირდება. რა, არამცოდნენი უფრო მეტნი არ არიან? ხო და გაიგონ ამ აღმოჩენის შესახებ. არც ერთს არ აწყენს იმის დამახსოვრება, რომ ლეონტი მროველის მიერ ეგროსის წილ ქვეყნად დასახელებულ

ტერიტორიაზე ძვ. წ. ა. III-II ათასწლეულებში აფხაზ- ადიღეველებს უცხოვრიათ. ეგება თარგამოსის ძე ეგროსიც ადიღეველი იყო? სხვანაირად გაფიქრებაც კი მკრეხელობაა ავტორისათვის, რომელიც ასე მოძღვრავს საკუთარ ხალხს: არ-აფხაზურად სიმრავლეს ნიშნავს. აგერ სამხრეთში ცხოვრობდა ტომი ტიბარენების. რაკი „არ“ ურევია სახელში ის აფხაზურია. დიახ, კასკების (ქაშქების) ტომთა გაერთიანებაში (ანუ აფხაზების) ტიბარენები შედიოდნენ (გვ. 127). და ა.შ. მრავალი მარგალიტი. (ასეა, როცა ინალიშვილი, ძველი აფხაზი თავადი, ინალ-იფა და ახალი აფხაზი ხდება).

ავტორს არც სხვა ავტორების დამოწმება ავიწყდება. თავის დროზე ცნობილმა გ. მელიქიშვილმა გამოთქვა აზრი ხეთური ენის დასავლეთ კავკასიურ ენებთან სიახლოვის შესახებ. განა ეს ადიღეურ-აფხაზურთან გენეტიკურ ერთობას ნიშნავს? თუ ახლობლობაზეა მსჯელობა ეს უფრო სვანურს შეესატყვირება. არც საყოველთაოდ გახმაურებული („მეცნიერული აღმოჩენების“ გამო) გ. ტურჩანინოვია დავიწყებული. ხუმრობა საქმე? ეს დიდი მეზღაპრე ხომ ამტკიცებდა, რომ მსოფლიოში პირველი ასოთი დამწერლობა აფხაზებმა შექმნეს, შემდეგ ის, ყოფილ ფინიკიაში ქ. ბიბლ-ში დაამკვიდრეს, დაახლოებით ძვ. წ. ა. 2000-1800 წლებს შორის. აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში ასოთი დამწერლობა (Г. Ф. Турчанинов, Памятники письма и языки народов Кавказа и восточной Европы. Л.1971. стр. 115). სამწუხაროდ თავად აფხაზებმა ვერ შეინარჩუნეს ეს დიდი მონაპოვარი. მაგრამ ამაში ხომ დამნაშავენი ქართველები არიან? როგორია?

ბატონი შალვა არ ივიწყებს აფხაზების წარმომავლობის არც ერთ ვარიანტს, არც ეგვიპტელობას, არც არაბობას. თვით მოსინიკებსაც კი. თურმე, «(кроме близости племнных названий «моссиники» и «саниг») (стр.177), ცხოვრების ნიშნებითაც ჰგვანებიან ეს ტომები ერთი მეორეს. რაც შეეხება „სანიგების“ ადიღე-აფხაზობას, ეს ხომ ჯერ კიდევ ბატონმა ზ. ანჩაბაძემ „დაამტკიცა“. მერე რა, რომ ზოგ მკვლევათა აზრით ჰენიოხები და სანიგები ლაზ-მეგრელ ტომებადაა მიჩნეული, ზოგის აზრით სვანებად. მთავარია, რომ ავტორს «... именно абхазское их происхождение предстовляется наиболее беспорным» (стр.184). თუ ჰენიოხები სვანებია, აცხადებს ბატონი შალვა, «(...почему гениохисваны, живя здесь с древнейших времен и до начала н. э., не

оставили, можно сказать, никаких следов в местной топонимике?» (стр. 185). დიახ, „დიდ მეცნიერს“ უნებლიედ გამორჩა ის ფაქტი, რომ ნაშრომს ქმნიდა და გამოსცემდა ქალაქში, რომლის სახელწოდება (ცხუმი, სოხუმი) სწორედ სვანურიდან მოდის.

XX ს. 60-იანი წლებიდან ყოფილ საბჭოთა კავშირში, დღევანდელ რუსეთში და საკუთრივ ახალ აფხაზეთში ამავე პერიოდისა, იმდენი ითქვა და დაიწერა აფხაზების ადიღეველობაზე, რომ არა თუ ანალიზი, ჩამოთვლაც ნაშრომებისა ძალზე რთულ საქმეს და რაც მთავარია, ამ შემთხვევისათვის სრულიად ზედმეტ შრომას წარმოადგენს. ავტორი იყო რა მონაწილე იმ მაღალსტატუსიანი ჯგუფისა, რომელიც სპეციალურად სწავლობდა მშრომელთა „ინტერნაციონალური აღზრდის“ მდგომარეობას აფხაზეთში, იყო თითქმის ყველა სოფელში ხეივნიდან მოყოლებული (სოფ ხეივანი მდებარეობს აფხაზეთისა და რუსეთის საზვართან), თითქმის ყველა ქარხანა – ფაბრიკაში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, პარტიულ-სამეურნეო და შსს ორგანიზაციებში და საკმაოდ კარგად გაერკვა იქ შექმნილ ვითარებაში. თავიდანვე ცხადი იყო, რომ აფხაზეთში მზადდებოდა ისეთივე აფეთქება ეროვნული ურთიერთობის ხაზით, როგორიც მანამდე მოაწყეს ოსებს და ინგუშებს შორის,ხოლო ორიოდე წლის შემდეგ ყარაბაღში (უფრო ზუსტად აზერბაიჯან –სომხეთს შორის, შუა აზიაში (ფერგანის ტრაგედია) და განსაკუთრებული მონდომებით საქართველოში. ამიტომ შესაბამისი ლიტერატურის ანალიზს აზრი ეკარგება. საჭიროა მხოლოდ მოკლე შეფასება, რუსი და აფხაზი მკვლევარების „მეცნიერული შედეგებია: 1. კავკასიონის ჩრდილოეთით მაცხოვრებელი ეთნოსები ანთროპოლოგიურად ორ ტიპს კავკასიურს და პონტოს ტიპს განეკუთვნებიან: 2. პონტოს ტიპს განეკუთვნებიან ადიღეური წარმომავლობის ეთნოსები და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი. რამდენადაც კვლევები მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, გასაგებია, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა არა ზუსტდებოდა, არ ითქმებოდა, აფხაზეთი ან აფხაზეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც რუსული წყაროები აბაზინებს უწოდებდნენ და მხოლოდ XIX ს. ქართველების გავლენით უწოდეს აფხაზები; 3. ენობრივად ადიღეველ-ამ ახალ აფხაზებს იბერიულ-კავკასიურ ენათა დიდი ოჯახის ცალკე ჯგუფად განიხილავენ, მაგრამ საბოლო დასკვნის გაკეთებამდე უნდა

გაირკვეს: თარგამოსია- ნელთა რომელ შტოს განეკუთვნებიან ისინი. სხვა მხრივ გაუგებარია: ირანულ-ენოვანი ოსები, თურქულ-ენოვანი ყარაჩაელ-ბალყარები ანთრო- პოლოგიურად კავკასიური ტიპის ეთნოსებში შედიან, ხოლო ენობრივად კავკსიური ოჯახის წევრები ანთროპოლოგიურად ცალკე ტიპს ქმნიან. რატომ და როგორ? ისტორიულად თარგამოსიანელი ლეკოსისა და კავკასოსის მონათესავე ტომებს ეკავათ ჩრდილოეთი მხარე. მათგან კავკასის მონათესავე ტომებს ჩრდილო და დასავლეთი ნაწილი, სადაც დადასტურებულია ვაინახთა, (ჩეჩენ-ინგუშთა), დვალთა და წანართა ყოფნა. თუ ადიღეველები თარგამოსიანელებია, მაშინ ისინი კვკასოსის მონათესავე ტომებში უნდა შევიდნენ და ანთროპოლოგიურადაც ამ ტიპს უნდა განეკუთვნებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასახსნელია რატომ შეიძინეს ოსებმა, ყარაჩალებმა, ბალყარებმა კავკასიელობის ნიშანი და როგორ დაკარგეს ის ადიღეველებმა (ყაბარდოელ, ჩერქეზები, აბაზინ, აფხაზებმა). აფხაზებთან მიმართებაში არაა საკმარისი ბატონ გ. ანჩაბაძის დებულება, რომ XIX საუკუნემდე პონტოს ტიპის აფხაზებს აბაზინები ეწოდებოდათ და ასეთნიც იყვნენ და მხოლოდ XIX-XX სს. განმტკიცდა მათი აფხაზური სახელი და ისიც ქართველების გავლენით. (გ. ანჩაბაძე. ქართველები და აფხაზები. ისტორია და თანამედროვეობა. თბ. 2009 წ.).

XXI ს. ასეთი მდგომარეობა, კიდევ ერთხელ ადასტურებს არა მხოლოდ ენობრივ-ლინგვისტური ან ანთროპოლოგიური, არამედ გე-ნეტიკური შესწავლის აუცილობლობასაც. (კვლევის სხვა მეთოდები, შეიძლება უფრო უტყუარი მომავლის საქმეა).

საკითხის გარკვევაში ოდნავი სიცხადის შეტანის მიზნით, რაკი (თუნდაც სქემატურად) გავეცანით რუსეთისა და აფხაზეთის მკვლევ-ართა ნაწილის პოზიციას, ასევე მოკლედ გავიხსენოთ ქართველ (და არა მხოლოდ) მკვლევართა დებულებებიც.

უძველესი პერიოდის კავკასიელების შესახებ ცნობას „ბიბლია“ იძლევა. მასში დასახელებული თუბალ-კაენი (მიწათმოქმედი და მეტა-ლურგი), შემდეგში იაფეტის ძედ წოდებული თუბალი, ასურელთა მძლავრი მოწინააღმდეგე ტაბალია, რომლის სახელიც დროთა ვითარე-ბაში იბერად იქცა. ამის შესახებ გარკვევით სწერდა იოსებ ფლავიოსი.

„ბიბლია“ თუბალთან ერთად ასახელებს მეშეხს. მეშეხი ასურელების მიხედვით მუშქი-მუსკია, რომელიც იმავე ფლავიოსის მოწმობით კაპა-დოკიელთა წინაპარია. დასაწყისშივე იყო მსჯელობა თუბალ-მეშეხზე და

განმეორება ზედმეტია. მხოლოდ ერთი. „ბიბლია“ იძლევა წარღვნამდელ და წარღნისშემდეგ პერიოდებს. სხვა ეთნარქები, რომელთაგან შეიძლება აფხაზები წარმომდგარიყვნენ იქ დასახელებული არ არის. ისტორიულად უფრო გვიან პერიოდს მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“ აღწერს. ლეონტი მროველი, თარგამოსისა და მის მემკვიდრეთა სამფლობელოების აღწერისას უშუალოდ ეხება იმ ტერიტორიას სადაც იყო ძველი ანუ ვრცელი აფხაზეთი და არის თანამედროვე ანუ შეკვეცილი აფხაზეთი. მროველის მიერ თარგამოსიანელთა შორის სამფლობელოების გაყოფა, ერთი დაანგარიშებით ძვ. წ. ა. III ათასწლეულს მიეწერება, მეორე დაანგარიშებით ძვ. წ. ა. V ათასწლეულს. იმის მიხედვით თუ როგორ ვიანგარიშებთ თარგამოსიდან ზევით ნოემდე თაობათა ასაკს.

თარგამოსის რვა ძეს შორის გაიყო სამფლობელო. უფრო ზუსტად ექვს ძეს შორის, რადგან ორ მათგანს ლეკოსს და კავკასოსს ჩრდილოეთში დაუსახლებელი მხარე უნდა აეთვისებინათ. ვრცელი და შემცირებული აფხაზეთიც ეგროსის კუთვნილ სამფლობელოში ხვდება. ლეონტი მროველი კარგად იცნობდა აფხაზეთს, იცოდა მისი წარსული, მაგრამ როცა აღწერა ეგროსის სამფლობელოს საზღვრები: დასავლეთით შავი (სპერის, პონტოს) ზღვა, სამხრეთით ქართ-ოსის კუთვნილი მამული, აღმოსავლეთით ასევე ქართოსის მიწები გაყოფილი ლიხის (ღადოს) მთით, ჩრდილოეთით მდ. მცირე ხაზარეთისა (მდ. ყუბანი), არ უხსენებია აფხაზეთი დედაქალაქით ეგრი, ბედია, თუ ლიხნი. მროველი ახსენებს ეგრისელებს, მაგრამ არ აკონკრეტებს ვინ, რომელი ტომები იგულისხმებიან შიგ. მხოლოდ სხვა ადგილას გამოიკვეთება მეგრელები და სვანები. ისაც ძვ. წ. ა. IV ს. მოვლენასთან დაკავშირებით. რატომ არ ასახელებს მროველი აფხაზებს? აფხაზი მკვლევარები ხომ ამტკიცებენ ძვ. წ. ა. III ათასწლეულში მის არსებობას? ლოგიკური ახსნა ერთია: იმ დროს ძვ. წ. ა. V ან III ათასწლეულში ეგროსის მონათესავე ტომები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ერთობას. ჯერ კიდევ არ იყო სვანური გამოყოფილი ეგროსულს (მეგრულს).ეგროსული იყო საერთო ენა მეგრელებისა, მომავალი აფხაზებისა და სვანებისა, სადაც სვანური უკვე ცალკე ენად ყალიბდებოდა.

ჰქონდათ ამ ტომებს საერთო და განმასხვავებელი. თუ ვერწმუნებით ჰომეროსს და მის შემდგომ ავტორებს, აია-კოლხეთია მათი სამშობლო.

ლეგენდარული მეფე აიეტი ერთდროულად ბალკანეთს ნახევარკუნძულზე კორინთოს ქალაქ-სახელმწიფოსა და აია-კოლხეთის მეფეა. მტერთაგან ძლეული იგი კორინთოს სტოვებს და აია-კოლხეთის მძლავრ სამეფოს ქმნის. აქ სტუმრობენ მას არგონავტები, აქედან მიაქვთ ოქროს საწმისი და მიჰყავთ მისი ქალიშვილი მედეა. ეს ამბები უკვე ძველი წ. ა. II ათასწლეულის კუთვნილებაა. ზუსტი თარიღი კი არა საუკუნეც დასადგენია. სავარაუდოდ ძვ. წ. ა. XVI ს. ამ დროს სვანური და მეგრული უკვე ცალკე ენებია, მაგრამ შეიძლება საბოლოოდ დაშორებული არა, შეიძლება შერეული მოსახლეობითაც. ცალკეული მკვლევარები გამოთქვამენ საყურადღებო მოსაზრებებს, რაც საბოლო დასკვნად ვერ ჩაითვლება. კერძოდ, თ. მიბჩუანი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სვანებში აია-მიწის ღმერთად იყო მიჩნეული. აქედან აია-კოლხეთი ხომ არ მომდინარეობს? და რა ტერიტორიას მოიცავდა აია-კოლხეთი? შედიოდა მის შემადგენლობაში გვიან აფხაზეთად წოდებული ტერიტორია იქ მაცხოვრებელი ტომებით თუ არა?

აია-კოლხეთის შესახებ აზრთა სხვაობაა მკვლევარებს შორის. თავად აიეტის შესახებაც არაა ერთსულოვნება. ერთი მოსაზრებით ის კოლხი-მეგრელი უნდა იყოს, მეორე აზრით-სვანი, არის მოსაზრება მისი აფხაზობის შესახებ, ეგებ ლაზი? ყველა ამ ვარიანტს თანაბარი უფლება აქვს არსებობისა, რადგან იმ დროს არ იყო მკვეთრი დაყოფა მათ შორის. შეიძლება იყო დიალექტი, რომლისგანაც შემდეგ ძველ კოლხური – აფხაზური ენა ჩამოყალიბდა. იყო ზანური თუ ლაზური, რომელსაც შემდეგ მეგრული ენა ეწოდა. ასევე იყო სვანური ცალკე, მაგრამ მჭიდრო კავშირში მეგრულთან. თავად კოლხური-ეგრული (და არა მეგრული) უეჭველად იქნებოდა კორინთულის (პელაზგურის) და ეგრულის სინთეზის შედეგი. თავად კოლხური რა კავშირშია კორინთულ-კორინხულთან? რა ურთიერთმიმართებაა ბალკანეთში პელაზგებსა (პელაზგურსა) და კავკასიასა და მცირე აზიაში ლაზებს, ლაზგებს, ეგროსელებს შორის? რატომაა, რომ მრავალი წყარო მიუთითებს პელაზგებისა და კავკასიონელებს შორის მჭიდრო ურთიერთობაზე? უკვე იყო ნათქვამი, რომ არა მხოლოდ ეგროსის სამფლობელოში მაცხოვრებლები ითვლებოდნენ პელაზგებად, არამედ იბერები და ალბანელებიც.

კარგა ხნის წინ გამოითქვა მოსაზრება კავკონებისა და ჰელიოსების (ჰენიოხების) ტომთა ნაწილის კავკასიიდან მცირე აზიის გავლით

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიგრირების შესაძლებლობის შესახებ. ზევითაც იყო ამაზე ნათქვამი. თ. მიბჩუანი პრაქტიკულად იგივე აზრს ემხრობოდა, როდესაც სვანეთში-ჰელი-ოს შესახებ მსჯელობდა. თუ სვანურად ცეცხლის ელვარებას ჰელიო ეწოდება, შეიძლება თუ არა იმის დაშვება, რომ იმ დრონის კვალობაზე იყო ცეცხლის კულტი, მისდამი დამოკიდებულების, მისი გაღმერთების რიტუალებით და წარმოდგენებით. მზე, როგორც ცეცხლის გამონაშუქი, ჰელიო შეიძლებოდა თუ არა, რომ გაელმერთებინათ და მასზე შეექმნათ წარმოდგენა, რომელიც ჰელიოსთანაა დაკავშირებული? თუ სპარსებში ცეცხლთაყვანისმცემლობა მუსულმანობის გავრცელებამდე იყო გაბატონებული, ეგროსის კუთვნილ სამფლობელოში ორი-სამი ათასი წლით ადრე რომ ყოფილიყო, გასაკვირველია? რა თქმა უნდა არა.

მზის ღმერთი ჰელიოსი იყო აია-კოლხეთის მეფის აიეტის ღვთიური მამა (უკვე იყო ამაზე მსჯელობა). როგორ მოხდა რომ იგი ერთდროულად კორინთოს და კოლხეთის მფლობელი იყო? არის ვარაუდი, რომ მისი მიწიერი მამა მერმერო და პაპა ილი ლეგენდარული დარდანის (კორინთოს მეფის) ჩამომავალი, დარდანიდების დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ. მამის ხაზით მიიღო კორინთოს მეფობა აიეტმა, მაგრამ ვერ შეინარჩუნა და აია-კოლხეთში გადმოსახლდა. ლოგიკურია აზრი, რომ მეფეს თან ძალზე ბევრი გამოჰყვებოდა. აქ ხომ არ მოხდა აიას მაცხოვრებელთა შერევა, გაერთიანება კორინთელებთან (კორინხელ კოლხებთან)? ამ ნიადაგზე ხომ არ გაჩნდა ახალი მოსახლეობა კოლხებისა, რომელიც აერთიანებდა პელაზგებს ლაზებთან? ვარაუდი ბევრი რაიმესი შეიძლება. მათ შორის იმისაც, რომ აია-კოლხეთში წამყვანი ელემენტი იყო ენებად თუ დიალექტებად დაყოფილი სვანური, ლაზურ-ზანური ელემენტები ან სულაც მათი საბოლოო გაუმიჯნავი მოსახლეობა, სადაც ერთ ნაწილს გვიან აფხაზეთად წოდებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ეგროსის მონათესავე ტომები შეადგენდნენ. ამ ტომებს შეიძლება ჰქონდათ თავისი დიალექტი, მაგრამ გენეტიკურ- ფსიქიკურად ისეთივე ეგროსელები იყვნენ, ისეთივე აია-კოლხები იყვნენ, როგორც სვანები, მეგრელებ-ლაზ-ზანები. ცალკეულ ტომებად დაყოფა მათში იყო, მაგრამ იმ დრონის ტომთა სახელები ისტორიამ არ შემოგვინახა. კოლხეთის სახელწოდებაც ცნობილია მრისხანე ტიგლატპილესარ I (1115-1077 წ. ძ. წ. ა.)

წარწერიდან. ასურეთის ბატონი გვამცნობს კოლხეთის შესახებ, მაგრამ არ აკონკრეტებს ეგროსის ნათესავი ტომები ჰყავს ან სამფლობელოს რომელი ნაწილი, მხედველობაში. მაგრამ რასაც ბრძანებს, საკმარისია ვირწმუნოთ კოლხეთის (შეიძლება აია-კოლხეთის) რეალური არსებობა.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ძვ. წ. ა. VIII-VII სს. წინა აზიას ჩრდილოეთიდან წამოსულმა კიმერიელებმა გადაუარეს. ისინი დასავლეთს კავკასიონის გადმოსასვლელებით შემოიჭრნენ სამხრეთში, გადათელეს კოლხეთი, გაანადგურეს მცირე აზიის ქვეყნები და რბევით ეგვიპტეს უწიეს. მხოლოდ იქ დამარცხდნენ უზადო მებრძოლი კიმერიელები, შემობრუნდნენ, დაიფანტნენ, ნაწილი ტაბალებს ჩაუსახლდა ჰაოსის კუთვნილ მამულში და მათი შერევის შედეგად სომეხი ერი, სახელით ჰაოსიანები, ენით ინდოევროპელები ჩამოყალიბდნენ.

ამ შემოსევებმა აია-კოლხეთი დააკნინა, მის საფუძველზე უკვე კილხას (კულხას) ტომთა გაერთიანების სამეფო ყალიბდება. ძლიერების პერიოდში ეს სამეფო გაერთიანება საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს იერთებს. მათ შორის განადგურებული ტაბალებისა და მუშქ-მესხების ტომებით. იყვნენ თავად ეგროსელები მეშეხ-მუშქ-მუსკ-მესხების ჩამომავლები თუ ამ პერიოდში მოხდა მესხების შემოსვლა მათ არეალში, დაუდგენელია. ცხადი, მხოლოდ ისაა, რომ ეგროსელების ჩრდილოეთი საზღვარი ცვლილებას განიცდის.

უკვე იყო მსჯელობა კიმერიელების კვალდაკვალ სკვითების, შემდეგ სარმატების ლაშქრობებისა და მისი შედეგების შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში. იმ ეპოქაში მოხდა სინდთა ტომის ჩასახლება ტამანის ნახევარკუნძულზე და მათ მიერ ანაპას ზევით ტერიტორიების დაკავება. სინდები და მეოტები კი ადიღეველთა შორეული წინაპრები არიან. იყვნენ სინდები და მეოტები კავკასის მონათესავე ტომთა გაერთიანებიდან თუ მომხდურ სავრომატების ნაწილს წარმოადგნედნენ, ეს ჯერ კიდევ გადაუწყვეტი პრობლემაა. არა და, ამის მიხედვით უნდა დადგინდეს მათი თარგამოსიანელობა (ნათესაობა კავკასიელებთან, ეგროსელებთან და ა. შ.). ამის დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს აფხაზების აფხაზეთობასთანაც. დასამახსოვრებელი კი ისაა, რომ იმ დროს არავითარი ძველი აფხაზეთი და მით უმეტეს აფხაზურ-ადიღეური ტომები საერთოდ ისტორიამ არ იცის. მიუხედავად დიდი მცდელობისა არ არსებულის არსებობა არა მტკიცდება. როგორც ფილოსოფოსები იტყვიან, ვერ იჭერენ შავ კატას

ბნელ ოთახში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის იქ არ არის.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი პრობლემაა წამოჭრილი. ძვ. წ. ა. IV-III ათასწლეულებში სამხრეთ კავკასიაში იყო ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა. III ათასწლეულის ბოლოს ეს კულტურა კნინდება და მისი ელემენტები ჩნდება კავკასიონის ჩრდილოეთში. არქეოლოგები ადასტურებენ ჩრდილოეთის ამ ე. წ. მაიკოპის კულტურის დიდ მსგავსებას კოლხურ კულტურასთან. მას შემდეგ არა ერთხელ დასმულა საკითხი იმ ტომების, ეთნოსების შესახებ, რომელთაც ეს კულტურა უნდა შეექმნათ და უზრუნველეყოთ მისი განვითარება. ისტორია არ იცნობს იმ პერიოდში,იმ არეალში სხვა მოსახლეობას გარდა ეგროსელებისა და მათ მეზობლად კავკასოსელებისა. როგორ შეიძლება ამ ფაქტს ზურგი აქციონ და კულტურის მატარებლად არ არსებული ტომები გამოაცხადონ.

ძვ. წ. ა. VI ს. ჩნდება ბერძნული ფაქტორიები პონტოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან და შესაბამისად უცხოური კოლონიები არსდება, სადაც არა მხოლოდ ვაჭრობა ვითარდება. ამ დროიდან ჩნდება უცხო ტომელთა (ბერძენთა, შემდეგ რომაელთა) ცნობები აქ მაცხოვრებელი ტომებისა და ეთნოსების შესახებ.

ძვ. წ. ა. VI საუკუნეს მიეკუთვნება ცნობა მდ. ფაზისის გაყოლებით ჰენიოხების სახლობის შესახებ. ნათქვამია, რომ ამ ადგილებში ჯერ ცხოვრობდნენ ჰენიოხები, შემდეგ აქ დასახლდნენ მილეთელები, პირველებმა კი ჩრდილოეთით გადაინაცვლეს. ჰენიოხებს ტრაპეზუნტისა და მდ. აფსაროსის (ჭოროხის) აუზში აღნიშნავს პლინიუს უფროსი (ახ. წ. ა. I ს), „ფლავიუს არიანე (ახ. წ. ა. IIს). სხვა ავტორები, ფსევდო სკილაქს კარიანდელი (ძვ.წ.ა. IV), არისტოტელე (ძვ. წ.ა. IVს), არტემიდორე ეფესელი (ძვ. წ. ა. Iს.) და სხვა ჰენიოხებს თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აფიქსირებენ. მათთან ასახელებენ უკვე სხვა ტომებსაც. ახალი წელთა აღრიცხვის I-II საუკუნეებიდან ჩნდება ცნობები შავი ზღვის ჩრდ. აღმ. სანაპიროსთან (ეგროსის კუთვნილ სივრცეში) სხვადასხვა ტომების მოსახლეობის შესახებ. სანაცვლოდ ქრება ჰენიოხთა მოხსენიება. იმ არეალში სადაც ჰენიოხები იყვნენ ასახელებენ სანიგებს, სანჰენიხებს.

ძვ. წ. ა. V ს. ავტორი ჰელანიკე მიტილენელი ასახელებს ჰენიოხებს, კერკეტებს, მოსხებს, ქარიმატებს, კორაქსებს. არტემიდორე ეფესელი (ძვ. წ. ა.Iს) ასე ჩამოთვლის: ნავსადგურ ბატას მიდამოებში (ქ.

ანაპას ჩრდილოეთით) სახლობენ კერკეტები)850 სტადიის მანძილზე, ზღვის ნაპირის გასწვრივ. მათ შემდეგ არიან ახეელები (აქაველები) – 500 სტადიის მანძილზე, შემდეგ მოდიან ჰენიოხები 1000სტადია, ისინი აღწევენ ქ. პიტიუნტს (ბიჭვინთას). იგივეს იმეორებს ფსევდო სკილაქსი. სტრაბონი აზუსტებს ახ. წ. ა. I საუკუნისათვის შექმნილ ვითარებას და ამბობს; ჩრდილოეთიდან სამხრთით ჯერ არიან ახეელები (აქაველები), შემდეგ ზიგები, შემდეგ ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები და ა. შ. (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957წ. გვ. 120).

საინტერესო ცვლილებაა, რომელსაც გვერდი არ აევლება. ჰელანიკე მიტილენელი აღწერს რა ძვ. წ. ა. VI ს. მოვლენებს ეგროსის კუთვნილ სივრცეში ასახელებს ჰენიოხებს, კერკეტებს, მოსხებს, ქარიმატებს, კორაქსებს. ჩამოთვლის ტომებს, მაგრამ არ აზუსტებს მათ მიერ დაკავებულ სივრცეს. როცა მსჯელობაა ჰენიოხებზე, აღნიშნულია, რომ ისინი ადრე მდ. ფაზისის მიდამოებში ცხოვრობდნენ, შემდეგ ჩრდილოეთით წავიდნენ, მათი ადგილი კი მილეთელებმა დაიკავეს. ძვ. წ. ა. V ს. ისინი უკვე ჩრდილოეთში არიან, მაგრამ სამხრეთით არიან კერკეტები, შემდეგ მოსხები, შემდეგ ქარიმატები და კორაქსები. რამდენადაც ცნობილია, რომ მდ. კელასურს ძველად კორახი ერქვა იქ მაცხოვრებელი ტომის მიხედვით, გამოდის, ყველა ამ ტომებს უცხოვრიათ კელასურიდან ჩრდილოეთით. ამასთან, ჩამოთვლის თანახმად, ყველაზე ჩრდილოეთით ჰენიოხებია. მდ. ფაზისის (რიონის) აუზიდან ქ. ანაპამდე მოუნაცლებიათ მათ ადგილი. მოუნაცვლებიათ თუ მოღვაწეობის ცენტი გადაუტანიათ? ერთი მცირე მოსაზრება: არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის აღწერისას ა. როდოსელი გვამცნობს, რომ ფაზისში შეცურებისას მათ თვალწინ გამოჩნდა ღმერთქალ ფასიანეს ქანდაკება, ტახტზე მჯდომარი, წინწილებით ხელში და ლომების დაცვით., ზუსტად ისეთივე, როგორიც ქ. ათენში დატოვეს. რა დამთხვევაა? პელაზგი ვაჟკაცები (ჯერ კიდევ არა ბერძნები) ჩამოდიან აია-კოლხეთში აიეტის (ღმერთ ჰელიოსის სულიერი ძის) სამეფოში და პირველი, რასაც ხედავენ, ქალღმერთ ფასიანეს ისეთივე ქანდაკებაა, როგორიც არის ათენში. ცხადია, ეს შემთხვევით ვერ მოხდებოდა. ეს პელაზგებისა და კოლხების (შეიძლება ლაზების ან ლაზგების, ჰელიოს-ჰენიოხების. სახელწოდება იცვლება მოსახლეობა რჩება) სულიერ-კულტურულ კავშირებზე მითითებაა თუ უფრო მეტი? და საიდან საით, როდის, ვის მიერაა იგი განვრცობილი?

(ამიტომ კვლევა აუცილებელია, დასკვნები-ნაადრევი).

ისმის ლოგიკური კითხვა: ჰენიოხები (ჰელიოხები) რომლებიც საუკუნეობით ცხოვრობდნენ მდ. ფაზისის მიდამოებში ძვ. წ. ა. VI ს. რატომ შეიცვლიდნენ საცხოვრებელს? და რა მოუვიდოდა იმ მატერიალურ-კულტურულ გარემოს, რომლის შესახებ ა. როდოსელი გვაუწყებს, რომელიც მოცემულია მითში არგონავტების შესახებ? ხომ არ იყო ყოველივე შედეგი კიმერიელთა შემოსევებისა? კიმერიელთა ურდო (ურდო არა ლანძღვის გაგებით) თავის გზაზე ყოველგვარ ბარიერს აღგვიდა. კავკასიონმა ვერ დააოკა მომხდურები და რას უზამდა აიაკოლხეთი, დიდი და მცირე ფრიგია და ა. შ. არაა გამორიცხული, რომ ჰენიოხები გაიფანტნენ, სამხრეთში და ჩრდილოეთში მთებს შეეხიზნენ, ხოლო მათგან დაცლილ ტერიტორიაზე მილეთელები ჩამოსახლდნენ. ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე ცნობები ცალკეული ტომების შესახებ არ არსებობს. ცნობილი სქემა, ჭანი-ზანი-სანი, გნებავთ კოლხი, ჰენიოხი დაზუსტებას მოითხოვს.

პირველ ასეთ „დეტალიზაციას“ ეგროსის კუთვნილ არეალში ჰელანიკე მიტილენელი აკეთებს და ამბობს, რომ ჰენიოხების მეზობლები ჩრდილოეთში, არიან კერკეტები, მოსხები, ქარიმატები და კორაქსები. დასაშვებია, რომ თვითეული ერთეული ტომთა გაერთიანებაა და მომავალში შეიძლება დაიყოს, გამოჩნდეს შემადგენელი ელემენტი მნიშვნელობის შეძენის კვალად. მთავარი შემდეგშია: ჩამოთვლილი ხუთეულიდან, რომელიმე შეიძლება თუ არა ყოფილიყო არა ეგროსე- ლი? თუ ჰენიოხები მდ. რიონის აუზიდან ჩრდილოეთით ინაცვლებენ, სავარაუდოა, რომ ეს იძულებითი ცვლილებაა და გზაზე ბარიერების გადალახვასთანაა დაკავშირეული; შემხვედრ არა მონათესავე ტომებს მოსპობდნენ, განდევნიდნენ, შეიერთებდნენ; 2. ჩრდილოეთით გადანაცვლების დროს, აიყოლიებდნენ სხვა მონათესავე ტომებს: კერკეტებს, მოსხებს, ქარიმატებს, კორაქსებს. შესაბამისად, როდესაც ისინი შეჩერდებოდნენ ქ. ანაპის მიდამოებში (ჩრდილოეთით უკვე სინდების ტომი იყო), მათ სამხრეთით შეჩერდებოდნენ სხვებიც; 3. თუ ვივარაუდებთ, რომ ჰელიოსობა, ჰენიოხობა რელიგიურ რწმენასთანაა დაკავშირე- ბული (ჰელიოსს-მზის ღმერთს თაყვანს სცემდნენ საპელაზგოშიც ანუ ბერძნების ბალკანეთში მისვლამდეც), მაშინ დასაშვებია, რომ ტომთა მიგრირება კი არ მოხდებოდა, არამედ რელიგიური კულტურის ცენტრის გადანაცვლება ჩრდილოეთით.

ეგროსელები (და არა მეგრელები), აია-კოლხეთის შვილები, მონათესავე ტომები კვლავ მფლობელობენ ისტორიულ ტერიტორიას, მაგრამ მოხდებოდა რელიგიური ცენტრის ჩრდილოეთში წინ წამოწევა. თუ დავუშვებთ საპირისპიროს, რომ ჰენიოხები (ჰელიოხები) ცალკე ტომი იყო, მაშინ გაუგებარი ხდება მათი გაყოფა სამხრეთის და ჩრდილოეთის ნაწილებად და მათი უკიდურეს ჩრდილოეთში დამკვიდრება, მაშინ, როცა მათ სამხრეთით სახლდებიან სხვა (მანამდე უცნობი) ტომები.

გავიდა საუკუნეები და ეგროსის მონათესავე ტომთა არეალში მოხდა ცვლილება. არტემიდორე ეფესელის (ძვ. წ. ა. Iს.) ცნობით ანაპის მიდამოებში (ჩრდილოეთიდან) კერკეტები სახლდებიან, შემდეგ ახეველები (აქაველები) და ამის შემდეგ მოდიან ჰენიოხები, რომლებიც ბიჭვინთის (პიტიუნტის) მიდამოებს უწევენ. ისტორიულად იმავე პერიოდში მოღვაწე სტრაბონი კიდევ უფრო დეტალურად ასახავს მომხდარ ცვლილებას და ტომთა ასეთ განლაგებას იძლევა: აქეელები, ზიგები, ჰენიოხები, კერკეტები, მოსხები, კოლხები.

აუცილებელია ოდნავ მაინც იმის გაცნობიერება, რა უნდა მომხდარიყო განვლილი ხუთი საუკუნის მანძილზე. ძვ. წ. ა. VI ს. სამხრეთიდან (მდ. კელასურიდან) ჩრდილოეთით სახელდებიან კორაქსები, ქარიმატები, მოსხები, კერკეტები და მათ მეზობლად ჰენიოხები. მეზობლად, მაგრამ სად? ამას გარდა ძვ. წ. ა. I ს. უკვე აღარ სახელდებიან ქარიმატები და კორაქსები. სანაცვლოდ ჩნდებიან ახეელები (აქაველები), ხოლო სტრაბონთან ზიგები. თან რაც ყურადსაღებია, სტრაბონი ჩამოთვლის რა ტომებს ასე აფიქსირებს; „ხოლო მითრიდატეს ომების აღმწერნი, რომელთაც მეტად დაეჯრებათ, ამბობენ რომ ჯერ არიან აქეელები, შემდეგ ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები და ა.შ.“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ. 1957 წ. გვ. 120). აქ ორიოდე შენიშვნაა გასათვალისწინებელი: 1. ლოგიკურად დასაშვებია, რომ ხუთი საუკუნის მანძილზე ტომთა ცხოვრებაში (მაგრამ არა განლაგებაში) ცვლილებები მოხდებოდა: 2. ბერძენ კოლონისტებს უკავშირებენ (და სამართლიანად) აქეველთა (აქაველთა) მოსახლეობის გაჩენას ქერჩის სრუტის აღმოსავლეთ ნაწილში. მათი გადმოსახლება ახლა უკვ ძველი საბერძნეთიდან კავკასიის ჩრ. დასავლეთ ნაწილში მკვლევართა მიერ გაზიარებულია, როგორც ისტორიული რეალობის ასახვა; 3. ახეელები (აქაველები) ჩასახლდნენ სინდთა ტომებს შორის და ამიტომ მათ ქვევით

ზიგების დასახელება გაუგებრობას არ იწვევს: 4. გაუგებრობის წყაროა კერკეტების ტომის ლოკალიზება. ზოგ ავტორთან ჩამოთვლა ასეა: კერკეტები, აქაველები, ჰენიოხები. სტრაბონი კი კერკეტებს ჰენიოხებსა და მოსხებს შორის ასახელებს... რაშია ჭეშმარიტება? კითხვა უბრალო ინტერესის შემცველი არაა, იმის მიხედვით რაზე შეჯერდებიან მომავალი მკვლევარები, კერკეტები შეიძლება მიეკუთვნონ ან არა ეგროსელებს. ამავე დროს უნდა მოიძებნოს ის კონკრეტული მიდამო, სადაც მათი არსებობა დასაბუთებული იქნება, როგორც არა ეგროსელი არამედ მის არეალში შეჭრილი უცხო ტომისა. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილი აფხაზი არქეოლოგის ცნობით, იმ ტერიტორიებზე (ბიჭვინთის, ლიხნის და სხვა) გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, სხვა რამეს, თუ არა კოლხური კულტურის არსებობის შესახებ, არავითარ ცნობებს არ შეიცავენ (Трапш М. М. Памятники эпохи бронзи и раннего жилеза в Абхазии. Сухуми, 1970 г.).

ასეთი რეალობიდან გამომდინარე გასარკვევია, რომელი კონცეფ-ციაა მკვლევარებისა ჭეშმარიტების შემცველი: 1. კერკეტები ადიღეური წარმომავლობის ტომია და სტრაბონთან დასახელებული ზიგების (მო-მავალში ჯიქების) მონათესავე; 2. კერკეტები ისეთივე ეგროსის არე-ალის კუთვნილებაა, როგორც მოსხები (აბასხები), კოლხები და სხვა; 3. კერკეტები არც ადიღეური წარმომავლობისაა და არც ეგროსული. იგი კავკასოსის ტომთა გაერთიანების ნაწილია სავრომატებისაგან ოტებული და ეგრისელთა არეალში ჩასახლებული.

გადაჭრით კერკეტებზე რაიმეს თქმა ძნელია. მტკიცება მკითხაობას დაემგვანება. მხოლოდ მითითების მიზნით: კერკეტები მკვლევართათვის ცნობილნი არიან ძვ. წ. ა. VI საუკუნიდან. ზიგები კი მხოლოდ I ს. ხვდებიან ყურადღების ცენტრში. ამასთან, ზიგები მოიხსენებიან ჰე-ნიოხებამდე (მათ ჩრდილოეთით.), კერკეტები კი ჰენიოხების სამხრეთით. როგორ უნდა მომხდარიყო ეს. ზიგები, გასაგებია, ისინი ადიღეურ ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ და ბუნებრივია, რომ ეგროსელი ტომების ჩამოთვლამდე ჩრდილოეთით სახლდებიან. ჩრდილოეთიდან სამხრეთით ჯერ ზიგები, შემდეგ ეგროსელები ანუ ჰენიოხები და სხვა. ჰენიოხებსა და მოსხებს, კოლხებს შორის, ამ მონათესავე ტომთა შორის უცხო წარმომავლობის ტომი როგორ მოხვდებოდა და მეობას როგორ შეინ-არჩუნებდა. საუკუნეების მანძილზე შერევა, ასიმილირება როგორ არ

მოხდებოდა? ტომთა შორის ხომ მუდმივი ჭიდილი იყო სასიცოცხლო არეალისათვის პრინციპით: ძლიერი რჩება, სუსტი მორჩილდება ან ისპობა. ამ საკითხებს მომავალი მიუკერძოებელი კვლევები სჭირდება. ლოგიკამ ბევრი ისტორიული ხარვეზი უნდა შეავსოს.

ამავე დროს აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ჰენიოხები მრავალ ტომს აერთიანებენ, იკავებდნენ კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებს. სტრაბონის მოწმობით იყო ოთხი გაერთანება, თავისი ოთხი მეფით (ბელადით). ისიც ცნობილია, რომ მითრიდატე პონტოელს გამოკიდებული პომპეუსი სწორედ ჰენიოხთა წინააღმდეგობის გამო შეჩერდა ლაია, ლაიაში, ძველი ლაზიკა (სახელწოდება დროთა ვითარებაში იცვლებოდა) გამაგრებულ დასახლებასთან, უფრო გაამაგრა ციხე-ქალაქი და უწოდა ნიკოფსი (თუ ნიკეფსი). შეიძლება თუ არა იმის დაშვებაც, რომ კერკეტები ჰენიოხებს გამოყოფილი ტომთაგანია, გაძლიერებული და დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი. ესაც განსჯის საგანია.

ახალი წელთა აღრიცხვის დასაწყისში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს ეგროსის წილხვედრ ქვეყანაში. ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. II ს. სუსტდება კულხა, კოლხთა სამეფო და თანდათანობით ადგილს უთმობს გაძლიერების გზაზე შემდგარ ლაზთა ტომობრივ გაერთიანებას. ახ. წ. ა. II ს. ქრება ჰენიოხთა სახელი და ამ არეალში ჩნდებიან ცალკეული ტომები. ადრე საუკუნეების მანძილზე ჰენიოხების არსებობა ფიქსირდება ტრაპეზუნტ-ჭოროხიდან მოყოლებული ჩრდილოეთში ანაპის ჩათვლით. და არა მხოლდო ზღვის სანაპიროს გასწვრივ. ძველი დროის ცნობილი მოაზროვნე სენეკა (ახ. წ. ა. Iს.) ჰენიოხებს კავკასიონის მწვერვალების მაცხოვრებლად მიიჩნევდა. ახ. წ. ა. II საუკუნიდან ჰენიოხთა არეალში მანამდე უცნობი, ლოგიკურია სავარაუდებლად, ადრე ჰენიოხთა სახ- ელქვეშ გაერთიანებული ტომები ჩნდებიან. ეს ხდება ეგროსის კუთვნილ მიწა-წყალზე, ეგროსელთა შორის და ჯერ ხანობით მაინც იქ უცხო ეთნოსების (ტომების) დამკვიდრებას ადგილი არა აქვს. რა თქმა უნდა იგულისხმება ბერძნული კოლონიების არსებობა და შემდეგ რომალეთა გამოჩენა. რაც შეეხება ლეგენდარულ მითრიდატე პონტოელს, ტომით ხალიბი (ჰალიძონი) ეგროსელებისათვის უცხო დამპყრობად ვერ ჩაითვლება და არც გამოუწვევია ტომობრივ-ეთნიკური ცვლილება. შესაბამისად ჰენიოხთა გაქრობა და ახალ ტომთა გამოჩენა მის წილ ტერიტორიაზე, სხვა არაფერია თუ არა ტომების გამაერ-

თიანებელი სახელწოდების გაუფერულება, უკუგდება და ცალკეულ ტომთა სახელწოდების ამ ნიადაგზე წარმოჩინება. სხვა შემთხვევაში უნდა ახსნილი იქნეს როდის, რომელი უცხო ძალა, რა გზებით დამკვიდრდა ამ არეალში.

დამატებით იმ ფაქტზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ ნაკლებად არის გამოკვლეული ეგროსის მონათესავე ტომთა რელიგიურობის საკითხი. თუ გავიზიარებთ თვალსაზრისს, რომ უძველესი დრონიდან მოყოლებული ამ არეალში პელაზგიურ ღმერთთა პანთეონს მიაგებდნენ პატივს, რაც დადასტურებულად ითვლება, მაინც არაა საკმარისი. ეგროსის მონათესავე ტომთა არეალში დოლმენების არსებობის ფაქტი, შემორჩენილი გადმოცემები, მეტ ყურადღებას საჭიროებენ. კავკონებისა და ჰენიოხების მეშვეობით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ამირანის(პრომეთეს), ჰელიოსის (მზის ღმერთის) კულტის შესაძლო მიტანა, არ გამორიცხავს ადგილობრივ დიდ და მცირე ღვთაებათა არსებობას. მკვლევარები ამიტომ აფიქსირებენ თანამედროვე აფხაზთა შორის ამირანის ორეულის აბრსკილის არსებობას, კავკასიონელთა შორის ნადირობის მფარველის აბსატის, აფსატის კულტს და ა. შ.

არ უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული ის დიდი პოლიტიკური ცვლილებები, რაც ეგროსელების გარესამყაროში მოხდა ძვ. წ. ა. IV ს. მოყოლებული. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ დიდი გადატრიალება მოახდინა მცირე და წინა აზიაში. ამ გარდაქმნებს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ რაც მთავარია შემეცნებითი ცვლილებები მოჰყვა. ბერძნული კოლონიების მეშვეობით ათენის დემოკრატიული იდეები ისედაც ცნობილი იქნებოდა ეგროსელთა მოწინავე მოაზროვნეთათვის, იქნებოდნენ ისინი რელიგიური, ფილოსოფიური თუ პოლიტიკური სფეროს წარმომადგენლები. ძველი ბერძნები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მუშქებმა (მესხების წინაპრებმა) ფინიკიიდან შეითვისეს ასოთი დამწერლობა, მათგან ძველმა ბერძნებმა გადაიღეს და აქედან უკვე მთელ მსოფლიოში გავრცელდა. თანამედროვე აფხაზი მკვლევარები იმ ნაწილში შეიძლება მართლები არიან, როცა ძველ აფხაზურ დამწერლობაზე საუბრობენ. თუ ვაღიარებთ ისტორიული წყაროების ცნობის სინამდვილეს ეგროსის წილ ქვეყანაში მოსხების (აბასკების) ტომის არსებობაზე, მაშინ საფიქრალია, რომ მათ, მუშკების ნაწილს, შეიძლება ფინიკიური დამწერლობის გავლენით ჰქონოდათ საკუთარი. არც ისაა გამორიცხული, რომ ძველ

ქართულ დამწერლობას ჰქონოდა შეხება, კავშირები მოსხურთან. სხვა თუ არაფერი, ფარნავაზის (ქართების) და ქუჯის (არა ეგროსელების, არამედ ეგრების) ურთიერთობა ისტორიული ფაქტია და საკმაოდ ახლო, ნათესაურ კავშირებზე მითითება. თუ დასაბუთებულადაა მიჩნეული ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის რეფორმირება, მაშინ არც ისაა გამოსარიცხი, რომ მას სცოდნოდა სხვათა დამწერლობების შესახებ.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ესაა ახალი რელიგიური მოძღვრების გავრცელების ფაქტი. არაა აუცილებელი ვრცელი მსჯელობა ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელის, მატათას მოღვაწეობაზე ეგროსის კუთვნილ სივრცეში. ყოველივეს ერთად გავლენა რომ მოეხდინა ეგროსელებზე და შესაბამისი ცვლიება გამოეწვია, გამორიცხული არ არის.

სავარაუდოა, რომ პოლიტიკურმა და მსოფლმხედველობითმა ცვლილებებმა განაპირობეს ჰენიოხთა ერთობის რღვევა. ჰენიოხები ახ. წ. ა. II ს. აღარ იხსენიებიან, ასპარეზზე ცალკეული ტომები გამოდიან. ეს ხდება სინდების ქვევით, ქ. ანაპის მიდამოებიდან მოყოლებული და სამხრეთით ტრაპეზუნტ-ჭორორხამდე. სივრცეში, სადაც მოიაზრებოდნენ ეგროსელები და ახალი ვითარებისათვის მოიაზრებიან ცალკეული, ეგროსის მონათესავე ტომები. აღნიშნული პერიოდისათვის ეგროსელების გარშემო მომხდარ ცვლილებებს არ შეიძლება მათი ერთიანობა არ დაერღვია. საკმარისია მიეთითოს ჩრდილო კავკასიაში აორსების (ქართველებისათვის ოვსებად წოდებულების), შემდეგ ალანთა მძლავრი გაერთიანების გამოჩენაზე ეგროსელების ჩრ-აღმოსავლეთით, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთით იბერიის ასევე ძლიერი სამეფოს მოღვაწეობაზე. ამას ემატებოდა რომაელთა ზემოქმედება და ყოველივე აისახებოდა ეგროსელებზე. მათი ეთნიკურ-ტომობრივ-რელიგიური ერთობა დაირღვა და ამიერიდან ისტორიულ ასპარეზზე ისინი დამოუკიდებლად, თუმცა ხშირად შეერთებულად გამოდიან. ისტორიული წყაროები ამ არეალში აფიქსირებენ ბევრი მსხვილი თუ წვრილი ტომის არსებობას. მათი მხოლოდ ის რაოდენობა, რომლებიც დიოსკურიაში (ცხუმში) სავაჭროდ თუ სხვა საქმეთა გამო იკრიბებოდნენ 70 ამეტებს. ზოგი 300-მდე ტომს ასახელებს, რომელთაც 30 სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე თარჯიმანი ემსახურებოდა.

ტომთა რაოდენობის დადგენა შეუძლებელიცაა და უსარგებლოც (ამ საქმისათვის). ძირითადი ტომებია: კოლები, კორაქსები, კოლხები, აფშილები, აბაზგები, სანიგები, სოანო-კოლხები, მოსხები (აბასკები), ლაზები, დრილები, ძიდრიტები, მაკრონები, მისიმიანები, მელანქლენები და სხვა. ამ ტომთა შესახებ ცნობები ახ. წ. ა. I-II საუკუნეებიდან არსებობს. ცხადია ისინი ადრეც იყვნენ, უცებ კოსმოსიდან არ ჩამოსულან. ისიც ცხადია, რომ მათი კრებსითი სახელი იყო ეგროსელები, აია-კოლხეთი, კოლხიდის ქვეყანა, კულხა, ჰენიოხები, მაგრამ არავითარი ეგრისი, სამეგრელო, აფხაზეთი არ არსებობდა. როცა თანამედროვე მკვლევარები საუბრობენ 20-30 ათასი წლის წინ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე, იქ შექმნილ კულტურაზე და ა. შ. ჭეშმარიტებასთან რომ არ შესცოდონ, უნდა შესაბამისი განმარტება დაურთონ გამოთქმულ აზრს. არავინ დაობს რომ 20-30 ათასი კი არა უფრო უხნესია აფხაზეთის, ისევე როგორც სხვა ტერიტორიებზე ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი, მაგრამ თქმა იმისა რომელი ეთნოსისა სახელდობრ, მკრეხელობაა.

ახ.წ. ა. I-II სს. მოყოლებული ეგროსის წილხვედრ ქვეყანაში შეიძლება მსჯელობა ცალკეული ტომების ან მათი გაერთიანებების შესახებ. რაც შეეხება სახელმწიფოებრივ, გნებავთ ეთნიკურ ერთობას ამ ფორმით, იგი მხოლოდ ლაზიკის (სხვანაირად ეგრისის) სახელმწიფოს არსებობასთანაა დაკავშირებული. მიზანი არაა ლაზიკის სახელმწიფოს ისტორიის გადმოცემა. მხოლოდ ერთ მომენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ლაზიკის სამეფო ეგროსის კუთვნილი არეალის მხოლოდ სამხრეთ ნაწილს მოიცავდა თუ ჩრდილოეთსაც? კითხვა რიტორიკისთვის არაა. ანაპას მიდამოებიდან სამხრეთით ვრცელ ტერიტორიას ლაზიკას უწოდებდნენ. აქვე იყო ციხე-ქალაქი ძველი ლაზიკა. ლაზიკა და ლაზები სამხრეთში და ლაზიკა ჩრდილოეთში. ეს საკითხი მკვლევარებისაგან მეტ ყურადღებას მოითხოვს. თუ ძველ ლაზიკას პომპეუსმა ნიკოფსი (თუ ნიკეფსი-გამარჯვების ქალღმერთის წყალი) უწოდა, ამით პრობლემა ვერ მოიხსნებოდა. პირიქით, ლაზურ-სვანურ-ქართული ტოპონიმები და ჰიდრონიმების სიუხვე ახსნას საჭიროებს.

მრავალი მკვლევარი შესჭიდებია ეგროსელთა არეალში დაფიქსირებულ ტომთა რაობის საკითხს. ადრე ითქვა, რომ თანამედროვე აფხაზი მკვლევარები და ნაწილი რუსი „მეცნიერებისა“ მტკიცედ ადგანან იმ პოზიციას, რომ ერთ დროს აფხაზურ-ადიღეური მოდგმა ცხოვრობდა

მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, შემდეგ წაიწიეს ჩრდილოეთით და შეჩერდნენ მდ. ენგურიდან მოყოლებული ყუბანისპირეთისა და ნალჩიკის მიდამოებში. გზად ისინი ტოვებდნენ საკუთარი კულტურის ნაკვალევს და ყველაფერი ძველი, არქეოლოგიური მონაპოვარი, ტოპონიმები, ჰიდრონიმები, მითები, ლეგენდები ადიღურ- აფხაზურია. იყო აზრი მათი ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ, უკუაგდეს, გაჩნდა აზრი მათი პელაზგურობის შესახებ.

საპირისპირო პოზიცია დააფიქსირეს ქართველმა (და არა მხოლდო ქართველმა) მკვლევარებმა. მათი მტკიცებით ეგროსელების არეალში დაფიქსირებული ტომები სვანურ-კოლხური წარმომავლობისანი არიან. ამასთან, იმ ტერიტორიაზე არსებულ ძველ სახელწოდებებს ხშირად უძებნიან სვანურ ან მეგრულ ენაზე ახსნას. დასაბუთების განსამტკიცებლად უხვად იყენებენ ცნობილი ადიღეველი მკვლევარის, პროფ. კ. მერეტუკოვის მიერ შედგენილ ლექსიკონს, (К. Меретуков, Адыгойский топонимический словарь. М. 1990),სადაც ბევრი ტოპონიმი სვანურს უკავშირდება: სვანური ქედი, სვანების ველი და ა. შ. ასევე ხსნიან მეგრული ლექსიკის გამოყენებით ბევრ ტოპონიმს, მაგალითისათვის: ცნობლი საკურორტო ქალაქი რუსეთის კრასნოდარის მხარეში, გელენჯიკი ასეა ახსნილი, გელენ-მეგრულად გალენ ნიშნავს განაპირას, გარე მყოფს. ჯიხა- მეგრულად ციხეა. გამოდის გელენჯიკი ყოფილა მეგრულად-გარე ციხე. ამ მეთოდით, კრასნოდარის მხარის უძველესი ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების დიდი ნაწილი მეგურლ ან სვანურს არის დაკავშირებული. ამ მხრივ ძალზე ნაყიფიერად უმუშავიათ პატივცემულ გ. გასვიანს, ზ. რატიანს, თ. მიბჩუანს და სხვა. ბოლო ხანს კი ბ. კინწმარიშვილი შეეცადა ზოგიერთი საკითხი ახლებურად წარმოეჩინა. რამდენად დასაბუთებულია მათი მტკიცებულებანი ეს მკითხველმა საზოგადოებამ უნდა შეაფასოს.

ამ სტრიქონების ავტორის დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემისადმი ემყარება არა იმდენად მისი დეტალების ღრმა ცოდნას, განმტკიცებულს ადგილზე შესწავლით (როგორც თ. მიბჩუანის შემთხვევაშია), არც ლინგვისტურ-ენათმეცნიერულ ანალიზს, არამედ ლოგიკას. ამიტომ იგი შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს ბევრისათვის.

ამოსავალია შემორჩენილი წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური მასალა, მითები და ლეგენდები (რომელიც რაღაც მოვლენაზეა აგებული. პრინციპი: არაფრიდან არაფერი წარმოსდგება). 1. არქეო-

ლოგია ადასტურებს დასავლეთ საქართველოს და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მატერიალურ-კულტურული მონაპოვრების ერთტიპიურობას; 2. ანთროპლოგია ადასტურებს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილისა და ჩრდილო კავკასიის დასავლეთი მხარის მოსახლეობის ნაწილის ერთიპიურობას. (ამ საკითხს ჯერ კიდევ ბევრი აკლია საბოლოო დასკვნამდე); 3. ძველ ავტორთა წერილობითი ცნობები იქ მაცხოვრებელი ტომების შესახებ ეხება ძვ. წ. ა. VI საუკუნიდან აქეთ პერიოდს. თუ გამოვრიცხავთ ცნობას აიეტისა და არგონავტების შესახებ, ერთად-ერთი წყარო რომელიც უფრო ძველ პერიოდს აღწერს არის ლეონტი მროველის მიერ გადმოცემული ისტორია. იგი ყველა ძირითად საკითხში სწორად აფიქსირებს ისტორიულ მოვლენებს, მისი სისწორე დადასტურებულია კავკასიელთა სხვა ტომების წარსულით და აფხაზთა მიმართაც სანდო ორიენტირია. რაც შეეხება მისდამი დამოკიდებულებას ეს უკვე წამკითხველისა და გამგების „გემოვნების“ საქმეა.

ლეონტი მროველი აღწერს კავკასიონელთა და მათ შორის აფხაზთა წარმომავლობის პროცესს. იგი არ გამოჰყოფს ცალკე ტომებს და ამბობს, რომ: ლიხის მთის დასავლეთით ზღვამდე, ჭოროხ-ტრაპეზუნტიდან ჩრდილოეთით მდ. ყუბანამდე იყო წარმომავლობით მონათესავე ტომთა სამოსახლო. ამ გაერთიანებას მისი ეთნარქოსის ეგროსის სახელით მოიხსენიებს. იმის მიხედვით თუ როგორ დაიანგარიშება ეგროსიდან იაფეტამდე თაობათა ასაკი, ეგროსელების აღნიშნულ არეალში საბოლოო დამკვიდრება შეიძლება მერყეობდეს ძვ. წ. ა. V-III ათასწლეულებს შორის. მროველი არაფერს ამბობს ეგროსელთა ეგვიპტიდან ან ბალკანეთიდან მოსვლის შესახებ, მხედველობაშია მათი საბოლოო დაფუძნება ამ მხარეში ან სხვანაირად (დღევანდელობიდან) დე ფაქტო მდგომარეობის დე იურე აღიარება.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ამხელა სივრცეს ერთი ტომი ვერ მოიცავდა. ეგროსის სახელთან მრავალი ტომი ასოცირდება. მროველი მათ არ ჩამოთვლის. მხოლოდ ბევრად გვიან, ძვ. წ. ა. III ს. მომხდარ მიგრაციასთან დაკავშირებით (როცა საურმაგ მეფემ დურძუკები დაასახლა ახალ ადგილებში), ახსენებს სვანებს. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს მხოლოდ სვანების ეგროსელებას. ეგროსელები არც მხოლოდ ეგრისელები (ლაზ-მეგრელები) არიან. ასევე ითქმის, რომ ჰენიოხები მოიცავენ სვანურ, ზანურ, ლაზურ ტომებს და არა მხოლოდ მათ.

როდესაც ახ. წ. ა. II ს. ქრება ჰენიოხობის გაგება, ჩნდება ბევრი ტომის (უკვე ცაკლეული ტომის) სახელი. აქ უკვე კამათიც შეიძლება, რომელი ტომი შეიძლება ყოფილიყო სვანური (უკვე ენის) მატარებელი, რომელი მეგრულის და რომელი აფხაზურის. წერილობითი წყაროების მიერ დაფიქსირებული ტომების განლაგება ამის საშუალებას იძლევა. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თუ სვანური და მეგრული ერთი ფუძიდან წამოსული, ჯერ დიალექტების დონეზე (ძვ. წ. ა. III ათასწლეული) გაიყვნენ, შემდეგ კი ცალკე ენებად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ ერთობას, ნათესაობას ინარჩუნებდნენ, როგორც ეგროსელები, იგივე პროცესები ახასიათებდა აფხაზურსაც. აფხაზური ტომები ჯერ დიალექტის დონეზე იქნებოდნენ განცალკევებული (აღარაა საუბარი კილოკავებზე, რაც ტომის სივრცეშიც შეიძლება მრავალფეროვანი ყოფილიყო), შემდეგ კი შეიძენდნენ ცალკე ენისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რაც სრულებითაც არ ნიშნავს მათ არაეგროსელობას, არა ჰენიოხობას, არა კოლხობას. უფრო სავარაუდოა, რომ აფხაზური მიიღებდა ძალზე ბევრს სვანურისაგან, მეგრულისაგან, მაგრამ შეინარჩუნებდა თვითმყოფადობას და თავის მხრივ მრავალფეროვნებას შესძენდა მონათესავე ენებს.

რაც შეეხება აფხაზური ენის ადიღეურ ენათა ოჯახში შესვლას, საკითხი ასე წარმოისახება. არც ერთი წერილობითი წყარო ახალი წელთა აღრიცხვის VI საუკუნემდე არ აფიქსირებს ადიღეური წარმომავლობის ტომების მოხვედრას ეგროსელების ე. ი. აფხაზების სასიცოცხლო არეალში. ძვ. წ. ა. Vს. მოყოლებული, საბერძნეთის გავლენით ეგროსელები იყოფიან, ტომთა ურთიერთობა რთულდება, ბევრჯერ ურთიერთსაპირისპირო ქმედებასაც აქვს ადგილი. IVს. შემდეგ (ფარნავაზის შემდეგ) კელასურს (კორახი, კლისურა) ჩრდილოეთით მაცხოვრებელმა ტომებმა „ისურვეს“ ბერძნებთან მიმხრობა და გაჩნდა ზღვარი მათი მომხრე და ქუჯის მომხრე ეგროსელებს შორის. ცხადია ბერძნები, შემდეგ რომაელები, ბიზანტიელები და ნებისმიერი დამპყრობი ხელს შეუწყობდა გაუცხოების გაღრმავებას, ტომთა გათიშვასა და და- პირისპირებას. და მაინც ახ. წ. ა. VI საუკუნემდე ეგროსის კუთვნილ სივრცეში არ არის ტომი კერკეტების გარდა, რომლის ეგრისელობა საეჭვო იქნებოდა. რაც შეხება ადიღეური წარმომავლობის ტომებს, ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში სახლობდნენ, მაგრამ ეგროსელების არეალში არა. როდესაც ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა ოვსებისა და ხაზარების წინააღმდეგ, ჯუანშერის

ცნობით, მისი ლაშქარი (მის შემადგენლობაში კავკასიელნიც შედიოდნენ) შეესია ოსეთს, შემდეგ „... განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო... და მოყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი, და შეიქცა, და მიადგა ოვსეთსავე.“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1. გვ. 156-157). იმ დროს უკვე იყო ეგროსის წილხდომი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილი აფხაზეთად ცნობილი და რომ ვახტანგი აფხაზეთამდე მისულიყო, ცხადია ჟამთაამწერელს ეს არ გამორჩებოდა. ვახტანგმა ჯიქეთი დალაშქრა და უკუიქცა, რადგან ჯიქეთს იქით აფხაზეთი იყო, ეგროსის მხარე და მისი ხელყოფა ნათესავთა რბევად და ბერძენთა წინააღმდეგ ლაშქრობად ჩაითვლებოდა. ამ ამბების შემდეგ გადის დიდი ხანი, ამბობს ჯუანშერი და ცვლილებები ხდება ჩრდილო კავკასიელთა ცხოვრებაში. „შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით-კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა.“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1. გვ. 156-157).

ჯიქების (ზიგები, ძიგები) ტომი მიჩნეულია ადიღეური ენის კუთვნილებისად. შესაბამისად, ჯიქების დამკვიდრება აფხაზეთის ბოლოს არის ამ მხარეში ადიღეური ელემენტის გამოჩენის საწყისი. როდის მოხდა ეს ზუსტი თარიღი უცნობია, სავარაუდოდ X ს. არა უადრეს X ს. პაჭანიკები ყივჩაღებმა განდევნეს დასავლეთით, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ითქმებოდა „შემდგომად ჟამთა მრავალთა“. ამ პერიოდიდან მოყოლებული და არა 20-30 საუკუნით ადრე, იწყება ეგროსელებში (უკვე აფხაზებში) ადიღეური ელემენტების გაჩენა. ამასთან, არა ადიღეურის შეჭრის, არამედ აფხაზეთის ჯერ სამთავროსა და შემდეგ სამეფოს მიერ ჯიქეთის ნაწილის (მაინც) დაკავების გზით. თავად ჯიქები, მომთაბარეობიდან მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლას XIს იწყებენ.

მანამდე კი ჯერ თავად აფხაზეთის ჩამოყალიბება მოხდა. კავკასიონის არც ერთი კუთხე, იქ მაცხოვრებელი ეთნოსი არაა ისე ღრმად შესწავლილი, როგორც ძველი და ახალი აფხაზეთი, როგორც ძველი და ახალი აფხაზები. ამავე დროს, არც ერთი ეთნოსის ისტორია არაა ისე არეული, იდეურ-პოლიტიკური დაპირისპირებების საგნად ქცეული, როგორ აფხაზების. დღეს დაპირისპირება გაუცხოების დონემდეა ასული.

არა და იყო დრო, XIX ს. ჩათვლით, როცა აფხაზებს ქართველობა ეამაყებოდათ და ქართველებს აფხაზობა. ცნობილი ფაქტია, რომ აფ-

ხაზი დიდებულები, ეთნოსის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, თავის სათხოვარს რუსეთის იმპერტორს როცა უგზავნიდნენ, ხაზს ქართველებთან ერთობის სიმტკიცეს უსვამდნენ. რატომ ქართველებთან და არა ადიღეველებთან? ყაბარდო ხომ უფრო ადრე, 1557 წ. შევიდა რუსეთის მფარველობაში? რატომაა რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ბიჭვინთის საკათალიკოსოს საწყმოს საზღვრად მიჩნეულია ტერიტორია ლიხის მთასა და მდ. კაფას (ყუბანის) შუა. ქართული სამართლის ძეგლები, თბ. 1965, ტ. II, გვ. 180), რატომაა რომ ეგროსის კუთვნილი ქვეყნის ცენტრი (ბედია), სადმე სამხრეთში კი არ იყო, არამედ ოჩამჩირეს (გიენოსის) ახლოს. მითითება ბევრ რაიმეზე შეიძლება. ხო და, ყოველივეს ხომ ახსნა სჭირდება?

პირველ რიგში აუცილებელი ხდება იმის დადგენა, ტომები, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ რა მიზეზით იცვლიან სამოსახლოს V-VI საუკუნეებში. რამ აიძულა სანიგები, რომელთა ტერიტორია ქ. ცხუმსაც (სოხუმს) მოიცავდა, გადაეწიათ ჩრდილოეთით და მამა-პაპეული მიდამო აფშილებისათვის დაეთმოთ. თავად აბაზგები რომლებიც ადრე დღევანდელი ოჩამჩირე-მდ. კელასურს შორის ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი, ასევე ინაცვლებენ ჩრდილოეთით და ანაკოფიისა (ახალი ათონი) და მდ. ბზიფს შორის სახლდებიან. შესაბამისად სანიგები უფრო შორს იწევენ. რატომ? ასევე საინტერესოა და საკამათო, ტერიტორია, რომელიც ჰენიოხებს ეკავათ, როგორ უცებ აღმოჩნდა სანიგების, სუანო-კოლხების, სტრაბონის თქმით კი სვანების სამოსახლო? თუ ადრე მიჩნეული იყო, რომ ჰენიოხებს ეკავათ კავკასიონის გარშემო ტერიტორია, მოგვიანებით იმავე ტერიტორიას სანიგები როგორ იკავებენ. ჰენიოხები რა მთვარეზე გაფრინდნენ? და რა არის საერთო სანიგებსა და სვანებს შორის? მენანდრე ხომ მიუთითებდა, რომ სვანები „ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს-ო“.

მიზანი სულაც არაა აფხაზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ტომების ისტორიის კვლევა. ამოცანაა გარკვევა, რამდენად შეიძლება სანიგები, აბაზგები, აფშილები ყოფილიყვნენ ადიღეველები, დასახლებულები დღევანდელი გალის რაიონიდან ჩრდილოეთით და რას უნდა გამოეწვია მათი V-VI საუკუნეებში ჩრდილოეთით გადანაცვლება. ხომ ცნობილია რომ ამ ტომებმა, შექმნეს თავისი სამთავროები, ჰყავდათ თავიანთი მთავრები (მეფეები) და გარკვეულწილად დამოუკიდებლობას

ინარჩუნებდნენ როგორც ლაზიკის (ეგრისის) სამეფოსაგან, ასევე რომაელთა და აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის მესვეურთაგანაც. ხომ არ იყო ეს დაკავშირებული ერთი მხრივ ლაზიკის სამეფოს გაძლიერება-გაფართოებასთან. ცნობილია რომ აფსილეთი (აფშილეთი) უშუალოდ შევიდა ლაზიკის შემადგენლობაში. შესაბამისად სამეფოს ძლიერებისას სამთავროც შეეცდებოდა საზღვრების გაფართოებას. მეორე მხრივ, დადასტურებული ცნობაა, რომ რომაელებმა ორჯერ ძირფესვიანად გაჟლიტეს აბაზგთა მოსახლეობა და დაცლილი ტერიტორიები იოლად ასათვისებელი იყო მეზობლებისათვის. არა ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა იმ პერიოდში გაძლიერებული სპარსეთისა და აღმოსავლეთ რომის ბრძოლების ასპარეზად ლაზიკის სამეფოს ტერიტორიის გადაქცევას.

V-VI საუკუნეებში კავკასიელებს დიდი გამოცდის პერიოდი დაუდგათ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მის „კუთვნილ" დასავლეთ სომხეთში რომის იმპერიამ მეფობა გააუქმა 391 წელს. სომხეთის ერთ დროს დიდი სამეფო (ძვ. წ. ა.Iს.), სპარსეთმა და რომმა დიდი ბრძოლების შემდეგ გაინაწილეს (I-II საუკუნეებში იბერიის სამეფო წარმატებით ერეოდა ამ ორი მტაცებლის დავაში და თვითონაც ცდილობდა სომხეთის დაუფლებას). 391 წ. კი რომის იმპერიამ „თავის მამულში„ სომხური მეფობა მოსპო. სპარსეთი რითი იქნებოდა ნაკლები მტაცებელი. და აი, 428 წ. აღმოსავლეთ სომხეთშიც გაუქმდა მეფობა. სპარსეთი ამით არ დაკმაყოფილდა და 510 წ. უკვე ალბანეთში მოისპო მეფობა, ხოლო 523 წ. კი იბერიაში. კავკასიაში რჩებოდა მხოლო ლაზიკის (ეგრისის) სამეფო და რა გასაკვირია, რომ სპარსეთიც და აღმოსავლეთ რომის იმპერიაც ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ეს მართლაც სტრატეგიული მხარე და არც ადგილობრივთა მეფობას ეწერა დიდი დღე. მთელი VI ს., 554 წლამდე (როდესაც ლაზიკის მეფე გუბაზი რომაელებმა ღალატით მოკლეს), მძიმე ბრძოლები სწარმოებდა განსაკუთრებით სამეფოს და მასთან ერთად სამთავროების (აფშილეთ-აბსილეთის, აბაზგიის და სანიგეთის) ტერიტორიებზე. იმის მიხედვით, თუ ვის მხარეს იყვნენ ეს სამეფო-სამთავროები, მათ რომაელებიც ჟლეტდნენ და ძარცვავდნენ და სპარსელებიც. სანიგეთი შედარებით დაცული (შორეული მხარე) იყო და გასაკვირი არაა, რომ შეწუხებული მეზობლები იქ თავშესაფარს ეძებდნენ (ჩრდილოეთით მიიწევდნენ). ისტორია გვეუბნება, რომ ბოლოს 550 წ. ამოჟლიტეს დედა-წულიანად აბაზგები. განთავისუფლებულ მი-

წებზე აფშილებმა გადაიწიეს. ისტორია იმასაც გვეუბნება, რომ მძიმე უბედურებას ლაზებმაც ვერ გაუძლეს და 562 წ. აქაც მეფობა გააუქმა აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა. მეფის ტიტული გაუქმდა და მთავრის (პატრიკიოსის) ტიტულით შეიცვალა. ამას შემდეგ ამ მხარეს პოლიტიკურ ბრძოლის სათავეში პატრიკიოსი ჩაუდგა.

IV ს. როდესაც ლაზიკის სამეფომ შეიძლო აფშილ (აფსილ), აბაზგია, სანიგეთის სამთავროების დაქვემდებარება (არა დაპყრობა, არა მიერთება, არამედ გავლენის სფეროში მოქცევა უმცროსი მოკავშირის სტატუსით) თანდათან გაქრა ძველი, წვრილი ტომების სახელები. სავარაუდოდ ამ მსხვილმა გაერთიანებებმა მოახერხეს მათი მიერთება. ასიმილაცია ალბად უადგილო განსაზღვრა იქნებოდა, ეს ტომები ისედაც ახლო ნათესაურ კავშირში იყვნენ. ამიტომ უპრიანია თქმა, შეერთება, გაერთიანება და არა დაპყრობა.

ისტორიულად დადასტურებულია, რომ მეფობის გაუქმება არ მოასწავებდა წინააღმდეგობის შეწყვეტას. დამპყრობები იცვლებოდნენ, მოსახლეობის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის გრძელდებოდა. აღმოსავლეთ რომისა (ბიზანტიის) და სპარსეთის ჭიდილში კავკასიის დაუფლებისათვის, მალე არაბები ჩაერთნენ და დიდი წარმატებითაც. VII ს. არაბების მიერ თვალუწვდენელი იმპერიის შექმნით ხასიათდება.

არაბები არა მხოლდო იპყრობდნენ ახალ ქვეყნებს, არამედ, რაც მთავარია ახალი რელიგიის (მუსულმანობის, ისლამისტობის, მაჰმადიანობის) გავრცელებასაც ცდილობდნენ. კავკასია კი იმ ხანად გამარჯვებული ქრისტიანობის მხარეს წარმოადგენდა. ცნობილია რომ ქრისტიანთა მსოფლიო კრებას 325 წ. დასავლეთ საქართველოდან ორი ეპისკოპოსი ესწრებოდა. იმ პერიოდიდან მოყოლებული ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული მტკიცედ დამკვიდრდა სამხრეთ კავკასიელთა შორის.

არაბების გამოჩენა სომხეთში 640 წ. და ქართლში 654 წ. არა მხოლოდ ამ ქვეყნების დახარკვას ნიშნავდა, არამედ მათი რელიგიების მოსპობის მცდელობასაც.

არაბობას ვერც ეგროსელები გადაურჩნენ. პატრიკიოსმა გიორგი (სერგი) ბარნუკის ძემ ბიზანტიის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო და მშველელად არაბები მიიწვია 697 წ. ხანგრძლივი ომების

შედეგად დასუსტებულმა ბიზანტიამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და

710 წლისათვის არაბებმა ლაზიკა აფშილეთით, სანიგეთი, აბაზგია დალაშქრეს. ეგროსელთა (და არა ეგრისელთა) წინააღმდეგობა ახლა უკვე ძლიერი არაბი დამპყრობლებისაკენ წარიმართა. თავის მხრივ არაბები სანიგეთზე გავლით ორჯერ ლაშქრობენ ხაზართა კაგანატის წინააღმდეგ. მხოლოდ შეხსენებისათვის: არაბები ალბანეთის კარისა

და დარიალის გავლით მუდმივად ცდილობენ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას და ერთი პერიოდი მდ. ვოლგამდეც მიაღწიეს.

შეიქმნა ვითარება როცა ბიზანტიის იმპერიაც და ხაზართა კაგანატიც არაბებისაგან მუდმივი საფრთხის ქვეშ მყოფნი ეძებენ მოკავშირეებს და დაპყრობილ ხალხებს აქეზებენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ქართლოსიანთა ბრძოლას არაბების წინააღმდეგ ერის მთავრები უდგანან სათავეში. ეგროსელთა ბრძოლას კი პატრიკიოსები. შესაბამისად, ბუნებრივი ხდება მათი მოკავშირეობა.

VIII ს. პირველ ნახევარში ეგროსელთა ბრძოლას ხელმძღანელობენ, გიორგი (სერგი) ბარნუკის ძის შემდეგ, თეოდოსი, მას ცვლის კონსტანტი და 720 წლიდან ლეონი. პატრიკიოს ლეონის სახელთანაა დაკავშირებული არაბების განდევნა დასავლეთ საქართველოდან.

ისტორია გვამცნობს ლეონის, როგორც დიდი ორგანიზატორისა და შორს მჭვრეტელი პოლიტკოსის ცხოვრებას. იმდენად დიდისა, რომ არ წყდება კამათი მისი ბიოგრაფიის ირგვლივ. მკვლევართა ნაწილი მის უდაო აფხაზობას ემხრობა, ნაწილს იგი ვახტანგ გორგასლის ჩამომავლად მიაჩნია. გამოჩნდნენ მისი ბაგრატიონობის ან სულაც ბერძნობის მომხრეები. კამათი ბევრი მიმართულებით შეიძლება. მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული ცნობა იმის შესახებ, რომ გუბაზ მეფეს ოჯახობა მთაში ჰყავდა გახიზნული, როცა სპარსეთს ებრძოდა. არც ის უნდა იქნეს დავიწყებული, რომ წათე II (ლაზიკის უკანასკნელი მეფე) მემკვიდრეები ჰყავდა. სწორედ გუბაზ-წათეს მემკვიდრეებს ჩამოართვა ბიზანტიის იმპერატორმა მეფობა და პატრიკიოსის ტიტული მიანიჭა. სავარაუდებელია, რომ ლეონი (თავადაც პატრიკიოსი) იმ პატრიკიოსთა შთამომავალი იქნებოდა.

ლეონ პატრიკიოსმა პოლიტიკურად სწორი ნაბიჯი გადადგა, როცა არაბების წინააღმდეგ მებრძოლი, ქართლის ერისმთავარ სტეფანოზის, უფროსი ვაჟის მირის, ქალიშვილი გურანდუხტი მიიყვანა ცოლად და ამით ერთგული მოკავშირე გაიჩინა. ამავე დროს ძმას თეოდოსს ხაზართა

ხაკანის ერთი ასულთაგანი შერთო ცოლად და ამით ზურგი გაიმაგრა. ამ სამეულს შეუერთდა ბიზანტია (აღმოსავლეთ რომი, საბერძნეთი. არსი ერთია ამ მხრივ). იმპერატორმა შეიწყნარა ლეონის მდ. კელასურის ჩრდილოეთ აფხაზეთში გადასვლა. კელასური, (კლისურა, ძველად კორახი) იყო საზღვარი ლაზიკის აფხაზეთსა და საბერძნეთის აფხაზეთს შორის. რამდენადაც არაბებს ეკავათ ორივე აფხაზეთი და იმპერიისათვის იგი ისედაც დაკარგული იყო, ამიტომ ლეონის საზღვარს გადასვლა დასაშვებლად იქნა მიჩნეული. უფრო მეტი.

რათა არაბთა წინააღმდეგ საბრძოლველად წაექეზებინა, იმპერატორმა ქართლოსიანებს, მირის და არჩილს, სამეფო გვირგვინები გამოუგზავნა და სცნო მათი უფლება ქართლსა და ლაზიკაზე. ამავე დროს ლეონის მთავრობა (პატრიკიოსობა) მდ. კელასურს ზევით (ჩრდილოეთ) აფხაზეთზე, იმ პირობით თუ იგი, უკვე მეფეებთან ერთად გააგრძელებდა ბრძოლას. ამით შეიკრა ოთხთა კავშირი (თქმა არ უნდა დროებითი) არაბების წინააღმდეგ.

ორი მომენტი უნდა დაფიქსირდეს: 1. პატრიკიოსი ლეონი ტიტულს კი არ იძენს, არამედ მემკვიდრეობით იღებს, როგორც ლაზიკის მეფეთა ჩამომავალი. ამავე დროს, იგი პატრიკიოსია სამხრეთ აფხაზეთშიც. ვახტანგ გორგასალმა სამხრეთ აფხაზეთი იმპერატორისაგან მიიღო, როგორც დედოფალ ელენეს მზითევი. შესაბამისად, იქ, ქართლის მეფეთა იურიდიული უფლება ვრცელდებოდა და ლეონ პატრიკიოსიც კანონიერად ფლობდა, როგორც ქართლის მეფეთა სიძე-მემკვიდრე (მირს სხვა მემკვიდრე გურანდუხტის გარდა არა ჰყოლია). რაც შეეხება ჩრდილოეთ აფხაზეთს, აქ მისი უფლება მხოლოდ შეთანხმების ძალით დაკანონდა; 2. ლეონის მთავრობა კელასურს ზევით აფხაზეთში გარკვეულ წინააღმდეგობასთან იყო დაკავშირებული. იმპერატორის თანხმობის მიუხედავად ეს წინააღმდეგობა არ მოსპობილა. მხედველობაშია შავლიანების ოჯახური დინასტია, რომელიც თავად ცდილობდა ჩრდილოეთ აფხაზეთზე სრული კონტროლის დაწესებას. შავლიანები ერისთაობდნენ სანიგეთში და სავარაუდოდ აბაზგებისაგან დაცლილ ტერიტორიასაც აკონტროლებდნენ. ცხადია, მათთვის იოლი არ იქნებოდა ახალ ბატონთან შეგუება. არც ყოფილა. ცნობილია, რომ მათი ბრძოლა პირველობისათვის, უკვე აფხაზეთის სამეფოში წარმატებით დაგვირგვინდა. აფხაზეთში 868 წ. გამეფდა იოანე შეავლიანი, შემდეგ ადარნახე შავლიანი მეფობდა 881

წლამდე. ამის შემდეგ კვლავ აღსდგა ძველი დინასტია, ლეონიდების (პატრიკიოს ლეონისა და მეფობის დამაარსებლის ლეონ II მიხედვით) სახელით ცნობილი. სავარაუდოდ შავლიანებს არც პირველობისათვის ბრძოლა შეუწყვეტიათ და არც გავლენა დაუკარგავთ. არის თვალსაზრისი, რომ შავლიანების მემკვიდრენი არიან შარვაშიძეები. არის მეორე თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით არა მხოლოდ შარვაშიძეები, არამედ ლეონიდებიც ადიღეური წარმომავლობის არიან. მხოლოდ ამის დასაბუთებაა დაუსაბუთებელი. გადავიდა რა ჩრდილოეთ აფხაზეთში, ლეონმა პრაქტიკურად მთელი აფხაზეთი გააერთიანა და აფხაზეთის მთავრის ტიტული მიიღო. არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. 735 წ. ხალიფატი იწყებს სადამსჯელო ოპერაციას ცნობილი „მურვან ყრუს“ სარდლობით. სომხეთისა და ქართლის დასჯის შემდეგ ჯერი ლაზ-აფხაზთა სამფლობელოებზე მიდგა. არაბებმა ააოხრეს არგვეთი, დაანგრიეს ციხე-გოჯი და უშუალოდ აფხაზეთს მიადგნენ (ახლა უკვე აფხაზეთს), სადაც მოქმედებდნენ ლეონი, მირი და არჩილი. ალყა შემოარტყეს ანაკოფიის ციხეს (ახლანდელი ახალი ათონი) სადაც მირი და არჩილი იდგნენ. ლეონი მათთან თანხმობით ცნობილ სობღისის ციხეს ამაგრებდა. ერთობლივი მოქმედებით არაბობა დაამარცხეს და ლიხს იქით გადარეკეს. ლაზ-აფხაზთა მხარე საბოლოოდ განთავისუფლდა არაბებისაგან. იმავე პერიოდში ბიზანტიამ მოახერხა არაბების დამარცხება და ამ მხრივ საფრთხე მოიხსნა.

არჩილ სტეფანოზის ძემ ისარგებლა არაბთა დასუსტებით და მთელი ქართლის სამეფო გააერთიანა თბილისის საემიროს გამოკლებით. მირი ჭრილობებისაგან მიიცვალა. შეიქმნა სიტუაცია, როცა სხვა მემკვიდრე მეფე მირს ლეონ აფხაზთა მთავრის გარდა არა ჰყავდა. ამიტომ სრულიად კანონიერად, დინასტიური მემკვიდრეობის ძალით, ლეონმა მთელი დასავლეთი დაიკავა. ბიზანტიამ სცნო არჩილის მეფობა და ლეონის მთავრობა განთავისუფლებულ ტერიტორიებზე. არჩილი მეფობდა 759 წლამდე. ლეონის შემდეგ (740 წ.) იყვნენ თეოდოსი და კონსტანტი, ხოლო 753 წლიდან ლეონ II. აქ კიდევ ერთი მომენტია გასახსენებელი. ლეონ II ფლობდა მთელ დასავლეთს, როგორც აფხაზეთის მთავარი.

ჯერ კიდევ მისი ბიძის ლეონ I და არჩილ მეფეს შორის შედგა შეთანხმება, რომლის ძალით დასავლეთი (მაშინ აღმოსავლეთი არაბებს ეკავათ) ასე გაიყო გავლენის სფეროებად: არჩილი (მირი უკვე გარდაცვ-

ლილია) იქნებოდა მდ. კელასურს ქვევით ტერიტორიების გამგებელი, როგორც მეფე. მისი რეზიდენცია იქნებოდა ციხე-გოჯში და ქუთათისში. ლეონი აღიარებდა არჩილის უზენაესობას, იმ ფაქტს, რომ ბიზანტიის იმპერატორმა კელასურს ზევით (ჩრდილოეთით) აფხაზეთი მას არჩილის დახმარებით მიაკუთვნა და მასთან შეთანხმებით მოქმედებდა. ამ შეთანხმებით ორივემ ისარგებლა სამხრეთიდან დაცულ აფხაზეთს შეეძლო ჩრდილოეთით თავისუფლად ემოქმედნა. თავის მხრივ არჩილსაც შეექმნა პირობები, აღმოსავლეთისთვის მიეხედა.

753 წ. აფხაზეთის მთავარი გახდა ლეონ II (პირველის ძმისწული და მისი მეუღლის, გურანდუხტის აღზრდილი). მას ბედად ერგო აფხაზეთის სამეფოს დაარსება. მოვლენები ასე წარიმართა: არჩილ მეფე

759 წ. გარდაიცვლა. მისი ბოლო მემკვიდრე-ჯუანშერი 786 წლამდე ცოცხლობდა. მან მართალია მეფობა ვერ განიმტკიცა, მაგრამ სანამ ცოცხალი იყო, ნომინალურად ლეონ II მფარველ-მოკავშირედ ითვლე- ბოდა. შესაბამისად, ლეონ II (ბიძის მემკვიდრე), თუმცა მეფე მირის კანონიერ მემკვიდრესაც წარმოადგენდა, მეფობაზე პრეტენზიას ვერ განაცხადებდა. როგორც კი ჯუანშერის გარდაცვალება გაიგო, იგი ამოქმედდა. თავი მეფედ გამოაცხადა და სამეფო ცენტრი ქუთათისში გადაიტანა. რამდენადაც მეფეებს მირის და არჩილს სხვა კანონიერი მემკვიდრე არა ჰყავდათ ლეონ II გარდა, მისი მოქმედება და მის- წრაფება, ჯერ დასავლეთის, შემდეგ აღმოსავლეთისაც, დაკავების შესახებ კანონზომიერია. უფრო მეტი. ლეონ II (საერთოდ ლეონიდებს) უფრო მეტი კანონიერი უფლება ჰქონდა არა მხოლოდ დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთშიც მეფობისა, ვიდრე აშოტ დიდს (ტაო-კლარჯეთის მეფეს და კურაპალატს), კახეთის სამთავროს ქორეპისკოპოსს თუ სხვა ნებისმიერ პრეტენდენტს.

ლეონ II (753-798 წწ.) შეიძლო მთელი დასავლეთის გაერთიანება. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა ჩრდილოეთით მდინარემდე მცირე ხაზარეთისა, აღმოსავლეთით ლიხის მთამდე, ხოლო სამხრეთით ტრაპეზუნტამდე. ლეონ აფხაზეთის მთავარი, გახდა რა მეფე, ლოგიკის ძალით მას აფხაზეთის მეფე ეწოდა, ხოლო მის მიერ დაკავებულ ტერიტორიას აფხაზეთი.

ბიზანტიის იმპერია აფხაზეთის მთავარს ეგუებოდა, რადგან ნომინალურად მაინც მის გავლენაში მყოფ ქვეყნად თვლიდა. მეფობის შემოღების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. დამოუკდიებლად მოქმედი აფხაზეთის სამეფო, რომელსაც ზურგს ხაზარები (ლეონის დედის ძმის კაგანატი)

უმაგრებდნენ, ბიზანტიას აღარ აწყობდა. ამიტომ, ისტორიული ცნობით, სამჯერ ილაშქრეს ბიზანტიელებმა აფხაზეთის სამეფოს წინააღმდეგ, თუმცა უშედეგოდ.

ლეონ II შემდეგ აფხაზეთის მეფეები იყვნენ: თეოდოსი 798-825 წწ. დემეტრე II (825-861 წწ.), გიორგი I (861-868 წწ.), შემდეგ მოდის შავლიანთა დინასტია იოვანე და ადარნასე 868-881 წწ. შემდეგ კვლავ ლეონის ჩამომავლები (ე. წ. ლეონიდები).: ბაგრატ I (881-893 წწ.), კონსტანტინე III (893-922 წწ.), გიორგი II (922-957 წწ.), ლეონ III (957-967 წწ.), დემეტრე II (967-975წწ.), თეოდოსი III (975-978 წწ.) და ბოლოს ბაგრატ III (978-1014 წწ.). ეს ბაგრატ III აფხაზეთის მეფე, არის აფხაზეთის მეფე გიორგი II ქალიშვილისა და ქართველთა მეფეთ-მეფე გურგენის შვილი, მემკვიდრე და უკვე გაერთიანებული, აფხაზეთ-საქართველოს პირველი მეფე. აქედან მოყოლებული და სამეფო-სამთავროებად დაშლამდე, აფხაზეთი სახელმწიფოს ორგანული, განუყრელი ნაწილი ხდება.

საჭიროა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გახსენება. აფხაზთა მეფეები დიდ ძალისხმევას მიმართავდნენ სხვა ქართული სამთავროების შემოსაერთებლად მთელი VIII-X სს. მანძილზე ძალზე წარმატებული იყო ამ მხრივ მეფე გიორგი II (922-957 წწ.) მან მოახერხა და აფხაზეთის სამეფოს დაუმორჩილა ჯერ მტკვრის მარცხენა ნაპირის ქართლი, შემდეგ კახეთი და ბოლოს ჰერეთსაც გადასწვდა. ეს არ იყო უბრალოდ უცხოქვეყნების დაპყრობა. ეს იყო ბრძოლა პირველობისათვის არსებულ სამთავროთა შორის: კახეთ-ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, თბილისის საემირო და აფხაზეთის ჯერ სამთავრო, შემდეგ სამეფო. იბრძოდნენ რა პირველობისათვის, აფხაზთა მეფეებს არც ჩრდილეთის მხარე ავიწყდებდოთ, სადაც იყო ჯიქეთი, ალანია, ხაზარეთი. აი, აქ ისტორიულ აფხაზებს აქვთ პირველი შეხება ტომთან, რომელიც წარმო-მავლობით ადიღეურად ითვლება. მაგრამ, უკვე ითქვა, რომ საკითხი ჯერ კიდევ დიდ კვლევას მოითხოვს. იმის მიხედვით, როგორ დადგინდება, ადიღეველები არიან კავკასოსის მონათესავენი თუ არა, უნდა იყოს მსჯელობა მათი კავკასიონელობის შესახებ. რაც შეეხებათ აფხაზებს, მათი კავკასიონელობა არასოდეს ეჭვის ქვეშ არ დგებოდა, მიუხედავად იმისა, როგორ კონცეფციას ანვითარებენ თანამედროვე მკვლევარები. არა და მათი წარმოსახვა ბევრ უცნაურობას გადაწვდა. განსაკუთრებულ ინტერესს

იწვევს აფხაზების ტიბეტიდან ან ინკების წარმომავლობის ვარიანტები. დარჩენილია კიდევ მათი უცხოპლანეტელობის ვარიანტი. სინამდვილეში არ სჭირდებათ აფხაზებს ფესვების ძიება არც ეგვიპტეში, არც ტიბეტში და მით უფრო აცტეკებს შორის. მათ აქვთ შესანიშნავი წარსული, ისეთივე ძველი, როგორიცაა კავკასიონელობა, ისეთივე გმირული, როგორიცაა კავკასიელობა, ისეთივე ამაღლებული, როგორიცაა კავკასია.

ამრიგად, აფხაზეთის სამეფო შეუერთდა რა დანარჩენ ქართულ სამეფოებს, გახდა ერთიანი აფხაზ-საქართველოს შექმნის ინიციატორი და აქტიური წევრი. ასე გრძელდებოდა ვიდრე XV ს. ბოლოს არ დაირღვა ერთობა. სამცხე-საათაბაგო გამოეყო სამეფოს და ბოლოს თურქეთის გავლენის სფეროში მოხვდა. აფხაზეთი, ოგორც ოდიშის სამთავროს ნაწილი იმერეთის მეფის გამგეობაში დარჩა. ასე გაგრძედა ლევან II დადიანის დრომდე. ლევანმა (1611-1657) შეძლო აფხაზეთის გავლენის სფეროში მოქცევა. მანვე შეუწყო ხელი აფხაზეთის სამთავროს შექმნასა და ოდიშთან დაპირისპირებას. სწორედ ლევან დადიანის საწინააღმდეგოდ დაიწყო აფხაზეთის მთავარმა (შარვაშიძემ) ჩრდილო კავკასიიდან მარბეველი შეიარაღებული მთიელების (ადიღეველების) გადმოყვანა. ლევან დადიანი იძულებული გახდა, რბევის თავიდან აცილების მიზნით, აღედგინა ცნობილი კორახის (კორაქსის, კელასურის) 60 კმ. სიგრძის კედელი. ძალა აღმართს ხნავს და კედელს როგორ ვერ გადალახავდა. დადიანები, ჩაბმულები გურიის მთავართან, იმერეთის მეფესთან, ურთიერთშორის ქიშპში, სუსტდებიან და ჩრდილოეთით ტერიტორიებს თმობენ.

VIIIს. მოყოლებული აფხაზეთის ჯერ სამთავრო, შემდეგ სამეფო თავის სახელს ავრცელებს ლაზებზე, დასავლეთის მოსახლეობაზე, შემდეგ ქართლზე და ბოლოს საქართველოც ცნობილია აფხაზეთის სახელით. ბევრ მკვლევართან აფხაზეთი და საქართველო სინონიმების სახითაა მოცემული. შესაბამისად, ქართველები აფხაზებია და აფხაზები ქართველები. ასე გაგრძელდა XVII ს. შუა ხანებამდე. ცნობილია, რომ თავად ქართველი მემატიანე, როცა მონღოლთა შემოსევის ისტორიას ეხება, აღნიშნავს, რომ რუსუდან მეფეს თავისი მშობლიური აფხაზეთი დამშვიდებით ჰქონდაო (აფხაზეთში კი მთელ დასავლეთს გულისხმობდა).

აფხაზეთის, როგორც საქართველოს გაგება, თანდათანობით იცვლება და ბოლოს XVII ს. უაღრესად მცირდება. სამხრეთით მდ. კელასურამდე, ოდიში ინარჩუნებს სამთავროს საზღვარს. ჩრდილოეთიდან

უკვე მასობრივად ჩამოდიან და სახლდებიან ადიღეველები.

ცნობილი აფხაზი მკვლევარი გიორგი ძიძარია (Г. А. Дзидзария, Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы XIX в.) ეხება ჩერქეზეთსა და ყაბარდოში გავრცელებულ თქმულებას ადგილობრივ გმირ ცანდია იანლდიპშზე, იძლევა აფხაზეთში აფსუური ფოლკლორის ცნობას, რომლის მიხედვით აბაზები (ადიღეველები) ჯერ დასახლებულან მდ. ყუბანის აუზში,შემდეგ გადმოსულან აფხაზეთში.

თავად ადიღეველთა უდიდესი ავტორიტეტი შორი ნოგმოვი, იკვლევს რა ისტორიას, აღნიშნავს, რომ ჩერქეზები VI ს. დონის მიმართულებით გადასახლდნენ, იქიდან ნაწილი აზოვის ზღვის სანაპიროზე გადავიდა, ნაწილი კი მდ. ყუბანის ჩრდილო აღმოსავლეთით. მას აღწერილი აქვს თქმულება გმირ ინალზე , რომელმაც შეკრიბა ადიღები, დაუკავშირდა აშეს და შაშეს (აშე-შაშეში შარვაშიძეებს მოაიაზრებენ) და მათი დახმარებით დაიპყრო აფხაზეთი. ადიღეველთა სამწუხაროდ იგი იქვე გარდაიცვალა და მდ. ბზიფის მიდამოებში დაიკრძალა. აი, შორი ნოგმოვის ნათქვამი: «После покорения Абхазии, находясь на Дзибе для заключения мира с абхазскими племенами, он по окончании всех дел скончался смертью праведника. Тело его похоронено в упомянутой земле.» (Ногмов Шори. Ногма. История Адыхейского народа. Нальчик. 1982). იგივეს გვაუწყებს “История Кабардино-Балкарской АССР. М. 1967 г.

კავკასიის ეთნოპრობლემათა ღრმა მკვლევარი ა. დიაჩკოვ-ტარასოვი აფხაზეთის საკითხთა კვლევისას მიდის ასეთ დასკვნამდე: «Абхазы не всегда проживали там где они сейчас обитают; их предания, многие исторические данные и обичаи покозывают, что они прибыли ссевера и до того притеснили грузинские племена, пока не остоновились около Ингури.» А. Н. Дьячков-Тарасов.

«Бзыбская Абхазия.» Известия Кавказского отдела Имп. русск. геогр. об-ва, XVIII, Тифл. 1905, ср. 65). ცხადია ავტორი, როცა ამბობს აფხაზების მიერ ქართველური ტომების შევიწროებაზე, გულისხმობს არა ისტორიულ აფხაზებს, რომლებიც ოდითგან ცხოვრობდნენ ამ არეალში, არამედ იმ ადიღეველებს, რომლებიც ჩრდილოეთიდან ჩამოსახლდნენ, დაიპყრეს აფხაზეთი და შეერივნენ რა აბორიგენ აფხაზებს, მათი სახელწოდება მიიღეს. გავიხსენოთ, რომ XIX ს-დე, რუსული წყაროები

ჩამოსახლებულებს აბაზინებს უწოდებდნენ და მხოლოდ ქართველების გავლენით ეწოდათ მათაც აფხაზები.

აქვე უნდა მიეთითოს, რომ ადიღეველების ჩამოწოლა სამხრეთში მხოლოდ შარვაშიძეთა პოლიტიკური მიზნების რეალიზაციის გამო არა ხდებოდა. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო XVII ს. მეორე ნახევარში აღარ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელსაც აფხაზეთის სამთავრო ვერ გაუმკლავდებოდა. გათვალისწინებული უნდა იქნეს ორი ფაქტორი: 1. ყირიმის ხანის ძალადობა ჩრდ. კავკასიაში, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მთებში გახიზვნისაკენ უბიძგებდა; 2. თურქეთის ძალადობა აფხაზეთში და წინააღმდეგობის აუცილებლობა.

ასე გაგრძელდა 1864 წლამდე, როდესაც რუსეთის იმპერიამ აფხაზეთის სამთავროს ავტონომიურობას დაუსვა წერტილი.

ისტორია ვარაუდებს ვერ იტანს. ყველაფერი ჩატეულია სიტყვებში: სად, როდის, რა. ამისდა მიუხედავად, მიუხედავად რეალობისა, ფაქტებისა, გაცნობიერებული სინამდვილისა ქვეცნობიერი ვერ წაიშლება. ქვეცნობიერი კი ზოგჯერ ცნობიერზე უფრო მეტი სინამდვილის შემცველია. ქვეცნობიერია: არა აქვს მნიშვნელობა შარვაშიძეები შავლიანთა დინასტიის წარმომადგენელებია და მათი ისტორიის გამგრძელებლებია თუ არა, საქართველოს განუყოფელი და ორგანული ნაწილი არის. ვინ, თუ არა შარვაშიძეებმა იცოდნენ აფხაზების და აფხაზეთის როლი საქართველოს სამეფოს შექმნის, განვითარების, სიძლიერის და ბოლოს შენარჩუნების საქმეში. ვის შეუძლია გამორიცხოს ისტორიული წარსულის მნიშვნელობა და მისი აღორძინების მისწრაფება მათში. როდესაც შარვაშიძეები ჩრდილო კავკასიელებს ქირაობდნენ და სამხრეთს (ოდიშს) უტევდნენ, იყო მხოლოდ თავდაცვის, მიწების ხელში ჩაგდების, თუ აფხაზეთის სამეფოს აღდგენის სურვილი? ვინ განსაზღვრავს ყოველივეს? რატომ ცდილობდნენ ისინი მდ. ენგურის გადალახვას?

XIX ს. რადიკალურად იცვლება კავკასიონელების და მათ შორის მოსახლეობა შერეული აფხაზეთის ბედიც. 1810 წ. გიორგი შარვაშიძე დათანხმდა აფხაზეთის რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებას ავტონომიის უფლებით. თანხმობა იძულებითი იყო, რადგან რუსეთი უიმისოდაც მიიღებდა საწადელს. ამ დროისათვის შარვაშიძეებს სამურზაყანო დაკარგული ჰქონდათ. სანაცვლოდ ჩრდილოეთით ჯერ კიდევ ხოსტამდე ფლობდნენ ძველი აფხაზეთის (და უფრო ძველი ლაზიკის) ტერიტო-

რიას. ხოსტადან ანაპამდე უკვე ადიღეველები სახლობდნენ. აფხაზეთის ჩრდილოეთ დასავლეთი, ერთ დროს ეგროსელების მშობლიური მხარე უკვე ჩამოსახლებულებს ჰქონდათ დაკავებული. რაკი ეს მხარე აფხაზეთს ეკუთვნოდა, თანამედროვე ბევრი მკვლევარი მოსულებს აფხაზურ ტომად მიიჩნევს. ასე ხდებიან ადიღეველები აფხაზები. (ამ ლოგიკით, სულმნათი კ. გამსახურდიას მოსწრებული ნათქვამისა არ იყოს: ადამიანი თუ საძროხეში დაიბადა, ძროხად ხომ არ იქცევა?).

1864 წ. აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას, მოჰყვა ე. წ. სოხუმის სამხედრო განყოფილების დაფუძნება. სახელწოდება „აფხაზეთი" გარუსების კვალობაზე უნდა წაშლილიყო. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე ახლობლებით რუსეთში (ვორონეჟში) გადაასახლეს. ესეც არ იკმარეს და მკვლევართა დაანგარიშებით 20 ათასამდე აფხაზი აიძულეს თურქეთში გადასახლებულიყო. ასევე გადასახლებას ჰქონდა ადგილი 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. დემოგრაფთა მონაცემების თანახმად, აფხაზი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი წავიდა თურქეთში. აქ არაა საუბარი ჩრდილოეთ აფხაზეთში ჩამოსახლებულ ადიღეველებზე. თუ მათაც, ზოგი მკვლევარის მსგავსად, აფხაზებს მიათვლიან, მაშინ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ჩაითვლება წასულად.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას აფხაზობა შერისხული იყო. მხოლოდ მოგვიანებით შეიცვალა მათდამი დამოკიდებულება. ბოლშევიკები (ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი), ვ. ლენინის მითითებით (იხ. „რევოლუციური ანექსია" თბ. 2008 წ.), მთის ხალხებს და მათ შორის აფხაზებსაც ჰპირდებოდნენ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ნებისმიერი ფორმით, თუ ისინი საბჭოთა ხელისუფლების მხარეს იბრძოლებდნენ და მათ შორის დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგაც. აფხაზებმაც იბრძლეს და ბრძოლა დაუფასდათ. მართალია ხანგრძლივი იყო პროცესი, ცვალებადი დამოუკიდებლობის (საქართველოსგან და არა რუსეთისგან) ხარისხი, მაგრამ შედეგი სახეზეა. 1993 წ. აფხაზეთმა მოიპოვა დანარჩენი საქართველოსგან დამოუკიდებლობა „მოძმე" რუსეთის დახმარებით. ვინძლო, არ მოჰყვეს ამ დამოუკიდებლობას, რუსეთზე დამოკიდებულების ზრდა და აფხაზთა ისეთივე ასიმილირება, რაც არა ერთმა ეთნოსმა იწვნია და რაც მთავარია იწვნია მდ. ფსოუს ჩრდილოეთმა აფხაზეთმა.

XXI ს-ში აფხაზეთის ისტორია ისეა წარმოდგენილი, ისეა გართულებული, რომ მის დალაგებას საკმაო ძალისხმევა დასჭირდება. ის, რაც ნათელი იყო უძველესი დროიდან მოყოლებული XX ს-დე, საბჭოთა წყობილების დროს მიზანმიმათულად გაიშიფრა და შედეგიც სავალალო დადგა.

დიდი მოაზროვნე იყო კ. მარქსი. არა ცდებოდა, როცა ამბობდა, რომ პარტიის წევრი არ შეიძლება ობიექტური მკვლევარი იყოს, რადგან მისთვის სახელმძღვანელო ორიენტირი პარტიის გადაწყვეტილებაა და არა სხვა რამ. საბჭოთა კავშირში მკვლევარი ვერაფერს მიაღწევდა თუ ის ე.წ. კომუნისტური პარტიის პოზიციას არ გაითვალისწინებდა. პოლიტიკა კი არ იდგა მეცნიერების მხრებზე, არამედ პირიქით. პარტია განსაზღვრავდა არა მხოლოდ პოლიტკურ, სოციალ-ეკონომიკურ მიმართულებას, არამედ იმასაც, ვის როგორი ისტორია უნდა ჰქონოდა, ვის ვისთან ემეგობრა და მტრობა გაეწია. ობიექტური მკვლევარი ვერ მოიტანს ვერც ერთ ფაქტს აფხაზთა და ქართველთა ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებისა 1917 წლამდე. უფრო მეტი, ბოლოს 1916 წ. სთხოვეს აფხაზებმა იმპერატორს სოხუმის მაზრად გადანათლული აფხაზეთის ყოფილი სამთავრო ქუთაისის გუბერნიასთან გაეერთიანებინა.

რატომ ქართულ გუბერნიასთან და არა სხვასთან? მით უფრო, რომ 1904 წლიდან გაგრის ჩათვლით აფხაზეთის საუკეთესო მხარე უკვე სოჭის მხარეს ჰქონდა გადაცემული. ამას ხომ დაფიქრება და ახსნა სჭირდება...

თანამედროვე რუსი და აფხაზი „მეცნიერების“ ნაწილს მყარი პოზიცია სხვა მიდგომაში აქვს. მათი მტკიცებით აფხაზები ყოველთვის ადიღეური წარმომავლობისანი იყვნენ, სხვა ადიღ ტომებთან ქმნიდნენ ერთობას და არასოდეს არავითარი ახლობლობა ქართველობასთან არა ჰქონიათ თუ არ ჩავთვლით იმ პერიოდს, როცა აფხაზეთის სამეფომ ქართლ-კახეთი დაიპყრო... აფხაზებს მეზობლობა ჰქონდათ მეგრელებთან და სვანებთან, მაგრამ ისინი ხომ ქართველურ ტომებს არ წარმოადგენენ. ხო და უბრალო კითხვა: 1916 წ. აფხაზები რატომ ქართველებთან გაერთიანებას მოითხოვდნენ და არა ადიღეველებთან?

ერთ რამეში მართლები არიან აფხაზი ავტორები. როცა თუბალ, თაბალთა ერთობა დაიშალა, როცა მროველის თანახმად ლიხს დასავლეთი ეგროსელებს ერგოთ, ხოლო ლიხს აღმოსავლეთი ქართლოსიანებს, მათ შორის ისეთვიე სხვაობა იქნებოდა, როგორც ქართლოსიანებსა და

ჰერებს, ლეკოსიანებსა და კავკასიანებს შორის. შესაბამისად, როცა მსჯელობაა ეგრისელებზე, გნებავთ კოლხებზე, იქ მხოლოდ მომავალი სვანები, მეგრელები და აფხაზები იგულისხმებიან. აქედან გამომდინარე, ძველი კოლხეთი (გნებავთ კოლხიდა), კოლხას გაერთიანება, ლაზიკის სამეფო, ეგროსელთა საერთო შემოქმედებაა. როცა მსჯელობაა აიეტის სამეფოზე, ჰენიოხობაზე, კოლხობაზე, საფიქრელია, რომ ეს კატეგორიები მოიცავდნენ იმ არეალის ტომებს, რომელთაგან შემდეგ განცალკევდნენ აფხაზები, სვანები, მეგრელ-ლაზები და ლაზ-ჭანები.

საკითხის არსს არა ცვლის ის ვარაუდი, რომ იმ არეალში შეიძლება მეშეხ-მუშქ-მუსკ-მოსხო-მესხების წარმომადგენლებიც სახლობდნენ აბასკ, აბასხ, აბაზგთა სახით. მეშეხთა ეს ჩამომავლები ადიღურ მოსახლეობად მიანც არ ჩაითვლებიან.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა იქნას ხაზგასმული დიდი რუსი ისტორიკოსის ვ. ტატიშჩევის დასკვნა იმის შესახებ, რომ ადიღეური აბაზას ტომი თათრული წარმოშობისაა, რომ სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც აფხაზეთს უწოდებენ მნიშვნელოვან წილად ყუბანელებს (იგულისხმება ადიღებს) უკავიათ. ვ. ტატიშჩევის ეს დახასიათება XVIII ს. მეორე ნახევარს გულისხმობს. პრინციპში იგივეს ადასტურებს თ. კრასილნიკოვი, როცა ამბობს, რომ შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთიდან წამოსულმა ადიღებმა დაიკავეს კავკასიონის კალთები და ყუბანის დაბლობი... განა იგივეს არ იმეორებდა ბატონი სიმონ ბასარია ყაბარდოელებისა და აბაზას ტომის შესახებ? აღარაა საჭირო ყველა ავტორის დებულების განმეორება, რომლებიც აფხაზების არა ადიღეველობაზე მიუთითებენ. სხვა ამბავია, რა აწყობთ და რას ამტკიცებენ საბჭოთა „სპეციალისტები“.

ისტორიული სინამდვილე კი ისაა, რომ 1864 წ. გაუქმებული აფხაზეთის სამთავრო ისეთსავე რუსიფიკატორულ წნეხში მოხვდა, როგორსაც დანარჩენი კოლონიები განიცდიდნენ.

იყო მსჯელობა იმპერიული პოლიტიკის არსზე ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების მიმართ. გამეორეობას აზრი არა აქვს, მაგრამ ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთი ვერ აცდებოდა და არც აცდენია ასიმილატორულ პროცესებს. მხოლოდ 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცათ საშუალება კოლონიებს თავისუფლების რაღაცა დონისათვის მიეღწიათ დროებითი მთავრობის პირობებში. როგორც ამ

მთავრობის ადგილობრივი ორგანო, 10.03.1917 წ. სოხუმში, შარვაშიძის ხელმძღვანელობით, შეიქმნა საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი. იმავე წლის ნოემბერში, უკვე მენშევიკების თანხმობით, მოწვეული იქნა სახალხო ყრილობა, რომელმაც შექმნა სახალხო საბჭო სიმონ ბასარიას მეთაურობით. იმ სიმონ ბასარიასი, რომელიც ამტკიცებდა, რომ თურქების მიერ ოთხასი წლის მანძილზე ჩაგრულმა აფხაზებმა ვერც რუსი კოლონიზატორების ხელში ნახეს შვება. ამტკიცებდა, რომ მომხდურ-დამპყობთა გამო ბევრი ყაბარდოელი და აბაზას ტომის წევრი ჩასახლდა აფხაზეთში. ამტკიცებდა, რომ ჩამოსახლებულთაგან (მომთაბარე-მონადირეებისაგან) ბევრმა ვერ იგუა მიწათმოქმედება, გვალვა და XVII ს. ბოლოს, უკან, ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლდა. დიახ, გასასახლდნენ ყაბარდოელები და ე.წ. აბაზინები და არა აფხაზები.

აფხაზეთის სახალხო საბჭომ 09. 02. 1918 წ. გააფორმა შეთანხმება ურთიერთობის შესახებ საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან. „სპეციალისტთა“ გარკვეული ნაწილი, აფხაზ-ქართველთა დაპირისპირებით დაინტერესებული, ნიშნის მოგებით აცხადებს: ნახეთ, ამ შეთანხმებაში არაა მსჯელობა საქართველოს შემადგენლობაში შესვლის შესახებ. დიახ, არაა. არ იყო საჭირო და არ შეიტანეს. აქ მთავარი სხვა რამაა. აფხაზთა სახალხო საბჭომ რატომ საქართველოსთან დადო შეთანხმება და არა ყაბარდო, აბაზინ, ადიღესთან? ხომ ცხადია, როცა გიჭირს, პირველ რიგში უნდა მოძმე-მეზობელს მიმართო. თუ, როგორც ამტკიცებენ, აფხაზები ადიღეველებია, ერთი წარმომავლობის ხალხია, რატომ საძულველ ქართველებს მიმართეს აფხაზებმა?

დამატებით 02. 06. 1918 წ. აფხაზეთის სახალხო საბჭომ თავი აფხაზეთის საზოგადოებრიობის ერთადერთ წარმომადგენლად გამოაცხადა და დახმარებისათვის თბილისს (უკვე დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას), რაც იგივეა, ქათველებს მიმართა და არა სხვას. რატომ? პასუხი სპეციალურ „სპეციალისტებს“ არა აქვთ.

უფრო მეტი. იმავე წლის, იმავე თვეში, იმავე საბჭომ საზეიმოდ გამოაცხადა აფხაზეთის შესვლა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით. ალბათ ისეთივე ატონომიის უფლებით, რითაც აფხაზეთის სამთავრო სარგებლობდა. რესპუბლიკას ევალებოდა საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი წესრიგი მართლაც დასამყარებელი იყო. 1918 წ. გაზაფხულზე ორჯერ იყო სოხუმში ბოლშევიკური გადატრილების მცდელობა.

შეთანხმების თანახმად რესპუბლიკურმა (ფორმირების პროცესში მყოფმა) ჯარებმა ტუაფსემდე ტერიტორია დაიკავეს. გასახსენებელია ის ფაქტი, რომ როდესაც აფხაზეთს იერთებდა რუსეთი, მთავარ შარვაშიძეთა გავლენა ჯერ კიდევ ხოსტამდე ვრცელდებოდა. რაც შეეხება მდ. ყუბანის (მდ. მცირე ხაზარეთისა, მდ, კაფა, სახელი იცვლებოდა, არსი რჩებოდა) მარცხენა ნაპირის ვრცელ ტერიტორიებს (უძველეს, ეგროსის კუთვნილ ტერიტორიებს) იქ უკვე უცხოტომელები, ძირითადად ადიღეური წარმოშობის ხალხი მოსახლეობდა. ადიღეური წარმოშობის, მაგრამ აფხაზებს მათთვის არ მიუმართავთ. რატომ?

და კიდევ მეტი. 1919 წ. მარტში, დემოკრატიული არჩევნების გზით, აფხაზებმა სახალხო საბჭოს ახალი შემადგენლობა შეარჩიეს. 20. 03. 1919 წ. ამ საბჭომ მიიღო აქტი, აფხაზეთის ავტონომიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. პრაქტიკულად ამით დასრულდა მშვიდობიანად ურთიერთობის მოგვარების პროცესი. იმავე 1919 წ. რუსეთმა კვლავ მოიცალა აფხაზეთისა და დამოუკიდებელი საქართველოსათვის. ერთი მხრივ ე.წ. თეთრგვარდიელები გენ. ალექსეევისა და გენ. დენიკინის მეთაურობით გეგმავდენენ ინტერვენციას. მეორე მხრივ ვ. ლენინი და ბოლშევიკები (ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი) აბრიყვებდნენ მიმდობ კავკასიელებს, პირდებოდნენ ყველაფერს, ოღონდ მათ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ ეომათ. საგულისხმოა, რომ არც თურქეთის მხრიდან იყო საფრთხე მოხსნილი.

ბოლოს 1919 წ. დენიკინმა იმარჯვა, ჩრდილოეთი აფხაზეთისა დაიკავა და საზღვარი მდ. ფსოუზე განამწესა. ქართველ ბოლშევიკებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ინერნაციონალისტი, და ჰუმანისტი ვ. ლენინი სამართლიანად მოიქცეოდა. მწარედ მოტყუვდნენ. ვ. ლენინმა ჯერ ერთი, არ შეცვალა მდ. ფსოუზე დაწესებული საზღვარი 07. 05. 1920 წ. მეორე, პირადად შეიმუშავა საქართველოსა და აფხაზეთის ანექსიის გეგმა. მესამე, პირადად ხელმძღვანელობდა საქართველოს ძარცვას. ამიტომ იყო ფილიპე მახარაძის მწარე აღიარება: ბოლშევიკებმა ჩვენ მოგვატყუეს. ამის შემდეგ რაც ხდებოდა აფხაზეთში, რაც ხდებოდა აფხაზეთ-ქართველთა ურთიერთობაში, სულაც არ ეკითხებოდა არც ერთს, არც მეორეს. რუსი „მეცნიერების“ ნაწილი და მათ დემაგოგიას აყოლილი მედროვე აფხაზები კი ამ სინამდვილეს მრუდე სარკეში წარმოადგენენ.

უკანასკნელი, რაც აფხაზეთისა და დამოუკიდებელი საქართველოს ურთიერთობაში მოხერხდა და მოუსწრო, იყო 21. 02. 1921 წ. დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის მიღება. აფხაზეთი შედიოდა რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით.

დღეს ეს ფაქტი „სპეციალისტების“ მიერ გაშიფრულია, როგორც ზეწოლა აფხაზეთზე, როგორც აფხაზთა უფლებების შელახვა. არა და მხედველობაში არა ღებულობენ, რომ ამ კონსტიტუციას ორი დღეც არ უმოქმედია, რომ თავად აფხაზთა სურვილით და თხოვნით იყო ყოველივე გაკეთებული. ვის სჭირდება სიმართლე?

სიმართლე კი ისაა, რომ საბჭოთა კავშირში იძულებით გაერთიანებულ „მოძმე“ რესპუბლიკებს სინამდვილეში შეკვეცილი კულტურული ავტონომიის პირობები და უფლებები ჰქონდათ. (ამ საკითხზე ავტორის „რევოლუციური ანექსია“). ცხადია, ასეთი „სახელმწიფო გაერთიანებანი“ ნებაზე ვერც შინაგან ორგანიზაციას მოახდენდნენ და მით უმეტეს ვერც ეთნოპოლიტიკას აწარმოებდნენ. იმპერიალისტური რუსული პროპაგანდის შედეგია აფხაზთა ნაწილში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ 04. 03. 1921 წ. წითელი არმიის ნაწილების აფხაზეთში შეყვანა ქართველთა მხრიდან გენოციდის თავიდან აცილების მიზნით მოხდა. თუ ასეთი სამართლიანი და ჰუმანური პოლიტიკა ჰქონდა ბოლშევიკურ მთავრობას, თუ ასე ზრუნავდა ქართველების მიერ „ჩაგრულ“ აფხაზებზე, რატომ არ დაუბრუნა კუთვნილი ისტორიული ტერიტორიები? ქართველებმა რომ აფხაზეთს დაუბრუნეს ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი ტუაფსემდე, რუსებმა რატომ წაართვეს და მიისაკუთრეს? ცხადია საბჭოთა კავშირში ამის ხმამაღლა გაცხადება წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ახლა, როცა იმავე რუსეთის „ძმური“ დახმარებით აფხაზეთი საძულველი საქართველოსაგან სრულიად დამოუკიდებელია, რა უშლით ხელს, რომ აფხაზ „ძმებს“ მათი სამშობლოს ნაწილი დაუბრუნონ?

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ 1921 წ. გაზაფხულზე საქართველოს გასაბჭოების პარალელურად შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა. იმ დროს, არ იყო რა შემუშავებული მოსკოვის მიერ ერთიანი პოზიცია, ასეთივე რესპუბლიკები იქმნებოდა საბჭოთა იმპერიის სხვა რეგიონებშიც (მხოლოდ აზერბაიჯანის შიგნით იყო ნახიჭევანის, მუღანლოს ყარაბაღის).

აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო ორიენტაცია ბოლომდე გარკვეული არ იყო. არც სახელმწიფოებრივი სტატუსი იყო გაცნობიერებული. უკვე 28. 05. 1921 წ. აფხაზებმა ყრილობაზე დამოუკიდებლობის დაფიქსირებასთან ერთად აღნიშნეს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასთან მტკიცე კავშირის აუცილებლობა. არა მხოლოდ აღნიშნეს, იმავე წლის დეკემბერში სამოკავშირეო ხელშეკრულებაც გააფორმეს. ბოლოს ეს კავშირი ასახული იქნა აფხაზეთისა და საქართველოს კონსტიტუციებში.

ამის შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა რეფორმები ეროვნებათა შორისი ურთიერთობის საკითხებში. გადაწყდა რიგი რესპუბლიკების სტატუსის შეცვლა. მათ შორის 1931 წ. მოახდინეს აფხაზეთის რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნა, საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. ეს ცვლილება აისახა 1936 წ. მიღებულ, გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციაში.

დღეს, რიგი რუსი და აფხაზი სპეციალისტებისა, (გვარების დასახელების გარეშე, რადგან იდეოლოგიზირებული „მეცნიერებაა“ დამნაშავე და არა ცალკეული ავტორები), აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნას, საქართველოს მიერ ქვეყნის „ოკუპაციად“ აფასებენ. დიახ, 1931 წლამდე აფხაზეთი იყო „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ და საქართველომ მისი ოკუპაცია მოახდინა. თუ დაფიქრებულან ეს ავტორები რა მოუვიდათ რუსეთის შემადგენლობაში ადრე აღმოცენებულ რესპუბლიკებს? იქაც ქართველებმა ხომ არ მოახდინეს ზეწოლა? თუ გახსენებიათ რა უყვეს ქართველებს, როცა მათ კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს საბჭოთა კავშირის შექმნის პროექტებთან დაკავშირებით? როგორ შეეძლო საქართველოს დაეცვა აფხაზთა უფლებები, როცა თავისას ფეხქვეშ უთელავდნენ და რაც მთავარია, მოსკოვის დავალებით, თავად აფხაზები იძულებულნი გამოთქვამდნენ კმაყოფილებას. ვინ ჰკითხავდა რესპუბლიკების ხელმძღვანელობას და მათ შორის ქართველობას, სურდათ თუ არა კოლექტივიზაცია, „კულტურული რევოლუცია“ და ა.შ. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ადვილია არ გაითვალისწინო ე.წ. სოციალიზმის მშენებლობის საშინელებანი და ამაში იმპერიული სისტემა და პოლიტიკა კი არ დაადანაშაულო, არამედ ის, ვისზეც იგივე იმპერიული ცენტრი მიგითითებს. მაგრამ ხომ არის ჭეშმარიტებაც?

მოკლედ, 1936 წ. კონსტიტუცია აფხაზეთის რესპუბლიკას საქართველოს შემადგენლობაში განიხილავდა. შესაბამისად გაუთვითცნობიერი აფხაზებისათის მათი ცხოვრების ყოველგვარი ნაკლის შემოქმედნი ქართველები გახდნენ. უკვე რუსეთის „იმედად“ მყოფებმა იწყეს მოსკოვში პარტიის ცენტრალურ კომიტეტში საჩივრების წერა ქართველი აგრესორების დასჯის მოთხოვნით.

„საშინელება“ ხდებოდა. ქართველობა (განსაკუთრებით მეგრელები) მასიურად უსახლდებოდნენ აფხაზებს, ისინი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. დავიწყებული იქნა ე.წ. აფხაზეთის დიდი კედელის ისტორიული დანიშნულება. ვის აინტერესებდა ოდიშის მთავარმა, ლევან II დადიანმა 17 ს. შუა ხანებში რატომ აღადგინა და გაამაგრა ეს მართლაც ღისშესანიშნავი ნაგებობა. ვის დაცვას ლამობდა მთავარი ყოფილი კორახის-კლისურას-კელასურის კედლის მეშვეობით და ვისგან? რა აფხაზებს იცავდა აფხაზ-აფსართა თარეშისაგან თუ მეგრელებს? და როდიდან გახდა ოდიშის სამთავროს ეს მხარე ე.წ. სამურზაყანო? რუს „ძმებს“ ეს შეიძლება არც აინტერესებდეთ, მაგრამ აყოლილ აფხაზებს? არაა საჭირო ქართველ ისტორიკოსთა პოზიციის ცოდნა. მაგრამ მათი სათაყვანებელი სულმნათი ზურაბ ანჩაბაძეც ანტი აფხაზია?

მეორე „საშინელება“ იყო აფხაზური დამწერლობის ქართული ასოებით გაწყობა, სკოლებში ქართული სწავლების შემოღება. საზიზღარი ქართველები. სხვაა რუსები. ო... რუსები ძმები და ჰუმანისტები არიან. სწორედ რუსების დახმარებით მოხერხდა ბატონ დიმიტრი გულიას მიერ ქართულ ანბანზე გაწყობილი დამწერლობის „კირილიცათი“ შეცვლა. კარგია, რომ სკოლებშიც რუსული ისწავლება. ვის სჭირდება ქართული, როცა ქართველებსაც რუსი აუწევს ყურს. დიდია ძალა რუსისა და აფხაზური ერთგულება-სიყვარულიც დიდი სჭირდება. დიახ. ყველაფერი რუსული არის ინტერნაციონალიზმი, ხოლო ქართულის სწავლება – მხოლოდ ასიმილაციის პროცესია.

ყოველივეს ჩამოთვლა, რაც აფხაზ იდეოლოგ-სპეციალისტებს ქართველების მხრივ გენოციდის მცდელობად მიაჩნიათ, მართლაც ზედმეტი და მომაბეზრებელია. ამიტომ, მხოლოდ ერთი მცირე საკითხი, რომელიც სამოცი წელია აშფოთებთ აფხაზების გაადიღეველობის მოსურნეთ. 1951 წ. გამოიცა, როგორც „დიდი რუს-აფხაზი სპეციალისტები“ ამბობენ

თვითნასწავლი (ე. ი. არასპეციალისტი, თვითმარქვია) ლიტერატორი ბატონი პავლე ინგოროყვას ნაშრომი. მრავალ საკითხთან ერთად, იქ ნათქვამია, რომ ადიღეველები აფხაზეთში გვიან, XVII-XVIII სს. არიან ჩამოსახლებულები და გააფხაზებულები. როგორც კახეთ-ჰერეთში ლეკები, ქართლ-დვალეთში ოსები, ადიღეველები აფხაზეთში არიან მოსულები.

ეს დებულება მოსვენებას უკარგავს სპეციალურ „სპეციალისტთა" თაობებს. საკითხავია, თუ ვიღაცა თვითნასწავლმა, რაღაცა ვთქვათ და ცილისმწამებლური დაწერა, განა ღირს ამის გულისთვის ამდენი გარჯა? მას ხომ არ უთქვამს აფხაზებია გვიან მოსულები, აფხაზები არა მკვიდრი მოსახლეობაა. თქვა, რომ მათ შორის არიან გვიან ჩამოსალხებულები, არა ისტორიული აფხაზები, არა აბორიგენი ელემენტები. მერე რა მოხდა? ვთქვათ, როცა ცნობილი ანთროპოლოგი ალექსეევი ამტკიცებს, რომ აფხაზებს უფრო მეტი საერთო აქვთ ქართველებთან ვიდრე ადიღეველებთან, ეს ხომ არ იწვევს მწვავე რეაქციას. როცა ვ. ტატიშჩევი ამტკიცებს, რომ ადიღები თათრული წარმომავლობის ტომია, ესაც არ იწვევს უკმაყოფილებას, მაგრამ როგორც კი მსგავსი აზრი პ. ინგოროყვამ გამოთქვა, არ დამთავრდა უკმაყოფილოთა კრიტიკა. რატომ?

აფხაზებს თუ ის სწყინთ, რომ ქართველების მონათესავედ არიან დახასიათებული, ეს სხვა საკითხია. უკვე ითქვა, რომ აფხაზები ეგროსელების მონათესავენი არიან, ქართლელებს კი ბევრად გვიან გაეცნენ. რა მოხდა? ცნობილმა მეცნიერმა ა. სახაროვმა საქართველოს პატარა იმპერია უწოდა, მწერალმა აფანასიევმა ქართველებს ავადმყოფი ერი. საწყენი იყო, მაგრამ ქართველებს ამის გამო არც რუსები შეუძულებიათ და არც მათი მეცნიერება და კულტურა. სანაცვლოდ შემთხვევას არ უშვებენ რუსი თუ მორუსო იდეოლოგები რომ არ აღნიშნონ რასიზმი, შოვინიზმი და კიდევ ბევრი იზმი ქართველთა შორის. მიზანი? მიზანი ნათელია.

სათავე ანტიქართულ პერმანეტილ პროცესს ნ. ხრუშჩოვის დროს დაედო. 1956 წლის ივნისში მიიღო კომუნისტური პატრიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დადგენილება შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ საქართველოს კომპარტიის მუშაობაში. ამ პროცესს თან ახლდა საჩივრების მთელი კასკადი აფხაზთა მხრიდან.

გენიალური მმართველი იყო ნ. ხრუშჩოვი. ი. სტალინის მიერ 30 წლის მანძილზე ნაგები ევრაზიული იმპერია 3 წელში მოარყია. ნგრევასაც ხომ ნიჭი უნდა. პოლიტიკური სისტემის რღვევის პირველი

მაუწყებელი 09. 03. 1956 წ. თბილისში მოწყობილი სისხლიანი აღლუმი იყო. ქართველები დათრგუნეს და პარალელურად იმპერიის მიერ ჩადებული ეთნიკური ნაღმები აამოქმედეს. აფხაზებმა, რუსეთის მხარდაჭერით, ქართველებთან დაპირისპირების პირველი რაუნდი მოიგეს. მოიგეს და გაიგეს, რომ ძლიერის აყოლას შეიძლება ისეთი შედეგი მოჰყვეს, რაზეც ადრე არ უფიქრიათ. რუსეთმა გამოაღვიძა „აფხაზური“ ულტრა ნაციონალიზმი.

თუ პირველი საბაბი პ. ინგოროყვას თხზულება იყო, მეორე შეტევის სიგნალი უკვე 1967 წ. დასტამბული ნ. ბერძენიშვილის თხზულებათა III ტ. გახდა. აკად. ნ. ბერძენიშვილს თვითნასწავლს ვერ დაარქმევდნენ, მაგრამ უფრო ძნელი ასატანია, როცა შეურაცხყოფას მცოდნე გვაყენებს. ხუმრობა ამბავია? აკადემიკოსმა გაბედა და აფხაზთა და ქართველთა ნათესაობის საკითხი დასვა. რუს სპეციალისტთა მიერ დალოცილ, გაადიღეველობის ბილიკზე შემდგარი აფხაზი ეთნოსისათვის, უფრო მეტი შეურაცყოფის მიყენება წარმოუგენელი იყო. აფხაზი ეთნოსისათვის ითქვა, თორემ ვინ ჰკითხავდა პატიოსან, მშრომელ აფხაზებს.

XIX ს. იკვლევდა რა რევოლუციური მოძრაობის კანონზომიერებას, კ. მარქსი ამბობდა: მშრომელ მასებს არც დრო და არც ცოდნა არა აქვთ, რომ პოლიტიკური ბრძოლის თეორია და ორგანიზაციული ფორმები გამოიმუშაონ. მცოდნე რევოლუციონერებმა უნდა შეძლონ ეს და დარაზმონ მასები.

მშრომელ აფხაზებსაც არც იმდენი ისტორიული ცოდნა არ ჰქონდათ და არც დრო შესასწავლად, რომ გაეგოთ, მაინც რას ერჩის და რას „ლანძღავს“ ქართველი აკადემიკოსი. სანაცვლოდ მრავლად იყვნენ ერის ინტერესებისათვის მებრძოლი თავდადებული „სპეციალისტები“. მათ წარბიც არ შეუხრიათ, როცა რუსეთის შესაბამისმა სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ თუ ეთნოსის წევრთა რაოდენობა ასი ათასს აჭარებებს, ის ერია და პოლიტიკური ორგანიზაციის ის ფორმა ეკუთვნის, რაც ერს შეეფერება. თუ ეთნოსის წევრთა რაოდენობა ასი ათასზე ნაკლებია, მაშინ ის ერი კი არა, ეროვნებაა და პოლიტიკური პატივიც ნაკლები უნდა ერგოს. სამწუხაროდ, აფხაზები ეროვნებების რიგში ჩააყენეს. მაგრამ ეს ხომ მოსკოვში დაასკვნეს. მოსკოვში, სადაც წყდება ერებისა და რესპუბლიკების ბედი, სადაც ევროპისა და აზიის ქვეყნებისა და ერების მომავალს განსაზღვრავენ. ამიტომ აფხაზ ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს და საერთოდ ხალხის ბე-

დით დაინტერესებულ სპეციალისტებს მოსკოვზე წყენა არ შესტყობიათ. სხვა იყო ქართველი აკადემიკოსი. მართალია მან ეროვნება შენიღბა და ბერძენი-შვილად მოევლინა ქვეყანას, მაგრამ ფხიზლად მყოფმა აფხაზმა სპეციალისტებმა მაინც გაუგეს და შეურაცხყოფა არ აპატიეს. გაუგონარი მკრეხელობა მოხდა: ტურჩანინოვების, ვორონოვების მიერ მსოფლიო ცივილიზაციის პიონერად შერაცხილ აფხაზ ადიღებს, ვიღაც ქრთველმა გაუბედა და მათთან შორეული ნათესაობის იდეა გააჟღერა.

რა შეაჩერებდა, რუსი ან მორუსო სპეციალისტების მიერ გაწვრთნილ, აფხაზ სპეციალისტთა საჩივრების ნაკადს საბჭოთა კავშირის ცენტალურ ორგანოებში. მოთხოვნა კონკრეტული იყო: აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული (გნებავთ ეგროსული) ტოპონიმების აფხაზურით შეცვლა, ყველა წამყვანი ხელმძღვანელი თანამდებობის აფხაზთათვის დათმობა, უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზების უკონკურსოდ ჩარიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან გასვლა და რუსეთთან ჩახუტება.

საბჭოთა კავშირში ყველაფერი გეგმიური იყო. თავის დროზე ვ. ლენინმა დააკვალიანა ბოლშევიკები (შემდეგ რომ თავს კომუნისტები უწოდეს). არღიცხვისა და კონტროლის სარგებლიანობის საკითხში. ყველაფერი ცენტრალიზებული, ყველა სიახლე ცენტრიდან. გეგმიურობამ მოითხოვა, რომ თუ აფხაზთა პირველი შეტევა ქართველების წინაღმდეგ 1957-8 წლებში განხორციელდა, მეორე 1967-8 წლებში, მესამე 1977-8 წლებში უნდა მომხდარიყო. გეგმიურობა იმიტომაა გეგმიურობა, რომ მისი პერიოდულობა არ უნდა დაირღვეს. არც დარღვეულა. მესამე შეტევას მესამე საბაბი მალე გამოუჩნდა. ხუმრობა საქმეა? კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, მოსახლეობისაგან ფინანსური თანხის ამოქაჩვის მიზნით და პარალელურად რუსული ენის დამკვიდრების, როგორც მომავალი ერთადერთი სახელმწიფო ენისა, მიიღო ახალი კონსტიტუცია. საბჭოთა იმპერიის მთელ სივრცეში ერთადერთ სახელმწიფო ენად რუსული ცხადდებოდა.

საბჭოთა იდეოლოგებმა უკუაგდეს ვ. ლენინის ბრძნული შეგონება. ვ. ლენინი ამბობდა: არაა აუცილებელი რუსულის სახელმწიფო ენად გამოცხადება. ეკონომიკური ურთიერთობები, ცხოვრების პერიპეტიები ისედაც აიძულებენ არარუსებს რუსულზე გადასვლას. საბჭოთა პროპაგანდის ტალღაზე აღზრდილმა „სპეციალისტებმა“ ვ. ლენინის იდეები თანამედროვეობის მოთხოვნების მიხედვით გაიგეს და განახორციელეს.

ანალიზი რომ არ გამოვიდეს, ითქმება, რომ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით, რესპუბლიკებს ევალებოდათ მისი შესაბამისი ახალი კონსტიტუციის მიღება. აქ მოხდა კაზუსი, 1978 წ. 14 აპრილს ქართველებმა მიტინგზე მოითხოვეს რესპუბკლიკაში სახელმწიფო ენად ქართულის შენარჩუნება, წარმოგიდგენიათ? საქართველოში სახელმწიფო ენად ქართულს მოითხოვდნენ. როგორ შეიძლება ამ ფაქტს ინტერნაციონალისტი რუს-აფხაზი სპეციალისტები, ე.წ. ინტელიგენცია არ აღეშფოთებინა. ხუმრობა ამბავია? თუ საქართველოში ქართულია სახელმწიფო ენა, მაშინ ხომ აფხაზებსაც ქართულის შესწავლა მოუწევთ. (ამ შემთხვევაში არაა საუბარი სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი მოქალაქეების პოზიციაზე).

საბაბი მოინახა. შესაბამისად აფხაზეთში ახალი ტალღა აგორდა. მოსკოველი დირიჟორები კარგად გაისარჯნენ. სიტუაციის გამწვავებამ იმავე დირიჟორების სამშვიდობო, საშუამავლო როლის მნიშვნელობა გაზარდა. დიახ. მოსკოვის „ბრძნული“ გადაწყვეტილებანი დაედო საფუძვლად აფხაზთა დროებით დაწყნარებას. მათ მიიღეს ისეთივე უფლებები, რაც ჰქონდათ რესპუბლიკებს, მაგრამ მაინც საქართველოს შემადგენლობაში.

დღეს რუსი იდეოლოგები აღარა მალავენ, რომ აფხაზებისათვის რუსული იყო მისაღები ენა, შეიძლება მეგრულიც გამოსდგომოდათ, მაგრამ ქართული? მესამე ენა მათ არა სჭირდებოდათ. ამას გარდა ქართველმა მეცნიერებმა არ მოიშალეს „მავნე ჩვევა“ და აფხაზეთის ისტორიას საქართველოს ისტორიას უკავშირებდნენ. ის არ იკმარეს ქართველებმა, რომ აფხაზების მიერ შექმნილი ასოთი დამწერლობა „მიითვისეს“, წარსულის აღიარებული მოაზროვნე იოანე პეტრიწი ქართველად „გამოაცხადეს“ და იქამდე მივიდნენ, რომ აფხაზ-ქართველთა წარმომავლობით ნათესაობაზე ალაპარაკდნენ. თავხედები. ამიტომ პრინციპულად დაისვა საკითხი ქართველთა დისკრიმინაციული პოლიტიკის აღკვეთის, აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფის შესახებ. აღშფოთების ტალღა კარგად იყო ორგანიზებული. შეძლეს და აფხაზური სოფლები გამოიყვანეს საპროტესტო მიტინგებზე. მასობრივად აწერდნენ ხელს მოსკოვში გასაგზავნ საჩივრებს. (მშრომელთა საჩივრები, წინადადებები და ა.შ. 1984წ. შემოდგომაზე სპეციალურად იყო შესწავლილი ავტორის მიერ და აღმოჩნდა, რომ ამ „მოღვაწეობით“ მხოლოდ აფხაზები იყვნენ დაკავებული, არც ერთი საჩივარი რუსის, ქართველის, ბერძენის და

სხვათა მხრივ არ იყო დაფიქსირებული. რატომ? პასუხს წამკითხავი ადვილად მიხვდება: უნდა ეჩვენებინათ, რომ აფხაზეთ ში აფხაზები იყვნენ შევიწროვებულები, დაჩაგრულები, მოსკოვისაგან შველის მომლოდინენი).

მიუხედავად ავტონომიური რესპუბლიკისთვის მოსკოვის მიერ გაწერილი უფლებების მნიშვნელოვნად გაზრდისა, მოკავშირე რესპუბ-ლიკის უფლებებთან გათანაბრებისა, აფხაზები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ, მაინც ვერ ჩაიგდეს ყველა თანამდებობა ხელთ, ვერ მოიშორეს ქართველები. სახეზე იყო ქართველების შედარებით მაღალი კომპეტენ-ცია მმართველობის, კვალიფიციური ხელმძღვანელობის, სამეურნეო და კულტურულ-სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროებში. ქართველები მაინც საჭირონი რჩებოდნენ, თანაც ვითარებაში, როცა აფხაზ მშრომელ მასებს ხელმძღვანელის ეროვნება კი არა, ეფექტურობა აძლევდა ხელს. თვით რუსი იდეოლოგები არ მალავდნენ, რომ აფხაზეთის უნივერსიტეტში ქართველი პედაგოგები ბევრად კვალიფიციურნი იყვნენ. სუბტროპიკული ინსტიტუტი ვერ იფუნქციონირებდა ქართველების გარეშე. აფხაზებს ტელევიზია ქართველებმა შეუქმნეს, მაგრამ აფხაზური გადაცემები მწირი და ფრაგმენტული იყო და ა.შ. მაგრამ ამაში ხომ ქართველობა იყო „დამნაშავე“?

საბჭოთა იმერიული პოლიტიკა ბრძნული იყო. არ შეიძლებოდა აფხაზ-ქართველთა ურთიერთობის (უფრო სწორედ, აფხაზი და ქართველი კარიერისტი – მოხელეების) ბოლომდე მორიგება. საბრძოლველი უნდა დარჩენილიყო და დარჩა. ქართველების დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვის დამამუხრუჭებელი ნაღმი გეგმაზომიერად 10 წლის შემდეგ ამოქმედდა.

1988 წ. შემოდგომაზე გამართული მიტინგების დროს თბილისში, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გაახმოვანა მოთხოვნა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. მათი ლოზუნგი იყო: საქართველო ქართველებისთვის. (1989 წ. ავტორი სპეციალურად შეხვდა პარტიის ლიდერ გ. ჭანტურიას. რამდენიმე საათიანი დისკუსიის შემდეგ შეთანხმდენენ ლოზუნგის მოხსნის აუცილებლობაზე).

თავის მხრივ აფხაზებმაც მოითხოვეს საქართველოს შემადგენლობი-დან გასვლა და 1921 წ. დეკლარირებული დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა. 18. 03. 1989 წ. გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში სახალხო შეკრებაზე მიიღეს ე.წ. „აფხაზური წერილი“, რომელსაც ათი ათასობით ადამიანმა მოაწერა ხელი. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი

მიმართულ წერილში მოთხოვნილი იყო აფხაზეთის გასვლა საქართველოს შემადგენლობიდან და საბჭოთა იმპერიის ფარგლებში დარჩენა რესპუბლიკის სტატუსით.

(მცირე მოგონება. ავტორი სტაჟირებაზე იყო მოსკოვში მშრომელთა ინტერნაციონალური აღზღდის პრობლემატიკაში გარკვევის მიზნით. სტაჟირება, როგორც საქართველოს წარმომადგენელმა, მაგრამ არა ქართველმა და მუსულმანმა, გაიარა ისტორიის ინსტიტუტთან არსებული სპეციალური კომისიის ხელმძღვანელ გ. ნ. ტრაპეზნიკოვთან. ურთიერთობის პროცესში გაირკვა, რომ თავად გ. ტრაპეზნიკოვი ტაშკენტშია აღზრდილი, მუსლიმანების მოყვარული და ქართველების მოძულეა. რაკი საქართველოში შესაბამისი პრობლემების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი არაქართველი და თან მუსულმანი იყო, სწავლების პროცესი „გულახდილობის“ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. გ. ტრაპეზნიკოვმა კოლონიურ ეთნოსთა ურთიერთობების საკუთარ მიღწევად აღიარა 1981 წ. განხორციელებული იგუშებისა და ოსების შეჯახება და შემდეგ მისი დარეგულირება. გააჟღერა ინფორმაცია მის მიერ შედგენილი რაღაცა აფხაზური წერილის შესახებ და რომ ორიოდე თვეში დაიწყებოდა აფხაზეთში მასობრივი მოძრაობა ქართული ტოპონიმების აფხაზურით, შეცვლის მოთხოვნით. 1985 წ. თებერვალში უკვე იცოდა გ. ტრაპეზნიკოვმა რა დაიწყებოდა მაისის თვეში.

მთავარი სხვაა. აფხაზური წერილის ამბავი დავიწყებას მიეცა დროთა ვითარებაში. 2003 წ. დაისტამბა დიდი იდეოლოგი – სპეციალისტის, აფხაზების წინააღმდეგ ქართველების „რასიზმის, შოვინიზმის ეთნოციდის“ ამსახველი ისტორიის შემქმნელი ვ. ა. შნირელმანის წიგნი „Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье“. М., 2003. ვ. შნირელმანი, აფხაზების, „სიყვარულით“ და ქართველების სიძულვილით გათანგული, მიმოიხილავს რა ცნობილ „აფხაზურ წერილს“ იმპერიის მესვეურებისადმი, აღნიშნავს: „Письмо написанное в этом духе было отправлено абхазами в июне 1988 г. в адрес XIX всесоюзной конференции КПСС, причем его поднисали 60 видных деятелей абхазской науки и культуры. Первоначальный текст этого письма был подготовлен еще в 1985 г... И.Р. Мархолиа и... Г.Н. Трапезниковым” (стр 276). დიახ. გ. ტრეპეზნიკობის მიერ დაგეგმილი და წერილის სახით ჩამოყალიბებული, პროცესის სახით სამი

წლის შემდეგ დაიწყო. ჭეშმარიტი ავტორის ვინაობა კი მხოლოდ 18 წ. შემდეგ გამჟღავნდა. „აფხაზური წერილი“ რომელმაც სათავე დაუდო ნაციონალიზმის მეოთხე ტალღის აზვირთებას, ისევე იყო მოსკოვში შექმნილი და მოსკოვში გაგზავნილი, როგორც იგეგმებოდა და ხორციელდებოდა მთელი ორმოცწლიანი, შეიძლება ორასწლიანი, ანტიქართული პროცესები. არარეალურია აზრი აფხაზებისა და ქართველების ურთიერთგაუცხოების, მტრობის, ეთნოკონფლიქტის შესახებ. ყველაფერი მოდიოდა იმპერიის ცენტრიდან და წყდებოდა ცენტრის შეხედულებით. იყო და რჩება იმპერიის ბრძოლა საქართველოს დასაჩოქებლად აფხაზეთის გამოყენებით).

აფხაზ „მკვლევარებს“ არ ავიწყდებათ, რომ 1991 წ. მხარში ამოუდგნენ ქართველებს რეფერენდუმის ჩატარებისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს. განსაკუთრებით აღნიშნავენ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასადმი ერთგულებას და ე. შევარდნაძის დროინდელი ხელმძღვანელობის შოვინისტობას, რამაც საქმე ომამდე მიიყვანა და რომელიც აფხაზთა დიდებული გამარჯვებით დასრულდა.

რუსეთის იმპერიალისტურმა წრეებმა მოახერხეს აფხაზთა და ქართველთა ნაწილში გაუცხოებისა და შუღლის გაღვივება. მათ 1992-3 წწ. შეაიარაღეს აფხაზთა ნაწილი, გვერდში ამოუყენეს ჩრდილოეთ კავკასიელი დაქირავებულები, ვითომ თავნება კაზაკები, სომხები, გუდაუთის სამხედრო ბაზაზე დაბანაკებულები და განაიარაღეს ქართული მხარე. ავიაცია, მძიმე შეიარაღება, სამხედრო კატარღები მხოლოდ რუსული მოქმედებდა. ამის შემდგ მტკიცება, რომ ეს იყო აფხაზ-ქართველთა ეთნოკონფლიქტი, მხოლოდ გაუგებარ ადამიანებზე გათვლილი ტრიუკია.

და კიდევ ერთი უსიამო ფაქტი. მოსკოვმა არა მხოლოდ აფხაზთა ნაწილის დარაზმვა შეძლო. სპეციალურად შექმნა ე.წ. კავკასიის მთიელთა კონფედერაცია და დაუპირისპირა ქართველებს. სხვანაირად გაუგებარია ეს გაერთიანება რატომ დუმდა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის და აღარ ჩანს დაღესტანში მიმდინარე პროცესების დროს.

გასახსენებლად ყველაზე მძიმე, ზ. გამსახურდიასი და მეგრელთა ნაწილის ქმედებაა. არავინ უწყის როგორ წარიმართებოდა რუსეთისა და საქართველოს საომარი დაპირისპირება აფხაზეთში, რომ არა ზ. გამსახურდიას ფაქტორი, მისგან აზვირთებული კუთხური სეპარატიზმი, მათ მიერ აფხაზეთში მებრძოლ ქართველებსა და დანარჩენ საქართველოს

შორის მეგრელების „დიდი სარდლის“ ლოთი ქობალიას მიერ გადაჭრილი გზა. რუსეთმა იმპერიული ოსტატობით გაათამაშა უშიშროების ორგანოებთან მჭიდროდ დაკავშირებული ე. შევარდნაძე-ზ. გამსახურდიას კარტი და საწადელსაც მიაღწია. საქართველოს ჩამოაშორეს აფხაზეთი, შეაგდეს ე.წ. დსთ-ში (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა), ჩააყენეს ნახევარკოლონიის მდგომარეობაში. კოლონიური უღლისაგან გათავისუფლება მომავლისთვის გადაიდო.

აფხაზებთან მიმართებაში მკვლევარები საუკუნეების მანძილზე აღნიშნავდნენ მათ მჭიდრო კავშირს სამეგრელოსთან და აქედან დანარჩენ საქართველოსთან. XIX ს. შუა პერიოდამდე არ დასმულა საკითხი მათი ქართველებისაგან გაუცხოების შესახებ. უკვე იყო ნათქვამი, რომ ბოლოს 1916 წ. სთხოვეს აფხაზებმა ნიკოლოზ II, მათი მხარე ქუთაისის გუბერნიისათვის მიეერთებინა.

XIX ს. აფხაზთათვის უცნაურად წარიმართა. როცა იმპერიამ აფხაზეთი დაიკავა, რუსი მკვლევარები არსებითად ასხვავებდნენ აფხაზებს აბაზინებისაგან (აფსარებისაგან). შემდეგ, ქართველების გავლენით და დიდმპყრობელური პოლიტიკიდან გამომდინარე, აფხაზეთში მაცხოვრებლებს ყველას აფხაზი ეწოდა. გამოვიდა, რომ შარვაშიძეთა გარშემო სოფ. ლიხნის და გუდაუთის რაიონში, უკვე აფხაზებად წოდებულები ადიღეურ ენაზე მოსაუბრენი იყვნენ. არისტოკრატია (შარვაშიძეები, ინალიშვილები, ანჩაბაძეები, მარშანიები და სხვა) აფხაზურთან ერთად ქართულსაც ფლობდნენ, გუდაუთის უკვე აფხაზები ძირითადად მუსულმანები იყვნენ, ოჩამჩირეს აფხაზები ქრისტიანები და ადიღეურს მოწყვეტილები.

იმპერიული პოლიტიკის წყალობით, რაკი მოხერხდა აფხაზების საბოლოო ჩამოშორება დანარჩენი საქართველოს მოსახლეობისაგან. ამავე გზას შეუყენეს მეგრელები, სვანები და სხვ., მაგრამ იქ შედეგი ნაკლებ ხელშესახები მიიღეს, უფრო ზუსტად, ვერ მოესწრო მათი საბოლოოდ გაუცხოება.

იბერიულ-კოლხური სამყაროსაგან მოწყვეტილი აფხაზების წინაშე დაისვა კითხვა: ვინ არიან, საიდან არიან, რა მიუციათ კაცობრიობისათვის. რაკი ირწმუნეს ქართველებთან გაუცხოების ფაქტი, დაიწყეს საკუთარი ისტორიული ფესვების ძიება. უკვე იყო ნათქვამი ბატონების დ. გულიას, ს. ბასარიას თვალსაზრისზე. პირველი კოლხი-აფხაზების ეგვიპტედან (აბისინიიდან) მოსვლასა და დარჩენას მიიჩნევდა დასაბუთე-

ბულად. მეორე, აბაზინების ჩრდილოეთიდან ჩამოსახლების ისტორიულ ფაქტზე მიუთითებდა.

მათგან სხვაობით ს. აშხაცავა აფხაზებს მტკვარ-არაქსის (კავკასიის) ცივილიზაციის შექმნელთა შორის მოიაზრებდა. მიაჩნდა, რომ ყველა ერთად ბაბილონური სამყაროს წევრები იყვნენ. პირველობა კავკასიელ ერთა შორის კულტურის, პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების დონის მხრივ აფხაზებს ეკუთვნით... აფხაზებმა შექმნეს დიდი სამეფო ქართველური ტომების დაპყრობისა და გაერთიანება-მიერთების გზით. ამიტომ მცდარია დებულება გაერთიანებული საქართველოს სამეფოსა და იქ აფხაზეთის შემავლობის შესახებ. ბერძნული წყაროების თანახმად, ეს იყო აფხაზეთის სამეფო. მეფეთა ტიტულატურა აფხაზეთიდან იწყებოდა. „მეფე აფხაზთა“... და ა.შ. აფხაზებმა შექმნეს ძველ ქართულად წოდებული დამწერლობა. აფხაზთა უშუალო წინაპრებმა, მოსხებმა, იგი შემდეგ სხვაგანაც გაავრცელეს. ს. აშხაცავა, ისევე როგორც დ. გულია და ს. ბასარია, ნიკო მარის გავლენით, მოსხებს-აბასკებ- აბასხებს-აბაზგებს აფხაზებთან აიგივებდა. ეს თვალსაზრისი ჭეშმარიტების შემცველი იქნებოდა, რომ არა ერთი არსებითი მომენტი. იგი აფხაზებს უძველეს დროიდან ადიღეველებს უკავშირებდა. ადიღი-აფხაზები რამდენად ენათესავებოდნენ მოსხებს, კოლხებს, ჰენიოხებს, ეგრისელებს, ძველ აფხაზებს, სხვა პრობლემაა.

საბჭოთა იმპერიის მიერ წამოწყებულმა ანტიქართულმა კამპანიამ მიზანს მიაღწია. თანდათან ძლიერდებოდა აფხაზთა განსაკუთრებულობისა და მათადამი ქართველების მტრული დამოკიდებულების იდეა-ფიქსი. ასეთმა საერთო განწყობამ თავისი დაღი დაასვა ისეთი სერიოზული მკვლევარების შემოქმედებასაც კი, როგორებიც იყვნენ ბატონები ზურაბ ანჩაბაძე, გიორგი ძიძარია, შალვა ინალიფა. მათ შესახებ იყო მსჯელობა. ისინი ვერ ასცდნენ ოსტატურად დანერგილი სპეციალისტების მიერ აჟიტირებული მასების გავლენას.

განსაკუთრებული როლი უკვე მოხსენიებულმა ი. ვორონოვმა და გ. ტურჩანინოვმა შეასრულეს. პირველი თავგამოდებით უარყოფდა ქართულის ყოველგვარ არსებობას აფხაზთა ცხოვრებაში. მისი აზრით მხოლოდ ბერძენ კოლონისტებს უკავშირდება აფხაზეთში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ისტორიის ნაშთები. სად იყო კოლხეთის სამეფო. ეს ქართველების მიერ შექმნილი მითია. და საერთოდ, როგორ შეიძლება აფხაზებზე ადრე ქართველებს რაიმე ცივილური

შეექმნათ. აფხაზები კი მხოლოდ ადიღეური წარმომავლობისანი არიან. მეორემ იმდენი იცრუა, რომ თავადაც ირწმუნა საკუთარი იდეების ჭეშმარიტება. ადიღეში ნაპოვნი ქვა, რომელზეც რაღაც ნიშნები იყო გამოსახული, 1963 წ. პროფ. გ. ტურჩანინოვის ხელში მოხვდა. მან ეს ნიშნები ხეთურ დამწერლობას მიამსგავსა. რამდენადაც ხეთების იმპერია ძველი წელთააღრიცხვის XIII ს. მოსპო ე.წ. ზღვის ხალხების შემოსევამ, ქვაზე გაკეთებული „დამწერლობა“ პროფესორმა ამ საუკუნით დაათარიღა. მიიჩნია რომ ეს „დამწერლობა“ იმ აფხაზ-კოლხების ნახელავია, რომლებიც იმ პერიოდში იმ არეალში სახლობდნენ. ბედად პროფესორს შეხვდა აფხაზი ასპირანტი, რომელიც აღნიშნული იეროგლიფების აფხაზურად წაკითხვაში „დაეხმარა“. საერთო ძალით დაადასტურეს, რომ ეს იყო ცნობა არგონავტების კოლხეთში (იგულისხმება აფხაზეთში) მოგზაურობის შესახებ. იდეა მოიძებნა. ამას მოჰყვა მსჯელობა აფხაზების ურთიერთობაზე ფინიკიელებთან, ხეთებთან და მათი მეშვეობით აფხაზური დამწერლობის გატანა ძველ საბერძნეთში, იქიდან კი მთელ მსოფლიოში. საინტერესო ერთი ფაქტია. გ. ტურჩანინოვმა ქვაზე „ამოიკითხა“ აიეტის სატახტო ქალაქ აია-ს სახელი. რაკი ქვა ქ. მაიკოპის მახლობლად ადიღეაში იპოვეს, სავარაუდო იყო, რომ მითში არგონავტების შესახებ ნახსენები კოლხეთის სამეფო, მეფე აიეტის რეზიდენცია, ქ. აია, ადიღეაში უნდა ყოფილიყო. გამოდიოდა, რომ კოლხეთის სამეფო აფხაზების შექმნილი ყოფილა, მეფე აიეტი, მედეა, აბსირტი მართლა არსებულან და პელაზგებს (არა ბერძნებს) მართლა წაუღიათ ოქროს საწმისი. აქედან გამომდინარე ი. ვორონოვი აფხაზთა ისტორიული დამსახურების უარმყოფელი ყოფილა. წამოიჭრა სხვა ვარიანტიც. რამდენადაც ქვა ადიღეაში ნახეს, ის ადიღების შემოქმედებაა, მათ ისტორიას ასახავს და არა აფხაზებისას.

დღევანდელობიდან ძნელი წარმოსადგენია ის ეფექტი, რაც გ. ტურჩანინოვის მოხსენებას მოჰყვა სოხუმში. ბევრმა მეცნიერმა არ მიიღო სერიოზულად გ. ტურჩანინოვის ნათქვამი. ზოგმა სიფრთხილით ბრძანა: ქვაზე „ამოკითხული“ არ ეწინააღმდეგება საკითხის აფხაზურ გაგებას. ზოგმა კატეგორიულად უარყო ნათქვამი. მაგრამ საზოგადოება ხომ ძირითადად არასპეციალისტებისაგან შედგება. მათთვის საკმარისზე მეტად მისაღები აღმოჩნდა ლენინგრადელი (ახლა სანკ-პეტერბურგი) პროფესორის თვალსაზრისი. მით უფრო, რომ დროთა მოთხოვნის შესა-

ბამისად გ. ტურჩანინოვმა გაამდიდრა და გააღრმავა მიღწევა და ბოლოს ძველი ბიბლიური ტექსტები „წაიკითხა“ აფხაზურად. რა ებრაელები, რის ებრაელები. ხუთი ათასი წლის წინ აფხაზებს ჰქონიათ დამწერლობა. „უნდა ვირწმუნოთ“, რომ საერთოდ დამწერლობა აფხაზების გამოგონებაა. მხოლოდ ერთია. ასეთი ისტორიის მქონე ეთნოსს რაში სჭირდება რუსული კირილიცათი ახალი დამწერლობის დამკვიდრება?

საჭირო არაა განმეორება, რა რეზონანსი ჰქონდა გ. ტურჩანინოვის იდეებს აფხაზთა შორის. თვით ბატონი ზურაბ ანჩაბაძე გაორებულ ვითარებაში აღმოჩნდა და იძულებული იყო ანგარიში გაეწია ექსტაზში შესული ფართე საზოგადოებისათვის.

ასეთ დროს ვინ გაიზიარებდა ქართველთა მიერ „შეთითხნილი“ ისტორიული წარსულის დასაბუთებულობას? ისინი ხომ აფხაზთა ისტორიის ნაწილობრივ მითვისებას, ნაწილობრივ დაკნინებას ცდილობდნენ და აი შედეგი:

ქართველები მუდამ აპელირებდნენ იმ ტომთა ირგვლივ, რომელიც ძველი ებრაული, ბერძენი, რომაელი, ისტორიკოსების განსჯის საგანს წარმოადგენდნენ. ბიბლიური მეშეხი, მუშკი, მუსკი, მოსხი, მოსოხი მათთვის მესხებთან გაიგივებულ ტომებს ასახავდნენ. ბიბლიური თუბალ, ტუბალ, ტაბალ, იბერების ქართლელებთან დაკავშირებული ტომები იყვნენ. რამდენადაც თარგამოსის სახელთან მოხსენიებული ტომები ერთი წარმომავლობისად მიიჩნეოდნენ, ითვლებოდა, რომ ისინი გენეტიკურ კავშირში უნდა ყოფილიყვნენ. არც ერთი წონიანი მკვლევარი (ისტორიკოსი, არქეოლოგი, ლინგვისტი და ა.შ) არა თვლიდა რომ მდ. ჰალისიდან აღმოსავლეთით მაცხოვრებელი ტომები, არ იყვნენ იბერიელ-კოლხ-ქართველთა წინაპრები. პირიქით, ყველა ავტორიტეტული მეცნიერი მიიჩნევდა, რომ მუსკი-მოსხი-მაკრონი-სასპერი-ტიბარენი-მოსინიკი და ა.შ. პროტოქართველებია. ტომთა სიმრავლემ დაუდო ფუძე ქართველებად წოდებული გაერთიანების დაფუძნებას. უფრო მეტი დაუვიწყარი სტრაბონი აზუსტებდა რა მათ გეოგრაფიულ განფენილობას, მიუთითებდა იმ ტერიტორიაზე, სადაც მომავალი იბერები, ქართლელები, კოლხები მოსახლეობდნენ.

რეალურ მოთხოვნებს „აცდენილი“ ქართველი მკვლევარები აფხაზური თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, მაინც მიიჩნევდნენ, რომ აფხაზებში უნდა განასხვავონ ის ნაწილი, რომელიც ისტორიულად

აბორიგენი მოსახლეობაა, ორგანულად დაკავშირებულია თუბალ-მეშეხთა შთამომავლობასთან (მესხურ-იბერიულ წარსულთან) და ის ნაწილი მოსახლეობისა, რომელიც ქართველებთან ერთობას გაურბის, რომლისთვისაც მიუღებელია ის რაც XVIII-XIXს. საზოგადოების დამახასიათებელია, რომელიც თავს თათრული წარმოშობისად თვლის.

ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ ქართველებთან ერთად, აფხაზ მკვლევართა და წარმოუდგენელი მკრეხელობაა, რუს ცნობილ მკვლევართა დიდი ნაწილი აფხაზებს ეგროსელთა და აქედან უკვე ქართველთა შორეულ ნათესავად მიიჩნევდა. იმ დრონისათვის ცნობილი მ. დელბა ამტკიცებდა: აფხაზეთის ისტორია, საქართველოს ისტორიის ნაწილია, „მკრეხელობაა“. აფშილების, აბაზგების მოხსენეიება, როგორც არა ადიღურ, როგორც ეგროსულ (და ამდენად ქართველების მონათესავე) ტომებად. ეს ღალატი იყო „დიადი“ აფხაზურ-ადიღური ერთობისა. უფრო პარადოქსალური: თვით „აფხაზთ მოძულე, თვითნასწავლი, არასპეციალისტი“ პავლე ინგოროყვა, არ ამბობდა რომ აფხაზები არ არიან აბორიგენები, რომ ისინი საიდანღაც არიან ჩამოსახლებულები. ეს აფხაზებზე „ცილისმწამებელი“ მეკალმე მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ისტორიულ ძველ აფხაზებს XVII-XVIII სს. შეერივნენ ადიღეური წარმომავლობის მასები, მათაც აფხაზები უწოდეს და უპრიანია საზოგადოებამ იცოდეს კავკასიონელი ისტორიული აფხაზებისა და ჩამოსახლებული აბაზინ-აფხაზების რაობა. რა არი ამაში შეურაცხმყოფელი?

შეურაცხმყოფელი იყო დიადი აფხაზური წარსულის, თვითმარქვია ქართველობასთან ახლობლობის იდეა.

საერთოდაც უცნაური იყო ქართველ მკვლევართა დამოკიდებულება აფხაზების წარსულისადმი. როცა რუსი სახელოვანი მეცნიერები აფხაზეთის ტერიტორიაზე მოძიებულ არქეოლოგიურ მონაპოვარს საერთო ქართველურს უკავშირებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქართველების ეთნოგენეზი ეგროსის „კუთვნილ“ სივრცეში მიმდინარეობდა, ამას აფხაზები სულგრძელი დუმილით ხვდებოდნენ. არც იმის წინააღმდეგნი არ იყვნენ, რომ მჟღავნდებოდა საგრძნობი კავშირები შუამდინარეთის ცივილიზაციასთან. ის, რომ ლიხსიქითა და ლიხსაქეთა კულტურებს შორის სხვაობა იყო, კიდეც ესალბუნებოდა აფხაზურ-ადიღეურ სიდიადეთა მეხოტბეებს. სხვა ამბავია როცა ამდაგვარ თვალსაზრისს ქართველი მკვლევარები ახმიანებდნენ...

ქართველი მკვლევარები, აფხაზთა მხრიდან „დამთმობლობამ“ ისე გაათამამა, რომ კავკასიონურ ერთნოსთა ნეთესაობაზე ალაპარაკდნენ. დაადგინეს ენობრივ ოჯახთა რაობა, ტიპოლოგიური თავისებურებანი, წარმომავლობითი სადაურობა და რომ არა ის დიდი ცვლილებები, რაც ნ. ხრუშჩოვის მმართველობის ხანიდან დაიწყო, ალბათ აფხაზებს ქართველურ ტომად გამოაცხადებდნენ. ხომ აიძულეს დიმიტრი გულია ეთქვა ამგვარი რამ. ახალ ვითარებაში მოუსწრო სულზე აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრებამ: ლურსმული დამწერლობის ტექსტებში ამოკითხული კაშკა, ქაშაგები, ჩერქეზები ხომ არ არიან, ხოლო აბეშლა – აფშილები?

კვლევა-ძიების დროს ბევრი თვალსაზრისი წარმოიშვება. დროთა ვითარებაში მათი სიზუსტე, მართებულობა მტკიცდება ან უარიყოფა. დრონი ბევრ რამეს შობენ და ივიწყებენ. ასეთი მომგებიანი ნათქვამის დავიწყება ბევრ მკვლევარს და უფრო მეტად „სპეციალისტს“ არ შეეძლო. ხედავთ? როგორც იქნა ქართელმა მეცნიერმა აღიარა აფხაზ-ადიღების ძველი ერთობა მცირე აზიის სივრცეში.

ქართველ მკვლევარებს ბრალდებათ ზოგი ისეთიც, რაც არ უთქვიათ, მაგრამ შეიძლება ეთქვათ. კერძოდ, თითქოს აფხაზთა ისტორიის დაკნინების მიზნით იყო წამოყენებული დებულება მათი I-II სს. ჩრდილოეთიდან მოსვლის შესახებ. სინამდვილეში გახმოვანებულია აზრი, რომლის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე აბაზგ-აფშილ-სანიგ-მისიმიანთა ტომების სახელწოდებები ამ პერიოდიდან ხდება ცნობილი. ეგროსელთა არეალში მრავალი ტომის შესახებ ცნობები სხვადასხვა დროს გაიჟღერებს. ეს სულაც არ ნიშნავს მანამდე მათ არ არსებობას ან ამ დროისათვის მოსვლას მიგრაციების გზით.

თანამედროვე რუს და აფხაზ სპეციალისტებს(და არა მეცნიერებს) შორის კვლავ მოწონებით სარგებლობს დებულება მეგრული და სვანური ენების თვითმყობადობის და ქართულისაგან გაუცხოების შესახებ. ამ ენებს არაფერი აქვთ „საერთო“ ქართულთან. ქართველებმა გვიან „დაიპყრეს“ ეს ეთნოსები. მათთვის დღემდე უცხოა ქართული ენა. აღარაფერი ითქმის აფხაზურ-ადიღეურზე.

კიდევ ერთი „დებულება“ ქართველთა მიერ აფხაზეთის ისტორიის მრუდე სარკეში დანახვის დასასაბუთებლად. ქართველები საკუთარ ისტორიას „განადიდებენ“, აფხაზეთის ისტორიას „ამახინჯებენ“, როცა აფხაზეთის ჯერ სამთავროსა და შემდეგ სამეფოს შექმნას, აფხაზეთის

მიერ ყოფილი ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს დაპყრობას, შემდეგ მტკვრის მარცხენა მხარის ქართლის დაპყრობას, კახეთის დაპყრობას, წარმოიდგენენ, როგორც საქართველოს სამეფო-სამთავროების ბრძოლას პირველობისათვის, ერთიანი ქართული სამეფოს შექმნისათვის.

ამ შემთხვევაში აფხაზთა შედავება მართებულია... წამკითხველი უნდა კარგად გაეცნოს იმ დროს არსებულ ვითარებას და დასკვნაც ამ საფუძველზე გააკეთოს. ჯერ ბერძნების (ბიზანტიელების, აღმოსავლეთ რომის, ამ შემთხვევაში არსებითი განსხვავება არაა) მიერ ჩრდილოეთ (კორახის, კორაქსის, კლისურას, კელასურის, კედლის ჩრდილოეთით, არსი აქაც ერთია), აფხაზეთის დაპყობისა და მიერთების საფუძველზე ხდება ქვეყნის გაყოფა და მათ შორის დიდი კედლის აგება. აფხაზეთი იყოფა ბიზანტიისა და კოლხ-იბერთა კუთვნილებად (შეიძლება ითქვას – გავლენის სფეროებად).

გასახსენებელია ლაზიკის სამეფოს ბოლო პერიოდის ისტორიაც. ამ ხაზით ცნობები საკმაოდ მწირია, მაგრმა ნათელი სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა. იყო მსჯელობა გუბაზ მეფეზე, მის მკვლელობაზე, შემდეგ მისი ძმის, წათეს გამეფებაზე, ლაზიკაში მეფის პატრიკიოსის თანამდებობამდე ჩამოქვეითებაზე. ის, რაც ისტორიული ცნობებით დასტურდება, არ შეიძლება უაზრო დებატების თემად იქცეს პრინციპით: რიყეზე ქვას ვერ ვხედავ.

ამ შემთხვევაში პოზიცია ასეთია: ნებისმიერი ეთნოსის ისტორიის მანძილზე უცნობია შემთხვევა, როცა დინასტია თმობს პოზიციას და არ განაგრძობს ბრძოლას. გუბაზ-წათეს მემკვიდრეები მეფობიდან პატრიკიოსამდე (ერის მთავრებამდე) ჩამოაქვეითეს, მაგრამ ვინ თქვა მათ ბრძოლა შეწყვიტეს, არ იღვწოდნენ უკვე პატრიკიოსების რანგში. სადაა ცნობა კი არა, უბრალო მინიშნება, რომ ისინი გაწყდნენ და სხვა საგვარეულოებმა მიითვისეს მათი ტიტულები? ეს იმიტომ ითქვა, რომ ოდნავ მაინც ლოგიკურად იქნას განხილული ეგრისის კუთვნილ არეალში მეფობის ინსტიტუტის გაუქმებისა და პატრიკიოსის დაწესების ვითარება.

ცხოვრება რთული ფენომენია. ვინ იცის, რამდენი ხნის, როგორი ბრძოლა და პოლიტიკა დასჭირდა ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს შექმნას. ისტორიამ შედარებით ვრცლად შემოინახა გუბაზ მეფის გაორებული მდგომარეობა და ბრძოლა სამეფოს გადარჩენისათვის. ლოგიკით წარმოსადგენია, მისი მემკვიდრეები, პატრიკიოსის წოდებამდე ჩამოქვეით-

ებულები, გააგრძელებდნენ თუ არა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. როცა თანამედროვე სპეციალისტები წამოაყენებენ პატრიკიოსთა წარმომავლობის სხვადასხვა იდეას, ხომ უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულება.

ლოგიკურად ერთადერთი დასკვნაა, რომ აფხაზეთის მთავრები (პატრიკიოსები) ლაზიკის მეფეთა დინასტიის წარმომადგენლები არიან. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ ლეონ I, როცა შეთანხმებას დებს არჩილ მეფესთან, აღიარებს: ბიზანტიის იმპერატორმა შენი შემწეობით მომაკუთვნა ჩრდილოეთ აფხაზეთი. ახლა ფიქრისთვის. ლეონ პატრიკიოსი რომ ლაზიკიდან არა ყოფილიყო როგორც პატრიკიოსი, ჩრდილოეთ (კედლის ჩრდილოეთ) აფხაზეთზე ხომ არ იტყოდა მომაკუთვნა ე. ი. არ იყო ჩემი და მომცა, მიწყალობა და ა.შ. საწინააღმდეგო რა უნდა ითქვას. რა ლეონი, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებული ადიღედან ჩამოვიდა?და ასეთ შემთხვევაში ხომ არ იტყოდა ჩრდილოეთზე. მისთვის ეს კუთხე სამხრეთი იქნებოდა და ა.შ.

ლეონ პატრიკიოსის ლაზობა სულაც არ ნიშნავს მის ქართველობას, მაგრამ მიუთითებს მის ეგროსელეობაზე. გასახსენებლად. ეგროსის კუთვნილი სივრცე მდ. ყუბანიდან (მდ.კაფა მდ. მცირე ხაზარეთისა) ტრაპეზუნამდე და ზღვიდან ლიხის მთამდე ტერიტორიას მოიცავდა. იქ მრავალი ტომი სახლობდა, მაგრამ არა ქართლოსიანები. ისინი გვიან ჩნდებიან ამ არეალში. ეგროსელების სივრცეში შეიძლება სახლობდნენ მეშეხების (მუშკი-მუსკი-მესხი) რაღაცა ნაწილი, შეიძლება კავკასოსის ტომთა რაღაცა ნაშთები, შეიძლება ქართლოსიანთა რაღაცა ელემენტები, მაგრამ ძირითადი მოსახლეობა ეგრისელები (აფხაზები, სვანები, მეგრელ-ლაზები, ჭან-სანები) იქნებოდნენ. იმ დროს ადიღეველები ყუბანისპირეთშიც არ იყვნენ და კელასურის კედლის სამხრეთით, თანაც მთავრის (პატრიკიოსის) ტიტულით ცხადია არ იქნებოდნენ.

(მცირე შენიშვნის სახით უნდა ითქვას. ლაზიკის სამეფო მოიცავდა დიდ ტერიტორიას და მრავალ ტომს. მათ შორის აფშილებს და აფშილეთს. აბაზგები, სიტუაციის მიხედვით, ხან ლაზთა მეფეს უჭერდნენ მხარს, ხან ბიზანტიას. ურთიერთობა არ გამორიცხავდა შერეული მოსახლეობის გაჩენის შესაძლებლობას. მხოლოდ ცნობისათვის: არგვეთის ერისთავები ბაღვაშები გადადიან ქართლში და კლდეკარის საერისთაოს აფუძნებენ. ამჟამად, ოჩამჩირელი ს. ბაღაპში აფხაზეთის პრეზიდენტია. ბაღ-ვაში და ბაღ-აპში, რაიმე საინტერესოზე ხომ არ მიანიშნებს?).

ქართველების „დანაშაული“ აფხაზების წინაშე იმდენად მრავალფეროვანია, რომ ყველაფრის ჩამოთვლაც ჭირს. რად ღირს თუნდაც ის ამბავი, რომ თავად ისეთი დიდი მეფეები, როგორებიც დავით აღმაშენებელი და თამარ დედოფალი იყვნენ, თავს უპირველეს ყოვლისა აფხაზთა მეფეებს უწოდებდნენ. თვით ბაგრატ III, რომელსაც საქართველოს გამაერთიანებელ მეფედ მიიჩნევენ, დედის მხრივ აფხაზეთის უდიდესი მეფის გიორგი II შვილიშვილი იყო. იგი ჯერ აფხაზეთის დედაქალაქ ქუთაისში გამეფდა, როგორც აფხაზთა მეფე. ქართლის მტკვრის მარცხენა მხარეც აფხაზებისა იყო და ოვსეთამდე მას დედის მემკვიდრეობის ძალით მიეკუთვნა. ქართვლის მტკვრის მარჯვენა მხარეს მეფობდა მისი მამა მეფეთ-მეფე გურგენი, პაპა ბაგრატ რეგუენი. რაც შეეხება ტაოკლარჯეთს იქ მართალია დიდი დავით კურაპალატი მეფობდა, სამეფოც დიდი ჰქონდა (ვანის ტბის სამხრეთი და აღმოსავლეთი მიწების ჩათვლით, სადაც მან დაახლოებით 200 000 ქართველი დაასახლა), მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მხარე ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II (ბულგარეთმჟლეტელმა) მიისაკუთრა. ასე, რომ აფხაზთა ამ დიდ სამეფოში ქართველური მცირე იყო და ისიც მიერთებული მემკვიდრეობის ძალით. ამიტომ იყო, რომ ამ სამეფოს აფხაზეთს უწოდებდნენ და არა სხვა რამეს. ეს გრძელდებოდა XV საუკუნემდე. ამის შემდეგ კი სამეფო გაიყო ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებად. მაგრამ იმერეთის მეფეს აფხაზეთი (ახლა უკვე საკუთრივ აფზახეთის სამთავრო) არ ემორჩილებოდა. აფხაზეთი კი არა, გურია და სამეგრელოც წარმატებით ექიშპებოდნენ. ამის შემდეგ, ქართველ მკვლევართა მტკიცება ერთიანი საქართველოს სამეფოს შესახებ, სხვა არაფერია თუ არა აფხაზეთის ბრწყინვალე ისტორიული წარსულის „დაკნინების, მითვისების მცდელობა“. გასაგებია?

და კიდევ ერთი. საზოგადოებრივი ისტორია ადასტურებს, რომ როგორც კი სახელმწიფოს, სისტემას, მმართველ ფენას გაუჭირდება ძალაუფლების შენარჩუნება, უზომიდ აქტიურდება რელიგია. რელიგიის გააქტიურება საერთო კრიზისის მაუწყებელია.

საქართველო ვერ აცდებოდა ამ პროცესს. 1980-1989წწ. იწყება ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მიერ ქრისტიანობის ფაქტორის წინ წამოწევა. ის, რაც მეზობელ ქვეყნებში ზედმეტი ექსცესების გარეშე ჩაივლიდა, მრავალ რელიგიურ რესპუბლიკაში დაძაბულობის დამატებითი

ფაქორი გახდა. არაფერი რომ არ ითქვას სომხურ (მონოფიზიტურ) ქრისტიანობაზე, მუსულმანურ (ე.წ. აზერბაიჯანულ, ბორჩალუს ტომის) მოსახლეობაზე, თვით ქართველებს შორის მრავლად არიან არა მართლ-მადიდებლები. ასეთ დროს ვერ გამოირიცხებოდა რელიგიურ ნიადაგზე ურთიერთობის დაძაბვა და არც გამორიცხულა. საეჭვო მიმართულების სასტუმროების, რესტორნების, ბენზინ გასამართი სადგურების სილამაზის სალონების კვალდაკვალ მასობრივად დაიწყო ეკელსია-მეჩეთების მშენებლობა. ის, რაც სულიერების ნავთსაყუდელი უნდა ყოფილიყო, ბიზნესის ნაწილად იქცა.

რელიგიურმა საკითხებმა უმნიშვნელო როლი როდი ითამაშეს აფხაზთა ანტიქართული განწყობაში. რუსი სპეციალისტები და აფხაზ მკვლევართა ნაწილი, ამ საქმეშიც ქართველთა დანაშაულს ხედავდნენ. ხუმრობა ამბავია? გარდა იმისა, რომ აფხაზებს „თიშავდნენ“ ქრისტიან ოჩამჩირელებად, მუსულუმან გუდაუთელებად და მათ შორის როგორც რელიგიურ, ასევე ეთნიკურ სხვაობას ხედავდნენ, ასევე მიუთითებდნენ წარმართული რელიგიის არსებობაზე. ცდილობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დანიშნულების ძეგლები ქართული კულტურის ძეგლებად ექციათ. ხომ ცნობილია, რომ ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი და მატათა ტრაპიზონის მხრიდან შემოვიდნენ ეგრისელების კუთვნილ სივრცეში. აფხაზეთი იყო მათი ძირითადი მასპინძელი. აქ გაავრცელეს ქრისტიანობა, რა შუაში არიან ქართველები? მაგრამ ქართველი ნაციონალისტები ხომ ცდილობენ ამ ისტორიული სინამდვილის მისაკუთრებას? ხო და რა ქნან აფხაზებმა, არ დაიცვან მეობა?

სულ „სხვაგვარია“ რუსების დამოკიდებულება აფხაზებისადმი, როგორც მათი იდეოლოგები ირწმუნებიან რუსების ეროვნულ ხასიათში ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, სიმართლისა და მშვიდობისადმი სწრაფვა დევს. კ. მარქსი მწარედ ცდებოდა, როცა ამბობდა: რამდენადაც ვიცნობ ევროპისა და მსოფლიოს ერებს, არავისა აქვს მევახშეობის ისეთი უნარი, როგორც რუსებს. ცდებოდა რუსეთის დიდი იმპერიის შემქმნელი პეტრე I როცა ბრძანებდა: რუსი მუჟიკი ისეთი ეშმაკია, ნებისმიერ დროს ორ ებრაელს აჯობებსო. სირცხვილი მათ. ვერ „გაიგეს“ რუსების ნამდვილი ხასიათი. შორს წასვლა არაა საჭირო. XIX ს. რომ თავი დანებდეს, განა რუსების დამსახურება არაა აფხაზების „გადარჩენა“ ქართველი

„აგრესორებისაგან“? 1918 წლიდან მოყოლებული ვინ ედგა მხარში აფხაზებს ქართველებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში? და ვინ ჩაგრავდა, რეპრესიებს ატარებდა, გენოციდით ემუქრებოდა აფხაზებს? და ბოლოს ვინ დაეხმარა აფხაზ პატრიოტებს საქართველოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვებაში? ვინ იცავს კანიბალი ქართველებისაგან აფხაზეთის საზღვრებს? ვინ ეხმარება ფინანსურად აფხაზეთს? ვისი იმედით არიან აფხაზები? ხო და ხომ უნდა სიკეთეს დანახვა.

„რუსული სიკეთის“ დამნახავები აფხაზთა შორის მრავლად გამოჩდნენ და უფრო მრავალი პოლიტიკურად გაუთვითცნობიერი აიყოლიეს, სამაგალითოდ თუნდაც ბატონი შალვა ინალ-იფა რატომ არ გამოდგება. მისი ინიციატივით ბევრი საჩივარი მომზადდა. პრაქტიკულად არ არსებობდა მოსკოვში გაგზავნილი ქართველების მამხილებელი წერილი, რომელსაც იგი ხელს არ აწერდა, აბა რას იზამდა. ძველი აფხაზი თავადი ინალიშვილი, რომლის წინაპრები მურზაყან შარვაშიძემ მომავალი სამურზაყანოს (გალის რაიონის) დასაპყრობად გაიყოლია, იძულებული იყო წარსული დაემალა, უბრალო ინტელიგენტ ინალ-იფად ქცეულიყო. მაგრამ ხომ ჰქონდა შურისძიების გრძნობა ქართველების მიმართ, რომელნიც ტროცკისტების წინააღმდეგ ბრძოლის აბრით აფხაზებს არბევდნენ. და რამდენი იყო ასეთი. ცხადია, რომ არა ქართველი აგრესორები, საბჭოთა კავშირში მიმდინარე სისხლიანი გარდაქმნები აფხაზეთს არ შეეხებოდა. ჰუმანური რუსეთი პატარა აფხაზეთს არ აწყენინებდა. ავიღოთ თუნდაც გენიალური რეფორმატორი ნ. ხრუშჩოვი. როგორი სტიმული მისცა აფხაზურ ნაციონალურ შემართებას?

არა ნაკლები იყო შედარებით ახალგაზრდა აფხაზი მოაზროვნეების ღვაწილი. რუსული ყურადღებით გულმოცემულები ისინი აგრესორ ქართველებს აღარ ეპუებოდნენ და დაუღალავად იმეორებდნენ გ. ტურჩანინოვის აღმოჩენათა მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ. ცნობილი ე. შაკრილი აფხაზ-ადიღთა ერთობლივი ეთნოსის ფორმირებას უკვე ძველი წელთა აღრიცხვის II ათასწლეულში ხედავდა და თანაც მცირე აზიაში. პირველყოფილი პერიოდიდან მოყოლებული ისინი ერთ ეთნოსს წარმოადგენდნენ. მათ იმ დროს უკვე ჰქონდათ დამწერლობა, მაღალი კულტურა და დიდი პერსპექტივა. ამიტომ შეძლეს ერთი პერიოდი მთელი ქართული სივრცის დაკავება და ამას აღმოსავლეთ საქათველოში არსებული ადიღეური ტოპონიმები ადასტურებს. მართალია თვალსაზრისის

დამადასტურებელ მასალას ვერ ასახელებდა, მაგრამ ხომ შეიძლება აზროვნების ძალით წარმოედგინა?

ოდნავ სახეშეცვლილი შეხედულებები ჰქონდა მომავალ პრეზიდენტ ვ. არძინბას. ჯერ კიდევ მოსკოვში მუშაობის დროს იგრძნო მან რუს სპეციალისტთა გულითადობა. სხვანაირად როგორ დააჯერებდა კოლეგებს, რომ აფხაზ-ადიღებს ძველ დროში ხალიბების ტერიტორიაც ეკავათ და აქ გახდნენ რკინის გამომგონებლები, პირველი მეტალურგები. დასაბუთება? ღირს კი ამაზე დროის დაკარგვა? წაიკითხეთ ბატონი შალვა ინალ-იფას წიგნები, გაეცანით აფხაზურ-ადიღეურ ზეპირ-შემოქმედებას, ნახეთ როგორი პატივითაა მოხსენიებული მჭედლობა.

სხვებს არქეოლოგი მ. გუნბა და ი. ცვინარია რატომ ჩამორჩებოდნენ. აფხაზეთში მოპოვებული ყველა მასალა, მათი აზრით, არ შეიძლება აფხაზური არა ყოფილიყო. აფხაზებს შეხება ჰქონდათ მხოლოდ ძველ ბერძენ კოლონისტებთან. ყველაფერი აფხაზ-ადიღთა თვითშემოქმედებაა. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, რადგან ადიღ-აფხაზები განვითარების დონით ბევრად მაღლა იდგნენე ვიდრე, ვთქვათ, ქართველები. განა საკამათოა ის ამბავი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა მაიკოპის (ადიღეს) მხრიდან გავრცელდა სამხრეთში და არა პირიქით, როგორც ამის დასაბუთებას ქართველები ცდილობენ.

ყველას ჩამოთვლა და მათი იდეების განხილვა ჭეშმარიტად უმადური საქმეა. ისედაც ცხადია, რას იტყვიან ცნობილი ვოზბა, ტარია, ვინარია, ოტურბა, ყოფილი მარხოლია (ახლა მარიხუბა) და ა.შ. ცხადია, მათი სამიზნე ქართველი „ოკუპანტები“ არიან. ისინი ეცილებიან აფხაზებს სამშობლოს. „ოკუპანტების“ წინააღმდეგ ბრძოლა კი მათი წმინდა უფლებაა. უნდა იბრძოლონ სანამ არ დაამტკიცებენ, რომ მხოლოდ კავკასიონის სამხრეთ დასავლეთი კი არა, მცირე აზიის ჩრდილოეთი მდ. ჰალისიდან მოყოლებული ვანის ტბის ჩათვლით მათი წინაპრების სამოსახლო იყო. გულახდილად უნდა ითქვას, თუ ძველი აფხაზები იქნებიან მხედველობაში, როგორც ეგროსულ ტომთა გაერთიანების ნაწილი, მაშინ მათ მართლაც აქვთ ასეთი განცხადების უფლება. ამ ავტორთა და მათი ამყოლთა შეცდომა ისაა, რომ ჭეშმარიტად აფხაზებთან ერთად ადიღეველებიც უნდათ „დააძველონ“, ეგროსელთა შემადგენლობაში მოაქციონ, ამ გზით მსოფლიო საზოგადოებრიობა დააჯერონ თავის სიმართლეში. ნათქვამია: მიზანი ამართლებს საშუალებას. სამწუხაროდ, ის რაც მათთვის გამა-

მართლებელია, სხვებისთვის მოულებელი. კიდევ ერთხელ უნდა შეხსენდეს ამ კონცეფციის ავტორებს ცნობილი რუსი ისტორიკოსის ვ. ტატიშჩევის სიტყვები: აბაზა, თათარი ხალხია. „Абаза, есть народ татарской“ (ცხადია საბჭოთა ისტორიკოსი ამას არ იტყოდა, მაგრამ ასეულობით წლების წინ მოღვაწე დიდი მეცნიერი, არ იყო ნოსტრადამუსი).

მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელმძღვანელობამ, კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის პრინციპების მოტივით (იანგარიშე ახალი იმპერიის შექმნის მიზნით), საქართველოს ჩამოეჭრა მისი ტერიტორიების დიდი ნაწილი (რა ექნა, მდ. ფსოუს ჩრდილოეთი აფხაზეთი უკვე ათვისებული ჰქონდა) და ფორმალურად დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკა აღიარა, მოიხსნა ყოველგვარი შეზღუდვა ოკუპანტი ქართველების ლანძღვის და დიადი აფხაზურ-ადიღეური ისტორიის გამობრწყინების გზაზე. თქმა არ უნდა აფხაზეთია პირველი ადამიანების სამშობლო და ეს უძველესი ადამიანები უკვე ადიღ-აფხაზები იყვნენ. ისინია, არა მხოლოდ კავკასიის, არამედ საერთოდ უძველესი ენის, კულტურის, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შემქმნელები. მათი კულტურის არეალში ძალზე გვიან მოსულმა ქართველებმა გადაიღეს აფხაზური დამწერლობა. (აქ მოკრძალებული შეხსენება – შენიშვნა მსოფლიო „მეცნიერების“ ამ „კორიფეებს“: თქვე დალოცვილებო. თუ ქართული დამწერლობა აფხაზურის საფუძველზე განვითარდა, თუ ქართული ანბანი, პრაქტიკულად ძველ-აფხაზურია, მაშინ, რატომ უარყავით ამ ანბანზე ხელახლა გამართული აფხაზური დამწერლობა და რუსულ კირილიცაზე გადააწყვეთ? შემთხვევით ესეც „აგრესორმა“ ქართველებმა ხომ არ გაიძულათ? „მუხანათი“ ქართველები.).

ქართველები მხოლოდ მუხანათები კი არა, უმადურებიც აღმოჩნდნენ. ჯერ ერთი, გვიან ჩაუსახლდნენ ადიღ-აფხაზებს და მხარეს საქართველო უწოდეს. მეორე, ადიღ-აფხაზებმა შეუქმნეს ქართველებს სამეფო. ამიტომ იწყებოდა ქართველ მეფეთა ტიტულატურა: „მეფე აფხაზთა“... და სხვ. მესამე და მთავარი. კი ამბობდნენ მეფე აფხაზთა, მაგრამ ადიღობას განგებ არ ახსენებდნენ. არა და უპრიანი იქნებოდა ეთქვათ: მეფე ადიღ-აფხაზთა და სხვ. მაგრამ რა უნდა მოჰკითხო ისტორიის ფალსიფიკატორებს. აბა ნახეთ რას წერს ქართველების საამაყო გეოგრაფ-ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 783). დიახ, ეგრისი აფხაზეთს ეწოდებოდა. ქართველებმა კი ისტორია

ისე წარმოადგინეს, თითქოს ეგრისი მხოლოდ სამეგრელო იყო, ამით ხომ აფხაზეთის ისტორია დროში შეიკვეცა. თუ ეგრისის კუთვნილი სივრცე მროველის მიერ სულ მციერ ძვ. წ. ა. III ათასწლეულს მაინც მოიცავს, იქ აფხაზთა წინაპრები მოიაზრებიან პირველ რიგში. მართალია სახელწოდება აფხაზი და აფხაზეთი მინიმუმ სამი ათასი წლის შემდეგ გაიჟღერებს, მაგრამ ეგრების, ეგროსელების სახელით ხომ არსებობდნენ? ამიტომ უპირანია გარკვევით ითქვას, რომ ეგრისი და ეგრისელები აფხაზებია. სამეგრელოსა და მეგრელების მოცულობით ეგრისელების შემოფარგვლა, ქართველების მიერ აფხაზეთის ისტორიის დამახინჯების მცდელობაა.

არა ნაკლები „მნიშვნელობა" რელიგიურობის საკითხმა შეიძინა. ქართველები დუმილით უვლიდნენ გვერდს საკუთარ მოსახლეობაში მუსულმანების ფაქტს და რაოდენობას. სანაცვლოდ ცდილობდნენ გაეთიშათ ოჩამჩირელი ქრისტიანი აფხაზები გუდაუთის მუსულმანი აფხაზებისაგან. „ამტკიცებდნენ", რომ გუდაუთის მუსულმანი აფხაზების უმეტესობა გააფხაზებული აფსარ-ადიღია ან თურქი. ისინი ფართედ იყენებდნენ გუდაუთის რაიკომის მდივან კ. ოზგანის თურქული წარმომავლობის ფაქტს. მიუთითებდნენ, რომ 15-16 ივლისის (1989 წ), სისხლიანი შეჯახებისას ქართველების წინააღმდეგ ბევრი გააფხაზებული თუქრი მონაწილეობდა. ამტკიცებდნენ, რამდენადაც აფხაზეთის მთავართა რეზიდენცია სოფ. ლიხნში მდებარეობდა, ჩრდილოეთიდან გადმოყვანილი მებრძოლები, მის გარშემო სახლდებოდნენ, თანდათან ივიწყებდნენ თავის აბაზინ-ადიღეველობას (ქართველები მათ აფსარებს უწოდებდნენ), წარმართობას, მუსულმანურ რელიგიას ეზიარებოდნენ და ბოლოს აფხაზდებოდნენ. უფრო ზუსტად XIX ს. ჩათვლით მათ რუსები აბაზინებს უწოდებდნენ, ქართველები კი, რაკი აფხაზეთში ცხოვრეობდნენ – აფხაზებს. ბოლოს რუსებმაც მათ აფხაზები უწოდეს და საერთო ანტიქართულ მოძრაობაში ჩართეს.

ქართველების ასეთი პოზიცია რელიგიის საკითხში, მიზნად ისახავდა ერთი მხრივ აფხაზების გათიშვას, მეორე მხრივ კი ჩამოშორებას კავკასიის მუსულმანი მთიულებისაგან და ქრისტიანული რუსეთისაგან. მადლობა უფალს, აფხაზები ფხიზლად იყვენ და არ მისცეს ქართველებს იმპერიული პრინციპის „გათიშე და იბატონე", განხორციელების საშუალება. ცნობილმა სპეციალისტმა სტანისლავ ლაკობამ „დაამტკიცა",

რომ აფხაზები უძველესი ქრისტიანებია და მუსულმანობა გვიან XVII ს. გავრცელდა. და ვის შეუძლია იმის „უარყოფა“, რომ ქრისტიანობის გამავრცელებელი წმინდა ნინო გემით მივიდა აფხაზეთში, მოაქცია ახალ რელიგიაზე ერი და აქედან გადავიდა ქართლის სამეფოში. დიახ! ჯერ აფხაზები, შემდეგ ქართლელები და სხვები. მთავარია, რომ ამ მხრივაც პირველი ხარ, ქართველებს აჯობე.

ქართველებსარც დემოგრაფიული საკითხი დარჩენიათ უყურადღებოდ. აფხაზთა გასაღიაიანებლად სულ იმას იმეროებდნენ: აფხაზეთში აფხაზები მოსახლეობის 17%, ქართველები 47%. მიჩქმალული იყო ის ფაქტი, რომ XIX ს. აფხაზები მდ. ენგურიდან ხოსტმდე ცხოვრობდნენ, რომ ქ. სოჭი აფხაზური იყო და რომ არა მუჰაჯირობა, უმრავლესობაშიც იქნებოდნენ. ქართველები ამავე დროს არაფერს ამბობდნენ აფხაზთა რეპრესიებზე, ქართველების ძალით ჩასახლებაზე და ა.შ. სანაცვლოდ მუდმივად საყვედურობდნენ აფხაზებს, ცოტანი ხართო, მაგრამ ყველა პრესტიჟული და „შემოსვლიანი“ თანამდებობა თქვენ გიკავიათო. თავხედები. აფხაზეთში აფხაზი უნდა იყოს პრივილეგირებული. აბა სხვა ვინ? ამასთან, მხედველობაში მისაღებია ვ. კვარჭია-სა და თ. აჩუგბას დემოგრაფიული „კვლევების“ შედეგები: 1870 წლამდე აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ. XVII ს. ბოლოს მათი რაოდენობა 600 ათასს შეადგენდა, XVIII ს. ბოლოს 200 ათასს... პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ისინი მოსახლეობის 60% წარმოადგენდნენ. ალბათ ასევე დარჩებოდა, რომ არა ქართველთა მუხთლობა. 1926 წ. და 1939 წ. მოსახლეობის აღწერების დროს სამურზაყანოელები ქართველებად ჩაწერეს და არა აფხაზებად. მთელი XX ს. მანძილზე ქართველები მექანიკურად, სისტემატურად ამცირებდნენ აფხაზთა რაოდენობას და ბოლოს 17.8% შეკვეცეს. ქართველები ყურადღებას არ აქცევდნენ იმ ფაქტს, რომ მოსახლეობის უმეტესობა მართალია მეგრულად მეტყველებდა, თავს მეგრელად (და არა ქართველად) მიიჩნევდა, მაგრამ რაც მთავარია თვითშეგნება აფხაზური ჰქონდათ. ესაც ხომ ქართული იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგია. თანაც როგორ ურცხვად „ამტკიცებდნენ“: XVII ს. ბოლოს აფხაზებმა აფსარების დახმარებით მიიტაცეს სამეგრელოს ტერიტორია და დაიწყეს მეგრელების ასიმილაცია. ასეც რომ ყოფილიყო ქართველებს რა ეკითხებათ მეგრელებისა და აფხაზების ურთიერთობა, მეგრელები ხომ ქართველები არ არიან. ქართველებს არ აწყენთ ამის ცოდნა. გასაგებია?

ქართველებთან ხანგრძლივი დავის პროცესში მივიწყებული იქნა ისტორიის ის უკულმართი მოვლენები, რაც რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შედეგად განვითარდა აფხაზეთში. უარესიც რომ ექნა რუსეთის მთავრობას, მაინც მოსათმენი იქნებოდა, რადგან ქართველებთან ჭიდილში ის იყო აფხაზების დამცველი. რუსების მხარდაჭერის გარეშე აფხაზები ქართულ იმპერიალიზმს ვერ დაამარცხებდნენ. დაამარცხებდნენ კი არა, ბრძოლის დაწყებასაც ვერ მოახერხებდნენ.

შორს რომ არ მოვედოთ, საკმარისია 1992-1993 წ. გადამწყვეტი ომის მოგების ისტორიის გახსნება. აფხაზების იმ ნაწილს, რომლებიც საომრად ემზადებოდნენ, სწორედაც რომ რუსეთმა მისცა იარაღი. სხვანაირად გუდაუთის სამხედრო ბაზას ახლოსაც ვერ გაეკარებოდნენ. რუსეთმა აიძულა საქართველოს მთავრობა ფსკოვის საჰაერო-სადესანტო პოლკი მშვიდობის დამცველებად მიეღო. რუსეთის სპეციალისტებმა შექმნეს ე.წ. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, შეაიარაღეს და ქართველობას მიუსიეს. რუსეთის სპეციალისტებმა მონათლეს კაზაკები, როგორც ვითომ დაუმორჩილებელი, ცაკლე არარუსული ფენა და ისინიც ქართველების წინააღმდეგ შეაიარაღეს. რუსულ-სომხური ალიანსის შეგონებით ჩამოყალიბდა ე.წ. ბაგრამიანის სომხური ბრიგადა. ისინიც რუსული იარაღით აღჭურვილები დაერივნენ დაუცველ ქართულ მშვიდობიან მოსახლეობას. მოკლედ, რუსული იყო საომარი სამზადისი, რუსეთის სამხედრო შტაბებში შემუშავებული გეგმა, რუსული იარაღი, რუსული ფული, რუსული საინფორმაციო უზრუნველყოფა.

და რა ექნათ ქართველებს. საკვირველი ისაა, რომ ომი მთელი წელიწადი მიმდინარეობდა და არა ერთი თვე. საკვირველია, რომ ქართველებს რუსეთიდან მოევლინენ მთავარსარდალი (ე. შევარდნაძე), თავდაცვის მინისტრი (ვ. ნადიბაიძე), კრიტიკულ მომენტში ზურგში დანის დამრტყმელი (ზ. გამსახურდია) და ომი მაინც ხანგრძლივი აღმოჩნდა. საფიქრალია, რომ ხანგრძლივობაც რუსეთს აწყობდა. უნდა დამარცხებულიყო საქართველო და დასუსტებულიყო აფხაზეთი. ასე უფრო მომგებიანი იქნებოდა წინასწარ ცნობილი შედეგი. ომის დასრულების შემდეგ დგება ანალიზის პერიოდი.

რა გვიჩვენა ამ ომმა?

პირველი, ეს იყო აფხაზებსა და ქართველებს შორის წარმოებული „ეთნოკონფლიქტი“, თუ რუსეთის მიერ დაგეგმილი და საჭირო დროს ამოქმედებული ნაღმი?

მეორე და არსებითი. შესადარებელია ძალთა თანაფარდობა და ის, რაც მოხდა რუსული რეგულარული სამხედრო ძალების ამოქმედების შემდეგ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს. ორი ათასი წლის მანძილზე არა ყფილა კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის. 1661 წ., როცა ქართლ-კახეთის მეფე ვახტანგ V დასავლეთში გადავიდა და იმერეთ-გურია-სამეგრელო-რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი დაიმორჩილა, ზუგდიდში მყოფ მეფეს, აფხაზეთის (იმ დროს უკვე დადიანებისაგან განდგომილი აფხაზეთის) მთავარი ეწვია მორჩილების და ერთობის ცნობით. თუ შეუძლიათ, სხვებმა დაამტკიცონ ამ ცნობის სიყალბე. დიახ, აფხაზეთის მთავარს და საერთოდ აფხაზებს, ჯერ კიდევ გაცნობიერებული ჰქონდათ ერთობის გრძნობა.

ქართველებს, როგორც უმრავლესობას მეტი მოეთხოვებათ და მეტად უნდა გაიანგარიშონ აფხაზებთან „კონფლიქტის“ საერთო დადებითი და უარყოფითი. აქ სპეციალურად არაა გადმოცემული დაპირისპირების პერიპეტიები. მთავარი ის კი არაა რაც იყო, მთავარია მომავალი.

მოკლე მიმოხილვის მიზანი იყო ეჩვენებინა, რომ აფხაზები ძველი თუ ახალი, აფხაზეთში მაცხოვრებელი თუ წასული, უცილობლად კავკასიონელებს წარმოადგენენ და შედიან კავკასიონელების ერთიან ოჯახში.

***

კავკასიონელების ჩამოთვლა სრული არ იქნება თუ არ შევეხეთ დანარჩენ ეგროსელებსა და ქართლოსებს.

ეგროსლები, თანამედროვე მეგრელები და სვანები, რაჭველები და ლეჩხუმელები, საერთოდ დასავლეთ საქართველოს აბორიგენი ტომები, საკუთრივ აფხაზეთშიც მუდამ მოსახლეობის უდიდეს თუ არა, მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ. აფხაზური და მეგრული გვარების იდენტურობა, მეგრელების გააფხაზების ან აფხაზების გამეგრელების შედეგი კი არ უნდა იყოს, არამედ მათი ეგროსელობისა, ნათესაობისა ათასწლეულების მანძილზე. ამიტომაც იყო, რომ თანაარსებობის არც ერთ პერიოდში არ აღინიშნებოდა ასიმილაციის ფაქტი.

საილუსტრაციოდ მივმართოთ დღევანდელი აფხაზეთის ფარგლებში ე. წ. ქართველებისა და აფხაზების დემოგრაფიული თანაფარდობის

მონაცემებს: 1886 წ. აფხაზეთში ცხოვრობდა 28320 აფხაზი (ძველი და ახალი) და 34806 ქართველი; 1926 წ. 55918 აფხაზი და 67 414 ქართველი; 1959 წ. 61193 აფხაზი და 158221 ქართველი; 1970 წ.

83097 აფხაზი და 213322 ქართველი; 1989 წ. 93267 აფხაზი და 239872 ქართველი.

თანაფარდობა მხოლოდ მოსახლეობის უკანასკნელი, 1989 წ. აღწერის შემდეგ შეიცვალა. როგორც თანამედროვე რუსი და აფხაზი მკვლევარები ამტკიცებენ, ქართველებმა მოახდინეს აფხაზთა „გენოციდი", რომლის შედეგად აფხაზეთში აფხაზი მოსახლეობა უმრავლესობა გახდა, ქართველები ბევრად ნაკლები დარჩა, ვიდრე აფხაზია. ასეთია „ქართული იმპერიალისტური" ქმედების შედეგი აფხაზეთში.

ეს რაც შეეხება აფხაზეთში ქართველებისა და აფხაზების რაოდენობრივი თანაფარდობის საკითხს, თორემ მოძმე სომეხი და რუსი მოსახლეობა კიდევაც რომ იყოს უფრო მეტი, ეს სახიფათო არ არის. ისინი უაღრესად გაგებით ეკიდებიან აფხაზთა თანამდებობრივ სიამაყეს, ეკონომიკური ძალაუფლებით კმაყოფილდებიან და ჯერ ხანობით მაინც ადმინისტრაციულ-პოლიტიკური „არ აინტერესებთ."

ძველ აფხაზებს გარდა ეგროსელებს ლაზ-ეგრისელები და სვანები განეკუთვნებიან. ამიტომ იყო, რომ ძველი მკვლევარები აღნიშნავდნენ: ადრე არსებულ კოლხიდას (რომლის მნიშვნელოვან ნაწილს მომავალი აფხაზეთი წარმოადგენდა), ახლა ლაზიკა ეწოდებაო. (პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე, აგათია სქოლასტიკოსი). როგორც კოლხიდა, ასევე მისი მემკვიდრე ლაზიკა ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. გასახსენებელია ის ფაქტი, რომ ძველი ლაია, ლაიაში, შემდეგ ძველი ლაზიკა იყო ის ციხე-ქალაქი, რომელსაც პომპეუსმა ნიკოფსი (ან ნიკეფსი) უწოდა და საიდანაც იწყებოდა საქართველოს ტერიტორიული საზღვრების დახასიათება (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ა. შ.). სწორედ ამ ლაზიკას გამოეყო VI ს. აბაზგიის სამთავრო და უშუალოდ ბიზანტიის იმპერიის დაქვემდებარებაში გადავიდა. აქვე უნდა მიეთითოს, რომ აბაზგიის (შემდეგ მას აფხაზეთი ეწოდა სანიგეთთან, აფშილეთთან, მისიმილიანეთთან ერთად). მოწყვეტა დედა ლაზიკისა- გან დროებითი აღმოჩნდა. VIII ს. ლეონიდებმა (ლეონ I, მთავარმა და ლეონ II, მეფემ), კვლავ გააერთიანეს ეს ორი მხარე. შესაბამისად, აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობა გაერთიანდა ყოფილი ლაზიკის სამეფოს მოსახლეობასთან.

აქ, კიდევ ერთი საკითხია მხედველობაში მისაღები. ერთნარქოსი ეგროსი და ეგროსელები ლეონტი მროველის მიხედვით თუბალია. ასეთივე თუბალ-თობელ-ტაბალი როგორებიც იყვნენ მისი განაყარი ძმები ჰაოსი, ქართოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ჰეროსი, ლეკოსი და კავკასოსი. ეგროსისა და ეგროსელების (და არა ეგრისელების) დამკვიდრება ლიხის მთის დასავლეთით არ მოხდებოდა ცარიელ მიწებზე. ისევე, როგორც ქართოსიანებს (ბარის იბერებს) აქ მთის იბერები დახვდნენ, რომლებიც მიგრანტების მიწოლით ჩრდილოეთით გადავიდნენ, ასევე ეგროსელებს დახვდნენ ადგილობრივი ტომები. მროველის მიხედვით, უკაციელი (დღევანდელი გაგებით უკაცრიელი) მხარე მხოლოდ ლეკოსიანებსა და კავკა- სიანებს უნდა აეთვისებინათ. შესაბამისად, ისმის ბუნებრივი კითხვა: ვინ, როგორი წარსულის მქონე ტომები უნდა დახვედროდნენ ეგროსელებს? ამ კითხვის პასუხს მხოლოდ „ბიბლია“ და „ქართლის ცხოვრება“ იძლევიან. უკვე იყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ ბიბლია ერთად ასახელებს თუბალ-თობალს და მეშეხს. პირველი წარმომავლობის ტომები შემდეგ იძენენ ტაბალის (ასურეთულად) და ბოლოს იბერის სახელს (იოსებ ფლავიოსი), მეორენი კი მუშქ, მუსკ, მესხოი, მოსხი, მესხებად ხდებიან ცნობილნი და კაპადოკიელთა წინაპრებად ითვლებიან (იგივე იოსებ ფლავიოსი).

ახლა გავიხსენოთ ტაბალ თარგამოსის სამფლობელოს საზღვრები. კავკასიონიდან-ორეთის (ხმელთაშუა ზღვამდე), ურმია-ვანის ტბებიდან მუშქების სამფლობელომდე. ძალზე ვრცელი მიდამოა. არა ნაკლებ ვრცელი იყო მუშქების არე. ეგეოსის აუზიდან მოყოლებული თარგამოსიანებამდე. ეკავათ მათ პონტოს (სპერის, შავი) ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო თუ არა? კითხვა ლოგიკურია, პასუხი საძებნელი.

არც „ბიბლია“ და არც „ქართლის ცხოვრება“ კონკრეტულ პასუხს არ იძლევიან. მაგრამ ამ შესაძლებლობას არც უარყოფენ. სხვა წყარობები?

უძველეს ცნობას იძლევა ძვ. წ. ა. Vს. ავტორი ჰელანიკე მიტილენელი. პონტოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მკვიდრ ტომებს შორის იგი „მოსხებს“ ასახელებს. დადასტურებულად სანდო სტრაბონი თავის გეოგრაფიულ აღწერილობაში კოლხებს ზევით (ჩრდილო-დასავლეთით) ასევე „მოსხებს“ ათავსებს (თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957. გვ. 120).

გვიანი პერიოდის უდიდესი მკვლევარი ნიკო მარი ეჭვს გარეშე აყენებდა დებულებას სვანების მესხურიდან მომდინარეობის შესახებ. მისი აზრით აბასხი, აბასკი, აბაზგი (აქედან ობეზი, ებზე) მესხური ფუძიდანაა ნაწარმოები. როდესაც ფლავიუს არიანე (95-175 წწ.) სამსახურებრივი მოვალეობის გამო შავი ზღვის პირეთში მოგზაურობდა, მომავალი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსილებსა (აფშილებსა) და სანიგებს შორის აბასკების ტომს ასახელებდა, ბუნებრივია, არიანე არა ფიქრობდა, რომ ამით საფუძველს უმაგრებდა ნიკო მარის ნათქვამს.

თანამედროვე მკვლევარები მიუთითებენ ამ არეალში მესხური წარმომავლობის ტოპონიმების არსებობაზე.

შეიძლება თუ არა ვარაუდი, რომ ეგროსელებს ლიხის მთას იქით მეშეხ-მუშქ-მუსკ-მესხოი-მასხი-მოსხი-მესხ-ური წარმომავლობის მოსახლეობა დახვდათ და მათი შევიწროების, შეერთების, განდევნის გზით მოიპოვეს სასიცოცხლო არეალი? სხვა შემთხვევაში საკითხს ახსნა სჭირდება. სხვა ახსნა კი არ ჩანს.

თუ დაიშვება ასეთი ვარაუდის რეალობა, მაშინ ლოგიკურ ჩარჩოში ჯდება ძველ მკვლევართა მიერ მოცემული ცნობა ტომთა რაობის შესახებ. ასევე ლოგიკური ხდება მესხი, მოსხო, მასხი, აბასხის დაკავშირება აბასკ, აბაზგ, აფხაზთან. და რა გამოდის ასეთი ნათქვამიდან? ეგროსელები (და არა ეგრისელები) არიან თუბალ-მეშეხის შთამომავალთა ურთეირთშერევის შედეგი? და თუ ასეა, მაშინ თუბალთა და მეშეხთა თანაფარდობას სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა დონით უნდა გამოეწვია დიალექტების გაჩენა, რომელიც მომავალში ენობრივ სხვაობამდე მიგვიყვანდა?

ტომთა სიმრავლე ერთი ეთნოსის ფარგლებშიც შეიძლებოდა და არც დიალექტთა სიმრავლეს გამორიცხავდა. ასევე ჩვეულებრივი მოვ- ლენა იყო ტომთა, ტომის შიგნით და მით უფრო ეთნოსთა მიმართბაში სახელწოდებასა და თვით სახელს შორის სხვაობა და სიმრავლე. ვთქვათ ასეთი ცნობილი ფაქტი: საუკუნეთა მანძილზე მდ. ენგურის მარცხენა მხარის ეგროსლებს კოლხებსაც უწოდებდნენ, ლაზებსაც, ზანებსაც, ეგრისელებსაც, მეგრელებსაც, ოდიშელებსაც. მარჯვენა მხარის ეგროსელებიც იწოდებოდნენ სხვადასხვანაირად. მათ შორის, აფხაზებადაც იწოდებოდნენ სამურზაყანოს მაცხოვრებელი ეგრისელები. იყვნენ ისინი XIX ს. ჩათვლით თვითმარქვია აფხაზები, თანამედროვე ადიღ-აფხაზებთან

მიმართებაში თუ იყვნენ ისტორიული აფხაზები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადაადგილება მოხდა? პასუხი დიდ დაკვირვებასა და გარკვეულ გაბედულებასაც მოითხოვს, პრინციპულობასთან ერთად.

საკითხს მეორე მხარეც აქვს. ძველ ავტორთა (და არა მხოლოდ მათი) მოწმობის თანახმად მეოტები და სინდები მხოლოდ სარმატების ლაშქრობის დროს (ძვ. წ. ა. VI) ხდებიან საცნაურნი. ისინი იკავებენ აზოვის ზღვის აღმოსავლეთ, ჭაობიან ადგილებს. მათი სამხრეთი საზღვარი ტამანის ნახევარკუნძული და მდ. ყუბანის ზღვასთან შესართავის მარჯვენა მხარეა. მდ. ყუბანის (მდ. მცირე ხაზარეთისა) მარცხენა მხრიდან ჭოროხ-ტრაპეზუნტამდე ეგროსელებისაა. ამ არეალის ყველაზე უფრო ცნობილ და მრავალრიცხოვან ტომთა გაერთიანებას მოგვიანებით იცნობენ ჰენიოხების სახელით.

ჰენიოხების შესახებ მშრალად, მაგრამ არსებითად უკვე ითქვა. იქ, სადაც ჩრდილოეთის ჰენიოხები იხსენიებიან, (ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე) მრავალი ტომია დაფიქსირებული. მათ შესახებაც მრავალი აზრია გამოთქმული. გასახსენებელია ორი მომენტი: 1. ჰენიოხები ტომთა ოთხი გაერთიანება იყო თავისი ოთხი მეფით; 2. ტომების სახელწოდებანი მაშინ ფიქსირდება, როცა ქრება სახელწოდება-ჰენიოხები. ეს ტომები ჩნდებიან ჰენიოხების არეალში, ჰენიოხების შემდეგ.

აქედან გამომდინარე იბადება კითხვა: აერთიანებდა თუ არა ჰენიოხობა ეგროსელთა ყველა ძირითად ბირთვს? თუ არა, მაშინ საჭირო ხდება იმის ახსნა საიდან გამოჩნდნენ აფხაზების, ლაზების, სვანების წინაპარი ტომები ამ არეალში.

ამ ტომთა შორის ძველი ავტორები ასახელებენ სოანებს, სოანოკოლხებს, სანიგებს, მკვლევართა უმეტესობა მათ სვანებს მიაკუთვნებს. მათ შესახებ სტრაბონი აღნიშნავს: „მახლობლად (ფთიროფაგების) არიან სვანები. სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ. ფლობენ ისინი ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის. ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი, და როგორც ამბობენ ჰკრეფენ ლაშქარს 200 000 კაცის რაოდენობით.“

მკვლევართა მოწმობით სვანებს ეპყრათ კავკასიონის არა მხოლოდ მწვერვალები, არამედ მთათა კალთები კავკასიონის გარშემო. უფრო ზუსტად კავკასიონის დასავლეთი ნაწილის გარშემო.

სვანების მოსახლეობა კავკასიონის სამხრეთ ნაწილში დღემდე გრძელდება და ეჭვს სტრაბონის ცნობა არ იწვევს. მკვლევართა უმრავლესობა იმაზეც თანხმდება, რომ ადრეულ პერიოდებში სვანებს კავკასიონის ჩრდილოეთი ნაწილი ეკავათ. კამათს მხოლოდ ის იწვევს, სვანები აღწევდნენ თუ არა მდ. ყუბანის მარცხენა ნაპირს. პროფ. კ. მერეტუკოვი უამრავ მასალას იძლევა იმის დასტურად, რომ სვანური ტოპონიმები და ჰიდრონიმები მიმობნეულია მდ. ყუბანამდე და ზოგ შემთხვევაში „საზღვარს იქითაც“. მოგვიანებით სვანთა საცხოვრებელ არეალს ირანულ ენოვანი და თურქულ ენოვანი ტომები იკავებენ და აბორიგენებს ან შეიერთებენ ან განდევნიან. ყოველ შემთხვევაში, XVIII ს., სვანები ჯერ კიდევ ითვლებიან ჩრდილოეთ კავკასიის მაცხოვრებლებად. ცნობილია, რომ 1743 წ. ყაბარდოელებმა, რუსეთის მთავრობას მისწერეს ჩრდილო კავკასიელების ეთნო შემადგენლების შესახებ და აღნიშნეს: ადიღების, ყარაჩაელების, თემირგოველების გარდა სვანებიც ცხოვრობენო. წერილში ნათქვამია: «Четвертый народ Сони , „ живут на вершинах реки Баксана, близ вершин реки Кумы и Кубани». (Известия Северо-осетинского научно исследовательского института. т VI,ордж. 1934). ზედმეტია განმარტება, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სვანებს ეძახიან სონი ან ებზე. ეხება რა იმავე ჩრდილო კავკასიონელ ტომებს ჰუგო შუხარდტი აღნიშნავს, რომ ყველა მონაცემით, ამ ტომებს შორის სვანებს და სვანურ ენას ერთ დროს გაბატონებული მდგომარეობა ეკავაო. მისი თქმით, სვანეთი «С севера отделяется Кавказским хребтом от тюркских языков, в области которых сванский язык, судя по некоторым данным занимал некогда господствующее положение.» (Г. Шухардт. О географии статистике картвельских (южнокартвельских) языков. Тифлис, 1899, с. 20).

მკვლევარები, კავკასიონის ჩრდილოეთ ნაწილში, არაერთგზის მიუთითებენ სვანური მატერიალური კულტურის ნაშთების არსებობაზე. ამ მხრივ ნაყოფიერად იშრომეს თ. მიბჩუანმა, ზ. რატიანმა, გ. გასვიანმა და სხვა. და ამ მასალის განმეორება საკითხში სიცხადეს ვერ გააღრმავებს.

უფრო საინტერესოა ძველი ავტორის, მენანდრეს მითითება, რომ სვანები „...ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს...“ (გეორგიკა, ტ. III, გვ. 221). გარკვევითაა ნათქვამი: არა მხოლოდ

სამხრეთში ან ჩრდილოეთში, არამედ გარშემო, რაც ნიშნავს კავკასიონის დასავლეთი ნაწილის იმ კუთხესაც, რომელიც შავი ზღვის პირს გასდევს.

ანთროპოლოგებმა კარგა ხანია დაადგინეს კავკასიელთა (და არა მხოლოდ კავკასიონელთა) ტიპიურობის საკითხი. აღმოჩნდა, რომ სვანების ჩრდილოელი მეზობლები, რომელბიც თურქულ ენოვანი და კავკასიონის მიდამოებში გვიან ჩასახლებულები არიან, ანთროპოლოგიურად კავკასიურ ტიპს განეკუთვნებიან. აქედან კეთდება ლოგიკური დასკვნა: ამ ადგილებში მაცხოვრებელმა სვანებმა ასიმილაციის შედეგად შეიძინეს თურქული ენა, რელიგია, ადათ-წესები, შეერივნენ მოსულებს, მაგრამ ანთროპოლოგიური მონაცემები შეინარჩუნეს. უკვე იყო თქმული, რომ ყარაჩაელთა და ბალყართა ნაწილს ჯერაც ახსოვს სვანური წარმომავლობის შესახებ.

რაც შეეხება კავკასიონის დასავლეთს, აქ თუბალ-ტაბალ, თარგამოსიანელ ეგროსელებს დახვდათ მუშქ-მუსკ-მესხ-კოლხთა ტომები. ძვ. წ. ა. III ათასწლეულში (თუ უფრო ადრე არა) ეს შეხვედრა, ურთიერთობა იყო ძალადობრივი თუ მშვიდობიანი, ამის განსაზღვრა რთულია. მთავარია, რომ ათასწლეულების შემდეგ, როდესაც ცნობადები ხდებიან ცალკეული ტომები, მათ შორის გამოარჩევენ მესხურ-ლაზური და ეგროსულ-სვანური წარმომავლობისას.

აქ მცირე განმარტებაა საჭირო. ნიკო მარი, თავად სვანებსაც მესხების განაყარად მიიჩნევდა. ასეთი დაშვება შესაძლებელია ერთი პირობით: უნდა განიმარტოს მესხ-ლაზთა და სვანთა ერთი მხრივ და სვან-მესხთა და ეგრისელთა (და არა ეგროსელთა) ურთიერთ მიმართების საკითხი. თუ ენათმეცნიერები ამტკიცებენ ძვ. წ. ა. III ათასწლეულში მეგრულისა და სვანურის ჯერ მხოლოდ დიალექტის დონეზე დაშორიშორების შესაძლებლობას, მაშინ ჯერ კიდევ შეიძლება მსჯელობა საერთო ენის შესახებ. ასევე შეიძლება მსჯელობა მეგრელებისა და სვანების ერთიანი წარმომავლობის შესახებ. და თუ სვანები მესხური წარმომავლობისანი არიან, იგივე უნდა ითქვას მეგრელებზე. ასეთ შემ- თხვევაში კი ისმის კითხვა: ვინ, რომელი ტომები არიან ეგროსელები? რატომ არის რომ ლეონტი მროველი როცა დურძუკთა ჩასახლებაზე საუბრობს, მეფე საურმაგის მიერ, კავკასიონის არეალში, ეგროსელებში ახსენებს მეგრელებს და სვანებს. რა ცდებოდა? თუ ეგროსი არ იყო თარგამოსიანელი? კითხვა სულაც არაა რიტორიკისათვის. იმის მიხედვით თუ რა დასკვნა გაკეთდება, შეიძლება მსჯელობა ბევრი ძველი ტომის შესახებ. დადას-

ტურებულია, რომ ნიკო მარი სახელწოდებებს აბასხი, აბაზგი, აბასკი, აქედან მომდინარე ობეზი, ებზე ერთი ფუძიდან მომდინარე სიტყვებად მიიჩნევდა და მათ ქვეშ სვანებსაც გულისხმობდა. სტრაბონის მიხედვით ტამანის ნახევარკუნძული სინდებს (ადი- ღეველთა წინაპრებს მეოტებთან ერთად) ეკავათ. მათი ნავსადგური სინდიკადან 400 სტადიის მანძილზე (სტადია 177,6 მეტრს შეადგენდა) ბატიები იყვნენ, მათ მოსდევდათ კერკეტების (850 სტადია), შემდეგი იყვნენ ახეელები (500 სტადია). გადმოცემით ახეელები (აქაველები) საპელაზგოდან (ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან) გადმოსახლებულები იყვნენ შავი ზღვის პირეთში ბერძნული კოლონიების (ფაქტორიების) დაარსებასთან დაკავშირებით. ახეელების სამხრეთი ეკავათ ჰენიოხებს

1000 სტადიის მანძილზე და მიდიოდნენ პიტიუნტამდე (ბიჭვინთამდე). სტრაბონი ბიჭვინთასა და დიოსკურიას (სოხუმს შორის მანძილს 360 სტადიად ანგარიშობს. ამ დაანგარიშებით კავკასიონის დასავლეთი ნაწილი (ზღვის პირი) ჰენიოხებს ეკუთვნოდათ. რამდენადაც ჰენიოხების მნიშვნელოვანი შემადგენელი სვანები იყვნენ, გამოდის რომ ამ მხარეში სვანებსაც უცხოვრიათ.

მაგრამ მხოლოდ სვანებს? როცა ძველი ავტორები მსჯელობენ ძველი ლაზიკის შესახებ, ეს ხომ მითითებაა იმაზე, რომ ანაპიდან სამხრეთით ძველ დროში ლაზებს უცხოვრიათ. როცა ძვ. წ. ა. Vს. ავტორი აცხადებს, რომ კერკეტების ზევით სახლობენ მოსხები, ხოლო ქვემოთ ჰენიოხები, ეს ხომ მათ შორის სხვაობაზე მითითებაა. როცა ახსენებენ სუანო-კოლხებს, ეს სვანურ-კოლხურ შერეულ მოსახლეობაზე მეტყველებს. ასევე შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ამ შერეული მოსახლეობის გარდა შეიძლება ყოფილიყვნენ სხვა (წმინდა) კოლხები, სხვა (წმინდა) სვანები და ა. შ.

დასაშვებია მსჯელობა იმის შესახებაც, რომ ჰენიოხობა, როგორც არა ტომობრივი, არამედ ვთქვათ რელიგიური მახასიათებელი აერთიანებდა როგორც ეგროსელებს, ასევე კოლხურ-ლაზური წარმომავლობის სხვა ტომებსაც. სხვანაირად ჰენიოხობა კავკასიონის ჩრდილოეთიდან ჭოროხამდე გაუგებარია და სხვა განმარტებას საჭიროებს.

ამ მცირე მსჯელობიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ეგროსელები კავკასიონის უძველეს მოსახლეთა შორის იყვნენ.

რჩება ქართ-ოსის (ქართლოსის) მონათესავე ტომთა საკითხი.

***

კავკასიონის ცენტრალური სამხრეთი მხარე ქართ-ოსის მონათესავე ტომებს უნდა რგებოდათ. ლეონტი მროველი არა ორაზროვან განცხადებას აკეთებს ქართოსიანთა მიწა-წყლის საზღვრების შესახებ. შეხსენებისათვის. მროველი წერს: „მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; ...ჩრდილოთ საზღვარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოსდის შტოდ კავკასისგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქვან ლიხი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. თბ. 1955. გვ. 4).

დასამახსოვრებელია, რომ ეგროსისაგან განსხვავებით, ქართლოსისათვის კავკასიონის არა მხოლოდ ჩრდილოეთი მხარე არ გამოუყვიათ, არამედ თავად მთაგრეხილის ძირითადი ნაწილიც. ქართების ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ერთი შტო იყო. რატომ? საჭირო ხდება გახსენება სახელწოდებებისა: ბარის იბერები და მთის იბერები. მართალია სახელწოდებები შედარებით გვიან უნდა დამკვიდრებულიყო, მაგრამ არსებითია იმის აღნიშვნა, რომ იყვნენ მთის იბერები. აქ კიდევ ერთი (შეიძლება დაკარგული ან უმნიშვნელო) ცნობა გახსენებისათვის: ხადოს მთის (შეიძლება ესა მროველის მეირ საზღვრად დადგენილი ღადო) გასწვრივ იყო სასაზღვრო ციხე-კოშკების ნარჩენები. შეიძლება ეს მთისა და ბარის იბერთა გამყოფი იყო? თუ გავითვალისწინებთ ღვაწლმოსილი ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებას ქართლის საზღვრის, წილკანის (წინკარის) და ა. შ. შესახებ, საჭირო გახდება უფრო მიზანმიმართული კვლევა, ვიდრე ეს დვალებთან და ოვსებთან მიმართებაში არის ჩატარებული. იყვნენ დვალები, წანარები, ვაინახები კავკასოსის ნათესავი ტომების ერთადერთი წარმომადგენლები თუ მათში შეიძლება ვიგულისხმოთ თუშები, ფხოველები, ჭართლელები. და არა მარტო ისინი?

მხოლოდ ყურადღების გამახვილების მიზნით. ბევრად გვიან პერიოდში ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს სამეფოს აღწერისას, რამდენიმე საყურადღებო ცნობას იძლევა. კერძოდ, ეხება რა გიორგი III ლაშქრობას ამბობს: „სცნა გიორგი მეფემან, შეიკრიბნა სპანი თვისნი იმერ-ამერნი, ზემო-ქუემონი...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ. 1973. გვ. 167). საინტერესოა ვინ შეიძლება ყოფილიყო „ზემო“-ს შემადგენლობაში? მეორეგან

ავტორი ეხება რა „ზემო-ქვემოს“ საკითხს, აზუსტებს მათ საზღვარს და ამბობს „...ზემო-ქუემოთა ზღუად პონტო-კასპიამდე“ (გვ. 168.).

შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ბევრი „ზემო“ ცხოვრობდა. იმ დროს საქართველოს სამეფოს ორ ზღვას შორის კავკასიონის ჩრდილოეთ-სამხრეთი ეკუთვნოდა. შესაბამისად ამ ნათქვამში მრავალი ეთნოსისა და უფრო მეტი ტომების მოაზრება შეიძლება.

და მაინც არის ერთი საყურადღებო ცნობა. იმავე პერიოდში გიორგი III სალაშქროდ „გადმოიყვანნა ოვსნი“. ერთიანი ძალით ილაშქრა დარუბანდის მხარეს და რაც მთავარია „...წარმოსულმან მუნით მოარბია ბასიანი, რომელიცა სახკრველი იყო კაცთაგან“ (გვ. 169). საკითხავია, რომელ ბასიანზეა საუბარი? დარუბანდიდან წამოსულ ლაშქარს გზად მხოლოდ ჩრდილოეთის ბასიანის დარბევა შეეძლო. არაა გამორიცხული, რომ იმ დროს ბასიანელები ცალკე ტომს შეადგენდნენ და თუ ისინი ურჩობდნენ, შეიძლება მათი მორჩილებაში მოყვანა ჩაითვალა აუცილებლად. თუ ეს ასეა და მეფის ლაშქარი სხვა „ზემო“ მაცხოვრებლები, ვთქვათ ოვსები მონაწილეობდნენ, მაშინ დასადგენია ბასიანის მოსახლეობა რომელ ტომს ეკუთვნოდა. ბასიანი, მოქცეული ეგროსელების, ალანებს (არა ოვსებს) და დვალებს შორის, რამდენად ინარჩუნებდა თვითმყოფადობას ან ხომ არ იყო მოსახლეობა უკვე დურძუკებთან ასიმილირებული?

სხვა ადგილას ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს. გიორგი მეფემ „...გამოიყვანნა კუალად ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი“ (გვ. 270). საინტერესო განმარტებაა: კავკასნი ამ შემთხვევაში განსხვავდებიან არა მხოლოდ ოვსთაგან, არამედ ძურძუკთაგანაც. თუ მროველი დურძუკებს კავკასიანთა მხოლდო ერთ დიდ ნაწილად მიიჩნევს, აქ ხაზგასმულია მათი არა ძურძუკელობა. ვინ? დვალები და წანარები აღიარებული არიან კავკასიელებად (კავკასიონებად). სხვა? ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს რა ქნოღო-მაღრან-დვალეთის საზღვრებს, დიდი და პატარა ლიახვის სათავეებით, აღნიშნავს, რომ აქ უკვე ოსები სახლობენ. დასკვნა ასეთია: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი“ (გვ. 363). „ქართველნი გლეხნი“ უეჭველად მოიცავს შერეულ მოსახლეობას.

თუ დვალეთში ჯერ კიდევ ისმოდა დვალური მეტყველება უკვე ოსურთან ერთად, დვალეთის სამხრეთი მხარე ჯერ კიდევ აერთიანებდა ქართველ და გაქართვევლებულ გლეხობას. ასეთი დასკვნის საფუძვ-

ელს არაერთი ისტორიული ცნობა იძლევა. იმავე ავტორის მოწმობით: კავკასოსმა „... დაიპყრა ქუეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პონ- ტოს ზღუამდე, კა- ვკასის მთის ჩრდილოეთი ველითურთ.“(გვ. 632.). აქ არაორაზროვნადაა მითითებული კავკასიონის ჩრდილოეთი მხარე, დაბლობების ჩათვლით. რამდენადაც კავკასოსის მონათესავე ტომები სამხრეთიდან ჩრდილო- ეთით მიგრირებდნენ, ლოგიკურია, რომ მათ მიერ დაცლილ მამულებში ქართები სახლდებოდნენ. შეხების, მეზობლობის არეალში იქმნებოდა თუ არა შერეული მოსახლეობა? ქართდებოდა თუ არა მიგრირებულთა დარჩენილი ნაწილი? ასეთი აზრის დასტურად ჩანს ბატონიშვილის ასეთი ნათქვამი: ხევსურებისა და ფშაველების ე. ი. ფხოველების გამო

„...კახნი ძურძუკთა, ღლიღუთა და ქისტთა თვისად“ „სდებენ“ „... გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ ჟამით, ოდეს განდგნენ“ (გვ. 534), უბრალო ინტერესის საკითხი როდია ცნობა, რომლის მიხედვით ვაინახებს კახნი თავისიანებად მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ თავად ვაინახებმა ამის გაგება „განდგომის“ შემდეგ მიივიწყეს.

დასაფიქრებლად უნდა ითქვას: ტომობრივ-თემობრივი განხრით, რამ- დენად შესწავლილია კავკასიონის აბორიგენი მოსახლეობა? ისტორიის რა საუნჯეს ინახავს თვითეული ეთნოსი, ტომი, თემი და სოფელ-აული? ღრმა ხეობებში მომწყვდეული, კარჩაკეტილი მეურნეობით დაკავებული მოსახლეობა სხვათაგან გაუცხოების გზას ადგებოდა და სათუთად ინახავდა იმ სულიერ ფასეულობას, რაც თაობების შემოქმედება და მემკვიდრეობა იყო. დაჩქარებულმა პროგრესმა, განკერძოების ჯებირების რღვევამ შეიძლება სამუდამოდ დაუკარგოს კავკსიონელებს ის ძვირფასი, რომლის მნიშვნელობა მიძინებულ მდგომარეობაშია. რამდენად შეძლებენ კავკასიონელები ისტორიული მეობის, კავშირების შენარჩუნებას?

და როგორია კავკასიონელების განვითარების ტენდენციები?

***

კავკასიონელთა მოკლე, სქემატური დასახიათებაც ცხადყოფს მათ მრავალეროვნულობას, ეროვნებათა შიგნით და ეროვნებათშორისი ურთ- იერთობების სირთულეს. მათი სახელმწიფო მოწყობა ისეა აგებული, რომ ეთნიკური სიჭრელის თავიდან აცილება ვერც ერთმა ერთეულმა ვერ შეძლო. კავკასიონელები ბევრია და მათ შორის განსხვავებაა არა

მხოლოდ ენობრივი ან დიალექტის დონეზე, არამედ ასაკობრივი, სახელმწიფოებრივი, რელიგიური, კულტურული და ა. შ.

კავკასიონელები ბევრად მცირე ტერიტორიას იკავებენ, ვიდრე კავკასიელები, ნაკლებია მათი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, სულიერ-კულტურული როლი მსოფლიოს ხალხთა ისტორიასა და თანამედროვეობაში. ამავე დროს კავკასიონელები ერთი-მეორისაგანაც განსხვავდებიან ამავე მონაცემებით.

ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, წამყვან და წარმატებულ კავკასიონელებად აზერბაიჯანელები გვევლინებიან. მათ უდავო ფავორიტობას ვერავინ შეეცილება. და ეს განაპირობა ბევრმა ფაქტორმა. პირველ რიგში ესაა რაოდენობრიობა მოსახლეობისა. სულ ცოტა, ორჯერ მაინც სჭარბობენ აზერბაიჯანელები ქართველებს. სრულიად საკმარისია გავიხსენოთ ასეთი მონაცემი: 1801 წლისათვის, როდესაც რუსეთის იმპერია კავკასიის დაპყრობას იწყებდა, ქართველების ხვედრითი წილი სამხრეთ კავკასიაში იყო 42%, აზერბაიჯანელებისა კი 26%. ახლა, XXI ს. დასაწყისში აზერბაიჯანელების რაოდენობრივად, ისევე როგორც შობადობის ტემპითა და ხასიათით ტოლი არა ჰყავთ. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა კარჩაკეტილობის დაძლევას აზერბაიჯანელების წარმატებაში. ესაა დაქსაქსული, ხშირად ურთიერთდაპირისპირებული სახანოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება. საუკუნეების მანძილზე განცალკევებული სახანოები შედარებით სუსტ ერთეულებს წარმოადგენდნენ. გაერთიანებამ, ერთიანი სახელმწიფოს შექმნამ, რაც 1918 წ. განხორციელდა შესაძლებელი გახადა ერთიანი მსოფლმხედველობის, პოლიტიკის, ეკონომიკის შექმნა. სახანოების საზღვრები გადაილახა. ეთნიკურმა წარმომავლობამ რეალობას დაუთმო ადგილი.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ერთიან სახელმწიფოში, ერთიანი ერის კატეგორიის დაფუძნებამ. თუ ადრე 15 სახანო ერთიმეორეს ეთიშებოდა, მათ შორის ეთნიკურობის ნიადაგზე, 1935 წლიდან ეს ბარიერი წარმატებით იქნა გადალახული. ამ წელს გამოქვეყნდა დეკრეტი მ. კალინინის ხელმოწერით, რომლის მიხედვით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და მასთან ერთად სამხრეთ კავკასიაში მაცხოვრებელი მუსულმანები ეროვნებით აზერბაიჯანელები ხდებოდნენ. 1926 წ. მოსახლეობის აღწერის დროს ჯერ კიდევ თურქებად წოდებულები, 1939 წ. აღწერით უკლებლივ აზერბაიჯანელებად ჩაწერეს. გეოგრაფიული ტერიტორიის

სახელწოდება მის მოსახლეობაზე გავრცელდა. აღარა ჰქონდა მნიშვნელობა პიროვნება თალიშელი იყო, ნუხელი, ნახიჭევანელი, ბორჩალოელი თუ სხვა, იყო წარმოშობით ლეკი, სპარსელი, თურქი, თათარი თუ სხვა, თუ ის მუსულმანური რელიგიის მიმდევარი იყო, ავტომატურად აზერბაიჯანელი ხდებოდა.

ახალგაზრდა აზერბაიჯანელ ერს, საკმაოდ ხნიერი რელიგიური აღმსარებლობა-მუსულმანობა აკავშირებდა. მართალია, ამ რელიგიასაც ახასიათებდა შინაგანი განშტოებანი (სუნიტები, შიიტები, მიურიდები და სხვა), მაგრამ არსებითი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოქცეულთათვის მუსულმანობა. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა ქვეყნებში რელიგია დათრგუნვილი იყო და აღმსარებლებს არ ჰქონდათ მის პრინციპებში ღრმად გათვითცნობიერების საშუალება. მთავარი იყო მუსულმანობა და არა მისი რომელიმე განშტოება. ამავე დროს, ეს რელიგია, გამორჩეული ადამიანთა ცხოვრებისა და თანაცხოვრების ყველა მხარის დარეგულირების უნარით (სისრულით), უაღრესად დიდ გავლენას ახდენდა და განსაზღრავდა საზოგადოების რწმენით თვალთახედვას. მასთან შედარებით სხვა რელიგიები აშკარად უფერულდებოდნენ. ასე იყო, ასე არის. სამწუხაროდ ყოველთვის ვერ ხერხდებოდა და ვერ ხერხდება ზღვარის დაცვა რელიგიურობასა და ფანატიზმს შორის.

გადამწყვეტ ფაქტორს აზერბაიჯანის ფავორიტობაში, მაინც ბუნებრივი პირობები წარმოადგენს. ენერგო რესურსების დიდი მარაგი, მათი მოპოვების პირობები, რეალიზაციის შესაძლებლობა და სხვა, რაც მოკლედ უნდა დახასიათდეს როგორც გეოგრაფიული გარემო, აზერბაიჯანელებს უპირატესობას აძლევს, არა მხოლოდ კავკასიონელთა ან კავკასიელთა, არამედ მსოფლიოს ბევრი ხალხის წინაშე. ფ. ენგელსის თვალსაზრისი გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ საზოგადოებრივ განვითარებაში, აზერბაიჯანის მაგალითზე დემონსტრირდება.

ლოგიკურია, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ მხოლოდ გარკვეულ პირობებში გარდაიქმნება. ამ პირობებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ენიჭება. სხვა კავკასიონელებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანის მოზომილმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ უზრუნველყო ქვეყნის სწრაფი დაწინაურება და როლის ზრდა, როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. ამავე დროს, იგი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ნაკლები დანაკარგებით გამოვიდა

იმ საერთო კრიზისიდან, რომლის სახელია საბჭოთა კავშირის დაშლა და დამოუკიდებლობის მოპოვება.

აზერბაიჯანს დიდ წარმატებებთან ერთად დიდი დანაკლისიც აქვს. მთიანი ყარაბაღის ჩამოცილებამ და ყარაბაღის „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ შექმნამ გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა აზალგაზრდა, მზარდ ქვეყანას. ყარაბაღის კონფლიქტი დაგეგმილი, მომზადებული და განხორციელებული იმპერიის ცენტრის მიერ, მიზნად ურჩი რეგიონის დასჯასა და სამხრეთ კავკასიაში ერთგული სატელიტის, სომხეთის მხარდაჭერას ისახავდა მიზნად. ყარაბაღის კონფლიქტი მეტროპოლის ნებართვისა და მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა და არც მომხდარა. ჯერ ხანობით მაინც აზერბაიჯანის სახელმწიფოს მისი ერთი შემადგენელი გამოაკლდა. ეს იყო მძიმე, ყოველმხრივი მნიშვნელობისა და გრძელვადიანი დარტყმა. და მიუხედავად ამ დანაკლისისა, აზერბაიჯანი კვლავ რჩება ყველაზე წარმატებულ ქვეყნად კავკასიონის რეგიონში.

იგივეს თქმა კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და საერთოდ კავკასიონის ერთ-ერთ უმსხვილეს რესპუბლიკა დაღესტანზე სამწუხაროდ არ შეიძლება.

დაღესტანი, ისევე როგორც კავკასიონის ჩრდილოეთის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ განთავსუფლებულა, კვლავ რუსეთის კოლონიად რჩება. შესაბამისად ამ რესპუბლიკების უახლოეს მიზანს თავისუფლების მიღწევა წარმოადგენს. მიზანი განსაზღვრავს მიღწევის გზების ხასიათს.

დღეს დაღესტანი ჩრდილოეთ კავკასიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერია. მართალია მოძრაობას სახელმწიფოებრივი ორგანიზება არ ახასიათებს, როგორც ეს ჩეჩნეთის რესპუბლიკაში იყო (ჯ. დუდაევისა და ა. მასხადოვის პრეზიდენტობის დროს), მაგრამ ბრძოლის პარტიზანული ფორმები მაინც დიდი რეზონანსის მატარებელია. ადრე თუ გვიან მოსკოვი იძულებული გახდება აღიაროს დაღესტნელი ხალხის ბუნებრივი უფლება თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესახებ.

დაღესტნის მოსახლეობას მიზნის მიღწევის გზაზე მრავალი ბარიერი ეღობება. პირველ რიგში ესაა შინაგანი დეზორგანიზაცია. უკვე იყო მსჯელობა მოსახლეობის სიჭრელის შესახებ. როცა საქმე ათეულობით ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფის მოქმედების კოორდინირებას

ეხება, ლოგიკურია, რომ ეს მხოლოდ სახელმწიფოებრივი ორგანიზების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. მოსახლეობის ორგანიზების ეს მექანიზმი კი მეტროპოლიის სამსახურშია. შეიძლება მეტროპოლიას რწმენით არც ემსახურებოდეს, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რომ არ ხელმძღვანელობს ეს ფაქტია. აქედან გამომდინარე ფაქტია ისიც, რომ მოძრაობა დაქსაქსულია, არაორგანიზებულია და მოსახლეობის მთელ ძალისხმევას საჭირო მიმართულებით ვერ წარმართავს. მებრძოლი ძალების მაორგანიზებელ ძალად რელიგიური ინსტიტუტები გამოდიან და ისინიც გახლეჩილნი მომხრეებად და მოწინააღმდეგებად. ასეთ პირობებში ბრძოლა წარმატებული ვერ იქნება ისეთი დამთრგუნველი ძალის წინაშე, როგორსაც რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური მანქანა წარმოადგენს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სხვადასხვა ფორმებითა და მეთოდებით შეიძლება წარიმართოს, შეიძლება ჰქონდეს მშივდობიანი, ჩუმი პროტესტის, იდეოლოგიური, შეიძლება მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ფორმა მიიღოს. შეიძლება იგი სამხედრო-პოლიტიკურ ქმედებებში გადაიზარდოს, ან სულაც კომბინირებული სახით გამოვლინდეს. საერთოდ კი, თეორიის ცნობით, რაც უფრო ძლიერია მებრძოლი მხარეების ინტერესთა სხვაობა და ხშირი კონფლიქტები (თუნდაც ცალკეული მცირე დაჯგუფებების დონეზე, როგორც ეს ჩრდილოეთ კავკასიაშია) მით უფრო დიდხანს გაგრძელდება კონფლიქტური პროცესი;

თეორია იმასაც გვეუბნება, რომ რაც უფრო ძლიერია კონფლიქტი, მით უფრო ცენტრალიზებული და ორგანიზებული არიან მხარეები. რაც დაღესტნისა და ახლა უკვე ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ბალყარეთის მხარეში არ შეინიშნება. აქ უფრო ცალკეული პატარა დაჯგუფებების ამბოხს აქვს ადგილი. ეს კი კონფლიქტოლოგიის მესამე პრინციპის შესაძლებლობას ზრდის. ეს გულისხმობს რომ თუნდაც ხშირი, მაგრამ ნაკლებად მწვავე კონფლიქტების დროს ინტეგრირების, დარეგულირების შანსი იზრდება, განსაკუთრებით, როცა კონფლიქტი ხანგრძლივად გრძელდება.

ჩრდილოეთ კავკასიაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავებას კონფლიქტების დონემდე თან ერთვის, იდეური და სოციალური ურთიერთობების დაძაბულობაც. ეს ერთი მხრივ დაბლა სწევს განმათავისუფლებელი მოძრაობის მოტივაციას, მეორე მხრივ კი აფართოებს კონფლიქტის სოციალურ საფუძველს. ამასთან, რაც უფრო დიდი

სხვაობაა მდიდრებსა და ღარიბებს შორის (რაც უფრო უთანაბრო განაწილებაა მატერიალური დოვლათის) მით უფრო ღრმაა კონფლიქტი. ამავე დროს, რაც უფრო სრულად გაიაზრებენ დაბალი ფენები თავის მდგომარეობას, მით უფრო მეტი სიმწვავე ექნება კონფლიქტს. და რაც უფრო ფართეა მასების ჩართულობა, მით უფრო საყოველთაობის ხასიათს იძენს კონფლიქტი.

ეროვნებათშორისი და სოციალური კონფლიქტების გადაჯაჭვის დროს, მეტროპოლიაში სოციალურის გაძლიერებას კოლონიებში ეროვნულის გაძლიერება თან სდევს. და რაც უფრო ძლიერია სოციალური კონფლიქტის პოლარიზაცია, მით ძლიერია ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტი.

კონფლიქტის აღმოცენებას წინ უძღვის ეროვნული უსამართლობის შეგნება. და რაც უფრო მაღალია შეგნების დონე, მით მეტია კონფლიქტის აღმოცენების შესაძლებლობა.

თეორია კიდევ ერთ პრინციპს გვკარნახობს. მის მიხედვით, რაც უფრო არარეალურ ან იდეალურ-სუბიექტურ ინტერესებს უკავშირდება კონფლიქტი, მით უფრო მწვავედ მიმდინარეობს იგი. ამასთან რაც უფრო ხისტი მეთოდებით ცდილობს მეტროპოლია მის დარეგულირებას, მით უფრო ღრმავდება კონფლიქტი. ჩრდილოეთ კავკასიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რელიგიურ საბურველშია გახვეული. რელიგიური მოტივი კი კონფლიქტს უფრო მწვავე ხასიათს ანიჭებს. ეს თავის მხრივ შემდეგ პრინციპს უკავშირდება. მისი არსი შემდეგშია, რაც უფრო მწვავე ხასიათი აქვს კონფლიქტს, მით უფრო ადვილია მოწინააღმდეგე მხარეების წარმოჩენა.

სწორედ ამ დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მეტროპოლიის პოლიტიკისა და სისტემის ელასტიურობა. რუსეთის მთავრობის მიერ იმის გააზრება თუ რა უფრო ძვირი დაუჯდება, მოჯანყე მხარისადმი გამგებიანი, ლიბერალური დამოკიდებულება, კომპრომისი თუ ხისტი ძალისმიერი მოქმედება, ბევრად განაპირობებს ბრძოლის ხანგრძლივობასა და სიმწვავეს.

ჩრდილოეთ კავკასიონში ჩეჩენი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის იყო იმის მაჩვენებელი თუ რა შეუძლია ორგანიზებულ, მცირერიცხოვან ერს თვით ისეთი ძლიერი მჩაგვრელის წინააღმდეგ, როგორსაც რუსეთის იმპერია წარმოადგენს.

ორი ათეული წელია გასული ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყებიდან და ამის გამო, შეიძლებოდა გარკვეული დასკვნების გაკეთება, თეორიულად წინასწარ გათვლილი რომ არ ყოფილიყო მკვლევართა მიერ.

კონფლიქტის ზოგადი კანონზომიერება გვეუბნება: პირველ რიგში უნდა შეეცადო, შეუქმნა სიძნელეები მოწინააღმდეგს (მეტროპოლიას). სიძნელეების შექმნა გამოიხატება მოწინააღმდეგის მოქმედებათა შეზღუდვაში, მისთვის თავისუფალი მოქმედების შეუძლებლობის პირობების შექმნაში. იგივე გულისხმობს მოწინააღმდეგის ფუნქციებისა და რეზერვების საშენოდ გამოყენებას. სწორედ ეს მხარე მოქმედებისა იქნა რაციონალურად გამოყენებული ჯ. დუდაევის მთავრობის მიერ.

ამას მოსდევს პრინციპები, რაც პრაქტიკულად ფ. ენგელსის მიერ შექმნილი ავჯანყების წარმატების კონცფციიდან გამომდინარეობს. ფ. ენგელსის აღნიშნული კონცეფცია შემდეგ ვ. ლენინმა ჩამოაყალიბა, როგორც საკუთარი მიგნება – ავჯანყების წარმატებების შესახებ. ამ კონცეფციის თანახმად, პირველ ყოვლისა სანამ მოქმედება დაიწყება, საჭირო (სტრატეგიული) მიმართულებით ძალების კონცენტრაცია უნდა მოხდეს იმ ოდენობით, რომელიც საკმარისია წარმატებისათვის, მოქმედების დაწყება უნდა მოხდეს მოწინააღმდეგის საკორდინაციო ცენტრებზე, ისე რომ იგი ფაქტის წინაშე აღმოჩნდეს ან სხვანაირად, მოლოდინის პირობებში მყოფისათვის, მაინც მოულოდნელი იყოს მოქმედება.

ვისაც ახსოვს ჩეჩნეთის ომის პერიპეტიები, იგი უეჭველად დაეთანხმება, რომ თეორიის რეკომენდაციები მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული ჯ. დუდაევის მიერ. სწორედ ამან განაპირობა მიღწეული წარმატებები. თუ საბოლოო ანგარიშით მეტროპოლიამ მაინც მოახერხა მოჯანყე რესპუბლიკის დამორჩილება, აქ გასაკვირი არაფერია. ძალთა თანაფარდობა სხვა შედეგს არ იძლეოდა. დაპირისპირებულთა დანაკარგების თანაფარდობა (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური) ცხადყოფს, რომ შედეგის მიუხედავად ამ ომში მეტროპოლია გამოვიდა დამარცხებული.

თეორია ასევე იძლევა რეკომენდაციებს მოქმედების ციკლურობის სასარგებლოდ. ბევრად ძლიერ მოწინააღმდეგეს ღია, პირდაპირ ბრძოლაში ვერ აჯობებ, საჭირო ხდება მოქმედების ციკლირობა, მოქმედება ფარულად, მოწინააღმდეგის მოლოდინის საწინააღმდეგოდ. არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ იდეურადაც თუნდაც მოტყუებისა და მუქარის გზით,

რაც მოპირისპირის დეზორგანიზებას უკავშირდება.

ზემოთ ნათქვამი თანაბრად არ შეეხება ჩრდილოეთ კავკასიონის ყველა რესპუბლიკას.

ჩეჩნეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთი ციკლი დასრულებულია. მოჩვენებითმა სიმშვიდემ შეცვალა ღია ბრძოლის პერიოდი. საჭირო გახდა მიღებული დანაკარგების აღდგენა, ჭრილობების მოშუშება, ძალების გადაჯგუფება, ანალიზის გაკეთება. გარეგნულმა მშვიდობამ მცდარი დასკვნები არ უნდა დაბადოს. ერს არა აქვს უფლება არ იბრძოლოს თავისუფლებისათვის. ვინც საბოლოოდ შეურიგდება ბედს, ის წყვეტს არსებობას, ადგება ასიმილაციის გზას.

ჩეჩნეთისაგან განსხვავებით ინგუშეთმა მოლოდინისა და ჩუმი მოქმედების ტაქტიკა ირჩია. შეცდომა იყო თუ არა ეს ტაქტიკური ხაზი? ერთი მხრივ შეიძლება იმის თეორიული გააზრება, რა მოჰყვე- ბოდა ჩეჩნეთთან ერთად ინგუშეთის აშკარა ჯანყს. ისედაც მცირე მოსახლეობით და ტერიტორიით რესპუბლიკა მეტროპოლიისა და მისი ერთგული სატელიტის ოსების რესპუბლიკის ზეწოლით საბოლოოდ განადგურდებოდა.

რა შემთხვევაში ჰქონდა განთავისუფლების შანსი ასეთ მცირე რესპუბლიკას?თანამედროვე ეტაპზე მარქსიზმის ხსენება ცუდ ტონად ითვლება. არა და მხედველობაშია მარქსიზმი, ლენინიზმისა და საბჭოთა პრაქტიკის გარეშე. (განმარტებისათვის უნდა ითქვას, რომ ლენინიზმი მარქსიზმის საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენდა ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხში). მარქსიზმს ერთი წინადადებით აქვს საკითხი ჩამოყალიბებული. მისი არსია: არ შეიძლება თავისუფალი იყოს ერი, რომელიც სხვას ჩაგრავს. რა გამოდის ამ დებულებიდან? 1. თავისუფალი ერი სხვის ჩაგვრას არ მოინდომებს; 2. თუ ერი სხვას ჩაგრავს, ნიშნავს თვითონაა დაჩაგრული საკუთარი მთავრობის მიერ; 3. ასეთ ქვეყანაში პარალელურად არსებობს სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. ამასთან, სოციალური ჩაგრულზეც ვრცელდება; 4. ჩაგრულმა ერმა აშკარად უნდა იბრძოლოს სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ და ამით ხელი შეუწყოს მჩაგვრელი ერის შიგნით სოციალური წინააღმდეგობის გამწვავებას; 5. როცა მჩაგვრელი ერის მშრომელი, ჩაგრული ნაწილი მიაღწევს თავისუფლებას, მაშინ ჩაგრული ერიც განთავისუფლდება.

ახლა ვნახოთ რა მოხდა პრაქტიკულად:

საბჭოთა კავშირის დაშლა განაპირობა სოციალურ-ეკონომიკურმა წინააღმდეგობებმა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში (მათ შორის კავკასიონურ აზერბაიჯანსა და საქართველოში) იმდენად სუსტი და არაორგანიზებული იყო რომ დამოუკიდებლობის მოპოვებაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. სანაცვლოდ გაშიშვლებული და გამწვავებული იყო სოციალ-ეკონომიკური წინააღმდეგობათა სისტემა თავად მეტროპოლიაში. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა იმპერიის დაშლა და კოლონიების შედარებით უმტკივნეულო განთავისუფლება. რესპუბლიკათა ნაწილმა იძულებულმა „მიიღეს დამოუკიდებლობა".

იყო თუ არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კავკასიონის არეალში? კითხვის დასმაც კი მკრეხელეობაა. ვინც იცის რუსეთის (მეტროპოლის) და კოლონიების (რესპუბლიკებად, ავტონომიურ რესპუბლიკებად, ავტონომიებად წოდებულებად) ურთიერთობის ისტორია მთლიანობაში (XIX-XX სს). მანძილზე ის წამითაც არ დაეჭვებულა რომ ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მუდმივად მიმდინარეობდა. იცვლებოდა ტაქტიკური ხასიათის ფორმები და მეთოდები, ბრძოლა კი პერმანენტულ ხასიათს ატარებდა. აქედან გამომდინარე, არაა საჭირო იმის მტკიცება, რომ XX ს. ბოლო 15 წ. მისი აღმავლობის ფონზე მიმდინარეობდა.

და მაინც საბჭოთა იმპერიის დაშლა ეროვნულ-განმათავისუფლებულ მოძრაობას არ გამოუწვევია. ეს იყო მსოფლიო ძალთა თანაფარდობის შეცვლის და იმპერიის შიგნით სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების გამწვავების შედეგი. ბევრი დაუღვინებელი „ბელადი" მიიწერდა იმპერიის მესაფლავის პატივს, მაგრამ ობიექტურად ასე არ იყო. შეიძლება ითქვას, რომ იმპერია დაიშალა ზევიდან და არა ქვევიდან. თავად დაშლის გამოცხადება 1991 წ. დეკემბერში არ იყო პროცესის დასაწყისი, მაგრამ არც დამთავრებას მოასწავებდა.

რუსეთის ფედერაციული სახელმწიფო არ იყო არც სოციალური რევოლუციის შედეგი და არც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. მიუხედავად ხმამაღლა აღიარებული დემოკრატიული პრინციპებისა, მიმართვისა ეროვნებებისადმი „აიღეთ იმდენი დამოუკიდებლობა, რამდენსაც მოერევით", სახელმწიფო რჩებოდა ძველი სისტემის ჩარჩოებში და დარჩენილი მრავალ ათეული ერისა თუ ეროვნების საპყრობილედ. განვითარების შემდგომმა ორი ათეული წლის მოვლენებმა ნათელყვეს სინამდვილე.

განსახილველ საკითხს რომ ძალიან არ გავცდეთ, ორიოდე წინადადებით გავიხსენოთ რა იყო და რით შეიცვალა.

რა იყო: 1. ე. წ. საბჭოთა წყობილება, მიიჩნეოდა სოციალისტურად, სინამდვილეში იქ იყო სახელმწიფო კაპიტალისტური სისტემა დაფუძნებული, განვითარების დაბალი საფეხურისათვის დამახასიათებელი ეკონომიკისა და ხალხის კულტურაზე. 2. შესაბამისად საბჭოთა კავშირში ძირითადი იყო წინააღმდეგობა მაღალგანვითარებულ წარმოებით ურთიერთობასა და ჩამორჩენილ საწარმოო ძალებს შორის. ეს აფერხებდა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას და მოითხოვდა შესაბამისობის აღდგენას: 3. საბჭოთა კავშირში მოხდა წარმოებით ურთიერთობათა ფორმის შესაბამისობაში მოყვანა საწარმოო ძალთა ხასიათთან. სხვა სიტყვებით, მოხდა ის, რის შესახებაც ფ. ენგელსი აფრთხილებდა რევოლუციონებს: თუ ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია, მოხდება სოციალისტური რევოლუცია, უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სიღატაკის თანაბარი განაწილება. ასეთ დროს კი ხელახლა აღმოცენდება ის, რის წინააღმდეგაც ხდება რევოლუცია. გაგრძელება აღარ ღირს. თუ 1895 წ. გერმანია სოციალიზმისათვის ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, 1917 წ. რუსეთი რაღა უნდა ყოფილიყო. შედეგიც შესაბამისი მოხდა. საბჭოთა კავშირში იდეოლოგია იყო მოსოციალისტო, პოლიტიკური სისტემა სახელმწიფო კაპიტალიზმის შესაფერი, ეკონომიკა და ურთიერთობანი საშუალოდ განვითარებული კაპიტალისტური.

ცხოვრება (განვითარების ინტერესები) მოითხოვდა სახელმწიფო კაპიტალიზმის ურთიერთობებიდან კონკურენციულ კაპიტალიზმის ურთიერთობებზე გადასვლას და ეს მოხდა საბჭოთა კავშირში. ეს იყო განვითარების კანონზომიერებით გამოწვეული მოდერნიზაცია კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში.

ლოგიკურია, რომ საბჭოთა იმპერიაში „დიდი რუსი ხალხი", თავად დათრგუნვილი თანამდებობის ბურჟუაზიის მიერ, ვერც სხვა ერებს მიანიჭებდა თავისუფლებას. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის ეთნიკური სუბიექტები, თუმცა რესპუბლიკებად იწოდებიან, მაინც ეროვნული ჩაგვრის უღელში არიან შებმულები. სხვაობა მათ შორის მხოლოდ გააზრების დონეში, ბრძოლის ტაქტიკურ სხვაობაშია.

ცხადია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საბჭოთა იმპერიაში მუდმივად მიმდინარეობდა, მაგრამ ობიექტური და სუბიექტური

პირობების გამო, არ იყო იმ დონის, რომ იმპერიის რღვევა გამოეწვია. თვით ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკებმა ზევიდან, ისე სწრაფად მიიღეს დამოუკიდებლობის აღიარება, რომ შესაბამისად მომზადებაც ვერ მოასწრეს. ამიტომ იყო, როცა რუსეთმა, უკრაინამ და ბელორუსიამ გამოაცხადეს სლავიანურ რესპუბლიკათა კავშირის შექმნა, ყაზახეთის ხელმძღვანელობამ უსაყვედურა, გაერთიანების გარეთ დატოვების გამო. ამიტომ მოხდა ასევე, რომ შუა აზიის რესპუბლიკებმა (თურქმენეთის გამოკლებით) სასწრაფოდ მიაშურეს ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას“ (დსთ).

კრიზისის, რღვევის პერიოდმა შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა და ამიტომ არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებულმა ეთნოსებმა ვერ მიიღეს დამოუკიდებლობა, არამედ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლებაც ნაკლოვანი დარჩა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია რომ ჩრდილოეთ კავკასიონის ფორმალურად აღიარებული რესპუბლიკები არ არიან დაკმაყოფილებულნი და ბრძოლას განაგრძობენ. ის რაც მოხდა ჩეჩნეთში არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაგრძელება ახალ ვითარებაში და ახალი ტაქტიკური ხერხებით.

თქმა არ უნდა, როცა მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებლობას იძენდნენ, ჩრდილოეთ კავკასიელ ეთნოსებს, რომ ერთსულოვნება შეძლებოდათ და ერთად გამოსულიყვნენ, წარმატებაც მეტი იქნებოდა, მეტროპოლიამ ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა, როცა მათი სტატუსი ავტონომიიდან „რესპუბლიკამდე“ აამაღლა. გაჩნდნენ რესპუბლიკები თავისი პრეზიდენტებით, მაგრამ სახელის შეცვლამ მდგომარეობის შეცვლა როდი გამოიწვია. რა ბედენაა კოლონიას ეწოდება ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა თუ სხვა რამ. კოლონია კოლონიად რჩება. ეს არ გამორიცხავს მოსკოვის მათდამი დამოკიდებულების განსხ- ვავებულობას. ჩრდილოეთ კავკასიონში ასეთი განსხვავებული სტატუსი თავიდანვე მიენიჭა ოსეთს. თავად ოსი მკვლევარების მიერ შექმნილი ნაშრომები, ნათელყოფენ ამ რეგიონის ცვალებად მდგომარეობას იმპერიის ფარგლებში. ამ მდგომარეობით მათ შესანიშნავად ისარგებლეს, მათ შორის მეზობელი ეთნოსების ხარჯზე. ოსების მიერ ინგუშეთის ტერიტორიის დაკავებაზე და ინგუშების იქიდან განდევნაზე უკვე ითქვა. უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს მათ საქართველოს ხარჯზე. იმპერიის

ხელშეწყობით მოახდინეს დვალეთის მიტაცება, ქართლში ჩასახლება, როკის გვირაბით მასთან დაკავშირება და რაც მთავარია ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნა. ახლა დღის წესრიგშია ე. წ. ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკათა გაერთიანების საკითხი.

არა ნაკლები იყო ადიღეური ეთნოსის წარმატებანი. ერთი მხრივ მათ დიდი ზარალი განიცადეს, როცა მათი ნაწილი თურქეთში იქნა გასახლებული. მეორე მხრივ მათ გარკვეული კომპენსაცია მიიღეს ისტორიული აფხაზეთის ფარგლებში.

მხოლოდ იმპერიის ცენტრის ხელშეწყობით მოხდა ხიზნების დაკავებულ მხარეებში გაბატონება, მათთვის პრივილეგიების მინიჭება.

მართებულად აღნიშნავს ცნობილი მკვლევარი ბატონი გ. ანჩაბაძე, რომ ხიზნებს, ქართველებისათვის თავის დროზე აფსარებად წოდებულ მოსახლეობას, (რუსეთისათვის აბაზინებად წოდებულებს) ქართველების გავლენით ეწოდათ XIX ს. აფხაზები. ადიღეველებმა ჩრდილოეთ კავკასიაში დაკარგული პოზიციების კომპენსაცია აფხაზეთის ხარჯზე მოახდინეს.

რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგად, ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსებიდან, ადიღეველებმა და ოსებმა შეძლეს წარმატების მიღწევა და კავკასიონის სამხრეთში თავიანთი ახალი სახელმწიფოების შექმნა. ახლა მათთვის დღის წესრიგშია ძველი და ახალი სამშობლოების გაერთიანების საკითხი. ამის მიღწევაც მხოლოდ მეტროპოლიის დახმარებით შეიძლება. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ეს ორი ეთნოსი კავკასიონელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობას არა ღებულობენ. ასეა დღეს. ხვალ?

ამრიგად, კავკასიონელი ეთნოსებიდან ყველა არაა ერთნაირად მოქცეული რუსეთის, ახლა უკვე „დემოკრატიული იმპერიის“ ორბიტაში. შესაბამისად თვითეულ მათგანს თავისი უშუალო მიზნები და ამოცანები აქვს. ამიტომ ფიქრი მათი ერთიანი ფრონტით მოქმედებაზე ილუზიაა. თუ ისეთი ახლობელი, უფრო ზუსტად ერთი ეთნოსის ორი ფრთა, ჩეჩნები და ინგუშები (ვაინახები, კავკასოსის ჩამომავლები) საერთო ტაქტიკურ მიზნებს, ფორმებს და მეთოდებს ვერ ისახავენ, როგორ შეიძლება სერიოზული ფიქრი საერთო კავკასიონურ ერთობაზე. აქ ყველას საკუთარი მიზანი, გზა და ამოცანები გააჩნიათ.

***

კავკასიონელთა დღევანდელობა და განვითარების შესაძლებელი გზა არ იქნება მეტ-ნაკლებად გადმოცემული თუ მოკლედ, მაგრამ არსებითად არ დახასიათდა საქართველოდ ცნობილი ქვეყანა. საქართველოდ ითქვა, რადგან არსებობის მანძილზე იცვლებოდა ერი და ქვეყნის სახელწოდება.

დღეს ამ სახელწოდებათა რაობისა, თანაფარდობისა და საზღვრების საკითხი არა ნაკლებ აქტუალურია, ვიდრე იყო ისტორიული ზეობის პერიოდში. კერძოდ, პრობლემატურია აფხაზეთისა და საქართველოს, ამასთან კავშირში ეგრისისა და ლაზიკის ურთიერთმიმართება, რადგან საერთაშორისოდ აღიარებული საქართველოს ფარგლებშია აფხაზთის დე-ფაქტო რესპუბლიკა.

არა ნაკლები საჭირბოროტო პრობლემაა ქართლის შემადგენლობაში მოქცეული ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

საქართველოდ სახელდებული ქვეყნის ტერიტორია „სამ დამოუკიდებელ“ რესპუბლიკას მოიცავს. უმთავრესი, საქართველო, ამ ორ ერთეულს, თავის განუყრელ ნაწილად მიიჩნევს და იღწვის მათთან ურთიერთობის დასარეგულირებლად. მისგან გაუცხოების გზაზე დამდგარი ორივე ერთეული, რუსეთის ფედერაციად წოდებულ იმპერიას ესაზღვრება და მისი მფარველობით ცდილობს დე-ფაქტო დამოუკიდებლობა დე-იურეში გადაიყვანოს.

სამ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის განვითარება, ბევრადაა დამოკიდებული თავად საქართველოს საშინაო და შემდეგ საგარეო პოლიტიკაზე. არა და, 1991 წ. შემდეგ, რაც საქართველომ საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან გასვლა და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, არსებითი რყევებია ორივე მიმართულებით.

საბჭოთა იმპერიაში არ წყდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ იმპერიის რღვევა მას არ გამოუწვევია. მით უმეტეს ვერ შეძლებდნენ ამას საქართველო და მისი იაკობინელი ლიდერები. ჯერ ჯიდევ 1968 წ. ბოლოს და 1969 წ. დასაწყისში შეხვედრების დროს მოხსენდა მომავალ ავტორიტეტ ზ. გამსახურდიას განვითარების ტენდენციებისა და ეროვნულისა და სოციალურის თანაფარდობის კანონზომიერების შესახებ. პროგნოზი გამართლდა. საბჭოთა იმპერიის რღვევა საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის ცვლილებებმა და

სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა განაპირობეს. ამიტომ იყო იმპერიის დაშლა განხორციელებული ზევიდან.

მყვირალა იაკობინელებმა იმპერიის რღვევა საკუთარ აქტივს მიაწერეს და რესპუბლიკაში ფსევდო ძველი წყობილების ნგრევა დააჩქარეს ისე, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ ახალი როგორ შეექმნათ და რა სხვაობა იქნებოდა ძველსა და ახალს შორის, მაგალითად: 1. 1991წ. მარტ-აპრილში გამოცხადებული რკინიგზის ბლოკადა. საღად მოაზროვნე ადამიანისათვის როგორი წარმოსადგენია, რომ სამტრედიაში რკინიგზაზე მიმოსვლის ბლოკირება საბჭოთა იმპერიაში სატრანსპორტო კომუნიკაციების მოშლას გამოიწვევდა. არც გამოუწვევია. სანაცვლოდ რესპუბლიკის შიგნით მოიშალა ადრე არსებული წესრიგი. ლიდერებმა იხმაურეს, ქვეყანა დაზარალდა; 2. არავინ იცის როგორი გენიოსი მეტალურგი იყო პრემიერ-მინისტრი თ. სიგუა, მაგრამ მიწასთან და სოფლის მეურნეობასთან რომ მწყრალად იყო, ცხადია. დღეს ტაბუდადებული ფ. ენგელსი ამტკიცებდა: მიწის ნაციონალიზაცია კაპიტალისტური ღონისძიებაა. იგი მხოლოდ რადიკალურ კომპლექსურ ღონისძიებების დროს ღებულობს კომუნისტურ ხასიათს. საბჭოთა კავშირში მიწა ნაციონალიზირებული იყო, მაგრამ მას კაპიტალისტური ხასიათი ჰქონდა შენარჩუნებული. (ამ საკითხზე ავტორის 1974 წ. დასტამბული სტატია „Ф. Энгельс о характере огосударствления“). ვთქვათ და დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარმა ლიდერებმა ეს არ იცოდნენ. ის მაინც უნდა სცოდნოდათ, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში ფერმერები ერთიანდებიან, ქმნიან კოოპერატივებს და ერთად აწარმოებენ მეურნეობას. საკმარისია მიეთითოს: ესპანეთში ფრანკოსა და პორტუგალიაში სალაზარის შემდეგ გლეხთა კოოპერატივების ჩამოყალიბებაზე. საქართველოში? ათწლეულები დასჭირდა მსხვილ სასოფლო-სამეურნეო რენტაბელური სისტემის შექმნას. ამ სისტემის მოშლა, მიწის გლეხებს შორის წვრილ ერთეულებად დანაწილება მხოლოდ მეტალურგს მოუვიდოდა ჭკვაში. გაკეთდა. რაა შედეგი? ბარის და თოხის იმედით გლეხობამ ორიოდე წელი იწვალა და მიწასთან ჭირილს შეეშვა. ახლა კი ფიქრობენ გლეხური კოოპერატივების უპირატესობაზე, მაგრამ ხომ დაიკარგა დრო? 3. ჯერ კიდევ 1989 წ. მარტში, რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელ ჯ. პატიაშვილს გაეგზავნა წერილი საქართველოს კომუნისტიური პარტიის, საკავშირო კომპარტიის რიგებიდან გამოსვლის მიზანშეწონილების დასაბუთებით. ეს

შესაძლებელს გახდიდა შენარჩუნებული ყოფილიყო ერთიანობა რესპუბლიკის შიგნით. შემდეგ კიდევ ორჯერ დაისვა ეს საკითხი ხელმძღვანელობის წინაშე. წინადადებაზე რეაგირება მხოლოდ 1990 წ. იანვარში მოახდინეს, როცა უკვე მოქმედება დაგვიანებული იყო. წამკითხველმა გაიხსენოს, რომ ასეთი ნაბიჯი ბალტიისპირელებმა (ლიტველებმა) 1990 წ. გადადგეს და ამით ბევრად მოგებულები დარჩნენ; 4. რევოლუციების კანონზომიერება ამბობს, რომ პირველ ეტაპზე წინა პლანზე გამოდიან მყვირალა ლიდერები, რომელთა ხვედრი ძველის ნგრევაა. როგორც წესი, ასეთი ლიდერები ისპობიან ან მალე უფერულდებიან და ადგილს უთმობენ უფრო ზომიერებს. საქართველოს სინამდვილე ვერ ასცდა ამ კანონზომიერებას. 1992 წ. რესპუბლიკის სათავეში აღმოჩნდნენ ძველი, კომუნისტებად წოდებული გვარდიისა და მხედრიონ-გვარდიის წარმომადგენლები. (საზოგადოებრივ ტელევიზიაში ჩაიწერა ავტორის პროგნოზი, მაგრამ ცხადია არ გადაიცა, რადგან მან თქვა: მომავალი საპარლამენტო არჩევნების დროს, ყაჩაღი პარტიაშვილები შეეკვრებიან იარაღიან ყაჩაღებს და უახლოესი მომავალი ამ ბლოკისაა). გამართლდა გარდაქმნების კანონზომიერების ეს თავისებურებაც; 5. ეროვნული მოძრაობის დაუღვინებელმა მყვირალა ლიდერებმა თავიდანვე დროშასავით ააფრიალეს ლოზუნგი ნატო-ში გაწევრიანების შესახებ. პარალელურად, სერიოზულად მოაზროვნენი საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად გადაქცევის ლოზუნგით გამოდიოდნენ. ნატო თუ ნეიტრალიტეტი? ე. შევარდნაძემ შემოიტანა საშუალო გზის ცნება და მას ობიექტური ნეიტრალიტეტი უწოდა. შემდეგ კი ამ აზრს საერთოდ შეეშვა და ისიც ნატო-ს აქტიური მძებნელი გახდა. წამკითხავი უნდა დაფიქრდეს, რას იძლევა ნატო შეიარაღებაზე უზარმაზარი საბიუჯეტო ხარჯისა და უცხო ქვეყნებში ადამიანური მსხვერპლის გახდა. ამას ემატება რუსეთის გადამტერება და დიდი ტერიტორიული დანაკარგები. დღეს, გაყიდული ქვეყნისაგან ძნელია ნეიტრალიტეტისაკენ შემობრუნება, მაგრამ არც უპერსპექტივო. მეორე მხრივ, დასაფიქრებელია, ვის წინააღმდეგ სჭირდება ქვეყანას დიდი ჯარი, ხარჯები და ა.შ. რა იქნებოდა ქვეყანას რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა აერჩია. ეგება გადავრჩებოდით დიდ დანაკარგებს?

მაგალითების ჩამოთვლა ძნელი არაა. ძნელი საკუთარი უმეცრების აღიარება და სწორი პოლიტიკის წარმოებაა. იმ უფსკრულიდან ამოსვა,

რომელშიც თვალახვეულები ჩავცვივდით, დიდ დაფიქრებასა და გაბედულ მოქმედებას მოითხოვს.

სამწუხაროდ საბჭოთა წყობილების დროს ისე იყო საქმე დაყენებული, რომ მართვის სადავეები ხელში პარტიულ და ბიუროკრატიულ ჩინოვნიკებს ეპყრათ. იქ მოსახვედრად საჭირო იყო პიონერული, კომკავშირული, შემდეგ კი პარტიული და საბჭოთა აღზრდა-მოღვაწეობის სკოლის წარმატებით გავლა. ამას კი ყველაფერი სჭირდებოდა მეცნიერული კვალიფიკაციის გარდა, მათი მთელი მეცნიერება პარტიის ყრილობისა ან პლენუმის მოთხოვნათა ცოდნა იყო. მეცნიერული კვალიფიკაციის მქონეთა რიგებიდან მმართველობის სისტემაში ერთეულები ხვდებოდნენ. თავად მეცნიერება დათრგუნვილი იყო.

სახელმწიფო ორგანიზაციის ბიუროკრატიული პრინციპით აგება აიძულებდა ადამიანებს ზურგი ექციათ მეცნიერებისათვის და ებრძოლათ მაღალი თანამდებობისათვის. პრინციპის მიხედვით, სახელმწიფო ინსტიტუტებში, რაც უფრო მაღალი იყო თანამდებობა, მით მეტი, ხელფასები და სხვა სახის პრივილეგიები. ეს უბიძგებდა ადამიანებს გამხდარიყვნენ ზემდგომი თანამდებობის პირთა უსიტყვო მორჩილები, ემლიქვნელათ, სხვები ებეზღებინათ და ა.შ. ხოლო მათ, ვინც ცოდნის შეძენის გზით წავიდოდნენ, უნდა სცოდნოდათ, რომ მათი ბედი „ხელმძღვანელი ამხანაგების“ ნება-სურვილით წარიმართებოდა.

(ნათქვამის ჭეშმარიტებაში ეჭვის შემტანმა უნდა გაიხსენოს ვინ ავსებდა სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებს ჯერ კიდევ კომუნისტების დროს; როგორი წარმატებით შეინარჩუნეს არსებობა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას დროს; რა ცოდნისა და ყაიდის ხალხი ეხვია გარშემო მას, როგორი სისწარაფით და ერთგულებით გადაბარგდნენ ისინი ე. შევარდნაძის ბანაკში; როგორ შეავსეს ე.წ. მოქალაქეთა პარტიის რიგები; როგორ აღმოჩნდნენ შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში; ახლა კი „ქართული ოცნების“ ლიდერის გარშემო ირაზმებიან. ისინი არც დაინტერესებულან რა შეიძლება იყოს ნამდვილი ქართული სახალხო ოცნება. ვის სჭირდება ცოდნა, როცა ლიდერი მილიონებს იძლევა და მეტს პირდება?)

მცოდნეთა პოზიცია ბიუროკრატიასა და მათ პატრონებს არ ანაღვლიათ. მათი ხმა არც ისმის საერთო აღტყინების ფონზე. სახელმწოფის მართვის სადავეები მტკიცედაა მონოპოლიზირებული რჩეულთა მიერ.

მონოპოლიზირებულია საინფორმაციო საშუალებებიც. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის დადგენას, როგორ უპყრიათ პრესა, ტელევიზიები მცირე რიცხოვან ჯგუფებს, როგორი ერთფეროვანია მათი პროდუქცია. ვის სჭირდება უბრალო ხალხის გაგონება. მთავარია რას ბრძანებენ მმართველები და ფულიანები.

სატირალია ამდენი „ბრძენი" ლიდერის, მათთან მიტმასნილებისა და მათი შემფასებელი ექსპერტების გაუთავებელი მსჯელობის მოსმენა. დამოუკიდებლობის „მოპოვების" დღიდან მოყოლებული, არ წყდება აზრთა გაზიარება სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმის შესახებ. ვერაფრით ვერ დაალაგეს კონსტიტუცია ისე, რომ მისი ყოველწლიური სახეცვლილება არ დასჭირდეთ. რატომ?

ყოველ ახლად მოვლენილ მმართველს სურს ჩასაცმელივით მოირგოს კონსტიტუცია. სხვებიც ცდილობენ ვალში არ დარჩნენ და არის გაუთავებელი კამათი მმართველობის სახელმწიფო ფორმის შესახებ. არიან მონარქიის აღდგენის მომხრენი და შესაბამისად მიდის ძიება თავადური თუ აზნაურული წარმომავლობის დასაბუთების მიზნით. არიან საპრეზიდენტო მმართველობის, საპარლამენტო რესპუბლიკის, შერეული მოდელის მომხრენი და მოწინააღმდეგენი.

რაზე დაობენ განსწავლული ლიდერები და სპეციალისტ-ექსპერტები? დავა სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმას შეეხება. საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია. ნებისმიერი საგნის ფორმაა ის, რის მიხედვითაც ადამიანები ეცნობიან საგანს. მაგრამ ეს საკმარისია? ფილოსოფოსი არ უნდა იყო, რომ მიხვდე: საგანს შეიძლება ფორმით ეცნობი, მაგრამ მთავარი მისი არსია. როდესაც ლიდერები და ექსპერტები დაობენ როგორი სახელმწიფო მოწყობა უჯობთ, ისინი ფორმაზე მსჯელობენ და არა შინაარსზე. აქედან დასკვნა: იქნება კონსტიტუციური მონარქია, საპრეზიდენტო, საპარლამენტო რესპუბლიკა თუ მათი რაღაცა მოდიფიკაცია, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. (უპრიანია იმის გახსენება, რომ ფილოსოფიურ კატეგორიაში „ფორმა და შინაარსი", როგორც წესი გადამწყვეტ მნიშვნელობას შინაარსს აკუთვნებენ. ისაა ფორმის განმსაზღვრელი).

პოლიტიკოსები, ექსპერტები, მკვლევარები როცა მსჯელობენ ქვეყნის უკეთ მოწყობაზე, როცა კონსტიტუციას ჭრიან და კერავენ ამა თუ იმ მმართველის ნება-სურვილის მიხედვით, სიტყვას არ ძრავენ სახელმწიფო

ორგანიზმის აგების პრინციპზე. აინტერესებთ საგნის ფორმა და არა შინაარსი. (კიდევ ერთხელ. უპრიანია კრილოვის იგავ-არაკის გახსენება: ცხოველებმა მოისურვეს ორკესტრის შექმნა. ვერ შეძლეს და დავა მოუვიდათ იმაზე, ვინ, სად უნდა მჯდარიყო. მათთვის მნიშვნელოვანი იყო ფორმა, – ვინ, რა ადგილს დაიკავებდა და არა შინაარსი, – იცოდნენ თუ არა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა).

ორი ათეული წელი გავიდა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან და დღემდე ვერ გარკვეულან მმართველები, პოლიტიკოსები, ექსპერტები: ბიუროკრატიზმის პრინციპზე აგებული სახელმწიფო სისტემა, დემოკრატიული ვერ იქნება. ეძახე ბიუროკრატიზმს დემოკრატიზმი, უცვალე სახელი (ფორმა), შინაარსი ამით არ შეიცვლება. ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებას, სახელმწიფო ორგანიზმის დემოკრატიულ პრინციპზე აგება სჭირდება. ამ მიმართებით ერთია ეროვნული ინტერესი და სულ სხვა სახელმწიფო ინტერესი. ერონვული ინტერესი მოითხოვს დემოკრატიულ პირნციპს, სახელმწიფო ინტერესი ბიუროკრატიული პრინციპის შენარჩუნებას. ინტერესთა ეს შეუთავსებლობა სოციალურ ფენათა განსხვავებულობისა და დაპირისპირების წყაროა, რაც მომავალში შეიძლება კონფლიქტში გადაიზარდოს.

კომიკური იქნებოდა, ტრაგიკული რომ არ იყოს ვითარება, როცა ავტორიტარული მისწრაფების პოლიტიკოსები თავს დემოკრატებს უწოდებენ. ორმაგად ტრაგიკულია, როდესაც მათ ექსპერტები ასეთად წარმოუდგენენ საზოგადოებას. გაუთვითცნობიერებელმა საზოგადოებამ შეიძლება ირწმუნოს სახელმწიფო სისტემის, მმართველთა დემოკრატიულობა. ასეთ დროს მოსალოდნელია მოსახლეობის აპათია, ნიჰილიზმი დემოკრატიის გაგების მიმართ და მისი რაღაცა ახლით შეცვლის მოთხოვნა.

არა და, სახელმწიფო ორგანიზმის აგების დემოკრატიული პრინციპი აბსტრაქტულ გრძელ მსჯელობას არ მოითხოვს გასაგებად, ამასთან, მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს სრულიად შეესაბამება. მისი ძირითადი შემადგენელია: 1. სახელმწიფო სისტემაში არ უნდა იყო თანამდებობა, რომელიც არჩევითი არ იქნება; 2. არ უნდა იყოს თანამდებობის პირი, რომელიც ანგარიშვალდებული არ იქნება ამომრჩეველთა წინაშე; 3. უმაღლესი თანამდებობის პირებს, ასევე დეპუტატებს არ უნდა ჰქონდეთ კვალიფიციურ მუშაკზე მეტი ხელფასი; 4. უნდა მოისპოს ყოველგვარი პრივილეგია თანამდებობის პირებისათვის.

მხოლოდ შეხსენებისათვის: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის II კონვენციის თანახმად ჩინოვნიკების ხელფასი დადგენილ პენსიებზე მეტი არ უნდა იყოს. ლოგიკურია, რომ ხელფასების მნიმუმსა და მაქსიმუმს შორის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1:5.

წამკითხველმა შეადაროს პირინციპის ეს მოთხოვნები არსებულ რეალობას და ისე იმსჯელოს დემოკრატიულობის ხარისხზე. მიღებული შედეგის მიხედვით განსაზღვროს, დაუჯერებენ ასეთ პოლიტიკურ სისტემას, მის მმართველებს დანარჩენი ორი რესპუბლიკის მაცხოვრებლები და მოინდომებენ თუ არა საქართველოსთან ერთობას.

სურათი რომ შედარებით სრული იყოს, საერთაშორისო ძალთა თანაფარდობა და იქ საქართველოს როლიც უნდა იქნას განხილული.

XX ს. ბოლოს დასრულდა ცივი ომის პერიოდი. დაიშალა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების სამხედრო ბანაკი. დაიშალა საბჭოთა კავშირად წოდებული რუსეთის იმპერია. ბევრმა თავდახსნილმა ქვეყანამ მიაშურა ნატოს-ს სამხედრო პოლიტიკურ კავშირს. ყველამ ვერ მოახერხა გაწევრიანება. მათ შორის საქართველომ.

ამჟამად რუსეთი სამხედრო ძლიერების გზას ადგას და ცდილობს ძველი კოლონიები კვლავ შეიერთოს უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აბრით. მასთან გაერთიანების სურვილის უქონლობამ დააკარგვინა საქართველოს აფხაზეთთან და ე.წ. სამხერთ ოსეთთან არსებული კავშირები.

მეორე მხირივ, საქართველოს გადაყლაპვას თუ არა, ყიდვას ცდილობს მეზობელი თურქეთი.

თავის მხრივ, ამერიკა და ნატო საქართველოს არც ღებულობენ და არც თავს ანებებენ.

ასეთია რეალობა. ბუნებირივა, რომ ყველა საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს და პატარა საქართველოს გულისათვის დიდი პრობლემების შექმნას ერიდება. ასეთ დროს რა გზას უნდა დაადგეს საქართველო, რომ დიდ სახელმწიფოთა ჭიდილში არ დაზარალდეს და დაკარგული ორი ერთეულის შემორიგება მოახერხოს?

გათვალისეინებული უნა იქნეს მსოფლიოში მოქმედი გლობალიზაციისა და ანტიგლობალიზაციის პროცესები. მათთან დაკავშირებული ინტეგრაცია, უნიფიკაციის, ერთი მხრივ და პროტექციონიზმის ტენდენციები. ჯერ კიდევ ფ. ენგელსი წერდა კაპიტალისტური განვითარების

ბუნების შესახებ, რომელიც ერონვული საზღვრების გადალახვაში და მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებაში გამოიხატება. კ. მარქსის დასკვნით, პარალელურად უნდა წარმართულიყო ყოველი ადამიანის მსოფლიო პიროვნებად გადაქცევის პროცესი. ცოტა უფრო ადრე, ი. კანტი მსოფლიო ზავის გარდაუვალობას წინასწარმეტყველებდა. ბრძენი წინაპრების ეს დასკვნები ხორციელდება, მიუხედავად იმისა, როგორია საწინააღმდეგო მოვლენები. (საილუსტრაციოდ, დიდი კვლევა საჭირო არაა: ტრანს-ეროვნული კომპანიები ჩვეულებრივი მოვლენაა. არც სხვისი ცხოვრების წესის გადაღება და გავრცელება ანუ ვესტერნიზაციაა უცხო მოვლენა. კომუნიკაციისა და ინფორამაციის თანამედროვე მიღწევანი ადამიანს მსოფლიო მოვლენების კურსში აყენებს და აიძულებს იფიქროს შორეული კუთხის თუ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე. მსოფლიო ამბებით დაინტერესებული უკვე მსოფლიო პიროვნებაა. მიუხედავად ორი მსოფლიო და სხვა ომებისა მსოფლიო ზავის მისწრაფება მაინც გზას იკვლევს).

გათვალისწინებული უნა იქნეს ისიც, რომ არაა დასრულებული იმპერიების მსხვერვისა და ეროვნული თვითგამორკვევის პროცესები. სახელმწიფოთა მრავალ ეროვნულობა კი არა მრავალ ეთნიკურობაც ბადებს განცალკევებას. თვითგამორკვევის ტენდენციას. შეიძლება საქმე კუთხურ თავისებურებათა ნიადაგზე თვითგამორკვევის პროცესებამდე დავიდეს. ტრაიბალიზმი (ტომობრიობა) არაა საბოლოოდ გადალახული. ის, რაც დასრულებულად მიიჩნევა თვითგამორკვევის საქმეში, ყოველთვის სამართლიანობას არ შეიცავს. კერძოდ, სახელმწიფოთა საზღვრები არ ემთხვევა ეროვნულ საზღვრებს. ერი შეიძლება გახლეჩილი აღმოჩნდეს და ეს ბრძოლის გაგრძელების საფუძველს ქმნის. არის ერის რაღაცა ნაწილის მიგრირების შედეგად, სხვა ერის ან სახელმწიფოს საზღვრებში შექმნილი ერთეულები, რომელთაც, გარკვეულ პირობებში, თვითგამორკვევის მისწრაფება უჩნდებათ. მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული დემოგრაფიული და მასთან დაკავშირებული რელიგიური ფაქტორები და სხვ.

ეთნიკურ ურთიერთობათა პრობლემები მსოფლიოს ბევრ ქვეყანას აწუხებს. ბევრჯერ მისულა საქმე კონფლიქტურ სიტუაციამდე. გამოვლინდებოდა ყოველივე მშვიდობიან მიტინგ-დემონსტრაციებში თუ დარბევა-შეტაკებებში, ეს კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარეობდა.

მეცნიერება კი არკვევს ზოგადს კონფლიქტებს შორის, მაგრამ არც ინდივიდუალობის უგულვებელყოფა შეიძლება. არა და, ხშირად ცდილობენ ერთ ჩარჩოში მოაქციონ სხვადასხვა ქვეყნებში და ვითარებაში მიმდინარე კონფლიქტური პროცესები. მათ შორის ეს საქართველოსაც შეეხება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მოსახლეობის დემოგრაფიასთან დაკავშირებული დეპოპულაციის ან პირიქით, მზარდი პოპულაციის შედეგები. განსაკუთრებით მწვავედ ეს დაბერების შემცველ ეთნოსებს ეხებათ. თუ ამას დაჩქარებული ასიმილაციური მოვლენებიც დაერთო, შეიძლება ეთნოსის ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგეს.

ის, რაც მსოფლიო საზოგადოების შიგნით ხდება, საქართველოს გვერდს ვერ აუვლის. განვითარების ბევრი ტენდენცია ფარული თუ აშკარა სახით აქაც მოქმედებს. შესაბამისად, უნდა შემუშავებული იქნას პოლიტიკა, რომელიც ნაკლებ ზიანის მომტანი და შედარებით პერსპექტიული იქნება. ქვეყანას, სამწუხაროდ, არა აქვს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა. შედეგიც შესაბამისია.

ითქვა, რომ საქართველოს გარს ისეთი სახელმწიფოები ემეზობლება, რომელთა ქმედებების მოთოკვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. არ არის მეზობელი, რომელსაც რაიმეს მისაკუთრება არ სურდეს. მართლაც კარგი ურთიერთობანი აკავშირებს აზერბაიჯანთან, მაგრამ არც პანთურქიზმის არსებობის დავიწყება ივარგებდა. მცოდნეთათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს აზერბაიჯანელი მკვლევარების ნაწილის მისწრაფება, თავი ისტორიული ალბანელების მემკვიდრეებად წარმოადგინონ, ხოლო ყოფილ ალბანეთსა და იბერიას (ქართლს) შორის საზღვარი ქ. რუსთავამდე და თბილისამდე გადასწიონ. საკმარისია გახსენება, რომ ალბანურ ქალაქ ყოფილ გარდმანს დღევანდელ ქართულ ქ. გარდაბანთან აიგივებენ. ამავე დროს ე.წ. საინგილოს ქართულ მოსახლეობას არ ეძელვა კულტურული ავტონომიის შესაძლებლობა. ცნობილია, რომ ინგილოების თხოვნის საფუძველზე, ე. შევარდნაძემ, თავის მხრივ გ. ალიევს სთხოვა ყურადღება მიექცია ქართული მოსახლეობის საწუხარისათვის. უკანასკნელმა, ნაცვლად დახმარებისა, რაიკომის მდივან მუსაევს უბრძანა ასიმილაციური პროცესი დაჩქარებინა. ამავე დროს, აზერბაიჯანიდან წელიწადში ასამდე რელიგიური მსახური ჩადიოდა საქართველოს მუსულმანურ მოსახლეობაში ქადაგებით: გამრავლდით, ძალა სიმრავლეშია.

კიდევ უფრო მძიმე სურათი იხატებოდა სასომხეთთან ურთიერთო-

ბაში. საკმარისად არ იქნა მიჩნეული 1921 წ. ე.წ. ნეიტრალური ზონის (20კმ. სიგანის სასაზღვრო მიწების) სომხეთისათვის გადაცემა საბჭოთა დიდერების მიერ. სასომხეთში ქართველ მოსახლეს ვერ ნახავ. ყველა გასომხებულია. მადა ჭამაში მოდის. სომეხ მკვლევართა ნაწილი ცდილობს ქვემო ქართლის სომხურ მიწებად წარმოდგენას. გამოცემული აქვთ რუქები, სადაც თბილისი და გორი სომხურ ქალაქებად სახელდებიან. აღარაფერი ითქმის სამცხე-ჯავახეთის მისაკუთრების ცდებზე. ის, რომ სომხური აგრესია აზერბაიჯანის წინააღმდეგ წარიმართა, არ ხსნის საქართველოს მიმართ იგივეს განხორციელების შესაძლებლობას. მათი გეგმები ახალქალაქ – ახალციხის გავლით, გოდერძის უღელტეხილიდან ქ. ბათუმში დამკვიდრების შესახებ, დიდი ხნის ოცნებაა. არც დაუკლიათ და არც დააკლებენ მცდელობას.

რაც შეეხება თურქეთს, ისტორიულ წარსულს რომ თავი დანებდეს, რომ არ იყოს მსჯელობა ტაო-კლარჯეთზე, მაინც ნათელია პრეტენზიები აჭარის მიმართ. ამის და მიუხედავად, დღეს თურქეთთან რაიმე დაპირისპირება გამოირიცხება. ამ მხრივ უფრო ეკონომიკური ექსპანსიაა მოსალოდნელი.

რჩება რუსეთის ფედერაცია, რომელიც არ მალავს თავის აგრესიულ ზრახვებს და არც მცდელობას აკლებს. ის ორი ერთეული რომელიც საქართველოს ჩამოშორდა და რუსეთის იმპერიის „სტრატეგიულ პარტნიორებად“ იქცა, მხოლოდ მისი ხელშეწყობით და მითითებით მოქმედებენ. სწორედ რუსეთის მიერ იქნა საქართველოში კომპაქტურად დამკვიდრებული სომეხი და ოსი მოსახლეობა. ეს ორი ნაწილი ეთნოსებისა არის იმპერიის ავანგარდი საქართველოსთან ბრძოლაში. დღევანდელ ვითარებაში არაა პერსპექტივა რუსეთის აგრესიული დამოკიდებულების ნეიტრალიზებისა. შესაბამისად არაა პერსპექტივა ორი ჩამოცილებული ნაწილის დაბრუნებისა. რამდენიც არ უდნა ეცადოს საქართველო, კიდეც რომ მოინდომონ ჩამოცილებულმა ნაწილებმა მასთან კავშირი, რუსეთის ხელმძღვანელობა ამას არ დაუშვებს. კავშირის გასაღები მოსკოვში, კრელმშია.

მაშ რა პერსპექტივა არსებობს? 1. მსოფლიო ასპარეზზე ნელა, მაგრამ მაინც ხდება დაპირისპირების გამოკვეთა და ძალთა თანაფარდობის ცვლა. საუბარია არა შეიარაღებულ ძალებზე და მათ მოქმედებაზე. ამ მხრივ ბირთვული იარაღის დიდი მარაგის მქონე რუსეთთან ურთიერთობა

გამორიცხება. (ცნობილი იყო, რომ საბჭოთა კავშირად წოდებულ რუსეთის იმპერიას ბირთვული იარაღის ისეთი მარაგი ჰქონდა, რომელიც საკუთარ ტერიტორიაზე აფეთქების შემთხვევაში, რამდენჯერმე მოსპობდა სიცოცხლეს პლანეტაზე. ცხადია, „დემოკრატიულმა“ რუსეთმა ეს მარაგი „გაუმჯობესა“ და გაზარდა). მსჯელობა შეიძლება იყოს მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ ძალთა თანაფარდობაზე. (ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკაში და ევროპაში შესაბამისი კადრების გადინება მოხდა.) ამ მხრივ საგრძნობი უპირატესობა ე.წ. დასავლეთ სამყაროს გააჩნია. ამოქმედების შემთხვევაში მას შეუძლია რუსეთში საერთო კრიზისის გამოწვევა. კრიზისი აამოძრავებს მოსახლეობას და შეიძლება „დემოკრატიული“ რუსეთის იმპერია დაიშალოს. ასეთ შემთხვევაში კი გაჩნდება შანსი კავკასიონელმა ეთნოსებმა მიიღონ რეალური დამოუკიდებლობა. მათ შორის იგულისხმება საქართველო და მისი ჩამოცილებული ნაწილები; 2. რამდენადაც პირველი შესაძლებლობა დიდ დროს მოითხოვს და არავინ უწყის ამ დრონის მანძილზე რუსეთი მოახდენს თუ არა ამ ნაწილების ისეთსავე ასიმილაციას, რაც მოხდა მდ. ფსოუს ჩრდილოეთ აფხაზეთში 1919 წლის შემდეგ, შეიძლება საქართველოს ხელმძღვანელობამ გადადგას ნაბიჯი საგარეო ვექტორის შეცვლის მიზნით. ცხადია, რუსეთის მიზანი, როდესაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას ახდენდა, იყო მთლიანად საქართველოს მორჩილებაში მოყვანა, მისი ჩამოშორება ევრო-კავშირისა და ნატო-საგან. ისიც ცხადია, რომ რუსეთი ყოველ ღონეს იხმარს, რათა ნატო კავკასიონის რეგიონში არ გაიმეზობლოს და თავსატეხი არ გაიჩინოს. თუ საქართველო ე.წ. ევრაზიურ კავშირს მიუერთდება, იზრდება ჩამოცილებული ნაწილებთან გაერთიანების შესაძლებლობა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის ვალდებულებები, რაც საქართველომ იკისრა დასავლეთის წინაშე. სასწორზე დევს ჩამოცილებული ტერიტორიები და ის ვალი – ვალდებულებანი და პერსპექტივები, რაც რეალურად არსებობს. რა, რად უღირს ქვეყანას? 3. ორ საპირისპირო შესაძლებელს გარდა არის მესამეც. 2008 წ. ომმა დაანახა, რად უღირს დასავლეთს და მეორე მხრივ რუსეთს საქართველო. შედეგმა ბევრი რამ გამოამზეურა, მათ შორის დასავლეთის უნიათობა და რუსეთის დაუოკებლობა. ამას გარდა საცნაური გახდა სხვა მეზობლების მზაობა, მიეღოთ თავისი წილი. მხოლოდ შეხსენებისათვის. საბჭოთა

კავშირის შემადგენლობიდან გასვლის მომენტისათვის, საქართველოში უპირატესობა ჰქონდა ქვეყნის ნეიტრალიტეტის იდეას. ხელისუფლებას მისთვის ზურგი რომ არ ექცია და აშკარად ნატო-სკენ არ გადახრილიყო, მოხდებოდა ის, რაც თავს დაგვატყდა თუ შევძლებდით კატასტროფისაგან თავის არიდებას? ვინ იცის.

დღევანდელი ხელისუფლება თავგამოდებით რომ არ მიილტვოდეს ნატოსკენ და იარაღს არ აჟღარუნებდეს, შეიცვლებოდა მისდამი რუსეთის დამოკიდებულება თუ არა? ვინ იცის.

დღეს, რუსეთი ცდილობს გარშემო შექმნას ბუფერული „სახელმწიფოები“ და თავი დაიზღვიოს ნატო-ს მეზობლობისაგან. საქართველოს აქვს თუ არა შესაძლებლობა ნეიტრალიტეტით გაემიჯნოს ორ დაპირისპირებულ ძალას და, როგორც ნეიტრალურმა, როგორც მიუმხრობელმა ქვეყანამ მოიპოვოს შესაბამისი დაფასება?

რუსეთი, მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ბუნებრივია, ცდილობს აიმაღლოს უსაფრთხოების დონე და ამ დროს მტრულად განწყობილი საქართველოს ნაცვლად, კეთილმოსურნე, მიუმხრობელი, ნეიტრალური მეზობელი, მას საპასუხო დათმობებისათვის განაწყობდა თუ არა? ვინ იცის.

საქართველოს ჩამოცილებული ორი დე-ფაქტო დამოუკიდებელი რესპუბლიკა დღეს გაერთიანების ნებისმიერ ვარიანტზე იტყვის უარს. რუსეთის ნებართვის გარეშე, მასთან შეუთანხმებლად, ისინი არაფერზე არ დათანხმდებიან. მაგრამ თუ რუსეთი შეიცვლის დამოკიდებულებას, რა რეალური წინადადება აქვს ქართულ მხარეს? ავტონომიური რესპუბლიკა? ეს აფხაზეთისათვის განვლილი ეტაპია. იგივე შეიძლება ითქვას ოსებზე. მათმა თანამოძმეებმა ჩრდილოეთში უკვე რესპუბლიკის სტატუსი შეიძინეს. ამათაც იგივეს სურვილს დაუშლი?

მაშ რა შეუძლია შესთავაზოს ქართველობამ აფხაზებსა და ოსებს? განვლილმა წლებმა ცხადყვეს, რომ ძველი ტერმინოლოგია, ძველი მიდგომები წარსულს ჩაბარდა. საჭიროა ახლებური აზროვნება, არსებული რეალობის გათვალისწინება.

ამ ახლებური მიდგომების აუცილებლობაზე ქართველებსაც უფიქრიათ და აფხაზებსაც. მაგალითისათვის: როცა მ. გორბაჩოვმა წამოაყენა იდეა საქართველოს ფედერაციული მოწყობის შესახებ, გარკვეული ძალები, პიროვნებები, შემფასებლურ აზრს გამოხატავდნენ აქაც და იქაც.

ცნობილი ვიაჩესლავ ჩირიკბა ემხრობოდა რა ფედერაციული მოწყობის იდეას, ასეთ შინაარსს უძებნიდა: აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი და საქართველო თავის ტერიტორიებზე სუვერენიტეტით ისარგებლებენ. საერთო ექნებათ საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი, საგარეო პოლიტიკა. ფედერაციული ცენტრისათვის ფუნქციების დელეგირების საკითხი, მოლაპარაკების საგანია. ასევე ცნობილი სტანისლავ ლაკობა კავკასიონურ კონფედერაციას აძლევდა უპირატესობას. კონფედერაციაში მისი აზრით, დასაწყისისათვის აფხაზეთი, ჩეჩნეთი და საქართველო მოიაზრებოდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ კავკასიონელთა კონფედერაციული გაეთიანების იდეა არც ახალია და ქართველებისთვის არც რაიმე უცნაურობის შემცველი. მხოლოდ ეგაა, კავკასიონელები რამდენად უფლებამოსილნი არიან მის განსახორციელებლად?

მაგალითი იმიტომაა გახსენებული, რომ ითქვას: თვით შეურიგებელ მოწინააღმდეგედ მიჩნეული აფხაზი პოლიტიკოსებიც ფიქრობენ რაღაცა ფორმით გაერთიანებაზე. ასეთ დროს უნიტარული სახელმწიფოს ნატვრით და ძველებური მიდგომით საქმე წინ ვერ წავა.

ქართველებმა, გაერთიანების შესახებ წინადადების წამოყენებამდე, კარგად გაიაზრონ ისტორიული წარსული და მემკვიდრეობით მიღებული რეალობა.

საქართველო, ერთ ენოვანი, ერთ რელიგიური, მკაცრად ცენტრალიზებული ძნელად წარმოსადგენია. ასეთად არც ყოფილა არსებობის მანძილზე. მუდამ იყოფოდა ტომობრიობის, განსაკუთრებულობის მიხედვით. თუ ოდესმე ერთიანდებოდა, შინაგან სტრუქტურულ თავისებურებებს ინარჩუნებდა. საუკუნეთა განმავლობაში იყოფოდა ორ-სამ სამეფოდ და ამდენივე ან მეტ სამთავროდ. ასეთი დაყოფა არ ნიშნავდა მათ საბოლოო გაუცხოებას, მაგრამ არც მტკიცე ერთობას ქმნიდა.

როცა რუსეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველო, სამცხე-საათაბაგო და აჭარა მტკიცედ ეპყრათ თურქებს. მიდიოდა ჭიდილი დანარჩენი სამთავროების ჩამოსაცილებლად. ლიხს იქით, იმერეთის სამეფოს გარდა, რომელსაც ფორმალურად ეკუთვნოდა დასავლეთის ტერიტორიები, არსებობდა გურიის, სამეგრელოს ანუ ოდიშის და აფხაზეთის სამთავროები. ამას გარდა იყო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, თავისი ორიგინალური თავისებურებებით.

მთლიანობაში აღებულ ამ ტერიტორიას საუკუნეთა წინ და საუკუნეთა მანძილზე აფხაზეთის სამეფო ეწოდებოდა. საქმე მხოლოდ ის არაა, რომ მეფეთა ტიტულატურა იწყებოდა „მეფე აფხაზთა“ და ა.შ. უკვე იყო მსჯელობა, რომ მონღოლებისაგან ოტებული რუსუდან დედოფალი, როცა ქუთაისს გადავიდა, ქართველი ისტორიკოსი აღნიშნავდა; მას „მშობლიური აფხაზეთი“ დამშვიდებით ეპყრაო. არა მხოლოდ უცხოელი, არამედ ქართველი ისტორიკოსებიც დღევანდელ ე.წ. დასავლეთ საქართველოს აფხაზეთს უწოდებდნენ. დღეს ამის არ გათვალისწინება ისტორიის გადასხვაფერებას დაემსგავსებოდა.

(ამ საკითხთან კავშირში, მოსაზრების და არა მტკიცების ფორმით უნდა ითქვას: ქართველები აფხაზეთს განიხილავენ, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს უძველესი დროიდან დღემდე. რამდენად დასაბუთებულია ეს? ლეონტი მროველი, როდესაც ქართლოსიანებზე და ეგროსელებზე იძლევა ცნობას, მათ შორის ნათესაობასთან ერთად სხვაობასაც ხომ უსვამს ხაზს? და თუ საუკუნეთა შემდეგ ეგროსელთა სამხერთი ნაწილის ქართიზაცია მოხდა, ჩრდილეთში ხომ შეინარჩუნეს სიწმინდე? ეგროსელების ამ ნაწილმა შექმნა კოლხიდის (კოლხეთის) ან ეგრისის (ეგროსის) სამეფო. (დასახელება დასახვეწია) ეგროსელების ამ ნაწილმა, ბევრად მოგვიანებით, ასევე შექმნა აფხაზეთის ჯერ სამთავრო, შემდეგ სამეფო. ამ სამეფომ დინასტიური მემკვიდრეობით მიიღო ეგროსელთა ტერიტორიები ლიხის მთამდე. თუ მთავრებმა (პატრიკიოსებმა), ქართლის მეფე-მთავრების მეშვეობით თუ კავშირში, დაიმკვიდრეს მთავრობა მდ. კელასურს ჩრდილეთ ეგროსელთა სამყოფელში, რომელსაც აფხაზეთი ერქვა და მდ-დე მცირე ხაზარეთისა ვრცელდებოდა. ეს არ ნიშნავს ამ სამთავროს ან გაქართველებას, ან ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოქცევას. აფხაზეთის ჯერ სამთავრო, შემდეგ სამეფო, დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა. (ეს რა თქმა უნდა არ გამორიცხავდა დინასტიურ, სამხედრო, პოლიტიკურ კავშირებს). აფხაზეთის სამეფომ დაიპყრო (უკვე დაიპყრო) მტკვრის მარცხენა მხარის ქართლი. ეს ნიშნავს, რომ დაიპყრო დღევანდელი ე.წ. სამხრეთი ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთის დვალეთის მხარის ტერიტორიები. ერთი პერიოდი აფხაზეთმა კახეთიც იპყრო და ჰერეთს (დღევანდელი აზერბაიჯანის დასავლეთს გადასწვდა). ბუნებრივია აფხაზეთის მიერ მიერთებულ ქართლოსისა და ჰეროსის ტერიტორიებსაც აფხაზეთი ეწოდა. ქართველები

ამ პროცესს ქართველ სამეფო-სამთავროებს შორის პირველობისათვის ბრძოლას უწოდებდნენ. სინამდვილეში?

კიდევ ერთი ბუნდოვანი საკითხი. ლაზებისა და ეგროსელების ურთიერთ მიმართება. მხედველობაშია არა ის, რომ ეგრისის (კოლხიდის) სამეფო ლაზიკის (თუ მომავალი ლაზიკის სამეფოს) რა ნაწილს იერთებდა ან პირიქით, ლაზიკა ეგროსეთა რა ნაწილს ფლობდა. მხედველობაშია ლაზთა და ეგროსელთა ერთობისა და სხვაობის პრობლემა. მათ შორის ძველი ლაია, ლაიშის ძველ ლაზიკად ქცევის საკითხი.[1] უფრო საჭიროა ძველ მოგზაურთა თხრობის გაცნობიერება იმის შესახებ, რომ დღევანდელი აფხზეთის ტერიტორიაზე ეგრულად მეტყველებდნენო. ხომ არ არიან მეგრელები და აფხაზები ერთი ეგროსული ტომის განაყარები? ხომ არ არიან დღევანდელი მეგრელები ძველი აფხაზები ან პირიქით? რატომ არმბობს ასე ვახუშტი ბატონიშვილი „ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებულ ეგრეთვე ეგრისი“ გვ. 783.

ზ. ანჩაბაძე, როცა ლიხს დასავლეთ სამეფო-სამთავროებს ახასიათებდა, აღნიშნავდა, რომ XVIIს. შუა პერიოდამდე აფხაზები და მეგრელები ერთ ოდიშის სამთავროს ქმნიდნენ. მხოლოდ ლევან II დადიანის უხიაკობამ აიძულა სეტემონ შარვაშიძე, ჩამოცილებოდა და დაეწყო ბრძოლა დამოუკიდებელი აფხაზეთის სამთავროს გაძლიერება – განვრცობისათვის. თავის მხრივ ოდიშის (სამეგრელოს) მთავრები, თავს მეფედა გრძნობდნენ და ზოგჯერ წარმატებულ ბრძოლასაც აწარმოებდნენ იმერეთის მეფის წინააღმდეგ.

ოდიშის მთავარს ტოლს არ უდებდა გურიის მთავარი. ყოფილი მარგვეთის მხარის ეს ნაწილი დამოუკიდებლობის ისეთსავე პრეტენზიას აცხადებდა. იმერეთის მეფეს არა მხოლოდ მთავრები ეურჩებოდნენ. სამეფო ტერიტორიულ-ტომობრივი ნიშნით იყო დაყოფილი.

---

1. ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვრის შესახებ აღნიშნავს: „...საზღვრის დასასრულია დასავლეთით ...კაფას ვილაიეთის მფლობელობაში მყოფი ტამანის ნახევარკუნძულის ახლოს მდებარე ანაპის ციხის ნავსადგური“ ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. ნაკვ. I., თბ., 1971, გვ. 81.

„ციხე დგას კონცხზე, რომელიც აბაზებსა და ჩერქეზებს შორის საზღვარზე მდებარეობს.“ (გვ. 108)

თავად აფხაზები „...ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ, რადგან მდინარე ფაშას გაღმა მხარე მთლიანად სამეგრელოა“ (გვ.100)

თავად იმერეთის სამეფო ხშირად მტრულ ურთიერთობაში იყო ქართლის (შემდეგ კი ქართლ-კახეთის) სამეფოსთან.

ეთნიკურ-ტომობრივი თვალსაზრისით ყველაზე ჭრელი ქართლის სამეფო გახლდათ. ქართლელების გარდა მის ფარგლებში შედიოდა დვალეთი. მის ტერიტორიაზე კომპაქტურად სახლობდნენ ბორჩალუს ტომის წარმომადგენლები. სამცხე-ჯავახეთი თურქებს ემორჩილებოდა. მეფე ერეკლე II დროს ჩამოსახლებული სომხები და ოსები მცირერიცხოვნების გამო მხოლოდ ხიზნების სტატუსს ჯერდებოდნენ. სხვა იყო სამეფოს მთიანი მხარის მდგომარეობა. უძველესი დრონიდან მოყოლებული წანარები (დღევანდელი მოხევეები), გუდამაყრელნი (მთიულები), ფხოველები (ფშავ-ხევსურები) გარკვეულ ტომობრივ განსხვავებულობასა და დამოუკიდებლობას (ავტონომიას) ინარჩუნებდნენ.

არც კახეთის სამეფო იყო ერთფეროვანი და ერთგვაროვანი. მთლიანობაში აღებული თუშეთი, ჭარ-ბელაქანი (საინგილო) საგრძნობლად განსხვავებული სტატუსით სარგებლობდნენ, ვიდრე შიდა კახეთი. შიდა კახეთშიც კი იყო სხვაობა ქიზიყელებსა და დანარჩენ კახელებს შორის.

წამკითხველმა თავად გააკეთოს დასკვნა: ამ სამეფოებს, სამთავროებს, მხარეებს ერთიანობაში რა ეწოდება?

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამ და კოლონიად გადაქცევამ, შედეგად სამეფო-სამთავროების გაუქმება მოიტანა. ეს არ ნიშანვდა ქვეყნის ტომობრივ-სამხარეო დაყოფის მოსპობას. დამატებით, ოსებისა და სომხების მასობრივი ჩამოსახლებით, ბუნებრივ დაყოფას ეთნიკური ნიშნით დაყოფაც დაემატა. უფრო მეტი. რუსეთის მთავრობამ სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებით, ჯერ დვალეთი ჩამოაშორა საქართველოს და იძულებით ჩამოსალხებულ ოსებს ცაკლე პოლიტიკური ერთეული შეუქმნა, შემდეგ კი ქართლის დიდი ნაწილი (თბილისის ჩათვლით) ერთგულ სომხებს დაუმორჩილა. აღარაფერი ითქმის კავკასიონის ჩრდილოეთ მიწების ჩამოჭრაზე და ჩრდილოეთ აფხაზეთის მითვისებაზე.

დღეს, რომ ცალკე არსებობს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები, სომხები და ბორჩალუელები (ახლა აზერბაიჯანელად წოდებულები) პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პრეტენზიებს აცხადებენ, რომ ძალაშია ტომობრივ-სამხარეო დაყოფა და ამ ერთეულთა ინტერესები, ცხადია და მტკიცებას არ საჭიროებს. რა გზით მიიღწევა მათი არა

მხოლოდ ერთობა, არამედ ინტერესთა დაკმაყოფილებაც? ესაა მთავარი გამომწვევი პრობლემა და მდგომარეობიდან გამოსავალიც აქ უნდა ვეძიოთ.

ქართველ პოლიტიკოსებს შორის ჭარბობს უნიტარული სახელმწიფოებრივი გაერთიანების მომხრეთა რაოდენობა. მყვირალა პოლიტიკური ლოზუნგები და მისწრაფებები ისეა საზოგადოების ნაწილში გამჯდარი, რომ ყოველი სხვა იდეა მიუღებელი ხდება. ზომიერი პოლიტიკოსები სიფრთხილეს ამჯობინებენ და თუ შინაგანად კიდეც თანაუგრძნობენ საკითხების სხვაგვარად გადაწყვეტის შესაძლებლობებს, ხმამაღლა მაინც ამას არ ან ვერ ამჟღავნებენ. პოლიტიკური კარიერა რეალურია, იდეა მხოლოდ იდეაა.

დროა გამოფხიზლების. დროა ახალი რეალობისა და შექმნილი ვითარებიდან გამოსავალის არა მხოლოდ ძიება-დასაბუთების, არამედ პრაქტიკული რეალიზების...

უნიტარული სახელმწიფო მოწყობის იდეა წარსულია. კონფედერაცია, რომელიც შეიძლება შეიქმნას კავკასიონელ ეთნოსთა მონაწილეობით, მიმზიდველი შორეული მომავლის ოცნებაა. რეალობა საქართველოს დანარჩენ ორ ნაწილთან და მათთან ერთად აჭარასთან ფედერაციული გაერთიანებისაკენ სვლაა. ვინძლო არ დავაგვიანოთ...